# ანეული

ლიტერატურული ჟურნალი

N4, 2021



მხატვარი —
თამთა მამეკელაშვილი



მეფე ერეკლეს საიუბილეო —
პოეზიის თეატრის დასის პრემიერა



რევაზ ინანიშვილის
სახელობის
„ერთი მოთხრობის“
კონკურსი



რეზო (ემელიანე) ადამია
მოგონებები ლადო გუდიაშვილზე



„ღვინისფერი“ კრებული და
აქამდე უცნობი საქართველო

# მხატვარი – თამთა მამუკელაშვილი













ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები:

მზია ხეთაგური, გიული ჩქარეული,

თამარ გაბროშვილი, თამარ შაიშმელაშვილი, რევაზ ბალანჩივაძე.

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტები:

ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22

ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900



# ანეული

№4. (№33) დეკემბერი. 2021

## ლიტერატურული ჟურნალი


მე–12 დაჯილდოება
რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის 2021 წლის გამარჯვებულები .......... 3
**ანზორ სიფრაშვილი** ქვევრი........................................ 4
**ეკატერინე ფავლენიშვილი** ბროლის ქალწული ........................................ 9
**ფიქრია ყუშიტაშვილი** შეტყობინება ........................................ 13
უბით სატარებელი
**ნუგზარ შატაიძე** საყვარელი მწერალი რევაზ ინანიშვილი – „შენი სულიერი სამშობლო“ ........................ 16
პოეზია
**ბადათერ არაბული** ........................................ 18
**ნონა ბიორბაძე** ........................................ 19
გაზეთის 90 წლის იუბილე
„ლიტერატურული საქართველო“ ლიტერატურული საქართველოსთვის ........................................ 21
ტრაგიკული ბედისწერა
**ნოდარ პაპუაშვილი** თავისუფლების სიმბოლო თუ ........................................ 23
მწერლის მუზეუმი
„სიგარეტის მოწევა სასტიკად ეკრძალებოდა,ის კი... ფრაზასაც ვერ წერდა უსიგარეტოდ“.................... 24
პროზა
**ეკა ავაზაშვილი** სიყვარულით ........................................ 27
პოეტის შეგონებანი
**ნინო არსენაშვილი** ჭრელაჭრულა ფიქრთასხმულა ........................................ 31
ლიტერატურული წერილი
**ლალი ურდელაშვილი** მთის საკრალური საზრისი ორი ლექსის მიხედვით ........................................ 33
ხსოვნის ზარდახშიდან
**რეზო (ემელიანე) ადამია** დაუვიწყარი ურთიერთობები და მოგონებანი – ლადო გუდიაშვილი ............ 34
პოეზია
**ალექსანდრე ჯინჭარაძე** ........................................ 40
**ელენე ლიქოკელი** ........................................ 41
**ნატალი დარასელია** ........................................ 42
**ეკა ოთარაშვილი** თელავს ........................................ 43
წერილი–შთაბეჭდილება
**ლეილა ქიტოშვილი-სახლთხუციშვილი** თამარ გაბროშვილის უშურველი ზიარჭურჭელი ........................................ 44
**მაკა კვერენჩხილაძე-კარტაიზე** წიგნიდან: „დალეკო ოტ სჩასტია?ანუ ჩაიხედე სარკეში“ .................... 51
პანდემია და ხელოვანი „ხატვის დროს ვღიღინებ“ – თამთა მამუკელაშვილი ........................................ 54
პატარებისთვის **ლანა ხურცილავა** ორი ნაწარმოები........................................ 55
პოეზიის თეატრის დასის პრემიერა
მეფე ერეკლეს საუბილეოდ ........................................ 58
თვალსაზრისი **ლევან გორვანელი** მოძრავი საგნები ........................................ 60
ემიგრანტები
**თამარ შაიშმელაშვილი** „მე დავბრუნდები საქართველოში“ ........................................ 63
**თეა ქურხული** „ავაჰმე“!! ........................................ 64
**სოფო ბაშარული** ნინო ბაშარულის ერთი სიმღერის გამო ........................................ 65
იუბილე **ივანე ჯაფარიძე** პალინდრომების ოსტატი ........................................ 66
პოეზია
**ნიკოლოზ მჭედლიშვილი** ........................................ 68
წარდგენა ვილნიუსში
„ღვინისფერი“ კრებული და აქამდე უცნობი საქართველო ........................................ 69
ლესია უკრაინკა – 150
**თამარ გაბოძე** ორი ლექსი – „სურამის მეორე ლეგენდა“; „არჩევანი“ ........................................72

ISSN 1987-9717

ქულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეული“

ჟურნალ „ანეულთან“ არსებული
ლიტერატურული გაერთიანება:

რეზო (ემელიანე) ადამია
რევაზ ბალანჩივაძე
თამარ გაბროშვილი
თამარ მიქაძე
თენგიზ უთმელიძე
ლეილა ქიტოშვილი –
სახლთხუციშვილი
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
ჯუბა ლებელი
თამაზ ხმალაძე
თემურ ჯაგოდნიშვილი
ივანე ჯაფარიძე

მთავარი რედაქტორი
თამარ შაიშმელაშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი
სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს ავტორი

ბიორბი ზურებიანი

გარეკანის პირველ გვერდზე: მხატვარი თამთა მამუკელაშვილი
გარეკანის ბოლო გვერდზე: თეა ქურხულის ნამუშევრები

რედაქციის ტელეფონი: 551 005 058

რედაქციის ინტერნეტფოსტა: aneuli@mail.ru

ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი, გამოსაქვეყნებელი სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ნაბეჭდ გვერდს

ჟურნალი დაბეჭდილია სოციალური თერაპიის სახლში, შშმ პირების მონაწილეობით

## მე-12 დაჯილდოება



# რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის 2021 წლის გამარჯვებულები

რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი 2021 წელს მეთორმეტედ გაიმართა. სულ 75 საკონკურსო მოთხრობა და ნოველა შემოვიდა.

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: მწერალი ნინო არსენაშვილი, პოეტი ჯუმბერ გოგრიჭიანი (ჯუბა ღებელი), მწერალი თამაზ ხმალაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი (თავმჯდომარე), გამოავლინა გამარჯვებულები.

პრემიები ასე განაწილდა:

I **პრემია – ანზორ სიფრაშვილი („ქვევრი“);**

**II პრემია – ეკატერინე ფავლენიშვილი („ბროლის ქალწული“);**

**III პრემია – ფიქრია ყუშიტაშვილი („შეტყობინება“).**

გარდა ამ სამი მოთხრობისა, ჟიურიმ გამოავლინა 2021 წლის კონკურსის საუკეთესო მოთხრობები. მათი ავტორები: **მაგდა გორგიძე, გია ხუბუა, იოსებ იარღანაშვილი, გიორგი პაპუაშვილი სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ. ჟურნალ „ანეულის“ პრიზის მფლობელი გახდა მაია დიაკონიძე.**

წლევანდელი კონკურსიც დაამშვენა ცნობილი მხატვრის, ესეისტის, მრავალი საერთაშორისო გამოფენის ავტორისა და საერთაშორისო ჯილდოების მფლობელის, **რეზო (ემელიანე) ადამიას** ქველმოქმედებამ,პრიზიორ ავტორებს მისი ნახატები გადაეცათ.

სამი წელია რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის ქველმოქმედია სამაჩაბლოელი ხელოვანი,ხელნაკეთი სამკაულებისა და აქსესუარების სახელოსნოს „ზილფი ჰენდმეიდის“ დამფუძნებელი,ვისმა აქსესუარებმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა – **ფატი კახნიაშვილი**. მან წელსაც ხელნაკეთი „მტევნების“ – ორი პრიზი საგანგებოდ დაამზადა ჩვენი კონკურსისთვის.

კონკურსისთვის საკუთარი ნახატი გამოგვიგზავნა ნიჭიერმა ხელოვანმა – ნინო სალუქვაძემ.

აღსანიშნავია,რომ წელს პირველად კონკურსის ახალგაზრდა მონაწილეებისთვის, წახალისების მიზნით, დაწესებული იყო ფულადი პრემია, რომელიც კონკურსს საკუთარი სურვილით შემოსწირა იტალიაში მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა, პავიის უნივერსიტეტის ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიების დეპარტამენტის მოლეკულური ბიოლოგიის პროფესორმა, მწერალმა **სოლომონ ნერგაძემ.** ეს თანხა გადაეცათ – **დათია ბადალაშვილს და თამარ ამირხანაშვილს.**

რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის პრემიის დიპლომი და მთავარი პრიზი კონკურსგარეშე გადაეცა მწერალ **მაკა ჯოხაძეს.**

მადლობა – მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის 124-ე საჯარო სკოლას და მის პედაგოგებს: ქალბატონებს – **იზო სამუშიას და ცისმარი ყურაშვილს,** რომლებიც,ასევე,მრავალი წელია რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის ქველმოქმედნი არიან.

კონკურსის თანამდგომია საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორი **ბესიკ ღვინაშვილი.** მადლობა მას გამორჩეული პრიზისთვის.

დაბოლოს, განსაკუთრებული მადლობა **თბილისის მერიის კულტურის,განათლების,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს,** ვისი დაფინანსებითაც 2021 წლის კონკურსი კვლავაც წარმატებით ჩატარდა.

ქვემოთ გთავაზობთ სამ პრემირებულ მოთხრობას.

# ანზორ სიფიაშვილი



## ქვევრი

ქიზიყში ქვევრები ყველას მარანში აქვს ჩაყრილი, არა აქვს მნიშვნელობა,ეს მარანი დიდია თუ პატარა, სახლის პირველ სართულზეა თუ ეზოში, ბევრი ქვევრია შიგ თუ ცოტა. მთავარია, გადახურულში იყოს და არა ღია ცის ქვეშ, მაგრამ აუცილებლად სახლთან ახლოს და თუ ვენახიც ეზოსაა მიბმული, ეს მთლად უკეთესი,მაგრამ აქაურ კაცს,უმთავრესად, ვაზი მოშორებით აქვს გაშენებული, ამიტომ იქ ქვევრს არავინ ჩააგდებს, რადგან ყურძნის დაწურვიდან ღვინის საბოლოო დავარგებამდე კარგა დიდი დროა და ადამიანი გამუდმებით სახლსა და ქვევრებს შორის უნდა იყოს გაბმული. არც ღია ცის ქვეშ ათავსებენ ქვევრებს მიწაში: მოსალოდნელია,რომ საფარობლებში — თუნდაც ზედ სქლად დატკეპნილი მიწა ეყაროს — წვიმამ ჩაატანოს და ღვინომ ჭირი მოგჭამოს.

მახარესაც სახლის გვერდით ჰქონდა მოდგმული მარანი, სადაც რამდენიმე დიდი ქვევრი ჯერ კიდევ მის პაპას ჩაეყარა. მახარეს მამა მეორე მსოფლიო ომიდან ცალხელა დაბრუნდა და ვენახს ველარ უვლიდა,აბა,მხოლოდ ერთი ხელის პატრონს ზურგის აპარატით როგორ უნდა შეეწამლა, ამოსაყენებლები გამოეცვალა ანდა ვაზის ძირები გაემოთოხნა. ამიტომ იყო, რომ ბალახი მესამე მავთულამდე შემოადგა და როცა ერთხელ ვიღაცამ შემთხვევით თუ განგებ ცეცხლი გაუკიდა, მთელი ვენახი ერთ საათში გადაიბუგა. მახარე მაშინ ცამეტი-თოთხმეტი წლისა იყო და დღემდე ახსოვს, რა ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები ხელჯოხზე დაყრდნობილ მამამისს, რომელსაც ცარიელი მარცხენა სახელო ქარში უფრიალებდა.

ისიც კარგად დაამახსოვრდა მახარეს, რომ ამ ამბის შემდეგ ბერიკაცს დიდხანს აღარ უცოცხლია და სამოცს მიუღწეველი გარდაიცვალა.

ამიტომაც იყო, რომ როგორც კი წელი მოიმაგრა, მახარემ ნავენახარში ვაზის ჩაყრა გადაწყვიტა, ბაკურციხეში კარგ მყნობელს კითხვა — კითხვით მიაკვლია და საგაზაფხულოდ ნამყენზე შეიპირა,მერე ვეება ტრაქტორით მიწა გადააბრუნა, ანუ როგორც აგრონომები იტყვიან — დააპლანტაჟა, აკაციის მსხვილი,ქერქგაცლილი ბოძ-ამოსაყენებელი შეიძინა — რკინისა და ცემენტისას ეს ჯობია, მამაპაპურიაო,უჟანგავი მავთულიც დაიგულა, თბილისიდან სტუდენტი შვილი, გიორგი, დაიბარა და მასთან ერთად მარტ-აპრილში ვაზი ისეთ სწორ რიგებად ჩაყარა, რომ მნახველს თარაზოში გასწორებული ეგონებოდა. ვენახმა მომდევნო წელს ნიშანი გამოიბა, მესამე წელს მცირე მოსავლით პატრონს ასიამოვნა, მეოთხე წელს კარგად დაისხა, ახლა კი მართლაც ბარაქიან მოსავალს უჩანდა პირი.

რაკი ქვევრები მამაპაპისეული ჰქონდა — სამოც და ოთხმოცჩაფიანები,რომლებშიც მთელი მოსავალი ჩაეტეოდა, მათ გვერდზე კი ოდნავ მომცრო ორ ქვევრსაც დაელო პირი,მახარემ ბოდბისხეველ მეთუნე იაკობას მხოლოდ ერთი,მომცრო,პატარა ქვევრი გამოართვა,კახეთში რომ მოფერებით ,,ქოცოს“ უძახიან და შიგ ბევრი-ბევრი ათი-თხუთმეტი ჩაფი ღვინო ჩავიდეს, ეს კი არც ისე ბევრია — ორმოცდაათ ლიტრამდეა, მეტი არა. მეზობლის ცხენის საზიდრით ქვევრი შინ გადმოიტანა და ვიდრე ამოთხრილ ორმოში ჩააგდებდა, გამოსარეცხად წყალი ჩაასხა, სარცხიც მოიმარჯვა.

მაგრამ როგორც კი ბლის ქერქი შიდა მხარეს ერთი-ორჯერ მიუს-მოუსვა, მყისვე უსიამოვნო სუნმა შეაკრთო და დააეჭვა.

ჯერ გრძელტარიან სარცხს დახედა — ამას ხომ არა უსვია რაო, გადაატრიალ-გადმოატრიალა, მერმე წყლის ვედრო შეამოწმა, იქვე ტილოც გასინჯა... არა, ყველაფერი სუფთა და სპეტაკი იყო.

მახარემ თავი გადააქნია, ქვევრში ჩაჰყო და შეისუნთქა.

საეჭვო აღარაფერი იყო — ეს უსიამოვნო სუნი თიხას ასდიოდა და ბავშვობაში გაგონილი გაახსენდა: ქვევრს ცუდი სუნი მაშინ აქვს,როცა თიხას ჭუჭყიან წყალში მოზელენო.

მაგრამ მეთუნე იაკობა გამოცდილი კაცი იყო, მის დღეში მოსაზელ მიწას უსუფთაო წყალს არ გააკარებდა, მუშაობის წინ თავადაც ხელებს გულდასმით დაიბანდა და ხელსაწყო — იარაღებსაც დიდხანს და საგანგებოდ რეცხავდა და ასუფთავებდა.

იქნებ თავად თიხის ბრალი იყო,იმ თიხისა, რომელიც მოთხარეს, წამოიღეს, მოზილეს და ღვინის ჭურჭლად აქციეს? ან სულაც იაკობას ნაკეთები არ იყო ეს ქვევრი?

ასე იყო თუ ისე, მასში ახლა არც ყურძნის დაწურვა შეიძლებოდა და არც ღვინის დაყენება — ერთიანად წაახდენდა, ისეთ გემოს მისცემდა —კაციშვილი პირთან ვერ მიიკარებდა. ვერც სანთლის მოვლება უშველიდა — დაწურული ყურძენი

დუღილს რომ დაიწყებდა, გადნებოდა და ღვინოს გააფუჭებდა.

ბოლოს გადაწყვიტა მცირეოდენი ყურძენი მაინც ჩაეწურა: იქნებ ჭაჭა რომ დადუღდება, ქვევრმა ზნე შეიცვალოს და სუნი და გემო უკეთესი მიიღოსო, მაგრამ როცა არც ამან უშველა და ახალ ქვევრში დაყენებულ ღვინოს სუნიც უსიამო მიეცა და გემოც, კარგა ხნის ფიქრის შემდეგ ხელი ჩაიქნია, ვენახში ჩაიტანა, ქოხში ორმო ამოთხარა და ჩაგდო: „სიცხეში წყლიან დოქს გრილად მაინც შეინახავსო.“

დასხმითკი დიდებულად დაისხა ვენახმა, მადლიანად და ბარაქიანად, სანახავადაც კი მოდიოდნენ ახლო და შორი მეზობლები, ისე რომ სართვლოდ მახარე შეფიქრიანდა კიდეც: სად წავიღო ეს ამდენი ყურძენი, ან როგორ დავკრიფოო, მაგრამ გული მალევე დაიმშვიდა, რადგან მამაპაპისეულ ქვევრებს მართლაც დევივით დაეღოთ პირი, რთვლის წინა დღეს სამივე შვილიც ჩამოუვიდა: მართალია, ბიჭი, გიორგი, ჯერ ძალზე ახალგაზრდა იყო, მაგრამ ხარის ღონე ჰქონდა და ხუთი კაცის საქმეს წარბშეუხრელად მოერეოდა, ხოლო გოგოებს, მაიასა და ნინოს, თან ქმრებიც ჩამოჰყვნენ და პაპა შვილიშვილების ნახვით გაახარეს. იქით ცოლისძმა ვალერი გადმოვიდა წნორიდან, აქეთ ორი-სამი მეზობელიც მოიწვია მახარემ და ადრიანი დილით ყველანი ვენახის გზას გაუყვნენ.

ის იყო სიძეები პირველნი უნდა ჩამდგარიყვნენ ვაზების რიგში, რომ ვენახის თავში ბებერ კუნძზე ჩამომჯდარმა ვალერიმ ხელი დაუქნიათ:

— ეე, მოიცათ, შემომატებულო ნათესავებო, მოიცათ! ჩვენში წესი ეგრე არ არი, რო კრეფა დაულოცველად დავიწყოთ! სად გაგონილა! მოდით აქა, ლუკმაც გავტეხოთ და ვაზიცა და მისი ბარაქაც ვადღეგრძელოთ! ბიჭოს! უყურე ამათ! მაია, მოიტა, გაშალე სუფრა! — მოუბრუნდა თავის დას და მანაც ქოხის გვერდით, ბალახზე საგანგებოდ წამოღებული სუფრა გაფინა, ზედ დედას პურები, მრგვლად მოხარშული დედალი, ხაჭაპურები, ყველი, წნილი და მწვანილი დააწყო, მახარემ კი ბოთლით შარშანდელი არაყი ჩამოდგა და სათითესავით ჭიქებიც შემოალაგა, მერე გაიხედ-გამოიხედა და როცა მომიჯნავე ვენახის თავში ძველ მეგობარ ლერის მოჰკრა თვალი, ხმიანად გასძახა:

— ეეი, მეზობელო! კაცო, ლერი! აქეთ მოდექი, რთველიც დაგვილოცე და შემოგვიერთდი კიდეცა!

ლერიმ მეორედ აღარ დააძახებინა, წიწაკის კრეფას თავი დაანება, ცოლს წაუჯუჯღუნა შენ მიხედე ამასაო, მეორე მხარეს გადაინაცვლა, ორივე ხელი გაღუებული ნაკვერჩხლებივით წითელ-წითელი პამიდვრებით გაივსო და ვიწრო, ღრმა რუს გადმოაბოტა:

— ბარაქა, მახარე! — შემოუძახა შორიდანვე და პამიდვრები სუფრაზე დაახვავა.

— იცოცხლე! ე მანდ ჩამოჯექი, იგე! — მეორე კუნძზე მიუთითა მასპინძელმა და ცოლისძმას მოლოდინით გახედა, რაღას უცდიო.

— რთველს გიდღეგრძელებთ, მახარე! — ვალერიმ მხრებდახუნძლულ ვაზებს გახედა, — აემ შენი ხელით ჩაყრილ, ბარაქიანსა და მადლიან ვენახს დაგილოცამთ, სუ ლხინში დალეულიყოს ამისგან დაყენებული ღვინოცა და არაყიც, — და ჭიქა ჯერ შალვას მიურტყა, მერე ზაზას, შემდეგ დანარჩენებს და ერთბაშად გადაჰკრა.

— მოდით, ვისაც ამ ადგილებში გაუვლ-გამოუვლია და დღეს აღარ არიან, მათი ხსოვნისა დავლიოთ! — შესთავაზა მეორე სადღეგრძელოდ ვალერიმ.

მახარეს თვალზე კენტი ცრემლი ჩამოუგორდა და ნაღვლიანად ჩაილაპარაკა:

— ეჰ, ერთი ახლა მამაჩემი გააცოცხლა! თავისი დღენი სულ ვენახზე ფიქრობდა, ცალი ხელით რას შეძლებდა, თორე... ხსოვნა იყოს...

და მომცრო ჭიქა გიორგის მიუჭახუნა. სხვებმაც სასმისები ერთმანეთს უხმოდ შეახეს და გადაჰკრეს. თამადამ მესამე ჭიქით ახლა პატარები ადღეგრძელა და კიდეც წამოდგა, სხვებიც წამოიშალნენ.

სანამ ესენი ილოცებოდნენ და საუზმეს შეექცეოდნენ, მახარეს შვილიშვილები ვენახში შეცვივდნენ, პირველივე მტევნები მოკრიფეს და მარცვლები პირში მუჭით ჩაიტენეს. ყველაზე მეტს პატარა, ქერა გაბრიელი ცელქობდა, თუმცა მას არც ჩაკურატებული ლუკა ჩამორჩებოდა და მალე ორივემ პირი და ნიკაპი ყურძნის ტკბილი წვენით მოითხვარა, მათზე უფროსები, გრძელთმიანი მარი და ტანთხელი ნიკა კი შედარებით დინჯობდნენ და ძმასა და დეიდაშვილს უწყრებოდნენ. კიდევ ერთ, სულ პაწია ანასტასიას ჯერ ვენახისა და რთვლისა არაფერი გაეგებოდა და ქოხის ჩრდილში მშვიდად ეძინა.

მერთვლენი სამმა ჭიქა არაყმა ცოტა არ იყოს შეაზარხოშა, მზემაც წამოიმაღლა და რთველიც გახურდა. უფროსებთან ერთად მარიმაც და ნიკამაც ყურძნის კრეფას მიჰყვეს ხელი, ხოლო დედების მიერ პირმობანილი და დატუქსული პატარები ქოხში დაგდებულ ძელზე ჩამოსხდნენ, სწორედ იქ, სადაც მახარეს თავსატეხად ქცეული ქვევრი ჩაეგდო და სველი დოქის ამოღების შემდეგ პირლია დაეტოვებინა. არა, ბავშვების შიგ ჩავარდნის შიში არ იყო — ქვევრიც მომცრო გახლდათ და პირიც საკმაოდ პატარა ჰქონდა.

ლუკამ და გაბრიელმა მალე მოიწყინეს და რაკი არავინ უშლიდათ, გასართობად იქვე დახვავებული, მორჩეული, ჯაგნებად ასაკინძი ყურძნის ქვევრის პირზე ჭყლეტას მიჰყვეს ხელი, მერე ესეც მოსწყინდათ, ერთ კუთხეში დაყრილ თივაზე მისდევეს თავი, ტკბილით დასვრილი ხელები ლოყებქვეშ ამოიდეს და მიიძინეს.

...სოფელში დატრიალებულმა მაჭრის სუნმა მალე ფერდობებზეც ააღწია, იქ, სადაც მარადიულ ძილს მიცემულები იწვნენ, და რამდენიმე წლის

წინ ჩაძინებულმა გეგენამაც თავი წამოსწია, სასიამოვნო სურნელი ღრმად ჩაისუნთქა და ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ასე მოსდიოდა ხოლმე, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და მამასთან ერთად საწნახელში ჩაყრილ მტევნებს შარვალაკაპიწებული, შიშველი ტერფებით გაუვლიდა და გამოუვლიდა. ყურძენი იჭყლიტებოდა, ისრისებოდა, ჩხრიალით გასდიოდა მღვრიე ტკბილი წვენი და რუსავით ღარში მიშვებული ქვევრში ჩანჩქერად ჩადიოდა.

როგორ უყვარდა ეს დრო გეგენას! ყურძენი იწურებოდა, წინა წლის ღვინოთი სავსე პატარა ქვევრს პაპა თოხით სარქველს ახდიდა, დედა ჩასუქებულ-ჩაყვითლებულ, უკვე მოხარშულ დედალს ბასრი დანით ასო-ასო აჭრიდა, ხოლო ბებია თონიდან ცხელ-ცხელ დაბრაწულ პურებს ამოყრიდა. მერე მამა შორიახლოს, მარნის გადასწვრივ წალმის კონას ცეცხლს წაუკიდებდა, ირგვლივ აგურებს შემოუწყობდა, ზედ ხორცის ნაჭრების სიმძიმისგან ძირს დაზნექილ თხილის შამფურებს დაალაგებდა და ამასობაში მეზობლებიც გამოჩნდებოდნენ: მარჯვენა ორღობიდან შერმანდა შემოაღებდა კარს, მარცხენადან — ჩაფიაანთ გოგია, ზემოდან დუდუნიაანთ ოთარა, პანიკაანთ ილო, ადამიანოიოსება...

დამდეეგ ენკენისთვისასაა
ვენახშიი გორაავს კალაათაა,
დაუთრობელიიი არ წავაალ
თუგინდ გამაგდოო ძალათაა...

შეენ, ღვინოოვ, ჭაჭანეულოო,
უცეცხლოოდ წამოსდუღდებიი,
ხანდისხაან ჭკუიანი ხაარ,
ხანდისხაან წამოსჩხუბდებიი...

მაინც შერმანდას ჰქონდა კაი ხმა, ისეთ მოძახილს იტყოდა — მთები ზარებივით ეხმიანებოდნენ... გოგიაც აჰყვებოდა, ადამიანოიოსებაც, თავად გეგენაც...

ჰოდა, მაშინაც სწორედ ასეთი სურნელი იდგა, მაჭრის, მწვადის, ახლადამოყრილი დედას პურების სურნელი...

როგორც ჩანს, ახლაც რთველია სოფელში, კრეფენ ვენახებს, ეზიდებიან მარნებში, წურავენ, ილხენენ... ჰო, რთველია სოფელში და არა გეგენას სახლში, იმ სახლში, რომელიც მან კარგა ხნის წინ დატოვა და რომელზეც ვეებაქვევრებიანი მარანი იყო მიდგმული, მაგრამ მაშინ ქვევრში ჩასაწური არაფერი ჰქონდა, რადგან ცალი ხელით რა ვენახის გამკეთებელი იყო, ბიჭმა კი რა იცოდა როგორ უნდა ჩაეყარა ვაზი, გაესხლა, შეეწამლა, გაეფურჩნა... არც ახლა ჰგონია გეგენას, რომ მის ეზო-კარმიდამოში იქნება სართვლო აურზაური...

მაგრამ გულმა მაინც არ მოუთმინა და კოჭლობით თავქვეზე დაეშვა, თან თავისი განუყრელი ხელჯოხი მოიმარჯვა, რომელიც, მადლობა ღმერთს, მისთვის საფლავშიც ჩაეყოლებინათ.

სოფელში არავინ შეხვედრია, ყველა ქვემოთ, ვენახებში გაკრეფილიყო, საიდანაც მხიარული გნიასი და გადაძახილ- გადმოძახილი კიდით-კიდემდე აღწევდა. გეგენაც პირდაპირ იმ ადგილისკენ გაეშურა, რომელიც ბავშვობიდანვე ნაცნობი იყო მისთვის და სადაც თითქმის მთელი თავისი ცხოვრება გაატარა: ჯერ ერთი, ორღობე ჩაიარა, მერე — მეორე, მერე ასფალტიან გზაზე გავიდა, რკინიგზის ლიანდაგებს გადააბიჯა, ბოგირიც გადაიარა და ბექობიდან დაბლა გადაიხედა.

ბებერი აკაციები შორიდანვე კარგად მოჩანდა. იქვე ვეება კაკლის ხე ახსოვდა გეგენას, მაგრამ ახლა ხის ნაცვლად მხოლოდ კუნძს მოჰკრა თვალი. იმ კაკლის გვერდით ჩადიოდა ვიწრო ბილიკი თავისი ნაკვეთისკენ, სადაც მას უყვარდა ყოფნა და სადაც ატმები, ვაშლები, მსხლები და ბლები მწკრივებად დარგო. აგე ის ვაშლები, ბლები... ატმები კი გამხმარა, მოუჭრიათ და მათ გვერდით... ჰო, მათ გვერდით ვენახი გაუშენებიათ. და მერე რა ვენახი!

მტერსაც თვალს მოსტაცებს, ისეთი მაჯისიმსხო ვაზები მოჩანს! სულ ერთ მწკრივში, ერთ სიმაღლეზე, სულლურჯ-მწვანედ მოლივლივე, ბარაქიანად რომ მოუყრიათ მსხვილი მტევნები, წითელ-ყვითლად, ქარვად და ოქროდ შეფერილი. სხვა ვინ გააშენებდა, თუ არა გეგენას შვილი, მახარე, ის უკვე შუახანს მიტანებული კაცი, ვაზების რიგში რომ ჩამდგარა და ყურძნის მტევნებით ვედროებს ავსებს. ის ახალგაზრდა ქალები მისი შვილები ჩანან, გეგენას შვილიშვილები, ის ორი ყმაწვილკაციც მისი სიძეები იქნება, ხოლო ესენი... ესენი ნამდვილად გეგენას შვილიშვილთა შვილებია, აი ის ორი ლომის ბოკვერიც, ქოხში თივაზე ნებივრად რომ მიწოლილან და ჩასძინებიათ.

უჰ, თქვენ კი გენაცვალეთ, შვილებო!

ფარღალალა, ჩალით გადახურულ ქოხში მძინარე ბავშვების გვერდით ნაუცბათევად ალაგებული სუფრა მოჩანდა: თეფშებზე ყველი, პური, მწვანილი, ქათმის ნაჭრები და ჭარხლისგან გაწითლებული კომბოსტოს წნილი შერჩენილიყო. იქვე ღვინისგან დალაქული თიხის ხელადა იდგა, სიმინდის ფუჩეჩით თავდაცობილი და მცირედ პირმოტეხილი, სწორედ ის, რომლიდანაც გეგენას უყვარდა ღვინის დასხმა აი სწორედ ამგვარ ჯამებში. ან იქნებ ჯამებიც მაშინდელია? ჰო, ნამდვილად ისინია, გეგენას დროინდელი. ეეჰ, რამდენი ხანია ამ ჯამების გემო აღარ გაუგია...

სწორედ ამ დროს გაბრიელმა თვალები გააჭყიტა და ის იყო, გვერდი უნდა შეენაცვლა, რომ კუნძზე ჩამომჯდარი უცხო მოხუცი შეამჩნია, რომელიც ხელადიდან თიხის ჯამში ღვინოს ასხამდა და თან ცალი თვალი ვენახისკენ ჰქონდა.

გაბრიელმა ჯერ იმ კაცს უცქირა გაოცებულმა, მერე ლუკას გახედა, რომელსაც ასევე გაღვიძებოდა, მაგრამ ხმას არც ის იღებდა.

გეგენამ კი გუნებაში დალოცა ყველა და

ყველაფერი, ღმერთსაც მადლობა შესწირა, რომ მართალია წამით, მაგრამ მაინც მისცა შესაძლებლობა თავისი თვალით ენახა ამ დღის სილამაზე და მშვენიერება, და სასმისს დაეწაფა, სიამოვნებით შესვა და მეორედაც დაისხა, ისიც გემრიელად დალია, მერე გაახსენდა, ღმერთი სამებით არისო და კიდევ ერთი ფიალა გადაჰკრა, ისე რომ ცოტა თავბრუც კი დაეხვა. მეტი დარჩენა აღარ ეგებოდა, მიმოიხედა, პატარა შვილთაშვილებს მზერით მოეფერა, პირჯვარი გადიწერა, ეტლში მწოლიარე სულ პაწია ანასტასიასაც ჯვარი გადასახა წელში გაიმართა და ნელი ნაბიჯით კვლავ უკან მიმავალ გზას კმაყოფილებით აუყვა.

როდესაც ნინომ და მაიამ შვილები მოიკითხეს, ბიჭები წამომდგარიყვნენ და ქვევრს ჩასცქეროდნენ. დედებმაც ჩაიხედეს და დაწურული ყურძნით თითქმის ნახევრამდე გავსებული რომ დაინახეს, შვილებს გაუბრაზდნენ — ეს რა გიქნიათო.

— აქ ერთი პაპა იყო და იმან კიდე ღვინო დალია, აი, ლუკამაც დაინახა,— უთხრა გაბრიელმა დედას.

— ვინ პაპა, რას ლაპარაკობ, ბიჭო,— გაუბრაზდა შვილს მაია, თან ყურძნის წვენით მოთხვრილ პირისახესა და ხელებს აბანინებდა,— აქ არავინაც არა ყოფილა.

— სიზმარში ნახავდა,— ივარაუდა ნინომ,— ხანდახან პატარებს სიზმარი და ცხადი ერთმანეთში ერევათ ხოლმე.

— სიზმარში კი არა!.. მართლა იყო ერთი პაპა, სამჯერ დალია ღვინო,— დაემოწმა ლუკა დეიდაშვილს.

დედებმა ერთმანეთს გადახედეს და თავი ურწმუნოდ გაიქნიეს.

ამ დროს მახარემ რამდენიმე ჩხა და აკიდო ვენახის თავში დიდ ბოძზე ჩამოჰკიდა და შვილიშვილებს მოუბრუნდა:

— გეძინათ, პაპას ვაჟკაცებო?

— ეძინათ და სიზმარიც ნახეს,— მაიამ თერმოსიდან ჭიქაში ცივი წყალი ჩამოასხა და მამას მიაწოდა.

— რა სიზმარი?

— აქ ერთი პაპა მოვიდა, ღვინო დალია და წავიდაო.

— რომელმა ნახა ეგ მშვენიერი სიზმარი? გაბრიელ, შენა?

— მეცა და ლუკამაც.

მახარეს გულიანად გაეცინა, მაგრამ შვილიშვილებს იხტიბარი არ გაუტეხა:

— ჰოო, მჯერა, მჯერა. აბა, როგორი პაპა იყო?

— როგორი იყო და ცალი ხელი არა ჰქონდა,— უთხრა ლუკამ, რომელიც დეიდაშვილზე სამი წლით უფროსი იყო,— და კოჭლობდა კიდეც.

მახარემ ჯერ ერთ ქალიშვილს შეხედა, მერე მეორეს.

— მასეთი ცალხელა მამაჩემი იყო. ფეხიც აწუხებდა,— ცოტა არ იყოს გაკვირვებით ჩაილაპარაკა მან, მაგრამ მაიამ განუმარტა;

— ჩვენი ლაპარაკიდან ახსოვთ, თორემ მამაშენს აქ რა უნდოდა!

— ხელში კიდე ჯოხი ეჭირა! — დაამატა გაბრიელმაც, მაგრამ მახარეს ყურადღება ქვევრში დაწურულმა ყურძენმა მიიპყრო:

— ეს თქვენ დაწურეთ? — მიუბრუნდა შვილიშვილებს,— ყოჩაღ! აი დახმარებაც ასეთი უნდა!

ასე იყო თუ ისე, ბავშვების მონაყოლი არავინ დაიჯერა, რთველი გაგრძელდა და საღამოს, როცა ყველაფერი მოითავეს, გემრიელი ქეიფით დასრულდა.

მანამდე კი მახარემ შვილიშვილების მიერ დაწურული ყურძენი ამოსაღებად და გადასაღვრელად ვერ გაიმეტა და რაც არის, არისო — ქვევრს სარქველად ჩალის კონა დაახურა. მეორე-მესამე დღეს ვენახში ჩამოსასვლელად ვერ მოიცალა, თან გაწვიმდა, მას კი უნდოდა წესისამებრ ერთი-ორი ვაზი გაესხლა და ვენახს მოფერებოდა, ეჩვენებინა რომ ყურადღებას არც ახლა მოგაკლებთო, და მხოლოდ მეოთხე დღეს შეაღო თავისი ნაკვეთის კუტიკარი.

შეაღო და იმ წუთას ის ქვევრი გაახსენდა, რომელშიც მისმა შვილიშვილებმა ყურძენი ჩაწურეს და რომელიც ალბათ უკვე დამაჭრდა კიდეც. აბა ბალღებს იმის გამო როგორ გაუწყრებოდა, რომ თხუთმეტი-ოცი კილო ყურძენი გააფუჭეს — ეს ქვევრი ხომ მეტად უვარგის გემოს აძლევდა შიგ დაყენებულ ღვინოს! ახლაც ალბათ იმ შიგ მდგარ სითხეს საძაგელი გემო გაუჯდა და ეგ არი!

მახარემ ქოხში შეაბიჯა, ქვევრს მიუახლოვდა და პირზე სახურავად დადებული ჩალის კონა მოხადა.

ვარაუდში მართლაც არ შემცდარა: ქვევრიდან ისევ ძველებურად მჟავე და ძლგი სუნი ამოვარდა, რაც იმას ნიშნავდა რომ ეს ქვევრი ღვინის დაყენება-გადაღებისთვის არ ვარგოდა — საზიზღარ გემოს მისცემდა და კაცს პირთან მიტანილ ჭიქას გადააქცევინებდა.

მახარემ მხრები აიჩეჩა — ასეც ვიცოდი, ამის გამოსწორება არ იქნებაო, მაგრამ მაჭარი მაინც ქვევრში დატოვა: როგორც დადუღდება დადუღდეს, საარყედ მაინც გამოდგებაო, იქვე თივაზე მიგდებული ჯოხით დაურია, მერე ის ჯოხი ისევ იმ ალაგას დადო და ვენახში შევიდა, ვალმოხდილ, ნაჯაფარ-ნაჭირნახულევ ვაზებს ხელი გადაუსვა, ხმადაბლა მადლი მიაგო რომ არ გააწბილეს, და ერთ-ერთს, გამორჩეულად თამამს, რომელსაც ყველაზე უხვად ესხა კუმსი მტევნები, სიყვარულითა და სიფაქიზით ვაზის მაკრატელი მოუმარჯვა: ორი მსხვილი, ცერისსიმსხო მხარი და ორივეზე თითო-თითო სამამულე რქები დაუტოვა, გაისად რომ ყურძნით უნდა დახუნძლულიყვნენ, დანარჩენი ლერწები კი შეაჭრა. მერე მეორე რიგში კრეფი-

სას გამორჩენილ სამიოდ მტევანს მოჰკრა თვალი, მისწვდა, მოწყვიტა და რადგან ამასობაში მცირედ წამოწვიმა, ისევ ქოხში შევიდა.

შევიდა და მოულოდნელობისგან შედგა: ირგვლივ საამო და მიმზიდველი სურნელება იდგა, აი, სანეტაროო რომ იტყვიან, ისეთი, როგორიც მახარეს არსად და არასოდეს უგრძვნია.

გაოცებული ვერ მიხვდა, რისი სუნი უნდა ყოფილიყო, საიდან მოდიოდა ან რას ასდიოდა. ცხადი მხოლოდ ეგ ჩანდა, რომ გარედან კი არ შემოდიოდა, აქ იდგა, აქ, ამ ქოხში.

მახარემ ქოხის ბოძები სათითაოდ შეათვალიერა, სახურავად დაყრილ ჩალასაც შეხედა და თივაც დაყნოსა. არა, ეს სურნელება არც ერთიდან მოდიოდა, არც მეორიდან და არც მესამიდან.

მაშინ მახარემ ქვევრს ჩალის კონა მოხადა, დაიხარა და შეისუნთქა. შეისუნთქა და გახევდა: ის საამო სურნელება სწორედ აქედან ამოდიოდა, აქედან, ამ თიხის ჭურჭლიდან! ადრინდელი უსიამო სუნი გამქრალიყო და მთელ ქოხში საამო სურნელება იდგა; მაჭარი დუღდა, შიშინებდა, თეთრ ქაფს იგდებდა და წინწკლებს ნაპერწკლებივით ისროდა, ეს-ეს არის ძირს ჩაწეული ჭაჭა კი ისევ მაღლა წამოსულიყო და კვლავ დარევა იყო საჭირო.

მახარემ აღარ იცოდა რა ეფიქრა, რითი აეხსნა ასეთი საოცარი ამბავი – ცუდი სუნის საუკეთესო სურნელით შეცვლა და გადასხვაფერება, მერე, რომ ვერაფერი მოიფიქრა, ადგა და ვიდრე იქვე თივის გროვაზე მოგდებულ მსხვილ, თავმოგრეხილ და კანგაცლილ ჯოხს კვლავ ქვევრში ჩაჰყოფდა, ქოხის ბოძზე ჩამოკიდებული ძველი, ყურიანი ფინჯანი ჩამოხსნა, შიგ ჩაჰყო, ჭაჭა მისწი-მოსწია, მღვრიე სითხე ამოიღო და ორი ყლუპი მოსვა.

მაჭარი იყო და რა მაჭარი! სურნელოვანი, გემრიელი, შუშხუნა, ჯერაც ტკბილი, მაგრამ უკვე სიმწარეშერეული, სწორედ ისეთი, საიდანაც რამდენიმე ხნის შემდეგ კარგი ღვინო დგება, დედის რძესავით რომ შეერგება ხოლმე ყველას, ვინც მას დალევს!

მახარემ კიდევ მოსვა რამდენჯერმე, თან ყოველ ყლუპზე ჩერდებოდა და გემოს უსინჯავდა, მაგრამ საეჭვო აღარაფერი ჩანდა: მაჭარს არავითარი უსიამოვნო გემო არ დაჰკრავდა და ცხადი იყო, არც მერმე ექნებოდა, ღვინოდ რომ იქცეოდა და დავარგდებოდა.

გაოცებულმა და თან გახარებულმა, მახარემ ახლა უკვე კმაყოფილებით მიურ-მოურია ჭაჭა, ჯოხი ისევ თივაზე დადო, ერთხანს გაკვირვებული ჩაჰყურებდა ქვევრის ბინდბუნდს, ვერა და ვერ მიმხვდარიყო რა უნდა ყოფილიყო ქვევრის გამოკეთების მიზეზი, მერე კიდევ ამოიღო მაჭარი და უფრო დადინჯებით დააგემოვნა.

ახლა უფრო კარგი ეჩვენა ეს ტკბილ-მომწარო სითხე, წელანდელზე ბევრად უკეთესი და ამიტომაც უფრო მეტი სიამოვნებით შესვა.

შესვა, სკამად შეგულებულ ქვაზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა.

უცებ ქვევრის პირთან ის ჯოხი მოხვდა თვალში, რომლითაც წეღან ჭაჭას ორჯერ დაურია და რაღაცნაირად ეცნაურა. მისწვდა, აიღო და შეატრიალ-შემოატრიალა. ჯოხი იყო, არც გრძელი, არც მოკლე, კანგაცლილი, ხოლო მოხრილი თავი კაცს სიარულისას დასაყრდენად გამოადგებოდა. ალბათ, ასეც იყო, ვიღაცა ხელჯოხად ხმარობდა, რადგან ხელისწასავლები საკმაოდ გაპრიალებული ჩანდა.

ვისი უნდა ყოფილიყო? ოთხი დღის წინ, რთვლის დროს, მოწვეულთაგან ხელჯოხიანი არავინ ჰყოლია, ყურძნის დაწურვის მეორე დღეს გაწვიმდა და აგერ მხოლოდ ორი საათის წინ გადაიღო, ახლაც წინწკლავს, წვიმაში კი ვინ დადის აქეთ, თუ არა და ნაფეხურები მაინც დაემჩნეოდა მიწას, თავადაც ხომ ხელჯოხს არ ხმარობს და არა...

მაშ ვისია? როგორღაც ნაცნობი კია... სწორედ ამგვართავიანი...ასეთი ნუჟრებით... ასეთი... ასეთი...

ასეთი ჯოხი ხომ მამამის გეგენას ჰქონდა! ის ეყრდნობოდა, როცა სახლიდან გამოვიდოდა და მკელობლობით ვენახს მიაშურებდა... ან სოფლის მაღაზიისკენ თუ იქვე, სკოლის გვერდზე ბავშვობის დროინდელ, აწ უკვე თავისნაირად თმაგათეთრებულ ბერიკაცებთან სალაყბოდ გასწევდა, სადაც თავს იყრიდნენ კაკალაშაქრო, ბუნჩოკოლა, ჭიჭოგოგია, პარაანთ ნიკა, ნასყიდა... მერე ის ჯოხი, როგორც განუყრელი ნივთი, საფლავში ჩააყოლეს...

კარგი და აქ საიდან გაჩნდა?

მოიცა... როგორ ამბობდა პატარა ლუკა: აქ ერთი პაპა მოვიდა, კოჭლობდა და ცალი ხელი არა ჰქონდაო? ეჰ, ალბათ დაესიზმრა, თორემ მიცვალებულს აქ რა უნდოდა...

მაგრამ ეს ხელჯოხი? სწორედ ის არი, გეგენასეული, ეს ეჭირა ხოლმე, ამას ეყრდნობოდა... საიდან გაჩნდა, საიდან? რთვლობისას მახარემ კი ინატრა ნეტავ გააცოცხლაო, მაგრამ ასეთი რამ ხომ არა ხდება?

ან იქნებ დიახაც, ხდება? აი. ცოცხალი ხარ და რაღაც წამის შემდეგ მიცვალებული ხდები, საიქიოს მიდიხარ, სულეთში გადაინაცვლებ... იქნებ ზოგჯერ საიქიოდანაცაა შესაძლებელი სააქაოში გადმოსვლა? მაშ, ეს ხელჯოხი საიდან? მოდი და ნუ დაიჯერებ!

...მახარემ მამის ხელჯოხი თივაზე ფრთხილად დადო და ჩაფიქრებული სახლისკენ გაემართა, თქმით კი არავისთვის არაფერი უთქვამს – მაინც არ დამიჯერებენო.

მეორე დღეს ისევ ჩამოვიდა მახარე ვენახში, ისევ მოხადა პატარა ქვევრს, რომელშიც მაჭარი ახლა უფრო გამალებით და, როგორც მოეჩვენა, უფრო მხიარულად დუღდა, ხოლო როცა თივის გროვას დახედა და ქოხსაც მოავლო მზერა, მამამისის ხელჯოხი ვეღარსად დაინახა...

# ეკატერინე ფავლენიშვილი



## ბროლის ქალწული

პირიქითა ხევსურეთის სოფელი არდოტი ძაბრივითაა გადაშლილი. ხალხმრავალი იყო არდოტი გასულ საუკუნეში. წესი სრულდებოდა. საკლავი იკვლებოდა. ლუდი დუღდებოდა. ხუცესი ხუცობდა. თავ-მეთავეობის ამბები ირჩეოდა. უწმიდური დედაკაცები სამრელოში იწმინდებოდნენ. სიტყვაძუნწი იყო ხევსური, სახელ-სირცხვილის გულისთვის სიკვდილზე მიდიოდა. სახლიდან გასულ სტუმარს საკართანო სასმისს აწვდიდნენ. ისმებოდა კაიყმათა შესანდობარი, ვინც სოფლის არგატეხისა და ქალსძლის არწაყვანისთვის დახარჯულა. ცხოვრობდა ხევსური წინაპართა ნასახლარზე, დადიოდა წინაპართა ნაკვალი ბილიკებით, საჯიხვეებზე ნადირობდა, უვლიდა ცხვარ-ძროხას, თესავდა კარტოხას[1] , კრეფდა ჟოლოსა და შალშავს, ერბოჩი წვავდა მთის კალმახს, გახურებულ სიპებზე აცხობდა მაჭკატებს... კაცები საფიხვნოში ბჭობდნენ, ქალები მჩეჩელთწუხრაზე[2] იკრიბებოდნენ.

1960 წელს ხევსურეთში იმოგზაურა გერმანელმა როლფ შრადემ, რომელმაც ძალზე საინტერესო ფოტომატიანე შემოგვინახა მეტადრე მაშინ, როცა ხევსურეთში ფოტოგრაფი საერთოდ არ იყო. უცნაური გრძნობაა, როცა უყურებ ახლობელი მოხუცების მანამდე უცნობ ახალგაზრდობას. როლფ შრადეს გადაღებული აქვს არდოტის კაცმრავალი საფიხვნო, ხევსურული ტალავარებითა და სატევარზე შემოდებული ტორებით რომ სხედან ხევსურები. კაცი იფიქრებს, ფოტოსთვის პოზიორობენო, მაგრამ უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ უცნაურ მოწყობილობას გაკვირვებით მისჩერებიან ხანდაზმული ხევსურები, რომელთა უმრავლესობა ფოტოაპარატს ალბათ პირველად ხედავდა. ხევსურული ტალავარიც სტუმრის თხოვნით ჩაუცვამთ მასპინძლებს. ახალგაზრდების გამომეტყველებაში გაკვირვება აღარ იკითხება. ისინი მართლა პოზიორობენ. ცოცირათ თისო და ჯოყოლათ ნიკო[3], ბრიყვა და კოკლიტოთ მზექალი... რა ლამაზები ყოფილან, როგორი ლაღები... ბრიყვას და ცოცირათ თისოს დავარცხნილდაწყობილი ქოჩრები აქვთ, ჯოყოლათ ნიკოს და დანარჩენებს კი სოფლის დალაქთან მისვლა დაუგვიანიათ და ქერა თავებს ქარი დარევია... კოკლიტოთ მზექალს ცომიანი ხელების კარგად დაბანა ველარ მოუსწრია, მაგრამ ობიექტივთან მაინც კეკლუცობს, თუმცა მამაკაცებისთვის მზერა ვერ გაუსწორებია და მოზომილი ღიმილით გვერდზე იყურება. ქალებს ქერა, მოკლე ფარდასავით შუაშუბლზე ჩავლებული ხევსურული „ჩოლკები“ მზერას ვერ უფარავს. ზოგნი ეშმაკურად იღიმიან, უფრო ალალები კი ობიექტივთან ისე დგანან ხელებჩამოშვებულები, თითქოს გაკვეთილის მოსაყოლად გაუძახიათო...

1960 წლამდე შატილამდე სამანქანე გზა არ იყო, მხოლოდ საფეხო ბილიკი მიუყვებოდა მდინარე არღუნს. დათვისჯვრის უღელტეხილიდან გუროშატილივნები არღუნთან ერთად ჩადიოდნენ თავქვე, მიღმახეველები კი წუბროვანზე გადადიოდნენ ფეხით ან ცხენებით. ბარში „ჯინსების თაობა“ მოდიოდა, აქ კი გულისპირზე ხევსურულად დაქარგული ტალავარი იცვლიდა თაობებს. მუდამ ცალწარბაწეულ და ქინტოებდაბერილ[4] ხევსურს წუთისოფლის ლაგამი მარცხენა ხელით ეჭირა, მარჯვენას კი ხანჯრის ვადასთან ახლოს იგულებდა.

გაზაფხულზე მდინარეები დიდდებოდა, ნაზამთრალ ხავსს ზათქით ხდიდა ქვებს და არღუნში მიერეკებოდა. ბარად რომ მოილევდნენ სამზეოს, მთა-ჭალებს მერეღა ეწვეოდნენ ხოლმე ენძელები, იები და ფურისულები. აქაც ხანმოკლე იყო მათი სტუმრობა. თიბათვეში პირიმზე ყვაოდა, მკათათვეში — კესანე... გაზაფხულზე ხევსური რომ პირველად გადიოდა სახნავად, საგანგებოდ გამომცხვარ ერბოს ქადაზე სანთელს დაანთებდა, ილოცებდა, ხელის მომართვასა და ბარაქიან მოსავალს შესთხოვდა გამჩენს, ქადას ხარის უღელზე გადატეხავდა და იხმევდა. საუკუნოვანი გამოცდილებით იცოდა, რომ ზენაარის შემწეობის გარეშე ხარ-უღლის ნალიანდაგარი დაფერდებულ მიწას ოდენ სამკაულად შერჩებოდა და გაზამთრება გაჭირდებოდა. ხარუღელი „ძაბრის“ ფერდზე გადი-გამოდიოდა, ჯერ ქობას ავლებდა ხნულით, მერე კი ზევით, ცისკენ მიიწევდა. ციცაბო მთებზე მოჰყავდათ მოსავალი. ბოლოგაშლილი კაბასავით ჰქონდა შემოცმული მთას შავად მოხნული მიწა... მაგრამ მანამდე ზამთარს უნდა გამკლავებოდნენ, საზვავოში უნდა ეფრთხილათ, მთებზე ნაბიჯი უნდა ეზომათ...

არდოტს ზამთრობით მზე თითქმის არ ხვდებოდა, ამიტომ სოფელი გაზაფხულამდე კაციან-პირუტყვიანად ბახაოში, ზამთრის სადგომზე გადადიოდა. რთული იყო აქ ცხოვრება. „არდოტ დიაცობის ქნაჲ ადვილ არეევო“, — ამბობდნენ ძველები. შემოდგომაზე მდინარეები მდორდებოდა და მეჩხერი წყლიდან თავამოყოფილი ქვები ხავსის ფთილებს

1. ხევს. კარტოფილი.

2. მჩეჩელთწუხრა — ზამთარში საღამოობით სოფლის ქალები თავთავიანთი საჩეჩლებით იკრიბებოდნენ ერთ ოჯახში და დიასახლისს ეხმარებოდნენ სართავი მატყლის დაჩეჩვაში, მერე — სხვა ოჯახში იკრიბებოდნენ, მერე — კიდევ სხვაგან და ა. შ.

ასეთ საღამოებს მჩეჩელთწუხრა ერქვა.

3. ორივე ახლახან გარდაიცვალა.

4.ქინტო (ხევს.) — ნესტო.

ნელ-ნელა ისევ იკიდებდნენ, ზამთრის პირს კი ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს თავზე სისვი[5] ქუდები შემოაქსოვესო.

16 წლის იყო ნანა, პირიმზესავით აშოლტილი და მოქნილი. გარმონის ჴელი[6] იცოდა, სიმღერა უყვარდა. მამამ ქისტეთიდან[7] გარმონი მოუტანა. ისე გაუხარდა, ახლობლის ქორწილში აღარ წავიდა, დაკვრით რომ გული ეჯერებინა. თეთრი იყო ნანა, ნუშის ქუთუთოებში ჭრელი თვალები ესხა მუდამ შორი, სივრცისმომცველი მზერით. ისეთი მშვიდი გამოხედვა ჰქონდა, თითქოს რული ეკიდებაო. მღეროდა ნანა უპეებში რულდადარაჯებული გამომეტყველებით, საკარცხულს უმღეროდა, სიყვარულის საკარცხულს, ოცნებაში ყველა ქალწულს რომ ელოდება სადღაც, შემაღლებულ ადგილას... დანიშნულიც იყო. რაჟდენ დაიაური მუცოში უმზადებდა სადედოფლო ტახტრევანს.

და-ძმებში უფროსი იყო ნანა, დედ-მამას ნამდვილი დაიცივით ედგა გვერდით. ბროლის თითებით რაღა არ გამოსდიოდა. როცა საქმეებს მოითავებდა, მიიდგამდა ბუხართან ჩიკას[8] და ტოლის[9] პერანგის ფარაგს[10] უქარგავდა მამას. „ოჯახის უფროსი არდოტიდან“, — დაუსათაურებია როლფ შრადეს იმედურათ ალექსას ფოტო. „ოჯახის უფროსს“ ბოხოხი ახურავს და ხევსურული ტალავარი აცვია. 14 წლისაც არ იყო ნანა, იმ პერანგის ფარაგზე ნაჭრელა რომ გაუკეთა მამას.

დეკემბრის იმ დილას სულ სხვა საქმეს ეპირებოდა, სხვაგან უნდა „ექნა დიაცობაჲ“, მაგრამ მორიგე მწყემსებმა ფარა მიატოვეს და ცხვარი ზამთრის ბინაზე გადასაყვანი დარჩა. უფროსებს უფრო საშური საქმე ჰქონდათ. სხვა გზა არ იყო, და-ძმებში უფროსი უნდა წასულიყო სამწყემსად. მორჩილი იყო ნანა, თავდახრილი, საითაც საქმე ითხოვდა, იქით მიდიოდა. არდოტიდან ბახაოსკენ ბილიკი ჭალაზე გადიოდა, მაგრამ იქ სოფელს თივა ჰქონდა საზამთროდ დაგულებული და ცხვარ-ვაცი თივას გადათელავდა. ამიტომ ცხვარი მაღალი მთით უნდა გადასულიყო.

— ახედე, გარსი, ვაჟკაცსაც გაუჭირდება მანდ ძოებაჲ ცხვრისა, — მაღალი მთის წვერისკენ გაახედა უმცროსი ძმა ჭალაში მიმავალმა გოგომ, შეშის ყონდიდან[11] საბჯენი ჯოხი გამოაძრო და წავიდა.

— მთხილა იყვიდივ, ნანავ, არცაით გამაჰფრინდა, — უთხრა დედამ დამშვიდობებისას. გოგო უკვე დაფერდებულ ბილიკზე ჩადიოდა, დედის სიტყვები რომ მიეწია. უკან მოიხედა, დედას შეჰღიმა და თვალებით უთხრა, — ბავშვი ხომ აღარ ვარო. არადა, ბავშვი იყო... დედას ასეთი რამ მანამდე არასოდეს ეთქვა, რადგან თავადაც გონიერი და „მთხილი“ იყო ნანა, ამ მთა-კლდეებზე იყო გაზრდილი და ყოველი სახიფათო ქვა იცოდა. ვინ იცის, რამ ათქმევინა ეს სიტყვები, რა იგუმანა დედამ, როცა მიდამო მშრალი იყო და საავდრო ღრუბელიც არსად ჩანდა. იქნებ ტანი უგრძნობდა ჩასაფრებულ ხიფათს, იქნებ წინა ღამით ნაბოლარა ბალღის ტირილზე ატეხვამ დაუმძიმა გული?! წელნახევრისა იყო ნიკო, ჯერ ისევ ძუძუს სწოვდა. იმ ღამეს გაბმით ტიროდა და ვეღარ დააწყნარეს. დედა და ბერიდედა რომ დაიღალნენ, ნანამ გამოართვა დედას პატარა, გულზე მიიხუტა, გადი-გამოდიოდა და ამაოდ ცდილობდა დაწყნარებას. რომ ვერაფერს გახდა, ბავშვი ისევ დედას მიუყვანა და უთხრა, — დედიაო, ბალღ რო ტირისო, ისიც იციანაო, რო მაშინ ვიღაცა კვდებაო...

მზიანი ამინდი იყო. ნანამ დაუღლელად აიარა მაღალი მთა. ფეხზე ქალბნები[12] ეცვა. ცა მოულოდნელად ჩამოიქუფრა, შეიყარა საავდრო ღრუბელი და ბარდნა დაიწყო, საშინლად აცივდა და შუადღისას დაღამდა. თოვლს დებდა და თან ყინავდა. ნანამ ნოტო-ნოტო[13] გაშლილი ცხვრის თავმოყრა დაიწყო, რომ მაღალი მთიდან ფარა დროულად ჩამოეყვანა. რამდენიმე ცხვარი ციცაბო ფერდზე იყო ჩასული. ნანამ ქალბნები დაიხადა, მთის წვერზე დატოვა, რომ რეზინის ძირები არ დასცურებოდა და წინდიანი ფეხით ჩავიდა მათ ამოსაყვანად. არდოტიდან ბახაოსკენ მიმავალმა დედამ შუაჴიდას ჴევიდან გაიგონა ქალიშვილის ხმა, თხა-ვაცებს რომ უჯავრდებოდა. ნანას დააგვიანდა. შებინდებისას ფარა უმწყემსოდ გადავიდა ბახაოში. კაცები მთისკენ გაიქცნენ. ავისმოლოდინი თანდათან გამძაფრდა. ქარის ზუზუნს ყურთასმენა მიჰქონდა და გაუთავებლად ბარდნიდა. დეკემბრის მოკლე დღე უფრო დამოკლდა. დაღამდა. ყოველი მხრიდან ეძახოდნენ ნანას და ხმასაც და ექოსაც ქარის ხმა ნთქავდა. როცა იმედი მიეწურა, მამას უნატრია, ნეტა რაჟდენს ჰყავდეს წაყვანილიო. ის, რაც სხვა შემთხვევაში შეურაცხჰყოფდა, შავეთის პირისპირ მდგომს სანატრელი გაუხდა. მამამ გადათეთრებულ მთის წვერზე ქალიშვილის ქალბნები იპოვა. მოყინულ ციცაბოზე ჩასვლა ვერავინ გაბედა, მამის გარდა, ჭალიდან კი შუაჴიდას ჴევს ბეწიკა და კიბლეთ ბაბო[14] აუყვნენ. მამა მხოლოდ თოვლით განათებულ უკუნში ეძებდა ქალიშვილს, სანათზე ფიქრისთვის დრო არ ჰქონია. გარშემო ყველაფერი თეთრი იყო. უცებ სითეთრეზე მრგვალ ლაქას მოჰკრა თვალი. ეს ნანას სახე იყო, ჯერ ისევ თბილი, თოვლის ფანტელებს რომ ადნობდა და ცრემლისხელა ნაკადულებად იღვრიდა. ჴევისწყალას ნაპრალში ნანას მხრებით ჩაეხვეტა ქვიშა, ტანი კი მთლად დათოვლილი ჰქონდა. ამქვეყნად აღარ იყო. იქნებ გაიგო კიდეც მამის მისვლა. რახან ისეთ ქარსა

5. ხევს. — მწვანე.

6. ხევსური არ იტყვის, გარმონს უკრავსო, გარმონის ჴელი იცისო..

7. ასე მოიხსენიებდნენ ხევსურები ჩეჩნეთს.

8. სამფეხა სკამი ხისა.

9. ტოლი (ხევს.) შალის უხეში ქსოვილი.

10. ფარაგი (ხევს.) გულისპირი.

11. ყონდი (ხევს.) — დაჭრილი და ერთმანეთზე დაწყობილი შეშა.

12. რეზინის ფეხსაცმელი.

13. ნატო — ფარის ერთი ნაწილი.

14. ბაბო — კაცის სახელია ხევსურეთში.

და ყინვაში ჯერ ისევ თბილი იყო, იქნებ სულაც იმ წუთებში მიდიოდა... იქნებ მამა უფრო ადრე მივიდა მასთან, ვიდრე მგებრნი[15]. დაიაურთა ანდაბში[16] იყო ნანას ადგილი, მაგრამ მამისახლს ველარ წაუვიდა...

ასე — ციცაბო კლდის ნაპრალში თავქვე ჩაკიდებულმა, მარტომ დაასრულა სიცოცხლე ბროლის ქალწულმა... ვინ იცის, როგორ შეშინდა, როგორი უმწეობა იგრძნო... ვინ იცის, როგორ უნდოდა, დედის ხელისთვის ხელი მოეკიდა, მერე სიმწრისგან თანდათან მოეჭირა და ასე სჭეროდა მანამ, სანამ სიკვდილი ძალას არ გააცლიდა. ან მოასწრო შეშინება? იქნებ ანგელოზები უმალ გაჩნდნენ მასთან? იქნებ „ხელთა მათთა ზედა აღიპყრეს“ და ფეხი ქვისთვისაც არ წამოუკრავს? იქნებ ანგელოზს ეჭირა მისი ხელი? უდედმამოდ სახლიდან რომ ჯერ არსად გასულიყო, სულ მარტო მიადგა ორი სამყაროს გამყოფ კარიბჭეს. კარიბჭესთან ფეხზე დაიხადა, ქალბნები მთაზე დატოვა და ფეხშიშველი მიეახლა მიღმიეთს, რათა სულით უმანკოს, არც წუთისოფლის მტვრით შეებღალა მარადიული ნავსაყუდელი...

როგორც იქნა, ხევ-ხევ ავიდნენ ბაბო და ბეწიკაც. მამა თავს დასტრიალებდა თავჩაჩეჩქვილ ქალიშვილს და პაპიროსს ეწეოდა. თანდათან მაღლდებოდა საზვავო თოვლი. ფიქრის დრო არ იყო. თუ ზვავი ჩამოწვებოდა, გაზაფხულამდე ვერცერთს ველარ იპოვიდნენ. მამამ უთხრა ბიჭებს, ხელით ვერ ჩაიყვანთ, თქვენც დაიხოცებით, მეტი გზა არაა, ჭალისაკენ დროულად უნდა დავაცუროთო. თავისი თავის დარდი არ ჰქონდა, იქნებ „მღერადაც უჩნდა“ სიკვდილი, მაგრამ მეგობრების ბედი აწუხებდა. ხევსურმა ვაჟკაცებმა არ აკადრეს ქალწულს უპატიო ფორმით ჩამოყვანა. მერე რა, რომ ნანა უკვე მკვდარი იყო და მეორედ ველარ მოკვდებოდა, მერე რა, რომ ყოველ წამს შეიძლებოდა, თავადაც დახოცილიყვნენ... „ძუ მგელი“ ბარში კიდევ ლმობიერია, სიბერედ მოდის, მთაში მთლად დაუნდობელია, პირდაპირ სიცოცხლეზე ნადირობს... ვაჟებმა საანდრეზო ამბავი ჩაიდინეს. ზევით ბეწიკა დადგა, ქვევით — კიბლეთ ბაბო. მამას უთხრეს, შენ წინ გაგვიძეხი და თოვლი გაგვიკვალეო. აიყვანეს გოგო და თოვასა და ქარბუქში, უჩინ-უკუნში, ერთმანეთსაც რომ ველარ ხედავდნენ, ყინვისგან გასიპულ ციცაბოზე ციმციმ ჩამოიყვანეს. ნანას გზად თმა ეშლებოდა. სიკვდილის ბეწვის ხიდზე მიმავალ ბაბოს ლეთეს შხეფები კოჭებზე სცემდა და მაინც ვერ იტანდა, დაბლა რომ მისთრევდა ქალწულს თმა. სისხლის კოლტებში გაბმულ თმას ხელში კრეფდა და მიწას არ აკარებდა. ჭალაში მთელი სოფელი დახვდათ. გავიდნენ თუ არა სამშვიდობოს, იჭექა ზვავმა და ზათქით ამოავსო შუაჰიდას ჰევი... რას გაუგებ წუთისოფელს... ჯერ ამისთანა გოგოს წაგართმევს და მერე წუთით გაგასწრებინებს ზვავს...

* * *

მუხლმოკვეთილი წავიდა ავისმაცნე ოჯახში დარჩენილ ქალებთან. ნანას ტანსაცმელი მოსთხოვეს დედას. დედამ ტანსაცმლის ალაგი მიასწავლა და თოკი ჩამოაბა. ყულფში თავი ჰქონდა გაყოფილი, წელნახევრის ბალღი კალთაზე რომ დაეკიდა და ძუძუ მოსთხოვა. დედამ ყულფიდან გადმოხედა პატარას და გონზე მოსვლა დაიწყო. დაფიქრდა, რა ელოდა უსუარას უმისოდ. შვილის სიკვდილმა გააყოფინა თავი ყულფში და ისევ შვილის ხმამ იხსნა ყულფიდან. დედა ხომ ერთდროულად იმდენი ცხოვრებით ცხოვრობს, რამდენიც შვილი ჰყავს...

გაიყინა და გაქვავდა ბუნება. მიწა ისე გაკლდევდა, საფლავის ამოთხრას ვერ ახერხებდნენ. კუნძები დაალაგეს და ცეცხლი წაუკიდეს, მიწა გაალხვეს და ისე ამოთხარეს. დანიუხეზე[17] ხევსურული წესით სიპებით ამოშენებულ აკლდამაში ჩაასვენეს ბროლის ქალწული, ახლადმოცვლილი რომ ჰქონდა ბოლო სარძევე კბილი. სიფრიფანა კანქვეშ ცისფერი ძარღვები ეტყობოდა, ლოყები კი რძეში გარეულ ბროწეულს უგავდა თურმე. სიპების ჩარჩო ბროლის ქვებით მორთეს და ვანოთ თისომ საფლავს ხის მესერი შემოავლო.

* * *

ვაჟი დანიშნულის თმასაც არ შეხებოდა ჯერ. იქნებ სიცოცხლეს დათმობდა, მიცვალებულთან მაინც რომ შეძლებოდა გამომშვიდობება, მაგრამ მთას მკაცრი კანონები ჰქონდა, სასტიკიც კი. ამ სისასტიკეში იწრთობოდა ხევსური, რათა მომხვდურისა თუ ბუნების თავნებობას იოლად ვერ დაეჯაბნა. არათუ ვაჟკაცს, ქალს არ ეპატიებოდა მიცვალებული მეუღლის დატირება. რაჟდენმაც ცრემლს გეზი უცვალა და გულისკენ გააბრუნა. და არავინ იცის სამზეოზე, სრულიად არავინ, რა გადაიტანა მან. ვინ იცის, პირიმზის დანახვაზე რამდენჯერ დასდგომია ნანას სახე თვალწინ, დანიუხეზე მცირე ხნით შეყოვნებულს რამდენჯერ უთქვამს სიცოცხლეში ვერნათქვამი სათქმელი გულისსწორისთვის, რამდენჯერ გადაუწმენდია საფლავის სიპებიდან მტვერი და სიპებს შორის რამდენჯერ დაუტანებია ცალი კესანე...

ხევსურები მიცვალებულის ტალავარს საწოლზე შლიან და მთელ წელიწადს ტოვებენ. რამდენჯერმე იმართება გლოვის რიტუალი — დაკრძალვის დღეებში, ორმოცზე, ახალ წელს, სულთა კრეფასა და წლისთავზე. ნანას ტალავარსაც გლოვობდნენ სხვადასხვა სოფლიდან მოსული ახლობლები. იმ გაზაფხულზე მდინარე ადიდდა და მუცოდან არდოტისკენ მიმავალი გზა წალეკა. ბისოს მთით გადავიდნენ მიცუვლები.

— მე კი ვემდური ვანოთ თისოსაო, რო მაგივლია გალავანიო, — ტიროდა ბიცოლა.

— ეეგ გინდარის, არ გჭარბავავ, შე ჩემის ობლის გამლეგეო,

ეხლა იწევი მიწის ქვეშაო, ჩვენ სხოს მავიყვანთ

15. მიცვალებულები, ვინც საიქიოში ეგებება ახალ მიცვალებულს.

16. ერთად თავმოყრილი ერთი გვარის სულები საიქიოში.

17. სასაფლაო არდოტში

პატარძალსაო, — მოთქვამდა რაჟდენის დედინაცვალი, რომელმაც დედით ობოლი ბალღი გაზარდა. იდგა ბიჭი თავჩაქინდრული ხის აივანზე და ცრემლებს იწმენდავდა. ცრემლსაც განა ყოველთვის ერთი გზა ჰქონდა, განა ყოველთვის ხერხდებოდა მისთვის გეზის შეცვლა... ფშაველ დედობილს სიტყვა ისე უჭრიდა, როგორც ზოგს — ვერც სატევარი. კაცები ერთმანეთს თვალს არიდებდნენ. არც რაჟდენს სძრახავდა ვინმე, რადგან ერთიან საძრახისნი იყვნენ ყველანი...

სასიმამრომ რაჟდენს ქალიშვილის ჭრელი მანდილი აჩუქა, სახსოვრად გქონდესო. წაიღო ძვირფასი სახსოვარი ვაჟმა, სატრფოს თმების სურნელიც რომ არ იცოდა და თავშლიდან ცდილობდა ამ სურნელის ამოყნოსვას...

დრო გადიოდა... გადიოდნენ და გამოდიოდნენ ნანას მშობლები იმ საბედისწერო ნაპრალთან, ვერანაირად ვერ აუვლიდნენ გვერდს. შეხედავდნენ ნანას ტანით ჩამოვლებულ ხაზს, ნაჭრევივით რომ აჩნია შუაჯიდას ჯევს და ფეხებში მოიცელებოდნენ.

— დედამკვდაროო,— ძლივს ამოაცილებდა დედა სიტყვას ყელში გაჩრილ ბოღმის გორგალს და ნაბიჯი გაუმრუდდებოდა.

— მამამკვდაროო, — გაიფიქრებდა იმ ადგილას მამა და მუხლს უფრო გამართავდა, ყელთან მომდგარი ბოღმის გორგალი და მოცელილი მუხლი რომ არავის შეემჩნია. მთა იყო. აქ ვაჟკაცს მეტი წონა ჰქონდა, ვიდრე იწონიდა, აქ ყველასა და ყველაფერს ვაჟკაცის რიდი ჰქონდა, ყელთან მომდგარ ბოღმასა და თვალთან მოგორებულ ცრემლსაც კი...

— ბერიდედა გაგითავდესო,— ხმამაღლა იტყოდა ლელა ბებო. წუთისოფლის ლაგამთან ნაჭიდავებს ბოღმის გორგალი აღარ ეჩხირებოდა ყელში, მუხლებში კი ძალა ისედაც გამოლეული ჰქონდა...

ეგეთია წუთისოფელი... თუ ლაგამი მოიფონა, საავდრო ღრუბელსაც წუთებში შეყრის, საზვავო თოვლსაც საათებში დადებს, მიწასაც გააკლდევებს, რომ ზედ ვინმეს ფეხი დაუცდეს და მერე მესაფლავეების წერაქვმაც ვერ უყოს ძვრა. შენ რაც გინდა, იოცნებე, აწყვე სკივრში საქორწინო ტალავარი... თუ წუთისოფელმა ლაგამი მოიფონა, რამდენიც გინდა, ამზადე შემაღლებული საკარცხული... აქ, ამ კლდეებში ლაგამს ისედაც ძნელად გუობს წუთისოფელი, იმ დღეს კი შუაჯიდას ჯევში სულ მთლად გაისულფონა...

ნანა პატარა, უწყინარი გოგო იყო, არავის ეჯიბრებოდა, გულს არავის სტკენდა, ნადირისთვის ქვაც არ მოუღერებია, ამხელა კლდე კი უიარაღოდ დასერა, უიარაღოდ დააჩნია სამუდამო იარა... ასეა! უმანკოებასთან ყველაფერი მარცხდება, შუაჯიდას ჯევივით ბუმბერაზი ძალაც კი!

გავიდა წლები. გაიზარდა ის უსუარა, დედა რომ დაიხსნა ყულფიდან. ის კაცი მურღვა არდოტელია. რაჟდენიც დაქორწინდა, „სხო მაიყვანა პატარძალი“. თერთმეტი შვილი ეყოლა, ერთმანეთზე უკეთესები, ექვსი ვაჟი და ხუთი ქალი. მის ერთ-ერთ ვაჟს - გელა დაიაურს მთელი საქართველო იცნობს.

ერთხელ, 90-იან წლებში, რაჟდენს მურღვა სტუმრობდა მუცოში. ქადა გატეხეს, ლუდი დალიეს. ლუდმა გათოკილ ტკივილს თასმები შეხსნა და რაჟდენმა წარსული მოიგონა. მერე კი ცოლს გასძახა, ნანას მანდილი მომიტანეო. მურღვამ ამ მანდილის არსებობაც არ იცოდა, თავს ვეღარ მოერია და ტირილი დაიწყო. ტიროდა რაჟდენიც, ტიროდა პატარა, გაუხარელ ქალასა და თავის გაუხარელ სიჭაბუკეს, გაყინული სიპების აკლდამაში ერთად რომ გამოკეტეს საუკუნოდ. აღარ ცდილობდა ცრემლისთვის გეზის შეცვლას, წლების სიმძიმე პატიობდა გრძნობების მოხალვათებას. მურღვამ სთხოვა რაჟდენს, მანდილი მაჩუქეო, მაგრამ მუცოელმა უარი ჰკადრა სტუმარს, ეს მანდილი ჩემთან ერთად უნდა დაიმარხოსო. თინამ კი, რაჟდენის მეუღლემ, წაიღო და ისევ რუდუნებით შეინახა. თავადაც უფრთხილდებოდა, რადგან ღირსეული ქალი იყო, ღირსეული დედა და მეუღლე, იცოდა ნამდვილი ღირებულებების ყადრი... ერთხელ რაჟდენს ჩუმად შეუსწრია თვალი მეუღლისთვის, ნანას მანდილი ამოეღო თურმე და ეფერებოდა. ამის მერე უფრო გამძაფრებია სიყვარული და პატივისცემა მის მიმართ.

შუაჯიდას ჯევთან სიპების კოშკი აუგეს ნანას. იმ კოშკს ყველაზე ხშირად ის უსუარა ძმა ხედავს, იმ ღამეს გაბმით რომ ტიროდა. იქნებ ბალღური უცოდველობით ჭვრეტდა ბოროტის განზრახვას და ცოცხლად გამოიტირა გოგო?! ვინ იცის?! დედა და მამა აღარ არიან ამქვეყნად. ახლა მურღვა გადის და გამოდის იმ საბედისწერო ჯევთან. მურღვას ნანა არ ახსოვს, არც ის ახსოვს, რა ატირებდა იმ ღამეს. მურღვა რითმებით ლაპარაკობს და ერთხელ, შუაჯიდასთან ნანასაც რითმებით აეძრახა:

„დაშლილია, მამამკვდარო, ჩვენი სახლი,
ჩვენს ნასახლარს გულზე ხავსი მოსდებია,
კვლავ ზირწუით[18] მივადგები იმ ავ ქარაფს,
მიყეფს ქარი, აბა, მაგის რა ბრალია...
არ მჩქამობენ ტბათანა და აიეხი,
დაო, ნანო, ეგ თვალები ჩამქრალია.
გიძევ, ვეღარ გხელავ, მიწათ ვეფერები,
შენი მკვლელი შუახიდას ნაპრალია“...

57 წელი გავიდა... მურღვა სათუთად ინახავს ბროლის თითებით მოქარგულ პერანგს, როგორც მამისეული კერის დიდ საგანძურს. მურღვათ ქავციხიდან ნანას საფლავი თეთრი ბროლის ჩარჩოში ჩასმულ ფოტოს ჰგავს.

57 წელია, მიღმახევის ლემადე[19] კრძალვით ელამუნება ბროლის ქალწულის საფლავის ბროლებს... 57 წელია, რაჟდენ დაიაურს პატარა ყუთში სიწმინდესავით უსვენია ბროლის ყელთან ნაკვანძი მანდილი... და დგას პატარა ყუთი სამზეოზე, როგორც უსაზღვრო სიყვარულის დიდი საკარცხული...

---

18. ზირწუ (ხევს.) — ხმამაღალი, შემაძრწუნებელი ტირილი.

19. მთიდან მონაბერი ქარი.

# ფიქრია ყუშიტაშვილი



## შეტყობინება

მესამე თვეა, „ზუმში“ ვართ გამოკიდებულნი.. ჩემი სადამრიგებლო კლასის 25 მოსწავლიდან ონლაინურთიერთობის ფუფუნება, მხოლოდ 15-ს აქვს, დანარჩენები, ჩემი არ იყოს, სოციალურად მეტ-ნაკლებად შეჭირვებული ოჯახებიდან არიან და მათთვის ინტერნეტი და პერსონალური ან თუნდაც საოჯახო კომპიუტერი ფანტასტიკის სფეროდანაა, ამიტომ იმათ ტელეფონით ვეხმიანები და საშინაო დავალებებს სიტყვიერად ვაძლევ, თავად კი სკოლის რესურსით ვსარგებლობ... კიდევ კარგი, რომ ჩემი საგანი მშობლიური ენა და ლიტერატურაა და ჩემს გიჟმაჟებს, ასე თუ ისე, ტექსტების წაკითხვა მაინც შეუძლიათ, სხვა თუ არაფერი... ეგეც საქმეა ამ პანდემიის დროს... მაინც შინ სხედან და დროს კითხვაში მაინც ჩაკლავენ, თუმცა, ვინ უწყის?!... ამ თაობას კითხვა მაინც დიდად არ ეხატება გულზე... ერთი-ორი მყავს კლასში წიგნის მოყვარული, დანარჩენები ტუჩს იბზუებენ და ორი ფურცლის წაკითხვაც კი ეზარებათ... ჯული ამაზე სულ უკმაყოფილოდ ზუზუნებს და ყოველ დღე მთავრობის უპასუხისმგბლობაზე მთელს ტირადებს აყალიბებს... ან საიდან აქვს ამდენი ილაჯი, რომ ყოველ დღე, ერთი და იგივე ტექსტები ერთნაირი მონდომებით, ერთნაირი ტემპო-რიტმითა და აქცენტებით არაკრაკოს...

— თაობას!... თაობას ვკარგავთ!... ამის შედეგს საზოგადოება 15-20 წლის შემდგომ მოიმკის, მაგრამ ყველაფერი ძალზედ გვიანი იქნება!... მაგ დროისათვის, მართალია, ჩემი ძვლები ან იქნება, ან — არა, მაგრამ თქვენ ხომ მაინც მოესწრებით და გამიხსენებთ...

— დაიცა რა, 15-20 წლის მერე საერთოდ კი იქნება საზოგადოება? — რიტორიკულ კითხვას სვამს მზია და თავადვე, ხვდება რა კითხვის აბსურდულობას, ტ უჩებზე თითებს ჯვარედინად გადაიფსკვნის, აქაოდა, ეს რა სისულელე დავაბიბინეო...

— კაი რა, ხალხო, არ დაიღალეთ ამ ერთი და იგივეთი? აღარა მაქვს ნერვები! აქ მიხაროდა ხოლმე შემოსვლა და ესეც ხო არ უნდა შემაძულოთ არა? — რუსკა დილიდან ნერვებზეა... წეღან ისე დაეძგერნენ ისა და ჯული პოლიტიკის ნიადაგზე, მეგონა, დახოცავდნენ ერთმანეთს...

სამასწავლებლოში მცირე ხნით სიჩუმე ისადგურებს და მერე ისევ ჯული არღვევს ამ სამოთხის ნეტარებას... ტრადიციულად, პოლიტიკის მიმოხილვით იწყებს და წვრილად, დიალოგებში გვიყვება, თუ რომელ სატელევიზიო არხზე ვინ ვისზე რა თქვა, ვინ ვის ჩასჩარა ბურთი, და იქვე საკუთარ კომენტარებსაც არ აკლებს, საიდანაც სულ იოლია მისი პოლიტგემოვნების დადგენა, თუმცა, რომ ჰკითხო არავისტი არ ყოფილა, არც არის და არც იქნება... მე თუ მკითხავთ, ჯული მარადიული ანარქისტია, უფრო სწორედ, „პროტესტანტი“... ხომ არიან ადამიანები, არადროს რომ არ მოსწონთ არაფერი და, ეგერთ წოდებული, „მათი დრო“ არასდროს დგება...

— ეეეე, გლეხიკაცითვინ არავინაც არა ყოფილა და არც არი!... — ასკვნის მზია ირონიული ღიმილით...

— და საერთოდაც, მე პრინციპულად არ წავალ ამ არჩევნებზე!...

— მოგიწევს, —კვლავ მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით პასუხობს მზია და ყურსასმენებს იმარჯვებს:

— წავედი, აბა, მე ჩემს მხეცებთან, თორემ წამიც რომ დავაგვიანო, ბასტა! — ჩამეშლება ისედაც ჩაშლილი ეს ონლაინგაკვეთილი!...

მეც გავდივარ ჩემს კლასში და ტესტებს ვუჯდები... ნახევარ საათში მეწყება „ზუმი“ და შეფასებები ჯერ არ დამიწერია... თან ცალ ყურში ყურსასმენი მაქვს გაჩრილი, რომ მცირედი მოძრაობაც არ გამომეპაროს ინტერნეტში... ისეთი ეშმაკები მყვანან, საკმარისია, ოდნავ მოვადუნო ყურადღება, ეგრევე „ონლაინშატალო“ აქვთ გამომცხვარი ...

— მასწ! როგორ ხართ?... — ისმის ჯიშკარიანის წკრიალა და ხალისიანი ხმა... ეკრანზე პაწია ღია სარკმლიდან ზღარბივით თმააბურძგნული ჭორფლიანი ბიჭი მიღიმის...

— კარგად, ლადო, შენ?

— მეც კარგად, მასწ, რამდენ ხანში ვიწყებთ?

მე ეკრანის კიდეზე საათის ციფერბლატს თვალს ვავლებ:

— 25 წუთი გვაქვს... მე ახლა თქვენს ტესტებს ვასწორებ და ზუსტად 25 წუთში დავიწყოთ...

— კაი,მასწ,მეც აქვე ვიქნები, „რობლოქსს“ ვითამაშებ და დამიძახეთ, არაა პრობლემა!... ფანჯარაში ბიჭი ქრება და მის ნაცვლად შავი სარკმელი და მის ფონზე თეთრი ლათინური ასოებით სახელი და გვარი — „ლადო ჯიშკარიანი“ ამონათდება..

დრო ნელა გადის, რომ იტყვიან, კამეჩივით მიიზლაზნება, თხუთმეტივე ტესტი შეფასებულია, შედეგები არცთუ ცუდია, თუმცა გააჩნია, რამდენად პატიოსნად აქვთ შევსებული ჩემს ყაჩაღებს... იმ დღეს ზეინაბი მიამბობდა, რომ მისი ძმისშვილი, რომელიც ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და ძვირადღირებულ უნივერსიტეტში სწავლობს, გაოცებული იყო, რომ პირველ გამოცდაზე პროფესორმა თურმე გააფრთხილა სტუდენტები, რომ მათი სახელმძღვანელოს კონკრეტულ გვერდზე საგამოცდო ტესტების პასუხები ეწერა და მხოლოდ მათ კეთილსინდისიერებაზე იყო დამოკიდებული, გამოიყენებდნენ თუ არა სტუდენტები ამ „შპარგალკას“ გამოცდაზე...

— აუუუ, ეგ რო ჩვენებთან დანერგო, იქ ამბავი მოხდება?! — ეცინება ელზას, — იმ დღეს ტიპები „ზუმში“ დავიჭირე, ჭინჭველას ზომის ასოებით ეწერათ ფორმულები მაჯაზე და დედას იფიცებდნენ, „მასწ, მე და ზახარამ ტატუ გავიკეთეთო“!...

— აზრზე მოდი,რამხელა ტესტია პიროვნებაზე,— აღტაცებულია ზეინაბი — „პროსტა“ ამით ხვდებიან, რეალური ცოდნისთვის ხარ მისული, თუ მამიკოს ფულების დასახარჯად...

— ეგ „მაჯის ტატუ“, „შპარგალკაა“ თუ „ტელეგრამა“?!... „Made in China?!... არა, გენაცვალე, „შპარგალკა“ იყო ჩემს დროს, — ნანა ცარციძე ღია ფანჯარაში დგას და სიგარეტს აბოლებს: — ნორამ ისეთი „იუბკა“ შემიკერა საგამოცდოდ, კონკიას მეჯლისზე არ სცმია, მე მოვკვდე!... ორფენად ტულის „პადიუბკა“ მოსდევდა და იარუსებად დაგვირისტებული ბატისტას რუჭრუჭები და „რუშები“ და სუ უჯრა-უჯრა მქონდა ჩაწიკწიკებული თემები — პირველ სართულზე „ჰაგიოგრაფია“, მეორეზე —„რომანტიკოსები“ და სულხან-საბა, მესამეზე — „თერგდალეულები“ და ძმანი მისნი, მეოთხეზე — დავით გურამიშვილი და „ცისფერყანწელები“ და სუ ზედა ქამრის კორსეტზე — ხურდაში დარჩენილი თავისუფალი თემები „ნა ლუბოი ვკუს“... „იუბკა“ კი არ იყო, ნაღდი ხელოვნების ნაწარმოები იყო, — უნდა დაგეკიდა და გეყურებინა გიორგი კალანდიას მუზეუმში... გამოცდაზე რო მივედი, კინაღამ ჩაიშალა სიტუაცია... ერთი საათი მაზრიალეს გოგოებმა „თოჯინები იცინიანის“ ლალივით...

ნანა იცინის და ჩამწვარ სიგარეტს ნიჟარის საფერფლეში ჩაყუჟავს...

—კაი დრო იყო... რას მიყურებთ? განა სუ ეგრე 100 კილო ვიყავი?... მაგარ ტანზეც ვიდექი და „პაკლონიკებიც“ „ოპტომ“ პარტია-პარტია მიგზავნიდნენ „ბუკეტებს“...

ყურში ჯერ ხრიალ-რაკარუკის ხმები ჩამესმის, მერე მუსიკის რიტმები ირევა და სასწრაფოდ ვიმარჯვებ კომპის“ თაგუნას... ეკრანზე რიგრიგობით ჩნდებიან ჩემი ყაჩაღები და ზოგი — მხიარულად, ზოგიც — უხალისოდ მესალმება...

— ლადოოო! შემოდიიი! ვიწყეეებთ! — ვეპატიჟები ჯიშკარიანს...

— ეხლავე, მომკლავენ, მასწ,  და ეგრევე თქვენთან ვარ! — პირდება ჯიშკარიანი და გაკვეთილიც იწყება ...

თემა — ვაჟას „სტუმარ-მასპინძელი“... დიდხანს ვუამბობ ვაჟაზე, მის ოჯახზე, ცოლ-შვილზე, პიკანტური დეტალებიც არ მავიწყდება... ამ ასაკში ბავშვებს ხომ ასეთი პირადული ამბები უფრო ხიბლავთ და იზიდავთ... მერე პოემის ტექსტის ანალიზზე გადავდივარ და საგულისხმო ციტატებს თავად ვუკითხავ...

— აი, სტუმარი მოგგვარე, —
ღვთის წყალობაა ჩვენზედა,
როგორ დაგვხვდები, დიაცო,
ეხლა ჰკიდია შენზედა...

— მასწ, მაშინაც კაცები სუ ქურდად ისხდნენ და სუ ქეიფობდნენ და შრომა და სუ ქალებზე იყო არა, სტუმრის გამასპინძლება  და ეგეთი ამბები? — მეკითხება ცნობილაძე,— მამაც ეგრეა, სტუმარს რო მოიყვანს ხოლმე, დედას ეუბნება, ახლა გამოჩნდება შენი კარგი ქალობაო!...

— მაშინაც დებილები იყავით ეს კაცები და იმიტო, — ენას უყოფს „ზუმში“ ნათია კაკაურიძე ცნობილაძეს...

— დებილი ბებიაშენია!... აუ, ახლა „ზუმში“ არ ვიყოთ, რააა! — ეჯღანება ცნობილაძე და ჩატში მოღერებულ მუშტსა და გაბრაზების „სმაილებს“ აგზავნის...

— ცნობილაძე, წესიერად და მომისმინე! — ვეება  ძახილის ნიშნებს ვუწერ პასუხად და მერე დიდხანს ვუხსნი ქალის განსაკუთრებულ როლსა და მისიას მთიელთა ოჯახში და არა მარტო...

„იტირე?! მადლი გიქნია,
მე რა გამგე ვარ მაგისა?
დიაცს მუდამაც უხდება
გლოვა ვაჟკაცის კარგისა“!...

ვასრულებ პოემაზე საუბარს და თვალს ეკრანის კიდეზე, საათისაკენ ვაპარებ...

— გაიგე, გოგო?! — ცნობილაძე ნიშნის მოგებით წკურავს თვალებს და „სმაილით“ ენას უყოფს ნათიას: — აი, ეგეთი სამართლიანები ვართ კაცები! ისე, რომ იცოდე, რა!...

—კარგი, — დავალებად „სტუმარ-მასპინძლის“ მიხედვით დამიწერთ ესსეს — „მთის ადათ-წესები და საზოგადოება“ და გადმომიგზავნით მეილზე, გასაგებია? — სწრაფად ვკრეფ თემის დასახელებას „ჩატში“ და შრიფტს რაც შეიძლება ვადიდებ...

— დღევანდელი გაკვეთილი დასრულებულია!

— „პკ, მასწ!“ — რიგრიგობით ჩნდება შეტყობინებები...

— მასწ! — ისმის ჯიშკარიანის ხმა...

— გისმენ?

— მასწ, ვაჟა რო ამბობს:

„სიკვდილი ყველას გვაშინებს,
სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვწადიან ,
კაცნი ვერ ჰგრძნობენ ბევრჯელა,
როგორ დიდს ცოდვას სჩადიანო“, ეგ იმას ნიშნავს, რო ადამიანს სიკვდილის ყურება მოწონს, ხო?

— ჯიშკარიანი, ეგ ეგრე მარტივადაც არ უნდა გავიგოთ: სიკვდილი ხო ბუნდოვანია, ჩვენ არ ვიცით, რა იქნება სიკვდილის მერე, იმ ქვეყნად... მაგრამ ადამიანი იმგვარადაა მოწყობილი, რომ ამის გაგება არასაკუთარ მაგალითზე სურს, რადგან ეშინია... სხვის მაგალითზე გვინდა გავიგოთ, რა მოგველის როცა ამ წუთისოფლიდან გავალთ...

— მასწ, მე მგონი მე „რობლოქსს“ რო ვთამაშობ და რო მკლავენ, ეგ არის, რასაც ვაჟა გულისხმობს — თვითონ თამაშია ამ ინსტიქტზე აგებული...

— შესაძლოა... მე არ ვიცი ეგ თამაში და ამ ეტაპზე  პასუხიც არ მაქვს...

— მასწ, როცა გეცლებათ, თუ გინდათ, გასწავლით და ვითამაშოთ!...

—კარგი! — მეღიმა მე, — აბა, ,დროებით, ჯიშკარიანი, და ძალიანაც ნუ გადაყვები ამ თამაშებს... წიგნიც წაიკითხე!

— კი, მასწ! ...

ჯიშკარიანი ეკრანზე ქრება და მის ნაცვლად

კვლავ შავი სიცარიელე და უბრალო გვარ-სახელის წარწერა ანათებს...

— მანი,სამ-სამ ლარს ვაგროვებთ, ბოჭორიშვილს ქმარი რო მოუკვდა კოვიდით,ყვავილების გვირგვინი რო გავუგზავნეთ... — თავს ყოფს კლასში გვანცა სულთანიშვილი...

— ხელფასზე რომ მოგცე? — ვწითლდები...

— კაი, მე დავდებ შენ მაგივრად და მერე მე მომეცი ... — გვანცა მეგობრულად მიღიმის და ფურცელზე ჩამოწერილ სიაში ჩემი სახელის გასწვრივ ჯვარს უსვამს...

ხელფასამდე მთელი ათი დღეა და მე სულ რაღაც 75 თეთრი მიყრია ჯიბეში...

იმ დღეს შინიდან სკოლაში მიმავალს, 2-ლარიანი შემომხვდა დაგდებული სადარბაზოს კართან და ისე გამიხარდა!... ჯერ ქურდივით მივიხედ-მოვიხედე და მერე თითქოს თასმა გამხსნოდეს ფეხსაცმელზე, დავიხარე ასაღებად... თან ისე ავღელდი სიხარულით, რომ მთლად დავსველდი ნერვიულობისგან... რა იდიოტობაა, გავა დრო, გადაივლის ეს პანდემია, გაჭირვება, კრიზისი და ათასი დოზანა და, ვიცი, თავადვე გამეცინება ჩემს უსუსურობასა და გულუბრყვილობაზე, მაგრამ ახლა, ამ წუთას ისე მიხარია ამ გაუფასურებული მონეტის პოვნა, თითქოს მთელი განძისათვის მიმეგნოს...

— გვანც, ძალიან კი მერიდება, მაგრამ... — ძლივს ვუყრი თავს სათქმელს...

გვანცა ღია კარში ყოვნდება და თავისი ულამაზესი ზღვისფერი თვალებით მომჩერებია...

— მამაჩემს ისევ დიალეზზე სჭირდება ტარება და კლინიკამდე ტაქსი 5 ლარს მართმევს... ხელფასამდე 20 ლარს ხომ ვერ მასესხებ და მერე ერთნაირად დაგიბრუნებ... სიკვდილი მიჯობს ფულის სესხებას, მაგრამ ახლა სხვა გამოსავალი არ მაქვს, პურს, მაკარონს, ხახვს და ზეთს მაინც ვიყიდი და იქამდე რაღაცნაირად იოლას გავალთ...

— არა გრცხვენია?... აი,30 ლარი უკვე ავაგროვე და ამას მოგცემ... როცა გექნება, დამიბრუნე, არც იფიქრო და არც ინერვიულო...

— შენ ხარ ჩემი გაჭირვების ტალკვესი... ჩემი ჯადოსნური ლამპრიდან ამოსული ჯინი,და,საერთოდ, შენ არ იცი, ვინა ხარ... — აღტაცებას ვერ ვმალავ და უცხომ რომ მოისმინოს,უთუოდ გაოცდება ჩემი ასეთი ზეაღმატებული ემოციებით... ხმა მიკანკალებს.. .ცოტაც და ავღრიალდები...

— ვაიმეეე,ეხლა იცოდე მეც ვიტირებ! — გვანცას, ისედაც წყლიანი თვალები, კიდევ უფრო უდიდდება და უწყლიანდება:— მიყვარხარ და წავედი, „ბორდი" უნდა დავაყაჩაღო!

გვანცა გადის და მაგიდაზე მიტოვებს გაცრეცილ ხუთლარიან კუპიურებს... ვაშა! ათი დღე რამენაირად გავატან... მერე იქნება რაღაც!... ეს „მერე იქნება რაღაც!" ვერა და ვერ დასრულდა ჩემს ცხოვრებაში... სანამ მოსწავლეებს ვამზადებდი,კიდევ არა გვიშავდა რა, მაგრამ ახლა ამ პანდემიამ მთლად მოსპო ეს პაწია იმედიც... ლამარას იმდენი წამლები სჭირდება, ჩემი ხელფასი და იმისი პენსია ვერადროს ყოფნის მკურნალობის სრულ კურსს.. აქეთ ავთანდილის ანალიზები და დიალეზი...

„ზუმი" ჩართული დამრჩენია.. ის-ისაა კომპიუტერი უნდა გავთიშო, რომ „ზუმის" ჩატში შეტყობინება მოდის...

ჯიშკარიანია...

— რა გინდა, ლადო? — ვწერ აჩქარებით...

— მასწ, თქვენი პირადობის ნომერი მომწერეთ, რო დაგამატოთ „რობლოქსში"...

— განა მაგ საქმეს პირადობის ნომერი უნდა? — დაეჭვების „სმაილს" ვუგზავნი და პასუხად „გაკრეჭვის" „სმაილს" მიბრუნებს:

— აბა რა, მასწ! არ იცოდით? ისე არ შეგიშვებთ სისტემა... არა, თუ არ მენდობით?!...

— კარგი, ოღონდ სანამ თემას არ გადმომიგზავნი, არ გეთამაშები!

პირადობის ნომერს სწრაფად ვკრეფ და ჯიშკარიანს სასწრაფოდ დამშვიდობების „სმაილს" ვუგზავნი!

— „პკ, მასწ!" — მიქნევს ხელს ჯიშკარიანი და ინტერნეტის სივრცის თვალთახედვიდან ქრება...

შინ დაღლილი მივაბიჯებ, მკლავს ეს „ზუმი", რაღაცნაირად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, თითქოს ზომბად მაქცევდეს, უსისხლო, უემოციო არსებად...

მაინც ვუჩქარებ ნაბიჯს, შინ ავთანდილი მელოდება, დიალეზზე უნდა წავიყვანო და მერე ავცრა... მეჯიუტება, არ უნდა, მაგრამ რას გაიგებს... ვეტყვი, რომ დიალეზის თანადართული აუცილებელი პროცედურაა კოვიდთან დაკავშირებით... მივდივართ... ავთანდილი გზაში მებუზღუნება და ჯიუტობს, არ უნდა პირბადის გაკეთება... ტაქსიში ძლივს ვსვამ და კლინიკაში მიმყავს... წვიმს... უცნაურად მოულოდნელად აგვიგრილდა... რაღაცნაირი არა საზაფხულო ნისლია და სიგრილე... შემოდგომამდე ჯერ ადრეა და მაინც იგრძნობა მისი უცნაური ნაბიჯების ხმა ნაადრევად ჩამოცვენილი ფოთლების მიხედვით...

ტელეფონზე შეტყობინება წკრიალებს... ანგარიშზე თანხა დაირიცხა... 500 ლარია... აშკარად, რაღაც გაუგებრობაა...

ავთანდილს პალატაში შევაცილებ და „საქართველოს ბანკს" ვუკავშირდები... ცოდოა... ვიღაცას რაღაც შეეშალა... ამ დროში... პანდემიის დროს, ვინ იცის, როგორ სჭირდება ეს ფული... ავტომოპასუხე ლოდინს მთავაზობს და ბოდიშს მიხდის დაყოვნების გამო... და ისევ წკრიალით მოდის შეტყობინება:

„მასწ, მე ვარ, ლადო, ველოსიპედის ფულს ვაგროვებდი და... გქონდეთ თქვენ... ეხლა მაინც ჯერ არ ვაპირებ ყიდვას... როცა გექნებათ, დამიბრუნებთ"! და ღიმილის „სმაილი" წერტილის ნაცვლად გულები... გულები... გულები ...

სული მეხუთება, სუნთქვა მიჭირს, გული ყელში მებჯინება და ახლა უკვე ნამდვილი ცრემლით მეტირება, ოღონდ ამჯერად სიხარულის ცრემლით...

— ნუ ღელავთ, მამათქვენი კარგადა!... ავცრით და კიდევ უფრო ყოჩაღად იქნება!... მთავარია, თქვენ იყოთ, მხნედ! აი ნახავთ, ყველაფერი კარგად იქნება! — მამშვიდებს ნაცნობი მედდა...

— დიახ! — ვეთანხმები მე და ჩამოგორებულ ცრემლს ცალი ხელით ვიწმენდ:

ყველაფერი კარგად იქნება!

ღვთით სახელდებული....

## ნუგზარ შატაიძე





# საყვარელი მწერალი რევაზ ინანიშვილი — „შენი სულიერი სამშობლო“

დღეს, როცა ასე შეგველახა და დაგვიმძიმდა სულები, როცა ლუკმა-პურის ძებნაში დაღლილებს წიგნის წაკითხვის თავიც კი აღარა გვაქვს, როცა აპოკალიფსური ღრუბელი სულთამხუთავივით დაგვწოლია გულზე და ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს, ხშირად ვიგონებ ხოლმე რევაზ ინანიშვილს — ჩემს საყვარელ მწერალს, ზოგჯერ გადმოვიღებ თაროდან მის წიგნსაც, ვათვალიერებ, ვკითხულობ მოთხრობების სათაურებს, ცალკეულ აბზაცებს, მაგალითად, ასეთებს: „ზამთრის ცრიატ, მოღუშულ დღეებში ტბის წყალი დამდნარ ტყვიას ჰგავს... ავა, სულ ბოლოს მისი ზედაპირიდან, აიკრიფება ბინდი და ბურუსი. ახლოს მოიწევენ მთები. უტყეო მთები ამ დროს სულ რუხებია, რუხები და გაფითრებულნი, გაშტერებულნი. ის მთები ძლეული ლაშქარის დროშებივით ჩაკიდებულან ტბაში. თავდაყირა ჩაკიდებულან ტბაში თეთრი ხეებიც. თეთრ ხეებზე შავი, ნაღვლიანი ჩიტები სხედან და აბუზული მხრებით ელაპარაკებიან ცას. ცა უფრო ნაღვლიანია და ჯერ არ იცის რას იზამს“.

მე მშველის ეს „რუხი და გაფითრებული მთები“, მშველის ნაღვლიანი ცაც, რომელმაც „ჯერ არ იცის, რას იზამს“. მშველის და მამშვიდებს.

რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში ყველაზე უფრო მწერლის მახვილი თვალი და ყური გაოცებს. პატარა, ხელისგულისოდენა მოთხრობებით იგი თითქოს ჩვენც თვალს გვიხელს, სმენას გვიმახვილებს და ჯადოსნური სიცხადით გვიჩვენებს ამ ავკარგიან ქვეყანას, სადაც თავადვე ცხოვრობს. ეს მისი სამშობლოა, რომელიც უკვე მკითხველის სულიერ სამშობლოდ ქცეულა.

ერნესტ იუნგერის აზრით, მწერლის ამოცანა სწორედ სულიერი სამშობლოს შექმნაა: „ეს შეიძლება იყოს მოკრძალებული ნიში წმინდანის გამოსახულებით, ჭიშკართან გადმოდგმული სკამი, სოფლური ქოხი, სასახლე, ტყეები, მთები ან კოსმოსური სივრცე... პოეტი ქმნის, რათა ყველაფერი ეს იცნონ და დაიმახსოვრონ, შემდეგ კი სულიერ სამშობლოდ გაიხადონ... იქ, სადაც პოეტები არ არიან, სიცარიელე ისადგურებს“.

მწერლის მიერ შექმნილი სულიერი სამშობლო ხშირად უფრო რეალურია და მიმზიდველი, ვიდრე ნამდვილი. რევაზ ინანიშვილისთვის ეს იყო სოფელი, მინდორი, ივრის ჭალები. მოდიოდა იქ „დაღლილი, მხრებდაღუნული, იმ იმედით, რომ სოფლურმა მყუდროებამ იქნებ ცოტა მაინც მოუფონოს გულზე, რომელზეც, აი, მთელი თვეა თითქოსდა მარწუხებს უჭერენ ვიღაცანი“.

ჩვენც, მისი მკითხველებიც, სწორედ ამ იმედით, ამგვარი სასოებით მივდივართ მის მიერ შექმნილ სამყაროში, სადაც მდინარის პირას ერთი „გამოღრმავებული კბოდეა, შიგ თბილი მზეა ჩამდგარი“, მივალთ, მივსხდებით იმ გამოღრმავებულში და საკუთარი სამშობლოს განცდით ვტკბებით.

...ახლა იქაც ზამთარია, თებერვლის თრთვილს შეუხორხლია ხეები, ბუჩქები, გადაუთეთრებია მიწა. გუბეებში წყალი ჩაყინულა. ყინულის თხელი, სიფრიფანა არშია გასდევს მდინარის მთელ ნაპირსაც. „ხეებზე შავი, ნაღვლიანი ჩიტები სხედან და აბუზული მხრებით ელაპარაკებიან ცას“.

იალნოს მთის ფერდობზე გადმომდგარა ფოთოლგაძარცვული, ყინვისგან შეჭირხლული ტყე — გაყუჩებულა, თავის მარადიულ ფიქრებში წასულა. უეცრად, რაღაც სასწაულის ძალით გაიხსნება ზეცა, ღრუბლებიდან მზე გამოიხედავს და ფერდობზე კალოსოდენა ადგილს გაანათებს. კალოზე ვიღაც ხალხი შეყრილა. წამოვა, გამოსცდება იმ ხალხს „ორი მშვენიერი ქალბატონი“, ერთს თავზე მოხ-

ვეული და ბოლოებით მკერდზე გადაჯვარედინებული ქიშმირის შალი ზურგზე აქვს შეკრული. მეორეს მოთხილამურეს თბილი ქუდი ახურავს — ყურებზე და შუბლზე ჩამოწეული. ორივე ერთად რვა ან დიდი-დიდი რვა-ნახევარი წლისა იქნება. მოვლენ, ამოგიდგებიან აქეთ-იქიდან, ჩაგკიდებენ პატარა ხელებს და წაგიყვანენ იმ განათებული ადგილისკენ. გაკვირვებული, დაბნეული ათვალიერებ მილეთის ხალხს და ნელ-ნელა ყველას სცნობ.

ვინ აღარ მოსულა აქ, იალნოს ბურუსიან ფერდობზე: ანანურელი ულამაზოები — მუშტად მომზირალი, მგლის აჯაგრული ლეკვებივით კომბილიანი ბიჭები; ირინე თეთრაშვილის აფრია, თვითონ ირინე თეთრაშვილი, გუჯა — აფრიას ძმა და იმათი ახოვანი მამის ლანდი, რომელსაც ხელები გულზე დაუკრეფია და ნაღვლიანი სახით უყურებს ცოლ-შვილს; უკუღმა დაჭედილი — როგორღაც საშაროდ გალაჯული, დოინჯშემოყრილი ყმაწვილი; გამოვა ბურუსიდან იაკოფა მენახირეც და დაებჯინება თავის გრძელ ჯოხს; გვერდიგვერდ დგანან შიო პაპა და უშიშა პაპა, ძმები — დათია და გოგია, ბასა ბურკიაშვილი, ჯოხირეცხა იოსება, მოდიდან გამოსული პოეტი, რუხი პიჯაკის სახელოებზე შავი სატინის სამკლაურები რომ უკეთია; კიდევ ვანო ბუჭყიაშვილი და მისი პატარა ბიჭი მიხო, რომლებსაც შინ არც ავეჯი აბადიათ და არც ჯამ-ჭურჭელი, სამაგიეროდ, აქვთ ერთი დიდი ფარდაგი, გაშლიან ძირს და კოტრიალობენ ზედ ყველანი — ვანოც, მიხოც, მამუკაც, იმათი დედიკოც და თუ სტუმარი მოუვათ — ისიც; აქ არიან გოგია და ბახა, ელგუჯა და ჭიჭო, ბიბო, ჩიტების გამომზამთრებელი ბიჭი, ვიწროების მგლები — ჩოფირა შალიკო და მეტყევე დათიკო; ცოტა იქით მოჩანან: ბარბალე ბადიაური, დედა მარიამი, ძველი ქართველი ქალი, გადაბმული ესტატე, თინა და სანდრო, უშიშარი ბიჭი იოსება... ხმაურობენ, ჟღავჟღუვობენ უბედენთიანი კოხორაშვილები, ცეტები, ბლუკები... ჩაჩაურს ცალ ხელში გაშიშვლებული ხმალი ჩაუბღუჯავს, მეორეში — სანთელი; მოკრძალებით, დარცხვენით დგას იმ ხალხში ხორასნელი ჭაბუკი; აქვეა დარეჯანი — ტანად დიდი, დიდად მომზირალი, ღონიერი ქალი; ხელიხელჩაკიდებულნი განზე გამდგარან ილიაში დახვეულ ტიკამოჩრილი გოგია ბატატაშვილი და იმისი მორცხვად მომღიმარი საყვარელი მაყვალა ჯარიაული; იღიმებიან ბალნიანი ბაყია და მანეთიანი კოლა; აქ არიან ყროლებიც — ლაფანა, ატაცებული და ბაზარნიკი, ჯალიაშვილიც აქვეა და იმათაც სიამის ღიმილი გადასდით სახეზე. ამ ხალხში დასუნსულებს ფაფხაჭელაანთ ძაღლიც... ხოლო მაღლა, ერთ თოვლიან ბორცვზე, ცალკე დგას კომბალზე დაყრდნობილი, მთლად გათეთრებული უსინათლო მოხუცი, რომელსაც ქინთაქინთად ქცეული ახალუხის ჯიბის პირზე სამი ძველი რუსული მედალი ჰკიდია — გამურულ ქვაზე დაღვენთილი წმინდა სანთლის ფერისა.

იქით კი, ნისლიან ტყისპირში ათამდე შავი ლანდი შეჯგუფებულა და რაღაცას ბჭობენ. მერე განცალკევებით მდგომი ანაფორიანი მღვდელი ხელს რბილად ჩამოუსვამს ჰაერს და ვიღაცა სუფთა, მშვენიერი ხმით დაიწყებს:

ზამთარიაო, ჰეე, ჰარალოო...
ზამთარი ვარდსა დააჭკნობს,
ფურცელი ჩამოცვივაო...

თვალებგაბრწყინებული დგახარ და ვერ გაგიგია, ცხადში ხარ თუ სიზმარში, მაგრამ ნელ-ნელა ერკვევი და ხვდები, რომ არც ცხადია და არც სიზმარი — ეს შენი ქვეყანაა, შენი სულიერი სამშობლო.

ამ ოციოდე წლის წინათ, დეკემბრის ერთ უჟმურ, ბურუსიან დღეს, როცა ტყვიისფერი სათოვლე, ღრუბლები ქალაქს სულთამხუთავებივით დასწოლოდნენ გულზე, ვიწრო, ბნელ სასადილოში ჭიქა ღვინოზე მიპატიჟებულს რევაზ ინანიშვილმა მითხრა: ღმერთი არასდროს მიატოვებს ადამიანის შვილს და როცა მას ძალიან, ძალიან გაუჭირდება, სწორედ მაშინ მოხვევს ხელებს და თავისთან წაიყვანსო.

— რეზო ინანიშვილი გარდაიცვალა?! — მითხრა ერთმა ნაცნობმა დეკემბრის სწორედ ისეთსავე უჟმურ, ბურუსიან დღეს, როცა ქალაქის თავზე სქლად ადიოდა ყომრალი კვამლი და თბილისის ცაში ჩვენი სულის ნაფლეთებივით დაფრინავდა ცეცხლში ჩანავლული წიგნების, სურათების, სამუზეუმო ექსპონატების ფერფლი; როცა რუსთაველზე ღვარად მიდიოდა ქართველების მიერ დაქცეული ქრთველებისავე სისხლი; როცა თავისუფლების მოედნის ფოთოლგაძარცვულ ჭადრებს შეხიზნული, ზარბაზნის გრუხუნს ყურმიჩვეული სკვინჩები სროლის ხმაზე ოდნავ, სულ ოდნავღა ღუნავდნენ თავებს.

— რეზო ინანიშვილი რომ გარდაიცვალა?

ეს სიტყვები ნახევარმა საქართველომ ვერ გაიგო. რას იზამ, ნათქვამია — დარდს მოგცემ, დარდს დაგავიწყებო.

ეტყობა მართლა გაგიჭირდა, ბატონო რეზო... ძალიან გაუჭირდა შენს სათნო, სიკეთითა და სიყვარულით სავსე გულს იმ საშინელი დღეების ატანა და იმიტომაც გაჰყევი შენსკენ ხელგამოწვდილ უფალს... მაგრამ უშენობაც რომ გასაჭირია? შენ ხომ მკაცრი ზამთრის მომლოდინე ჩვენი სულების გამომზამთრებელი იყავი, მათი მფარველი და დამპურებელი...

ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

2003 წელი

მასალა მოამზადა
ლეილა ქიტოშვილი-სახლთხუციშვილმა

## პოეზია

# ბაღათერ არაბული



### დღეს ჩვენს საშველად კვლავ უფალი უნდა მოვიდეს

(სადღეისო საკითხავი)

...გვიმუხთლა ჟამმა, –
ჩვენთვის სივრცე არ ჩანს საფრენი,
უცხო ბურუსით იბურება... დასალიერიც;
დრო დგას მოყვასის ღალატის და
დრო – ჩასაფრების,
დრო – მომრავლებულ იუდების,
სალიერების...
ზოგი ავ ვნებებს სამშობლოსთან
ბრძოლით იქარვებს,
(ამნაირ მტრობას სხვა ვინ იზამს,
გარდა მსტოვრების?!.)
დღეს დარჩათ ერი სათარეშოდ
პოლიტიკანებს,
ამ დიდოსტატებს... კლდიდან კლდეზე
გადახტომების!..
და მათთან ერთად ვერაგულად
გვებრძვის კოვიდიც
და არაერთი შეიწირა უკვე კოვიდმა;
დღეს ჩვენს საშველად
კვლავ უფალი უნდა მოვიდეს,
ის მაინც მოვა,
რადგან ერთხელ უკვე მოვიდა!..

* * *

გინახავს თოვლი, როგორ ქრება აპრილის პირზე?
როგორ ჩუმ-ჩუმად იპარება დედამიწიდან?
გინახავს ნისლი შეგლესილი დილის ხეობებს?\
როგორ ილევა და რა ჩუმად იფერფლება მზის
ამოსვლისას?\
ასე ვართ ყველა:
ჩვენ ჩვენს სიკვდილს უჩუმრად ვხვდებით.

### შემოდგომის ესკიზებიდან

...მოადგა ნისლი მთათა გალავანს, –
ნისლი – ცის ცვარი,
ნისლი – ცის ცრემლი,
სადაც ულრანებს დაუფარავად
მკერდზე კერტები უჩანს ცირცელის...
მოდგა: ღრუბელიც – შავი ფასკუნჯი,
შეფარებული ცათა გუმბათებს,
მზეც – ჩამქრალი და დამუნჯებული
შემოდგომიდან გაზაფხულამდე...
და მთვარის ფერი გადაჰკრავს მთა-ველს,
ალვებსაც – დღეს რომ ქარში ცხოვრობენ
და ნეკერჩხლები ცეცხლისფრად რთავენ
მთებზე შეფენილ ტყეთა კორომებს...
იქ, ქედის კუზზე, ნისლის შრეებით
დამძიმებული ტყეები სდუმან
და მახსენებენ ფოთლების შრიალს, –
მეც – წუთისოფლის ფოთოლს და სტუმარს...
......
მოადგა ნისლი მთათა გალავანს, –
ნისლი – ცის ცვარი,
ნისლი – ცის ცრემლი,
სადაც ულრანებს დაუფარავად
მკერდზე კერტები უჩანს ცირცელის...

### შემოდგომა

№-1

მაწმაოს მთებზე საცაა მოთოვს,
ბოროლას თრთვილის ფერი გადაჰკრავს
და საარაგვოს გაცრეცილ ფოთლებს
ნოემბრის სევდა მიაქვთ ქარდაქარ...
მიაქვთ იმედიც, რასაც ოდითგან
ამ მღვრიე გზებზე შუქად ვხატავდით,
კვლავ სხივჩამქრალი ფერი მოდიდდა
და ჩვენ ჭალებზე ღვარად გადადის...
ჩვენ დავრჩით ქარში, ხოლო ზაფხული
მზის მცხუნვარების სიზმრებში დარჩა,
სადაც წარსულში გადახაფრულის
ირგვლივ ზაფხულის ნასახიც არ ჩანს...
და სამუდამოდ ჩვენ მას დავშორდით,
როგორც ფოთოლი შორდება ხის ტოტს,
ჩამომხობია ალვებს აშოლტილს
ცა – ფირუზი და ცა – ამეთვისტო...
შენ გაღმით მიხმობ, გამოღმით მე ვარ,
ჩვენ შორის მთელი ზაფხული გვიდევს
და შემოდგომის ქარების მხევალს
ყელზე ფოთლების ყელსაბამს გკიდებ...

## სიყვარული

...ამ საწუთროში
ჩვენ ერთმანეთს ვეძებდით ოდით,
გზებზე ეფინა მოყვავილე ფერი არეთა;
მე თქვენ მიყვარდით,
არ შემეძლო, არ მყვარებოდით,
რადგან ჩემსავით
სხვა ვერავინ შეგიყვარებდათ...
გამოვაღწიეთ რამდენ ტკივილს
და ღალატს რამდენს,
ამ ერთგულებამ
სიყვარულის ნერგი იყარა;
მე თქვენ მიყვარხართ
და არ ძალმიძს,
რომ არ მიყვარდეთ,
რადგან თქვენსავით
მე ვერავინ ვერ შემიყვარა...

## ქარის ქარიზმა

...ფოთლების შრიალს
კვლავ მოაქვს ქარის ხმა,
ქარის ხმა – ქარის ლამაზი ქარიზმა...
ქარი ქარია და
არ იცვლის ქარი ზნეს,
არა სდევს ჟამთა სვლას
და უცხო ქარიზმებს...
და კვლავ ქრის ხმელეთის
და ხანაც – ქარი ზღვის,
ის – მარად ერთგული
საკუთარ ქარიზმის...
......
ფოთლების შრიალს
კვლავ მოაქვს ქარის ხმა,
ქარის ხმა – ქარის ლამაზი ქარიზმა...

## კახეთი

გახედე, კახეთი...
გალაკტიონი

გახედე,
როგორ ყვავის კახეთI,
როგორც სამოთხე
ღმერთის ნახატი...
ჩვენ რომ ზეციურ შუქად ვსახავდით,
ილევა თოვლი – თეთრი სახადი;

ვით სალოცავი, ანდა სახატე
მოჩანს ალაზნის გადასახედი...
.......
სად მზის სხივებმა ქარი გახედნეს,
გახედე,
როგორ ყვავის კახეთი...

# ნონა ბიოჩბაძე



## ანდერძი

სადღაა ჩემი მარტოობა
მას შემდეგ, რაც ჩემში აჩურჩულდი თოთო
ფესვებით,
სადღაა ჩემი მარტოობა...
მას შემდეგ, რაც ცახცახით ჩადგა ჩემში შენი
ჩვილი სურნელი.
რაც სისხლში გაჩნდი
და გულისკენ დაიძარ ათასბალიანი სიყვარულით,
სადღა ვარ მარტო... არადა...
„შვლის ნუკრივით“ შევჩიოდი ჩემს მარტოობას:
ისედაც მარტოობით გულგაწვრილებულ ადამიანებს,
სადღაა... სადღა. ნუმცა მყოს ღმერთმა
შენს სუნთქვას არ ვაყურადებდე...
მერე კი როცა... ერთ დაშაქრულ შემოდგომაზე
საბოლოოდ გავყვები ქარებს...
შენი ლამაზი... უკვე სიძლიერემორეული თითებით
დაუხუჭე შენს მეოცნებე დედას თვალები... და
აპატიე,
რომ ვერაფრით გაჰყო შენი სიყვარული...
ვერ გაგაორა... ვერც გაგასამა...
და ამიტომაც ახლა მარტოკას გიწევს
მისი გაცილება. შენს მართლაც და როგორ
თვალებში
დარწეული მწუთხე კურცხალით.
სადღაა ჩემი მარტოობა!!!
იქედანაც შენკენ გამოვგზავნი ჩემი სულის
ციცინათელებს.
შენ კენტობაში არ მომბაძო... დაიმტევნე. იქეც
ვენახად,
გამძლე ჯიშის რქად სამამულედ.
სადღაა ჩემი მარტოობა!
შენმა გაჩენამ შეიწოვა ერთი ბეწო ფეხისგულებით!
ჩემში ხავერდობ!
ჩემში მზეობ!
ჩემში დაცურავ!
გულისკნილში კი უფალია!
დაუხარე თავი ტერფებთან...
მისითა ვართ...
მან დაგვრთო ნება დედა-შვილობის...
გულისკნილს გაუფრთხილდი, შვილო!

* * *

ამ მზერას, იმ მზერას
იმ რაინდს თუ მზვერავს,
მე შენი თვალების სინათლე ვარჩიე,
მე დღესაც მაგ თვალთა ნათელმა დამზვერა
და გულიც ბუდიდან ამოხტა მაშინვე.
ეს გული ბარტყივით ვარდება ბუდიდან
და მხოლოდ შენს თვალებს დაეძებს ნუგეშით...
მოხვალ და... მაგ თბილი თითებით აიყვან
და ჩასვამ საბრალოს ცარიელ ბუდეში.

ნაილის

ჩვენი ლამაზი სახლიდან
აღარ ამოდის კვამლი,
მუხა აყვავდა ნისლებად,
თალარში ქარი სტვენს,
ჩემო ბებერო ტკივილო,
რა ოცნებითაც მწვავდი,
დღესაც იმავე ტკივილად
ამეშლები და გწერ.
ტრიალებს ბედის ფორტუნა,
რა უცნაურად მორთულა,
რა უცნაურად მორთულა,
ობლების ნატვრის ხე.
სულ ერთი ნატვრით მოვსულვართ,
სულ ერთი ნატვრით მოვსულვართ
მე, შენ, დედა და მამა,
შენ, მე, მამა და დედა
დედა, მამა და ჩვენ!
დღეს შენი დღეა ნაილი,
მომაქვს ბელურა სტრიქონი,
სულით — ლურჯთვალა ყვავილი,
ფრთებით — ცხრათვალა მზე.
ეს იანვარიც ჩაივლის,
ის იანვარიც ჩაივლის,
ერთად დავრჩებით ისევე
მე, შენ, მამა და დედა,
შენ, მე, დედა და მამა,
მამა, დედა და ჩვენ.
ცხრა მთას და ცხრა ზღვას დავივლი,
ყველგან სასწაულს ვიპოვი,
მტლად დავედები შენს სუნთქვას,
შენს მოირას და სვეს,
და კვლავ დავრჩებით ერთად,
და კვლავ ვიქნებით ერთად,
მე, შენ, დედა და მამა,
მე, შენ, მამა და დედა,
სიყვარული და ჩვენ!

* * *

ყაყაჩოვ ნათელფრთიანო,
მინდვრების ბანოვანა...
გულში რომ შავი ჯვარი გაქვს,
რა ჯავრს, რა ნაღველს ჰმალავ?!
ეგებ სწორფერი დაჰკარგე,
გულისწამლები თანა...
იქნებ სამშობლო გიკვდება,
თავისუფლებას ჰკრძალავს?!...
დახედე! შენს თბილ ფესვებზე, —
კაი ქართველნი წვანან,
დროდადრო ამოგვძახიან
სათქმელს მთავარზე — მთავარს:
არამ!... სამშობლოს გარეშე...
ჩვენი სიცოცხლე... არამ!

* * *

ყარიბ პოეტებს როგორაც შვენით...
ჩემს ფიცრულ ქოხში ვზი და ვმწუხარობ...
ვისაც სამშობლო უყვარს და შველის,
შენ მოუმართე ხელი, უფალო!
ვინც თავად სიკვდილს — უხვდება ცელით,
სამშობლოს ელდით — ჰქუხს და მქუხარობს..
ვისაც სამშობლო უყვარს და შვენის,
შენ მოუმართე ხელი, უფალო!

* * *

დედაჩემი, დედაჩემმა, დედაჩემს...
ქარი მზისფერ ქრიზანთემებს შეარჩევს...
დედაჩემი, დედაჩემმა, დედაჩემს...
დედაჩემის სუნთქვა ლოცვას შემაჩვევს...
დედაჩემით მღერის სულის ფერდობი,
მასზე უფრო — ქვეყნად ვერვის ვენდობი.
მზეო, მზისფერ ზრუნვად ამომზევდები,
დედა ვარ და... უდედოდ ვერ ვჩერდები.
მზე და მთვარე ვიდრე სიზმრებს აურევს,
ყველა დროში ჩემთან იმოგზაურე...
ქარიშხლიან ქარტეხილებს ნაჩვევო!
დედაჩემო... კეთილო დედაჩემო!

* * *

მოვედინ სუფევა შენი!...
ღირს მყავ — შენს ბილიკებს ვგვიდე...
ეკიდოს სინათლის ცეცხლი
სამყაროს ზღურბლსა და კიდეს.
გალობდეს ზეცა და მიწა
შენს სიტყვას: ძველსა თუ „ახალს“...
მინდა სიკვდილამდე გნახო...
მერე ხომ ისედაც გნახავ..

## გაზეთის 90 წლის იუბილე

# ლიტერატურული საქართველო

## „ლიტერატურული საქართველო“ ლიტერატურული საქართველოსთვის!

დიდი-დიდი რვა-ნახევარი წლისა იქნება. მოვლენ, ამშესრულდა 90 წელი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ დაარსებიდან.

ცხრა ათეული წელი ცოტა არ არის იმისათვის, რომ ვისაუბროთ კულტურულ ტრადიციაზე, ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების ერთიან ხაზზე, დროთა, თაობათა და იდეათა კავშირზე, ერთი სიტყვით, ისტორიაზე, რომელიც არის, იყო და კვლავაც გაგრძელდება.

ეს ისტორია არის ისეთი, როგორიც იყო საქართველოს, ქართველი კაცის, ჩვენი ქვეყნის საზოგადოების ცხოვრება, პრაქტიკა, არსებობა, ფიქრი.

იყო წარმატებებიც, იყო ჩავარდნებიც, იყო აღმაფრენაც და იყო დაცემაც იმიტომ, რომ იყო ცხოვრება, არსებობა, ყოფიერება, ყოველდღიურობა. ვერავინ იტყვის, ცხოვრების მძიმე გზები გამოვიარე და მწვირეც არ მომცხებიაო. თუმცა დღეს მხოლოდ ისტორიას ვიხსენებთ, გამოვლილ დროს, შორეულსა და მახლობელს.

როგორც არტურ შოპენჰაუერი იტყოდა, გაზეთი არის დროის ისარი, საათის ისარი, და „ლიტერატურული საქართველოც“ აღნიშნავდა და აღნიშნავს დროს, ცდილობს, გვიჩვენოს, რა დროში ვცხოვრობთ და გამოხატოს თავისი დროის, ეპოქის, სივრცის ხასიათი და სულისკვეთება – უპრეტენზიოდ, დაკვირვებით, საქმიანად.

* * *

„ლიტერატურული საქართველოს“ პირველი ნომერი გამოვიდა 1931 წლის 1 ნოემბერს. გაზეთს ხელს აწერდა სარედაქციო კოლეგია: რაჟდენ გვეტაძე, ნიკოლო მიწიშვილი, შალვა რადიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ალექსანდრე სულავა, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, სიმონ წვერავა.

პირველი ნომრის მოწინავე წერილი, რა თქმა უნდა, სავსეა იდეოლოგიური თემებითა და მოტივაციებით, მაგრამ არის ერთი საგულისხმო, მნიშვნელოვანი, აუცილებელი ფრაზა: „სალიტერატურო გაზეთი“ ადგილს დაუთმობს თავის ფურცლებზე ყოველგვარ ნაწარმოებებს, რომელიც კი ქართულ მწერლობის შემდგომ წინსვლას, განვითარებას ხელს შეუწყობს“. გაზეთი იყო ათდღიური, ანუ გამოდიოდა ათ დღეში ერთხელ. თავიდან ეკუთვნოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციას, შემდეგ 1932 წლიდან მწერალთა კავშირს. რედაქცია მოთავსებული იყო ეგნატე ნინოშვილის სახელობის მწერალთა სასახლეში, მაჩაბლის ქ. №13-ში.

1932 წლის 1 იანვარს გამოვიდა მე-7 ნომერი, მაგრამ 21 იანვრიდან დაიწყო გაზეთის ხელახალი ნუმერაცია. ამიტომ იმ წელს ორი მე-7 ნომერი გამოვიდა: 1 იანვარსა და 21 მარტს.

შეიცვალა პასუხიმგებელი რედაქტორიც. 1932 წლის 21 იანვრიდან გაზეთს დავით დემეტრაძე ხელმძღვანელობს.

რედაქცია ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მკითხველი მოიზიდოს და ამისათვის გვერდებს თემატურად ამრავალფეროვნებს. 1934 წლის 30 ნოემბრის მოწინავეში ვკითხულობთ: „გაზეთი აერთიანებს და ასახავს საუკეთესოს, რაიც მოეპოება თანამედროვე ქართულ მწერლობას. მართალია, იგი ვერ ითამაშებს ჟურნალისა ან ალმანახის როლს და ვერ დაბეჭდავს თავის ფურცლებზე დიდ რომანებს ან ეპიურ პოემებს, მაგრამ კრიტიკის, ბიბლიოგრაფიის, ანოტაციისა და რეკლამის საშუალებით მკითხველი ყველაფერს გაიგებს ჩვენი გაზეთიდან მიმდინარე ლიტერატურული ცხოვრების შესახებ საქართველოში და მთავარ ხაზებად საბჭოთა კავშირის სხვა ეროვნებათა კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობის შესახებაც“.

ამავე წერილში რედაქცია იმედოვნებს, რომ 1935 წლიდან გაზეთს ეყოლება არანაკლებ 20 000 წლიური ხელმომწერი, რაც დაეხმარება იმაში, რომ „თავისმრჩენელ“ გაზეთად გადაიქცეს.

1935 წელს გაზეთს ცოტა ხნით ხელს აწერს პლატონ ქიქოძე. 1936-37 წლებში პასუხიმგებელი რედაქტორები არიან ჯერ აკაკი თათარიშვილი, შემდეგ დავით დემეტრაძე, რომელსაც ისევ აკაკი თათარიშვილი ცვლის და ბოლოს, 1937 წლის 20 აპრილიდან – შალვა რადიანი.

დაარსებიდან გამოცემას ეწოდებოდა „სალიტერატურო გაზეთი“, 1934-35 წლებში – „ლიტერატურული გაზეთი“, 1936 წელს ეწოდა „ლიტერატურული საქართველო“ და ამ სახელით გამოდიოდა 1943 წლამდე.

1941 წლიდან 1943 წლამდე გაზეთს ხელს აწერს არა რედაქტორი, არამედ რედკოლეგია: ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

1943-1953 წლებში ეწოდებოდა „ლიტერატურა და ხელოვნება“.

ეს შემთხვევითი არ იყო. გაზეთის პროფილი გაფართოვდა. ლიტერატურის გარდა, ხელოვნების

საკითხებსაც აშუქებდა. გამოდიოდა საქართველოს მწერალთა კავშირისა და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ეგიდით. რედაქტორია გიორგი ნატროშვილი.

არსებობის პირველი ოცი-ოცდაორი წლის განმავლობაში გაზეთმა მრავალჯერ შეიცვალა გარეგნული სახე, ფორმა, ლოგო, არ შეუცვლია კონცეფცია – მისი ყურადღება თითქმის მთლიანად თანადროული ქართული ლიტერატურისკენ იყო მიპყრობილი და ნაკლებად გამოხატავდა ინტერესს საზღვარგარეთული მწერლობის მიმართ. ავტორებს შორის არიან სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, კერძოდ, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, დემნა შენგელაია, ლეო ქიაჩელი, ნიკო ლორთქიფანიძე, გერონტი ქიქოძე, კოლაუ ნადირაძე, სიმონ ჩიქოვანი, ვახტანგ კოტეტიშვილი, პავლე ინგოროყვა, სანდრო შანშიაშვილი, კოტე ხიმშიაშვილი, შალვა დადიანი, კონსტანტინე კაპანელი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, სერგო კლდიაშვილი, აკაკი გაწერელია, ვიქტორ გაბესკირია, აკაკი ბელიაშვილი, გიორგი შატბერაშვილი, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, ოთარ ჩხეიძე, მურმან ლებანიძე, ფრიდონ ხალვაში, მიხეილ ქვლივიძე, გაბრიელ ჯაბუშანური, რევაზ ჯაფარიძე... ლაპარაკი არ არის პროლეტარულ მწერლებსა და კრიტიკოსებზე, მათ ლიდერზე – ბესო ჟღენტზე.

რედაქციასთან თანამშრომლობენ მხატვრები: აპოლონ ქუთათელაძე, თამარ აბაკელია, უჩა ჯაფარიძე, დავით ქუთათელაძე, შალვა მამალაძე, სევერიან კეცხოველი, ვახტანგ ჯაფარიძე, ლადო გუდიაშვილი, ირაკლი თოიძე, ელენე ახვლედიანი, დავით წერეთელი, შოთა და მარგარიტა მეტრეველები, ალექსანდრე გიგოლაშვილი, გიორგი ნიჟარაძე, სიმონ მაისშვილი, გივი ლომიძე, გიგლა ფირცხალავა და სხვები.

1953 წლის 13 თებერვლიდან ისევ „ლიტერატურული გაზეთი" ეწოდა და დაიწყო გამოსვლა პარასკეობით – საქართველოს მწერალთა კავშირის ეგიდით. რედაქტორი ისევ გიორგი ნატროშვილია. ჩნდება ახალი სახელები: ოთარ ჭილაძე, თამაზ ჭილაძე, ედიშერ ყიფიანი, ნოდარ წულეისკირი, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე, რევაზ ინანიშვილი, ვახუშტი კოტეტიშვილი, ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჯავახაძე, ნაზი კილასონია, ოთარ მამფორია, ლადო მრელაშვილი, მორის ფოცხიშვილი, გურამ ასათიანი, ელგუჯა მაღრაძე, ნოდარ კაკაბაძე, ზურაბ კაკაბაძე...

გაზეთის გვერდებზე გამოჩნდა გურამ თიკანაძის ფოტონამუშევრები. მასთან ერთად იბეჭდება ბ. დადვაძის, შ. ჩხეტიანის, შ. ცინცაძის, ზ. რუსიას, თ. ასათიანის ფოტოგრაფიები.

1963 წლის 8 თებერვილიდდან გაზეთს რედაქტორობს იოსებ ნონეშვილი, რომლის ინიციატივით აღდგა ძველი სახელი – „ლიტერატურული საქართველო". გამოჩნდა სხვა სიახლეებიც, პირველად ისტორიაში ლოგო იბეჭდება წითელ ან ლურჯ ფერებში, სათაურები მხატვრულად ფორმდება, აშკარაა ინფორმაციის პრიმატი, გამოდის ფერადი ჩანართი „პოეზიის დღე". ჩნდება ახალი სახელები – ჭაბუა ამირეჯიბი, რეზო ამაშუკელი, ემზარ კვიტაიშვილი, გურამ გვერდწითელი, გიორგი სანადირაძე, კობა იმედაშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე... იბეჭდება დაახლოებით ოცდაათი ფოტოგრაფის ნამუშევრები, მათ შორის არიან ვარლამ გენგიური, ავთანდილ გურასაშვილი, სიმონ კილაძე, სანდრო მამასახლისი, გივი შეყილაძე, შალვა ფურცხვანიძე. მხატვრებიდან აქტიურობენ – კორნელი სანაძე, ჯემალ ლოლუა, ზურაბ ფორჩხიძე.

1967 წლის 10 თებერვლიდან 1968 წლის 19 იანვრამდე „ლიტერატურული საქართველო" მრავალმხრივი, მრავალთემატური და რეფლექსიური ხდება. იბეჭდება ისეთი ლიტერატურა, როგორიც მანამდე იშვიათად ჩანდა გაზეთის ფურცლებზე, მაგალითად, გივი გეგეჭკორის მიერ თარგმნილი არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდი" და შარლ ბოდლერის „ნაოსნობა". თამაზ ჩხენკელი მკითხველებს წარუდგენს ნიკო სამადაშვილის პოეზიას. ავტორთა შორის ვხედავთ ნოდარ ჩხეიძეს, ლალი ავალიანს, ეთერ სახვაძეს, დოდო ჯაჭვლიანს, ლია სტურუას, ელიზბარ ჯაველიძეს, რევაზ სირაძეს, რეზო ჭეიშვილს, ალექსი ჭინჭარაულს...

ამ მოკლე პერიოდში გაზეთში რედაქტორობდა რევაზ თვარაძე

1968-1973 წლებში რედაქტორია რევაზ მარგიანი.

1973 წლის 24 აგვისტოდან 1987 წლის 6 მარტამდე გაზეთს ხელს აწერს ვახტანგ ჭელიძე. კიდევ უფრო ფართოვდება ავტორთა წრე. ერთმანეთის გვერდით ვხედავთ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს – ნოდარ დუმბაძეს, გურამ დოჩანაშვილს, გოდერძი ჩოხელს, რევაზ გაბრიაძეს, ნაირა გელაშვილს, მანანა ჩიტიშვილს, ვანო ჩხიკვაძეს, ნუგზარ შატაიძეს, თენგიზ ჩალაურს, ლევან ბრეგაძეს, მზია ბაქრაძეს, აკაკი ბაქრაძეს, ლერი ალიმონაკს, რაულ ჩილაჩავას, ზაალ სამადაშვილს, შადიმან შამანაძეს, თეიმურაზ დოიაშვილს, დალილა ბედიანიძეს, ზაურ კალანდიას, მზია ხეთაგურს, ანა მხეიძეს, მურმან ჯგუბურიას, თამაზ ვასაძეს, როსტომ ჩხეიძეს, თამაზ ნატროშვილს, თემურ აბულაშვილს... მხატვრებიდან – ზურაბ ნიჟარაძეს, თენგიზ მირზაშვილს, გოგი წერეთელს, სპარტაკ ცინცაძეს, მალხაზ თავაძეს, კარლო ფაჩულიას, დიმიტრი ერისთავს, მიხეილ ნონიკაშვილს, ჯემალ ზენაიშვილს, ფოტოგრაფებს – ზურაბ დათუაშვილს, ჯემალ კასრაძეს, ჯავარ ლომაძეს, მურმან ჩაჩუას...

1987-1991 წლებში გაზეთი ელიზბარ ჯაველიძის ხელმძღვანელობით გამოდიოდა. ეს იყო დრო, როდესაც „ლიტერატურული საქართველო" მრავალათასიანი ტირაჟით იბეჭდებოდა და იმხელა შემოსავალი ჰქონდა, ბიუჯეტად ერთ მუნიციპალიტეტს ეყოფოდა.

1991 წლის 7 ივნისიდან წლის ბოლომდე მთავარი რედაქტორის პოსტი სოსო სიგუას ეკავა. ეს

არ იყო იოლი პერიოდი.

ამ წლებზე რომ ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ჩვენი უდროოდ წასული კოლეგები: თამაზ ბიბილური, ჯუმბერ თითმერია, გივი ჯოხაძე, მამუკა წიკლაური, ციალა ჩხეიძე, ელიზბარ მაისურაძე, მალიკო ხელაშვილი და მათთან ერთად ყველა, ვინც ქმნიდა „ლიტერატურული საქართველოს“ ისტორიას.

1992 წლის იანვრიდან რედაქციას სათავეში ჩაუდგა თამაზ წივწივაძე, რომელიც ყველაზე დიდხანს, 26 წლის განმავლობაში რედაქტორობდა გაზეთს.

2007 წლის აგვისტოში იყო დარბევა, რედაქცია სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის ძალით გამოდევნეს გუდიაშვილის მოედანზე მდგარი ცნობილი შენობიდან. ამის შემდეგ გაზეთი შეფერხებებით გამოდიოდა. 2013 წლიდან თამაზ წივწივაძისა და რედაქციის მეგობრების ძალისხმევით გაგრძელდა გაზეთის გამოცემა... და ასე მოვედით საიუბილეო, 2021 წლამდე.

90 წელი! – გზა, შრომა და ისტორია.

ოთხმოცდაათი წლის „ლიტერატურული საქართველო“ ლიტერატურული საქართველოსთვის!

• • •

# ტრაგიკული ბედისწერა

## ნოდარ პაპუაშვილი



### თავისუფლების სიმბოლო თუ...

„გადამიქანდა ფიქრების გუნდი“...
ნიკო სამადაშვილი

1966 წელს გიორგი დანელია შეუდგა „ჰაჯი მურატის“ გადაღებას. სცენარის ავტორი რასულ გამზათოვი იყო, თუმცა „გოსკინომ“ დახურა პროექტი. მის შესახებ, სხვადასხვა სახელწოდებით გადაიღეს ფილმები გერმანიაში, იტალიაში, იუგოსლავიაში, თურქეთში.

მისი დაბადების თარიღად ასახელებენ 1818, 1816, 1814 წლებს...

მისი გაორებული პიროვნების სახელი ქუხდა მთელ ამიერკავკასიაში..

1852 წელს მოკლეს ბელიაჯაკთან (ბელაქანი), ნუხის მაზრაში.

ლევ ტოლსტოიმ მიუძღვნა მართლაც შედევრი, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე წერდა, ასწორებდა და ანდერძით მხოლოდ მწერლის სიკვდილის მერე გამოიცა, ისიც შესწორებებით.

დადიოდა ტფილისის ქუჩებში, ესწრებოდა იტალიურ ოპერებს და უდიდესი ღირსებით ეჭირა თავი, თუმცა ისევე სძულდა რუსები, როგორც თვით შამილი, რომლის უპირველესი ნაიბი იყო ერთ დროს..

ტფილისში მოხდა პირველი შეხვედრა ვორონცოვთან, რომელსაც ოჯახის დახსნას სთხოვდა შამილის ტყვეობისგან.

„როცა მისაღებ ოთახში მხნე ნაბიჯით და ოდნავ კოჭლობით შემოვიდა ჰაჯი მურატი, ყველამ მიაპყრო თვალი და მას ოთახის სხვადასხვა კუთხიდან ჩურჩულით წარმოთქმული მისი სახელი შემოესმა.

ჰაჯი-მურატს გრძელი, თეთრი ჩოხა ეცვა, ყავისფერი ახალუხის საყელოზე ვერცხლის სირმა ჰქონდა შემოვლებული. ფეხზე შავი პაჭიჭები და შავი მესტები ეცვა. მესტები ხელთათმანებივით ჰქონდა ფეხზე შემოტმასნილი. თავზე ჩალმიანი ფაფახი ეხურა. ოდნავ კოჭლობის გამო მთელ წერწეტ ტანს ხრიდა იმ ფეხისკენ, რომელიც მეორეზე მოკლე იყო. მისი შორი-შორ ჩამჯდარი თვალები მშვიდად იყურებოდნენ და თითქოს ვერავის ამჩნევდნენ.

ადიუტანტი მიესალმა და სთხოვა, დამჯდარიყო, სანამ ის თავად ვორონცოვს მოახსენებდა. ჰაჯი-მურატმა უარი თქვა დაჯდომაზე, ხელები ხანჯალზე დაიწყო, ცალ ფეხს დაეყრდნო და იდგა, თან იქ მყოფთ ზიზღით ათვალიერებდა“.

ალ. .დიუმას ცნობით, მამაცი მთიელის თავი სპირტში ჩაუდვიათ ზაქათალაში და თბილისში ჩამოუტანიათ 1852 წლის 30 აპრილს. იქიდან კი პეტერბურგს გადაუგზავნიათ. .გრიგოლ ორბელიანიც ვრცლად აღწერს ამ ამბებს თავის „წერილებში“.

მხატვარმა კორადინმა კი ასე შექმნა ცნობილი ნახატი. კორადინს ეკუთვნის ასევე გიორგი ერისთავის „გაყრის“ სცენების ჩანახატები, 1850 წელს.

1959 წელს კი კახის რაიონში საფლავის გათხრისას, მართლაც აღმოაჩინეს უთავო ჩონჩხი.

ჰაჯი-მურატის ცნობილი პორტრეტი მხატვარმა გრიგოლ გაგარინმა ნატურიდან შექმნა 1852 წელს, თბილისში, ნაიბის სიკვდილამდე ცოტათი ადრე და ერთ-ერთ საყურადღებო ფერწერულ ტილოს წარმოადგენს მხატვრის კავკასიური სერიიდან.

მწერლის მეუღლე



# „სიგარეტის მოწევა სასტიკად ეკრძალებოდა, ის კი... ფრაზასაც ვერ წერდა უსიგარეტოდ“



## როგორ აქცია ჯუგაანში სახლი მწერლის მეუღლემ პატარა ოაზისად

**10 ოქტომბერს სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანში მწერალ თემურ აბულაშვილის ხსოვნის საღამო გაიმართა და მემორიალური დაფა გაიხსნა.**

**იგი 2018 წელს 71 წლის ასაკში გარდაიცვალა, ლამაზი შემოქმედება კი დაგვიტოვა – პროზაული კრებულები: „ჩიტები უფასოდ“, „ველის ხარი“, „გზა ვარსკვლავეთისაკენ“, „მდინარეს მიაქვს ამბავი“, „1992 წლის ფეხბურთი“...**

**ქართული თეატრების სცენაზე წარმატებით იდგმებოდა მისი პიესებიც – „წეროს გუთანი უბია“, „სიცოცხლემისჯილი ტყვე“, „ფრინველების საქორწინო ცეკვები“, „თოჯინების სოფელი“, „დღესასწაული თეთრი მაიმუნის სამეფოში“...**

**დღეს ჟურნალ „ანეულის“ სტუმარია მწერლის მეუღლე, ქალბატონი ნონა მაქაცარია, რომელიც ბევრს აკეთებს მეუღლის სახელის უკვდავყოფისთვის. სწორედ მისი თაოსნობით სოფელ ჯუგაანში მწერლის სახლი პატარა ოაზისად გადაიქცა, სადაც მწერალი მეორე სიცოცხლეს განაგრძობს. მას 2022 წლის აპრილში 75 წელი შეუსრულდებოდა... ეს ინტერვიუც გარდასულ მოგონებებს აცხოველებს და მომავლისკენ გაჭრილი პატარა სარკმელია.**

**– სამეგრელოში გაიზარდეთ. ისე რუდუნებით უვლით და პატრონობთ თემურ აბულაშვილის დანატოვარს, ალბათ ბავშვობიდან გიყვარდათ ლიტერატურა, ხელოვნება....**

– დავიბადე ზუგდიდში. მამა – გიორგი (ჟორა) მაქაცარია პროფესიით ინჟინერ-მშენებელი იყო, სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ნამუშევარი. დედა გალინა (გაგალი) როგავა – მათემატიკის მასწავლებელი, რომელიც დაოჯახების შემდეგ გახდა დიასახლისი, ხუთი შვილის აღმზრდელი, თავის პედაგოგიურ გამოცდილებას უზიარებდა მათ.

ჩვენი ოჯახი გამოირჩეოდა სტუმართმოყვარეობით, მეზობლების, მეგობრების, ახლობლების ლხინსა თუ ჭირში თანადგომის საოცარი უნარით, დაკავებული იყო ქველმოქმედებით. სამეგრელოსათვის დამახასიათებელი პურ-მარილით.

ოჯახი ხშირად მასპინძლობდა უამრავ კოლორიტს: წარჩინებულ მოღვაწეებს, მწერლებს, პოეტებს, მუსიკოსებს. აქ იმართებოდა სალონური საღამოები, სადაც ჟღერდა ქართული ლექსი, სიმღერა, ცეკვა. მშობლები პატარაობიდანვე გვინერგავდნენ ღვთისა და მოყვასის სიყვარულს, სამართლიანობას.

ვიყავი აქტიური აღსაზრდელი, საბავშვო ბაღის პერიოდშივე დავიწყე ცეკვა, შევისწავლე ქართული ანბანი, ზეპირად ვიმახსოვრებდი რამდენიმესტროფიან ლექსს და ჩამარცვლით ვკითხულობდი კიდეც.

ყველაზე საინტერესო ჩემი ბავშვობიდან ის იყო, რომ პირველკლასელს მიმაღებინეს მონაწილეობა ზუგდიდის თეატრში გამართულ საიუბილეო საღამოზე, რომელიც ეძღვნებოდა დიდ ქართველ მსახიობს აკაკი ხორავას, მე წავიკითხე ვაჟა-ფშაველას ლექსი – „დაგვიანებული პასუხი აკაკის“. მოწონების ნიშნად დავიმსახურე მხურვალე ტაში და ხორავას ამბორი.

**– სკოლის პერიოდი... რატომ გადაწყვიტეთ ჟურნალისტობა?**

– სკოლის პარალელურად ვიყავი მოსწავლეთა სასახლის დრამატული წრის წევრი, სადაც ვმონაწილეობდი სხვადასხვა სპექტაკლში. ხან ვიყავი წამყვანი, ხან რომელიმე როლს ვანსახიერებდი, მაღალ კლასებში კი ვცეკვავდი და საბავშვო ოლიმპიადებში აქტიურად ვიყავი ჩართული.

დავიმსახურე საერთაშორისო პიონერთა ბანაკ „არტეკის“ საგზური, რომელიც საზეიმო ვითარებაში გადმომცა ზუგდიდის განათლების განყოფილებამ.

წარჩინებით დავამთავრე ზუგდიდის პირველი საშუალო, საუკუნოვანი სკოლის ათი კლასი, სკოლისა, სადაც სწავლობდნენ ისეთი კორიფეები, როგორებიც იყვნენ: მათემატიკოსი ილია ვეკუა, ისტორიკოსი შოთა მესხია, გვანჯი მანია და სხვა გამოჩენილი ადამიანები. ასეთ გარემოცვაში ყოფნამ, ლიტერატურისა და პოეზიის სიყვარულმა, აქტიურმა შემოქმედებითმა ცხოვრებამ გადამაწყვეტინა ამერჩია ჟურნალისტის პროფესია, თანაც ჩემთვის ვწერდი ჩანახატებს.

**– როგორ გაიცანით მომავალი მეუღლე – მწერალი თემურ აბულაშვილი?**

– თემურ აბულაშვილი, გავიცანი თსუ-ში გამოცდების პერიოდში, კერძოდ, ბოლო, მეოთხე – უცხო ენის (ინგლისურის) გამოცდაზე. მოვხვდით



ერთი და იმავე გამომცდელთან. მახსოვს,მე მივიღე შეფასება – ოთხი, მას კი სამიანსაც არ უწერდნენ, რადგან ჯარიდან ახალი ჩამოსული იყო და ვერ მოესწრო საგამოცდო პროგრამის სათანადოდ მომზადება, რაღაც წინადადება გადავუთარგმნე და ეს აღმოჩნდა გადამწყვეტი მისი შეფასებისა, რითაც მოხვდა იგი ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჟურნალისტის სპეციალობით (მაშინ ცალკე არ არსებობდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი).

**– და როგორც ვიცი,ერთ ჯგუფშიც მოხვდით...**

– 1970 წლის პირველი სექტემბერია,შევდივარ თსუ-ს პირველი კორპუსის მეორე სართულზე ერთ-ერთ აუდიტორიაში, სადაც ლექცია უნდა ჩაეტარებინა ქართული ჟურნალისტიკის მაესტროს – ნოდარ ტაბიძეს. ცოტას ვღელავდი იმის ფიქრით, თუ როგორ შემხვდებოდნენ თანაკურსელები, როგორ წარიმართებოდა მომავალში ჩემი ურთიერთობა მათთან, აუდიტორიაში შესვლისთანავე გამჭოლი მზერა ვიგრძენი ერთ-ერთისგან, თან რაღაცა უცნაური ხმით.

მივიხედე და ჩემს გაოცებასაც საზღვარი არ ჰქონდა, ეს პიროვნება აღმოჩნდა თემურ აბულაშვილი, ვერც მე და ვერც მას ვერ წარმოედგინა, თუ ჩვენ ერთად მოვხვდებოდით ერთ ჯგუფში.

აქედან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა, ჯერ მეგობრობით, შემდეგ კი იმ სერიოზული გრძნობის გაჩენით, რომელიც დაგვრიგვინდა ჩვენი ქორწინებით. ეს მოხდა 1972 წლის 4 მარტს.

**– ბევრი რამ საინტერესო იქნებოდა თანაცხოვრებიდან...**

– რა თქმა უნდა. მან, კახეთის კოლორიტით აღზრდილმა, შეიყვარა სამეგრელო, ყველას, ჩემს საახლობლო და სანათესაო წრეს, შეაყვარა თავი კეთილშობილებით, თავისი შემოქმედებით.

მეგრელი ხალხის სიყვარულს მიუძღვნა ნოველა „სტუმარი“, რაც შეეხება კახეთის კოლორიტით ჩემს დაინტერესებას, ჯუგაანში ბაღჩაში ჩამიდგა ისეთი თონე, რომ მე შემძლებოდა პურის გამოცხობა. ეს თონე დღესაც მოქმედია.

იმასაც აღვნიშნავ, რომ ჩვენი თანაცხოვრების პერიოდში გვიკამათია კიდეც (არცერთი ოჯახი არ არსებობს უამისოდ), მაგრამ ეს უფრო ეხებოდა თემურის ჯანმრთელობას,დაავადებული იყო სისხლძარღვების შევიწროებით და სიგარეტის მოწევა სასტიკად ეკრძალებოდა. ის კი თავს ვერ ართმევდა ამ მავნე ჩვევას,უფრო მეტიც,ერთ ფრაზასაც ვერ წერდა უსიგარეტოდ. მისი სამუშაო ოთახი მუდამ თამბაქოს კვამლით იყო გაჟღენთილი და ყოველ საათში საჭირო ხდებოდა მისი განიავება, სავსე საფერფლის დაცლა. საფერფლედ ხშირად ხმარობდა სხვადასხვა ნიჟარას, ბოლოს ლექსიც კი მიუძღვნა მას. სწორედ სიგარეტი გახდა საბოლოოდ მისი ლოგინად მიჯაჭვის მიზეზი.

**– როგორ მუშაობდა თემური?**

– თემური ძალიან მიზანდასახული შემოქმედი იყო. ჰქონდა პერიოდები: ფიქრის, დაკვირვების. ერთი შეხედვით, გეგონებოდა, ისვენებსო, მაგრამ ამ დროსაც ვგრძნობდი, რომ მას რაღაც შინაგანად აფორიაქებდა, მერე უცბად გადმოღვრიდა თაბახზე ნააზრევს, ასწორებდა, აშალაშინებდა, ამას ეძახდა ფრაზაზე მუშაობას, ერთი და იგივე აბზაცს, ყველაზე ცოტა, ხუთჯერ და ყველაზე ბევრი – ათჯერ მაინც რატომ არ გადაწერდა, რასაკვირველია, ამ დროს ითხოვდა სიწყნარეს ოჯახის წევრებისგან, განსაკუთრებით ბავშვებისაგან. ამიტომაც უფრო ხშირად საღამოს საათებში მუშობდა. ხშირად შემოათენდებოდა ხოლმე.

მისი შემოქმედების პირველი წამკითხველი ხომ მე ვიყავი, მაგრამ ჰყავდა ისეთი მეგობრებიც, რომელთა აზრს ამა თუ იმ საკითხზე უსათუოდ გაიზიარებდა, მაგალითისთვის შემიძლია დავასახელო ღირსეული მწერალი და ჩვენი ოჯახის უღალატო მეგობარი თამაზ ბიბილური, იგივე ბიბი, როგორადაც ვეძახდით მას.

**– მახსოვს აფხაზეთის თემაზე დაწერილ ნოველას – „1992 წლის ფეხბურთი“ როგორი დიდი რეზონანსი ჰქონდა... მას გიორგი შერვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა...**

– თემურს ძალიან უხაროდა შემოქმედებითი წარმატებები, ეს განსაკუთრებით გამოჩნდა დრამატურგიული მოღვაწეობის პერიოდში. მისი პიესები იდგმებოდა სხვადასხვა თეატრში,მიღებული ჰქონდა ჯილდოები და ყველაზე მთავარი – მაყურებლის სიყვარული. აფხაზეთის თემაზე დაწერილმა ნოველამ კი „1992 წლის ფეხბურთი“ იგი უფრო პოპულარული გახადა.

**– მოგვიანებით მისმა ნოველამ „მეწისქვილის ბიჭი და სახედარი“ რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსშიც გაიმარჯვა, მეორე პრემია მიიღო...**

– უზომოდ უყვარდა რევაზ ინანიშვილის შემოქმედება... ეს გამარჯვებაც ბავშვივით უხაროდა...

თემური სხვა საქმეებითაც იყო დაკავებული – კარგად ხატავდა, კარგად წნავდა, ნახატები და დაწნული ნივთები ინახება ჯუგაანში მისი შემოქმედებისთვის განკუთვნილ ოთახში. თემურს უყვარდა ყველანაირი მუსიკის მოსმენა, მებაღეობა, კერძოდ, ყვავილების, მცენარეების მოვლა. ასევე კარგად ესმოდა მევენახის საქმიანობა, ის ერთდროულად ათავსებდა ერთმანეთთან როგორც გონებრივ, ასევე ფიზიკურ მუშაობას. იყო კარგი შვილი, კარგი მამა, კარგი მეუღლე, კარგი მეგობარი.

**– თემურის გარდაცვალების შემდეგ თქვენ პატრონობთ მის შემოქმედებას. ალბათ საინტერესო არქივი ექნება დარჩენილი...**



— თემური ორწელიწად-ნახევარი მიჯაჭვული იყო ლოგინს,ინსულტის შედეგად,ჰქონდა ფეხების გაუსაძლისი ტკივილები, ვუკეთებდით ძლიერ ტკივილგამაყუჩებლებს, ხშირად გათიშულს ეძინა. ზოგჯერ, აზრზე მოსული, სულ გაიძახოდა, წამიყვანეთ ჯუგაანში, ჩემს სამოსახლოში, იქ არიან ჩემებიო. ალბათ დედ- მამას გულისხმობდა.

თემურის მამა იოსებ აბულაშვილი პროფესიით აგრონომი, კარგი მევენახე იყო. ზედმიწევნით იცოდა ვაზის მოვლის,მოშენების მთელი რიტუალი, წლის დასაწყისიდან ე.ი. იანვრიდან დაწყებული დეკემბრის ჩათვლით. თუ რა სჭირდებოდა ამ სასიქადულო მცენარეს. თემურმა, რასაკვირველია, გაითვალისწინა ეს ყოველივე და მოგვიანებით, როდესაც გახდა პროფესიონალი ჟურნალისტი, მამისეული გამოცდილება გამოიყენა თავისი მნიშვნელოვანი ნარკვევის ,,საძირე და სამამულეს'' შესაქმნელად,რომელიც ეხებოდა ვაზის კულტურას. ეს ნაწარმოები დაიბეჭდა ჯერ გაზეთ ,,ახალგაზრდა კომუნისტში“ და შემდეგ გაზეთ ,,ლიტერატურულ საქართველოში“.

თემურის დედა ციცინო ხუციშვილი იყო რუსული ენის მასწავლებელი. თავისი პედაგოგიური გამოცდილებით ზრდიდა იგი შვილს. ბავშვობიდანვე უნერგავდა წიგნის სიყვარულს. მოუწოდებდა, ბევრი წაეკითხა და მიეღო წიგნიერი განათლება. მართლაც,თემური წიგნებზე უზომოდ შეყვარებული, ყველაზე დიდ სიამოვნებას მაშინ ღებულობდა, როდესაც თავის ბიბლიოთეკას ავსებდა ახალ-ახალი გამოცემებით.

ბოლო თვეებში იგი თითქმის სულ გათიშული იყო. ეს ნატვრა, რასაკვირველია, ჩვენ მას ვერ შევუსრულეთ. სიკვდილიდან რამდენიმე დღის წინ გადავიყვანეთ საავადმყოფოში, რადგან შინაური პირობებით მისი მოვლა შეუძლებელი გახდა.

თემური გარდაიცვალა 2018 წლის 30 ნოემბერს, დავკრძალეთ თბილისის ზღვასთან მდებარე სასაფლაოზე. მას ბევრი რამის გაკეთება სურდა, კერძოდ, თავისი არქივის გადახალისება, თავისი შემოქმედების ერთად თავმოყრა, მაგრამ არ დასცალდა. მის არქივს ამჟამად მე ვპატრონობ, ბევრი რამ ჩემთვისაც უცნობი იყო და ახლა ვეცნობი. მართლაც, საინტერესო არქივი აღმოაჩნდა.

**— სოფელ ჯუგაანში ბევრს აკეთებთ, რომ მწერლის მუზეუმმა იარსებოს...**

— ჯუგაანი ძალიან უყვარდა თემურს, თვლიდა თავის სამოსახლოდ, ხშირად დადიოდა უძრაობის პერიოდშიც კი, როცა არ იყო ელემენტარული საცხოვრებელი პირობები და ამბობდა: ,,ესეც რომანტიკააო“. მასაც მე ვპატრონობ, გავიყვანე გაზი, სინათლე, წყალი. სახლის ერთ-ერთ ოთახში თემატურად მოვაწყე თემურის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი კუთხეები შესაბამისი სურათებით. თაროებზე განვათავსე თემურის პირადი ნივთები, გამოცემული წიგნები, ჟურნალები, ბიბლიოთეკა.

ერთი სიტყვით, ვფიქრობ, შევქმენი სასიამოვნო გარემო მის მოსაგონრად, გასაკეთებელი კიდევ ბევრია, კერძოდ, სჭირდება ბაღჩას, ეზოს, მცენარეებს მოვლა, ტალავერზე ყურძნის ჯიშებს განახლება, სანიაღვრებს გაკეთება, თავად სახლს შეკეთება და ასე შემდეგ.

**— შვილები...**

— თემურის ვაჟიშვილს ბექას,რომელიც პროფესიით მომღერალია და მუშაობს ეროვნულ კაპელაში ცოლთან, ქეთევან ბერაძესთან, ერთად ჰყავს ორი ვაჟიშვილი: ლევანი და დავითი. ლევანი უფროსია და მსახურობს, დავითი კი არის სამედიცინო უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი,ჩვენი ქალიშვილი,სალომე ,,112“-ის თანამშრომელია მაიორის წოდებით, მისი ქალიშვილი თამარ ჩერქეზიშვილი კი მეათე კლასის სკოლის მოსწავლეა.

**— თემურის ახალ წიგნს ამზადებთ გამოსაცემად...**

— მინდა თემურის ხსოვნას მივუძღვნა ორტომეული, რჩეულის სახით, რომელშიც თავმოყრილი იქნება ყველაფერი, რაც თემურს შეუქმნია და ისიც, რაც მასზე დაწერილა. ეს იყო თემურის სურვილი. ღმერთმა თუ ინება, გამოცემას ვფიქრობ ახლო მომავალში, — გაზაფხულისკენ, აპრილში თემური 75 წლის გახდებოდა.

**— ჯუგაანში თემურ აბულაშვილის ხსოვნის საღამო გაიმართა...**



— 10 ოქტომბერს, მოწვეულმა სტუმრებმა — თემურის ახლო მეგობრებმა, ნათესავებმა, მწერლებმა დაათვალიერეს მისი ოთახი, ეზო-გარემო, ბექას და მისი მეგობრებისგან შემდგარი ,,ტრიოს“ სიმღერების ფონზე, მოიგონეს და გაიხსენეს თემურთან გატარებული დღეები, ილაპარაკეს მისი შემოქმედების შესახებ, ბოლოს სახლის კედელზე დამონტაჟდა თემურის სახელობის მემორიალური დაფა.

თამარ შაიშმელაშვილი

პროზა

# ეკა აბაზაშვილი



## სიყვარულით...

თავისზე უმცროს დებს დაემშვიდობა და სახლის კარები გამოხურა. დისშვილთან ერთად უცხო მარკის მანქანაში ჩაჯდა. ღვედები გადაიჭირეს და დაიძრნენ ადგილიდან. ზაფხულის სასიამოვნო ცხელი ამინდია. ქოთქოთებს დედაქალაქი, ადამიანები სადღაც მიიჩქარიან, სასიამოვნოდ ფუსფუსებენ, მოძრაობენ, სიცოცხლე იგრძნობა... მიმავლები ხილ-ბოსტნეულის საყიდლად გზის ნაპირზე ღია სივრცეში გაშლილ პატარა ბაზართან შეჩერდნენ. სამი თვე გავიდა, რაც არ ჩასულა კახეთში,მამისეულ სახლში. ახლა კი დროა, როცა სასწავლო წელი დასრულდა, ბოლო კრება მოისმინა და ზაფხულის არდადეგების დღეები ჩამოდგა.

სამ ათეულ წელიწადზე მეტია თბილისის ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებლად მუშაობს. დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს საკუთარი საქმიანობის მიმართ,მაგრამ უფრო დიდს — უფლის წინაშე. მასწავლებლობა ღვთისგან განსაკუთრებულად კურთხეული საქმიანობაა. მასწავლებელი თავისი შრომით მოძღვარსაც კი ჰგავს, რადგან ერთ დიად საქმეს თავდაუზოგავად ემსახურებიან: ადამიანის პიროვნულ და სულიერ ზრდას!. მასწავლებელი და მოძღვარი მხოლოდ ფაქტობრივ ისტორიებზე როდი საუბრობენ თავიაანთ შვილებთან,არამედ უძლიერეს ღვთაებრივ სულიერებაზე ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის შესწავლით, საუბრებით წმინდანთა ცხოვრებისა და ღვაწლმოსილების შესახებ. ყოველივე ეს აღვიძებს ადამიანში მიძინებული სულის სიფაქიზეს, კეთილშობილ გრძნობებს,ეხმარება,ადამიანმა გააცნობიეროს და მოიხვეჭოს სულიერი სათნოებები და მრავალი ლიტერატურული თუ პრაქტიკული მაგალითებით დაანახოს ჭეშმარიტი სიყვარული თანამოძმისა, და რაც მთავარია, ქვეყნიერების შემოქმედის მიმართ. მასწავლებლობა პასუხისმგებლობაა ღვთისა და კაცის წინაშე და არ მიეტევება, თუკი ვერ გადაარჩენს ადამიანში პიროვნებას, არ აღძრავს პატრიოტულ გრძნებებს, არ ასწავლის თავდადებას, წინაპრების მიერ გაწეული შრომისა და ამაგის დაფასებას. მოძღვარიც ხომ ამ ამოცანების წინაშე დგას სხვა მრავალ მიზანთან ერთად!

სწორედ ეს მიზნები დაისახა ნატალიამ სკოლის სხვა საჭიროებებთან ერთად. თითოეულ მოსწავლეში უფლის გადასარჩენ სულს ხედავს, რომელიც ბოროტი თავდასხმებისაგან უნდა დაიცვას და თუ დაზიანდა, „შეაკეთოს“. თანამედროვე მოსწავლეებში კი მოჭარბებულია აგრესიულობა, თითქოს და, იკვებებიან და ხარობენ სხვების დაჩაგვრით, დამცირებით, ზეწოლით, შეშინებით, სიტყვიერი და ფიზიკური თავდასხმებით სუსტების მიმართ, თითქოს და, საკუთარი ძალმომრეობის დემონსტრირება ეწადოთ. ბულინგის ამსახველი პოსტერები უხვად არის გამოფენილი სკოლის დერეფნის კედლებზე. ნატალია დიდ შრომას ეწეოდა და მრავალ კლასგარეშე ღონისძიებებს ატარებდა,ასეთ რთულ მოსწავლეებში გამოეკვლია პრობლემები და დაესახა პრობლემის გადაჭრის გზები. ეს კი ურთულესი საქმეა ისევე, როგორც მოძღვართან, რომელიც ცდილობს, სულიერებაში გაზარდოს და გამოაფხიზლოს გზააბნეული, ცოდვებისაგან გათანგული, ხოლო ადამიანი თავისი ურჩობითა და თავმომწონეობით ჯიუტად ეწინააღმდეგება სულიერ მასწავლებელს ათასი თავის გასამართლებელი ფაქტებითა და უაზრო პრინციპულობით. სინამდვილეში ეს ყველაფერ ადამიანური სისუსტეები და სიზარმაცეა. სიზარმაცე, გაიგოს, ისწავლოს, მოსმენილი გაიაზროს, სულში ჩაიდოს, განამტკიცოს და გამოიყენოს თავის სასიკეთოდ!

ნამდვილად რთულია მასწავლებლობა! ერთი მოსწავლის სულის უნებლიე დამღუპველი რომ აღმოჩნდეს, სინანულით ღვთის წინაშე უნდა წარდგეს. თითოეული მოსწავლე უფლის შვილია, რომელსაც ღმერთი ანდობს მასწავლებელს.

ნატალია მეტად გულისხმიერი, თავმდაბალი, სულით უბრალო და მდიდარი ადამიანია, სტკივა სხვების წუხილი და განსაკუთრებით გულჩვილია წინაპრების მიმართ. თვლის, რომ მომავალმა თაობებმა გააზრებულად უნდა დააფასონ დანატოვარი მემკვიდრეობა და, საერთოდაც, სძულს ყოველგვარი გულგრილობა და უპასუხისმგებლობა.

მანქანა ბაზართან შეაჩერეს. მანქანიდან გადმოვიდა ნატალია და ხილის დახლს მიუახლოვდა. ხილის ასორტიმენტი გააკეთა და ბოსტნეულისკენ გასწია. არჩევს კიტრს, პომიდორს, ბადრიჯანს. კახეთში, ყვარელში წასაღებად სურს.

იქნებ, ერთი პომიდორი მომცეთ. — გვერდიდან სუსტი ხმა მოესმა. პომიდვრის გამყიდველის წინ ახალგაზრდა მამაკაცი იდგა,საცოდავად ხელგაწვდილი. უკანკალებდა ხელი. ავადმყოფივით გამოიყურებოდა. თვალებდახრილი იდგა. დარცხვენილი, სახე შესიებული საკუთარი ცხოვრების გამოტირებისაგან

ანდა ალკოჰოლის სმისაგან. მთელ ფიზიონომიაზე ეწერა დამცირებული ცხოვრება. გაცრეცილი, შელახული შარვალი და გრძელსახელოიანი პერანგი ეცვა,ნახევრად ძირგახეული ფეხსაცმლიდან თითები მოუჩანდა. ჭუჭყიანი ჰქონდა სახე, ხელები, თმა...

„ვინ იცის, სად სძინავს, ან სად ცხოვრობს“?!. – გაიფიქრა ნატალიამ. კაცს სასმელის სუნი ასდიოდა. მეორე ხელი მუცელზე მაგრად მიეჭირა,ალბათ შიმშილისაგან და სმისაგან გალახული კუჭი აწუხებდა...

„მშიერ კუჭზე ერთი პომიდორი“?!. – იქვე საცხობის პატარა ჯიხური იდგა. ცხელი ღვეზელები, ლობიანი, ხაჭაპური შეიძინა და უკან დაბრუნდა. კაცი ერთი პომიდვრით ხელში ნელა მიბარბაცებდა. ნახევარი უკვე შეეჭამა.

– უკაცრავად. – მხარზე ხელი დაადო ნატალიამ და ქაღალდის პაკეტში ჩალაგებული ცომეული გაუწოდა.

– მადლობა, დაო. – ასწია თვალები და ნატალიას მორიდებით შეხედა სახეში. უპოვარს ცრემლები ჩამოუგორდა თვალთაგან, ძლივს გასაგონად წარმოთქვა ეს ორი სიტყვა. გაუბედავად გამოართვა პაკეტი. ნაბიჯებიც კი შეურაცხყოფილი ჰქონდა.

– ღმერთო, ყველას უშველე! – ნატალიას ცრემლი მოადგა თვალზე. სევდიანი მზერა გააყოლა კაცს. „ვინ იცის, რა შეემთხვა“...

– დეიდა! – დისშვილის ხმამ გამოარკვია ფიქრებიდან.

ლაშას მანქანაში მუსიკა ჰქონდა ჩართული. კახეთისკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

– მაინც რა არის ეს ცხოვრება?!. – უფრო თავისთვის თქვა ნატალიამ. მას არ ესმოდა არც მუსიკა, არც ლაშას ლაპარაკი, რომელიც რაღაცას ეკითხებოდა. უპოვრის ცრემლები ედგა თვალწინ. მისი თვალები და მზერა. ამ თვალებში გატეხილი სული ჩანდა, დაკარგული ცხოვრება, ჩამქრალი სხივი,მკვდარი ცხოვრება. თითქოს ის, დასნეულებული, სიოს მიმართულებებით ირხეოდა, ქარის ტალღებს მიჰყვებოდა და არ ჰქონდა მნიშვმნელობა, საით...

– დეიდა,რა გჭირს? – ლაშამ მუსიკა გამოერთო და მანქანაც გაეჩერებინა. – ტირიხარ?

– რაა? – გაოცებით ჰკითხა და თითები თვალების უპეებთან მოისვა. მართლაც სდიოდა ცრემლი. – ისეთი არაფერია... მიდი... მიდი, იარე... სევდიანი ფიქრი მქონდა,გზა განაგრძე. – გაუღიმა,ყურადღება მასზე გადაიტანა. მეორე კურსის სტუდენტი იყო ლაშა,საკმაოდ მომხიბლავი და ჭკვიანი ახალგაზრდა. ამაგდარი დეიდის ბიჭი...

ყვარელში შესვლისთანავე გრძნობით მინაბა თვალები ნატალიამ და ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი. სიყვარულით შეჰყურებდა ლაშას, სიტყვიერად არ შეეძლო, მაგრამ მზერით ეფერებოდა. სახლიდან ყოველი გასვლისას ლოცვით აცილებდა, დედისგან არ აკლდა დალოცვა, მაგრამ ნატალიას სხვაგვარად არ შეეძლო. საკუთარი შვილი რომ ჰყოლოდა,უეჭველი ასეთი იქნებოდა ეს სიყვარული. დის შვილია, მაგრამ მისი სიცოცხლის უდიდესი ნაწილია, იმედი და მომავალი. ლაშას ყვარლის მიმართ სიყვარული რომ გააჩნია,დეიდის მიერ გაწეული შრომის შედეგია, რომელიც თავის ფესვებს, როგორც ჩვილს, ისე ელოლიავებოდა. აქ, ყვარელში, წინაპრების, დედმამის და ახალგაზრდა ძმის საფლავები აქვს. აქ, ნატალიას ფესვებია,აქ ტოვებს სული სიხარულს და საკუთარი გულის ტანჯვას. განა ოდესმე შეძლებს ამ საფლავების მიტოვებას?!. არასოდეს! ყოველ ჩამოსვლაზე, პირველ რიგში, აქეთ, სასაფლაოებისკენ მოიწევს, რათა მათ მიესალმოს, მიწას ათრთოლებული ხელის გული გადაუსვას, რომელსაც მიაბარა თავისები და მანაც გულში ჩაიკრა მისიანები და წინაპრები და ინახავს უფლის მეორედ მოსვლამდე, რადგან დადგება ჟამი და აღსდგებიან მკვდრეთით მარადიული ცხოვრებისთვის და ისევე იქნებიან ერთნი სულითა და ხორცით, როგორც თავად უფალი და დედა ღვთისმშობელია! მანამდე კი მათ საძვალეს ისევე დაალაგებს, მოუვლის, იზრუნებს მათ გალამაზება-გამწვანებაზე,როგორც დაიმსახურეს თავისი მართალი, პატიოსანი ცხოვრებით, ტანჯვითა და განწმენდით! პირადი მაგალითით ასწავლის ლაშას ფესვებისადმი სიყვარულს, მზრუნველობას და ვალდებულებას,რომელიც აუცილებლად მოეკითხება ყველა ადამიანს ღმერთის სამართლის წინაშე. არასოდეს უნდა დაივიწყოს, რომ ერთ დროს თავად გახდება წინაპარი და ეწყინება მომავლისაგან სასტიკი მივიწყება და უსიყვარულობა.

ნატალიასთვის კავკასიონის მთების გავაკებულ კალთაზე გაშენებული ყვარელი უკვდავი სულივით უძვირფასესია. ბავშვობაში, დიდ ოჯახთან ერთად ჩასულა მდინარე ბურსაზე და უჭყუმპალავია, გადასულან ბობოქარი დურუჯის ხეობაში, ტყით დაფენილი მთების კალთაზე ნეკრესის მიდამოებიდან არაერთხელ გადმოუხედავს გაშენებული ბაღებისთვის, ყანებისთვის, ვენახებისთვის... ნატალიასთვის ყვარელი ყველაფერია!

მამისეულ სახლს მიუახლოვდნენ, პაპა-ბებიისგან დანატოვარს.

ეზოში შევიდნენ. კვლავ ხარბად შეისუნთქა ყვარლის ჰაერი, თითქოს სურს, მასთან ერთად წინაპრების სურნელი შეისუნთქოსო... მზრუნველი თვალი მოავლო თხილისა და ხეხილის ბაღს და უკვე თავის მიერ გახარებულ ხესა თუ მცენარეს.

– ლაშა, ჩვენ აუცილებლად კარგად მოვუვლით ჩვენი წინაპრების დანატოვარს!...

* * *

კაფე-რესტორნის წინ ხის დაბალი ღობით შეკრული ეზოა. ფერადი ქვაფენილით არის მოპირკეთებული ეზო და სკამებშემოლაგებული რამდენიმე მაგიდა დგას. მაგიდების შუაგულში ჩალით მოწნული პატარა კალათები აწყვია,მინდვრის ყვავილებით სავსე. ყვარლის ქუჩებს გაყურებს ეს არც თუ ისე დიდი კაფე-რესტორანი. ხალხის ნაკლებობაა,რადგან

ჯერ დღის პირველი საათია, ძალიან ცხელა და ადამიანები შინ ჯდომას ამჯობინებენ. დღის მეორე ნახევარში კი ილვიძებს ყვარელი და მთელი ღამე გრძელდება მისი სიფხიზლე. ზის ნატალია ერთ-ერთ მაგიდასთან და თავის წინ მჯდომ ასაკოვან მამაკაცს შეჰყურებს. ცოტა ხანს უსიტყვოდ უმზერენ ერთმანეთს. ცნობისმოყვარეობით აკვირდება ნატალია მამაკაცს და ფიქრობს: „ვინ არის ეს უცნობი“? თავისთვის მიდიოდა ქუჩაში, საყიდლები ჰქონდა...

— ვერ მიცანით,არა? — დუმილი მამაკაცმა დაარღვია და გაიღიმა. — მადლობას გიხდით,რომ უარი არ მითხარით ამ პატარა შემოპატიჟებაზე.

— რა გნებავთ? — ცოტა ცივადაც კი ჰკითხა ნატალიამ. მხოლოდ იმიტომ დათანხმდა კაფეში მიპატიჟებას, რომ მამაკაცის დაჟინებულ მზერაში დაინახა,უარის შემთხვევაში თავს მაინც არ დაანებებდა ეს უცხო მამაკაცი და,რაც ყველაზე მთავარია, ეს კაფე-ბარი ქალაქის შუაგულში იდგა და უცნობის მიმართ შიში არ ექნებოდა. კაცთმოყვარეობის სიყვარულით დათანხმდა, გულმა უგრძნო რაღაც მნიშვნელოვანი.

— მე მინდა, მადლიერება გამოვხატო თქვენ მიმართ. ჩემი პატივისცემა,რადგან ადრე არასდროს მომეცა ამის საშუალება. დღეს კი ისე ახლოს ჩამიარეთ,მივხვდი,უყურადღებოდ ვერ გაგიშვებდით.

უფრო მეტი დაკვირვებით,მაგრამ მორიდებულად მიაშტერდა ნატალია. თითქოს მართლაც უნახავს სადღაც ეს უცნობი, მაგრამ... ნუთუ ის არის?.. გაახსენდა ის სახლი, ნახევრად ჩამოქცეული... წლების წინ შემთხვევით მოხვდა ყვარლის იმ უბანში. გარე უბანი უფრო იყო, აქა-იქ მოჩანდა სახლები, ერთმანეთს დიდი ვენახები აშორებდათ. ნატალია მაშინ ვიღაც ხელოსანს ეძებდა და კითხვა-კითხვით მოხვდა თითქოს ყვარელთან მიბმულ სხვა სოფელშიო... ერთ-ერთი სახლიდან საშინელი ხმები გამოდიოდა... ახლაც კი იგრძნო მაშინდელი შიში და ცივად შეაჟრჟოლა. შიშისმომგვრელად გამოიყურებოდა ეს სახლი, ეულად მდგომი, უკვე საღამოს ბინდში გახვეული,სიცოცხლეს მოწყვეტილივით იდგა. შიგნიდან შემზარავი ყვირილის ხმა გამოდიოდა. ადამიანურმა თანაგრძნობამ აიძულა ნატალია, დაეძლია შიში და სახლთან მისულიყო. გამბედაობა მოიკრიბა. ამის გახსენებაზე, მაშინდელივით აუჩქარდა გულისცემა.

სახლში ძველის-ძველი, შელახული, ნახევრად დამტვრეული მაგიდა და ტახტი იდგა. კედელზე ერთადერთი სურათი ეკიდა. ამ სურათიდან ულამაზესი ახალგაზრდა ქალის სახე უდარდელი ღიმილით იყურებოდა. არაამქვეყნიური იყო ეს მშვენიერება, მომნუსხველი, რომელიღაც ბერძნული მითოლოგიიდან ღვთაებრივად მანათობელი. სურათთან თმა-წვერ აწეწილი, დაუვარცხნელი მამაკაცი იდგა დახეული,ჭუჭყიანი ტანისამოსით შემოსილი. თვალს არიდებდა ყველაფერს: სიცარიელეს,სიბინძურეს,სურათს, საკუთარ სიმარტოვესაც კი. კოპებშეკრული იდგა, ფიქრით დაღლილი, გაწამებული. ზიზღსაც კი გამოხატავდა მისი მოკუმული ტუჩები, ზიზღს საკუთარი თავისა და ცხოვრების მიმართ. იდგა გახევებული, უემოციო, სასმელდაცლილ ჭურჭელს ჰგავდა, რომელსაც აღარც სხვისი აღელვება შეეძლო და თვითონაც ვერ მღელვარებდა... სიცივე აყოლილივით თრთოდა, გამხმარ სხეულში სული უცახცახებდა. დიდი წერტილი უნდა დაუსვას საკუთარ არსებობას... ისედაც მივიწყებულია ყველასგან იგი გათანგული, ბინძური... მხოლოდ სხეულიდან გასვლის ტკივილის შიში აქვს, თორემ ისედაც მომაკვდავის მდგომარეობაშია, ნელი სიკვდილით რომ კვდება და ვეღარ მივიდა დასასრულამდე. თავის მიერ ფიცრისგან შეკრული სასახლე ოთახის შუა გულში გამოათრია. შიგ ჩაწვა. ძონძის მაგვარი ტილო სუდარასავით გადაიფარა. გულზე კედლიდან ჩამოხსნილი სურათ დაიდო და სულის განტევების მოლოდინში თვალები დახუჭა.

გაუბედავი ნაბიჯებით შედგა ფეხი ნატალიამ. ხედავს ფიცრისგან აწყობილ კუბოში წევს კაცი გაღიმებული სახით, რომელიც ნელა წამოჯდა ნატალიას დანახვაზე...

— ხო,გამახსენდით. — ფერი დაკარგა ნატალიამ. — ახლაც არ ვიცი,შეშინებული როგორ გამოვიქეცი იმ სახლიდან, სასწრაფოში დავრეკე, მოვიდნენ და წაგიყვანეს.

— იცით, სად წამიყვანეს? — მშვიდად ეკითხება მამაკაცი.

— სად? — გაოცებული შეჰყურებს და ვერ პოულობს საერთოს იმ კაცსა და ამ მოვლილ, თმადავარცხნილ,წვერგაპარსულ,სუფთად და მოხდენილად ჩაცმულ მამაკაცს შორის. სუნამოს სურნელსაც კი აფქვევდა.

— ფსიქიატრიულში. — მღელვარების გარეშე ამბობს კაცი. — ექვსი წელი ვმკურნალობდი... არ იყო ადვილი... — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა დაბალი ხმით.

ნატალიამ ირგვლივ მიმოიხედა, ცოტა ისევ შეეშინდა.

— ნუ გეშინიათ. — შეამჩნია კაცმა მისი აღელვება. — მაშინ რაოდენ დიდი სიმხნევე გამოიჩინეთ. დასაფასებელია ნამდვილად!

ყავა და ტკბილეული ჰქონდათ. არც ერთს არაფრისთვის არ შეუვლია ხელი. კაცი სევდიან და უბედურ ფიქრებს შეეპყრო. მართალია, შეიცვალა მისი გარეგნობა, მაგრამ ახლაც ისეთივე უსიცოცხლო იყო მისი თვალების მეტყველება, როგორც მაშინ, როცა კუბოში წამოჯდა და უცნობ ქალს მიაპყრო გამომშრალი და გაოცებული მზერა.

— რატომ გინდოდათ სიკვდილი? — ძალა მოიკრიბა და ჰკითხა.

— მამაჩემი მდიდარი კაცი იყო. — დაიწყო უვნობმა. — მე კი განებივრებული ერთადერთი ვაჟიშვილი... ყველაფერი გამოვიარე: სკოლა,უმაღლესი სასწავლებელი... არასდროს მიმუშავია... ორი წინაპრის დაგროვილი ქონება გვქონდა და მამაჩემის მიმატებულიც ზედ,რაზე უნდა მედარდა?!. ვფიქრობდი,

რატომ უნდა მომეკლა თავი მუშაობით, იცხოვრე გალაღებული ცხოვრებით და მორჩა, ვუნერგავდი თავს... და ვანიავებდი თაობების მიერ დაგროვილ ქონებას ნარკოტიკებში... სამორინეები... ღამის კლუბები... თაღლითური გართობებით... რამდენჯერმე ციხეშიც ამოვყავი თავი, ბევრჯერ დამიხსნა მამაჩემმა... ვეღარ გაუძლო ჩემს უვარგისობას და არც ისე ასაკოვანი გარდაიცვალა, მანამდე კი — დედა... დიდხანს ჩამოწვა სუჩუმე. უბიდან ქალის სურათი ამოიღო და ნატალიას აჩვენა. — ეს ქალიშვილი ერთადერთი სიწმინდე იყო ჩემს ცხოვრებაში, — ეს ის სურათი იყო, გულზე რომ დაისვენა. — ერთადერთი სიწმინდე და ამ ღვთაებას შორიდან ვეტრფოდი. მე,ასეთი ბინძური ჩემი ცხოვრებითა და სულით, მასთან მიახლოებას როგორ გავბედავდი?!. დღემდე მიყვარს...

— ის სახლი?..

— ის სახლი უპატრონო იყო,ჩემი თავშესაფარი... საკუთარი სახლი კი ვალებმა წაიღო... ბევრი ლამაზი და ძვირფასი ნივთი აზარტულ თამაშებში წავაგე... მერე კი მშიოდა... მწყუროდა, ვავადმყოფობდი... დღემდე ჩამესმის ყურში წინაპრების ტირილი ჩემი დაღუპვისა და მათი შრომის გაუფასურებისთვის... ამის გამო გიჟად მთვლიდნენ, არ ესმოდათ, რომ ბნელი ცხოვრებისა და უსამართლობისათვის ვიტანჯებოდი... იქ გავიაზრე, რომ დანატოვარის წინაშე ვალდებული ვიყავი, გავფრთხილებოდი და რაიმე სასარგებლო, ხალხისთვის სიკეთის მომტანი შემექმნა... მე კი თაობები სასტიკად შევაგინე ჩემი ცხოვრებით?!. და ისინი არ მასვენებდნენ,გამუდმებით ჩემს ყურთან წუწუნებდნენ... სიკვდილში ვეძებდი ხსნას... მხოლოდ სიკვდილში! — ისევ გაჩუმდა. მერე მძიმედ ასწია თვალები, ნატალიას სახეში მტკიცე მზერით შეხედა და უთხრა:

— მადლობა მინდა გადაგიხადოთ, თქვენ გადამარჩინეთ, სიცოცხლე დამიბრუნეთ და ამით დრო მომეცა სინანულისთვის. ეს ერთი ხელი ტანისამოსი შემოწირულობებით შევიძინე. ექვსი წელი არც ისე ცოტა დრო იყო იმისათვის,რომ თავიდან ბოლომდის გადამექექა და გამომეტირა ჩემი ბოროტი ცხოვრება, წინაპრებისა და მშობლების წინაშე დანაშაული... მე ისევ თავშესაფარში დავბრუნდები და უკვე ღვთის ნებით მოვლენილ გარდაცვალებას დაველოდები.

* * *

ზეაიწია და მიფრინავს. ტაძრის შიგნით და გარეშემო უამრავ სულიერ არსებას მოუყრია თავი. ისმის უფლის დიდება,ანგელოზთა გალობა და ტკბება სული. ზოგიერთი საგალობელი ცოდვების მიმართ სინანულს აღვიძებს. გუმბათიდან დაეშვა ტაძრის შუაგულში და მოძღვრის პირისპირ აღმოჩნდა.

— მოძღვარო,— გაკვირვებული შეჰყურებს ნატალია — სად ვარ?

— უფლის ზეციურ სახლში, ჩემო შვილო. — ტკბილი ხმით პასუხობს. თეთრ შესამოსელშია გახვეული და სიწმინდესავით ასხივებს.

— მამაო, შემიწყალე მე, ცოდვილი.

— შეგინდოს უფალმა, შვილო. ხედავ? — შეკრებილებისკენ მიმართავს ნატალიას მზერას,— ესენი ჩვენი წინაპრები არიან. მათგან ზოგი ხარობს და ბედნიერია, ზოგი კი მოწყენილია და ტირის.

— რატომ, მამაო?

— ისინი,რომლებიც ხარობენ,მიწაზე მყოფთაგან თავიაანთი შთამომავლების სიკეთით ხარობენ. მათ გაამრავლეს ამაგი და შრომა, დანატოვარი და ახმარებენ კეთილ საქმეებს. ხედავენ, რომ ტყუილად არ დაუღვრიათ ოფლი და სიღარიბეში კი არ იტანჯებიან, სიკეთით ცხოვრობენ, ყველა გაგებით. მათი საფლავები მოვლილი და შენახულია,სავსე ფერადი ყვავილებით და სხვადასხვა მცენარით, სავსეა მათი სუფრა და საკმევლის სუნი ასდის, სიცოცხლის წიგნშია ჩაწერილი მათი სახელები. ისინი,რომლებიც ტირიან, მიწაზე მყოფთაგან თავიანთი შთამომავლების უკეთურობით დარდობენ. მათ გაანიავეს მათი ნაწვალები,ნაშრომი,წლების მანძილზე დაგროვილი, გაწეული შრომა. მათ სუფრაზე მცირე სანოვაგეა და ჯერ კიდევ არ არიან შესულები მარადიული სიცოცხლის წიგნში. იმედი აქვთ, მომავალში გამოჩნდება ვინმე ღვთისნიერი.

ნატალიამ მომხიარულეებს გახედა. აკვირდება სახეებს და მათ შორის გრძნობით შეიცნობს შორეულ წინაპრებს, პაპა-ბებიას, დედ-მამას, ძმას, რომლებსაც ყოველთვის მოიხსენიებდა გარდაცვლილთა სადღესასწაულო, თუ ისეთ დღეებში. თითქოს ნათელმოსილნი ანგელოზის ხარისხში არიანო, ტკბილად უგალობენ უფალს.

— ხედავ,ნატალია,ისინი ყოველდღე ასე ხარობენ შენი შრომითა და მზრუნველობით,სიყვარულითა და ერთგულებით წინაპრებისა და ახლობლების მიმართ. ასწავლე ეს ყველას, ეს არის ჩემი კურთხევა.

— დეიდა,— ლაშას ხმამ გამოარკვია. — დეიდა წავიდეთ სასაფლაოზე?

— ხო, ლაშა. — ჯერ კიდევ ხილვის შთაბეჭდილების ქვეშ არის ნატალია.

„დეიდა!" რა ტკბილად დაუძახა ლაშამ. ეს ახალგაზრდა აუცილებლად გაამართლებს მის მოლოდინსა და იმედებს, მოუვლის საფლავებს, დაანთებს სანთლებს, გადაუხდის პანაშვიდებს, ილოცებს, კეთილად მოიხმარს დანატოვარ მემკვიდრეობას, ფულად არ აქცევს და ამ ფუძეზეც გაიხარებს...

ცრემლი მოადგა... დანაშაულია ფესვების დავიწყება და მიტოვება...

ხელისგულით ეალერსება გარდაცვლილთა საფლავებს, ემშვიდობება ახალ ჩამოსვლამდე.

— ლაშა, ხომ არასოდეს დაივიწყებ მათ?

— არასოდეს, დეიდა.

„ნატალია,— ჩაესმის ხმები. — მადლობა, შვილო". ტირის და ბედნიერია, თვითონაც რომ არ იცის, რატომ...

16.01.21

პოეტის შეგონებანი

# ნინო ახსენაშვილი



## ჭრელაჭრულა ფიქრთასხმულა

ფიქრის გარეშე ადამიანად ყოფნა წარმოუდგენელია.

**სამშობლო —**
ეს სიტყვა ჩემში გაუნელებელ ტკივილსა და უცნაურ სიამაყეს ბადებს ერთდროულად. ნეტავ,რას გრძნობენ სხვები ამ სიტყვის გაგონებისას?

**ვალმოხდილი**
ღირსეულად ზიდე შენი ტვირთი ამქვეყნად და ვალმოხდილი წახვალ იმ ქვეყნად.

* * *

კარგია, ქვეყნად ვინც იპოვა მეუღლე — ცალი და არ დაარქვა მას, უბრალოდ, ქალი და ცოლი.

* * *

ადამიანის ცხოვრება პატარ-პატარა სიხარულებია დიდი უსიხარულო შუალედებით. ადამიანის ცხოვრების არსიც იქნებ ის არის,რომ პატარ-პატარა სიხარულები დიდ ზეიმად აქციოს და სხვებიც გაახაროს.

**ნატვრა**
ღმერთო, ისე შემაძლებინე ყველა დაბრკოლების გადალახვა,რომ ჩემ გარშემო არავის მიადგეს ზიანი.

**ფიქრი**
ზოგჯერ მგონია, რომ ჩემი ფიქრი ამ სამყაროსავით უკიდეგანოა.

**აზრი**
თუ აზრი გაგაჩნია ე.ი. აზროვნებ; თუ აზროვნებ, ადამიანი ხარ, მაგრამ არა უბრალოდ ადამიანი, არამედ მოაზროვნე ადამიანი ანუ როგორც ლათინები ამბობდნენ: Homo Sapiens-ი.

**ოცნება**
ზოგჯერ რეალობაში ისეთი საოცარი ამბები ხდება, ოცნება, ცოტა არ იყოს, ფერმკრთალდება.

* * *

ჩვენ, ღვთის შეწევნით,უხსოვარი დროიდან ვქმნით კულტურებსა და ცივილიზაციებს და ვჩუქნით ბარბაროსებს, რომ მათაც იგრძნონ ადამიანად ყოფნის სიხარული.

მივიწყებული ქართული მატიანე

**ჭუჭყი**
ჭუჭყი,რომელსაც წყალი და საპონი ვერ გაცლის, ლოცვითა და სინანულით განიბანე.

* * *

ადამიანი ცოდვის ჩადენას იმდენად არ უფრთხის, რამდენადაც მის აღიარებასა და მით უმეტეს, სინანულს.

**ბედი**
ბედი ცდააო,— ბრძანებს შოთა რუსთაველი და თავისივე პოემით გვისაბუთებს, რომ ერთჯერადი ცდა შესაძლოა, უშედეგო იყოს, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს და შემდეგ ცდაზე უარი არ უნდა გვათქმევინოს.

* * *

მანანა ჩიტიშვილი მართლაც ჩიტის შვილია, ისე ჟრიკჟრიკებენ მისი ლექსები.

**ღალატი**
ღალატი ალბათ იმიტომ დაუშვა ღმერთმა, რომ ერთგულების არსს ჩავწვდომოდით.

**მაია მიქაია**
მიყვარს მაია მიქაიას პოეზია და რატომღაც თვითონაც.... რაღაცნაირად ზღვასავით მოლივლივე.... შტორმამდე...

**სამყაროს წონასწორობა**
ადამიანი თავისი არსებობით სამყაროსავით უსასრულოა და მრავალფერი. ამ უსასრულობაში და ფერადოვნებაში ყველას თავისი ათვლის წერტილი აქვს და ეს ათვლის წერტილი ის ადგილია, სადაც ადამიანი იბადება, იზრდება, სადაც არის მისი ფესვები,სამშობლო. თუ გინდათ, რომ სამყაროში წონასწორობა არ დაირღვეს, ნუ დაუკარგავთ ადამიანებს სამშობლოს. წონასწორობა ყველასთვის დაირღვევა და არა მარტო სამშობლოდაკარგულებისათვის.

**აღზევება**
სახიფათოა,როცა უცებ აღგაზევებენ,ფრთხილად იყავი, გულის ძარღვი არ გაგიწყვიტონ, რომ დაცემისას ფუყე ხმა არ გამოვიდეს მაგ სხეულიდან.

**ხელოვნება**
ხელოვნებას შეუძლია, ადამიანს მოუტანოს ბედნიერება!

ხელოვნებას შეუძლია, ადამიანს მოუტანოს ბედნიერება!

ხელოვნებას შეუძლია, ადამიანს მოუტანოს ბედნიერება!

გააბედნიერეთ ერთმანეთი, ადამიანებო! ადამიანი ხომ ქმნილებაც არის და შემოქმედიც ერთდროულად. უბრალოდ, შეუძლებელია, რომ ის თავის შემქმნელს აღემატებოდეს.

* * *

ტკბილქართულის ყვავილწნული — ეს თამარ შაიშმელაშვილის პოეზიაა.

**ბედნიერება**

ბედნიერია, ვინც ფლობს საკუთარ ადგილს დედამიწაზე!

**ამბიცია**

ამბიცია ჯოჯოხეთის ცეცხლივით არის: გწვავს და არ გათბობს.

**ცხოვრება ბრძოლაა**

ცხოვრება ბრძოლააო, — მასწავლიდნენ. მე სიყვარული მგონია. ნუთუ დავმარცხდები?!

**სოლომონ ბრძენი და ნიკოლოზ ბარათაშვილი**

სოლომონ ბრძენი: „ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო." ეკლესიასტე, 12,8.

ნიკოლოზ ბარათაშვილი:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა,
უნდა კიდევაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა;
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არრა იზრუნოს".
„ფიქრნი მტკვრის პირას"

* * *

ადამიანებთან მარტივი ურთიერთობები ცხოვრების მთელი ფილოსოფიაა, რთული ურთიერთობები კი - მეტად მარტივი.

* * *

მტერი თუ გყავს, ეს ცუდი სულაც არ არის, უკეთესია თუ მას მეგობრად გადააქცევ: ერთით ნაკლები მტერი გეყოლება და ერთით მეტი მეგობარი.

* * *

საზოგადოებრივი ფორმაციები ადამიანებივით იბადებიან, იზრდებიან, ვითარდებიან და ზოგჯერ ადამიანებზე ადრე კვდებიან.

* * *

სანამ ცოცხალი ხარ, არასოდეს იფიქრო, რომ ყველაფერი დამთავრდა.

* * *

ვიცი, ჩემს ნაწერებს ცეცხლი აკლია, ჯოჯოეთური ცეცხლი. მკითხველს კი სწორედ ეს იზიდავს, განსაკუთრებით დღეს.

* * *

ცრემლიც იარაღია ზოგჯერ, ცრემლგამშრალთა დასამარცხებლად.

* * *

იტყვის ოსტატი ანუ მწერალი სიტყვას სიბრძნით უნდა მოიმუშაკებდეს.

* * *

რაც უნდა დიდი ადამიანის ნაწერს კითხულობდე ან სიტყვას ისმენდე, აუცილებლად კარგად გაატარე შენს გონებაში და ისე მიიღე ან ნუ მიიღებ. დიდი ადამიანებიც ცდებიან ზოგჯერ.

* * *

როცა წარსულზე საუბრობ, აწმყოში ხარ და მომავალზე ფიქრობ, ქრისტიანული ღმერთივით სამსახე და ერთარსება ხდება დრო.

* * *

პოეზია ღვთისგან მომადლებული ისეთი ნიჭია, რომელიც მთელი არსებითა და სიყვარულით უნდა მიიღო და თავდაუზოგავად ემსახურო.

* * *

გამოთქმა „საზოგადო მოღვაწე" რაღაც პერიოდი გარდაცვლილ ადამიანთა მიმართ ნათქვამი მეგონა მხოლოდ. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს თანამედროვეებში არიან ნამდვილი საზოგადო მოღვაწენი და მე მათ პირადად ვიცნობ. განსაკუთრებით იმათ ვაფასებ, ვინც რუდუნებით, მაგრამ სხვებისთვის თითქმის შეუმჩნევლად აშენებენ სამშობლოს სულიერებას.

* * *

ადამიანის მიწიერი ცხოვრება ერთი დაუსრულებელი ამბავია, რომელიც იქ, სადღაც სხვა განზომილებაში გრძელდება.

* * *

სიკვდილმაც ჩამოყარა მხრები და სიკვდილი ინატრა, როცა პანდემიის სახელით საშინლად მძიმე ტვირთი აჰკიდეს.

* * *

მწერლობა სიკვდილ-სიცოცხლით გამოწვეული ემოციების გონივრულად აღმა-ფრენის ხელოვნებაა; მეცნიერება — ახალი აღმოჩენებით გამოწვეული ემოციების სიზუსტისა და გონიერების არტახებში მოქცევის ხელოვნება.

* * *

თანამედროვე ქართული მწერლობა, და არა მარტო ქართული, პრემია-ჯილდოებისთვის გამართულ მარათონს მაგონებს უფრო, ვიდრე ნამდვილ მწერლობას, თუმცა ობოლი მარგალიტივით აქაც გამობრწყინდება ზოგჯერ მართალი სიტყვა.

**გიორგი ლეონიძის „მოხუცი გუთნისდედის სიკვდილი“**

„არავისზე ნაწყენი, არავის ნამტერალი არა ყოფილა გუთნისდედა ნინია. თუ ვინმე შემთხვევით აწყენინებდა, იტყოდა: – რამდენი ადამის შვილი ჩამოდის ამქვეყანაზე, ათასი ფერი და ფერადი! ვის რას გაუგებ?

არასოდეს უნატრია სიმდიდრე, მხოლოდ თავისი პურის ხვავით იყო მადლიერი.

– ყველა რომ მდიდარი იყოს დედამიწაზე, ღარიბი ვიღამ მოიგონოს? – და ათქვირებულ ყანას რომ შეხედავდა, სასოებით წაიჩურჩულებდა:

– შენი მადლის ჭირიმე!“

ნეტავ რამდენიღა დარჩა ასეთი გუთნისდედა საქართველოში?! – ორმოცდაათი?... ოცდაათი?... ან იქნებ სულ რაღაც ათიოდე, რომელთა მადლითაც ჯერ კიდევ ფეთქავს საქართველო.

• • •

# ლიტერატურული წერილი

## ლალი ჯიხელაშვილი



## მთის საკრალური საზრისი ორი ლექსის მიხედვით

### აკაკის „აღმართ–აღმართ“ და ვაჟას „მთას ვიყავ“

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მთას საკრალური მნიშვნელობა აქვს ქრისტიანობაში. მთა არის ჭეშმარიტების წვდომის ადგილი, მთაზე ეუწყათ საღვთო სიბრძნე ადამიანებს, მთამ დაიტია ქრისტეს ჯვარცმა, ამაღლებაც მთაზე განხორციელდა. მთა არის პარადიგმული სახე ზეშთა ნათელთან ზიარებისა. ქართულ ლიტერატურაში მთის ამგვარი გააზრება არაერთგზის აისახა. გენიალური ბარათაშვილი მთაწმინდის სანახებისკენ მიილტვის, რათა დატოვოს მიწიერი ამაოება და ეზიაროს სულიერ სხივცისკროვნებას. ამ აზრის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ აკაკისა და ვაჟას თითო ლექსს და შევეცდებით, გამოვკვეთოთ მათი მსოფლმხედველობრივი მსგავსების ასპექტები.

აკაკი და ვაჟა ერთი ეპოქის შვილები არიან. მათ საერთო ტკივილი და დარდი აერთიანებთ სამშობლოს მძიმე ხვედრთან დაკავშირებით.

სატრფო – სამშობლო დამონებულია, თავისუფლებაწართმეულია... ქვეყნის უბედობით გულმოკლული აკაკი სულიერ აღმართს შესდგომია: „აღმართ–აღმართ მივდიოდი მე ნელა“. ამ აღმართის თავში არის სერი ანუ მთა, რომელზე შედგომაც პოეტს სასიცოცხლო ძალას შთაბერავს, ვიტალურ ენერგიას შეაგრძნობინებს და მის არსებას უზენაესთან მიახლების რწმენით აღავსებს. პოეტში თვით სიკვდილის შიშიც კი ითრგუნება. სერზე ანუ სულიერების სიმაღლეზე ასული პოეტის შინაგანი სამყარო გაცისკროვნებულია, ის ღვთის სიახლოვეს გრძნობს თავს და მზად არის, ჩანგზე სიმღერით აღუვლინოს ლოცვა-ვედრება უზენაესს.. „ცის მახლობლად“ მყოფ პოეტს კიდევ უფრო ძალუმად ეძალება სამშობლოზე ფიქრი, კიდევ უფრო ტრაგიკულად განიცდის მის უბედურებას. სატრფო არ ისმენს მის შეგონებას, ის საწამლავგარეული შარბათით მთვრალია, გულმოკლულ მგოსანს ისღა დარჩენია, მთიდან დაეშვას: „ჩემო თავო, ვეღარ გკურნვენ წამალით! დაღმართ–დაღმართ დაუყევი, წა, მალით“. იწყება სატრფოს შეუსმენლობით შეურაცხყოფილი პოეტის სულიერი შეჭირვება. ის ქვემოთ მიექანება, სადაც ელიან „ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით“. სასოწარკვეთილი მამულიშვილი თავშესაფარს მხოლოდ სამარეში ხედავს.

ვაჟაც, აკაკის მსგავსად, სულიერების მაღალ მთაზე მდგომი გვევლინება ლექსში „მთას ვიყავ“. მთის მწვერვალზე ანუ ღვთის სიახლოვეს ყოფნა , მისთვის სულიერი აღმაფრენის მომნიჭებელია. პოეტის თვალწინ მთელი ცა და ხმელეთი გაშლილა მზითა და მთვარით. უმაღლეს სულიერ რეგისტრში მყოფი პოეტი თავად ღმერთს ელაპარაკება. მთელი მისი შინაგანი სამყარო ქვეყნისთვის საკეთილდღეო სურვილით განმსჭვალულა, მისი გული მხოლოდ სამშობლოსათვის ძგერს. ისევე როგორც აკაკის, ვაჟასაც, თვით სიკვდილიც არაფრად უღირს: „საკეთილდღეო ქვეყნისა მედვა სულად და გულადა, სიცოცხლე, მისთვის სიკვდილი მქონდა მეორე რჯულადა“.

ქვეყნის უიმედო ყოფით შეძრწუნებული პოეტი, აკაკის მსგავსად, სულიერების მთიდან ძირს ეშვება, თავქვე დაშვებულს სული ნისლით ებურება, ვაჟასთვის ეს განწყობა ტანჯვის ფიალის შესმას უტოლდება: „მაღლიდან დაბლა ჩამოსვლა, ვაჰმე, რა მეტად ძნელია“.

„უფლის მთაზე“ შედგომით ორივე პოეტი სრულად ნეტარებს, მათი სულიერება სრულყოფილებას აღწევს. იქ დიდი სინათლე და სიმშვიდეა, მაგრამ სამშობლოზე ზრუნვა, მასზე დარდი და ვარამი აიძულებს ორივეს, კვლავ მიწას მიეახლონ, რადგან მიწა ის სიმყარეა, ის სუბსტანციაა, საიდანაც უნდა ემსახურო მშობელ ერსა და სამშობლო ქვეყანას.

## ხსოვნის ზარდახშიდან

## ႰႤႦႭ (ႤႫႨႪႨႠႬႤ) ႠႣႠႫႨႠ



# დაუვიწყარი ურთიერთობები და მოგონებანი — ლადო გუდიაშვილი



ლადო გუდიაშვილი, ნიკო ფიროსმანაშვილი, ელენე ახვლედიანი, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გოგლა ლეონიძე, ლეო ქიაჩელი, აკაკი ხორავა, სერგო ზაქარიაძე, აკაკი ვასაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, სპარტაკ ბაღაშვილი, უშანგი ჩხეიძე, ვახტანგ ჭაბუკიანი, ნიკოლოზ შენგელაია, ნატა ვაჩნაძე, მიხეილ ჭიაურელი — აი, ეს გვარ-სახელები და ცოცხალთაგან კიდევ რამდენიმესი ისმოდა ჩემ ირგვლივ. არსებობს სივრცის ხედვა და აზროვნება, საკვირველია, კოსმოსური უწყვეტი გზავნილობა უფალივით ყველგან რომ აღწევს. აქედან გამომდინარე, როგორც მხატვარი, ლადო გუდიაშვილი ზეციურ მოვლენად, ლეგენდად მესახებოდა; ბავშვი ვიყავი და სოფლის გარემოცვაში თითქოსდა განცალკევებით ვაზროვნებდი და ვოცნებობდი, ცოცხალთაგან ბატონი ლადოს თაოსნობით ეს გენიები უხორცო წმიდანებად წარმომედგინა და მართლაც ასე ყოფილა.

სამხატვრო აკადემიის პირველი კურსის სტუდენტი გახლდით, ჩემეული ახალგაზრდული ნახატებით, მათგან იყო აბსტრაქტები, მოდერნისტული მიდგომით შესრულებული სიმბოლისტური კომპოზიციებიც და თამამად მივადექი. შეიძლება მაშინ ზედმეტობა იყო ჩემგან, მაგრამ ლადო გუდიაშვილის გენიამ და მისდამი უსაზღვრო კეთილმა წარმოდგენებმა მიმიყვანა მის ატელიემდე, და თეთრ, მეორე სართულის სადარბაზოს მარცხენა მხარეს, უზარმაზარ ყავისფერ კართან, თეთრ, ფართო ღილაკს ვაჭერ თითს, ვღელავ, გული ამოვარდნასაა. გრუხუნით გაიღო დიდი, მაღალი კარი და გაკვირვებული სახით ქალბატონი ნინა გამობრძანდა. ურთიერთს მივესალმეთ და მეკითხება: „ვინ გნებავთ, ახალგაზრდა“?! ვპასუხობ: ბატონი ლადო, თუ შეიძლება, ვიხილო- მეთქი. ბატონი ლადოს ნახვა ყველას უნდა და ეს ხომ შეუძლებელიაო. „ქალბატონო ნინა! სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახლავართ და ჩემი თავისუფალი თემის ნახატები მინდა ვაჩვენო დიდ მხატვარს,“ — ოდნავ თავდახრილმა მორიდებით მივმართე. კარგი, აბა, ვეტყვი ლადოსო.

შევიდა, კარი ისე მოიხურა, არ ჩაუკეტია და ატელიეს სიღრმიდან ისმის მამაკაცის დინჯი ხმა, „შემოიყვანე, ქალო“! ქალბატონმა ნინამ ღიმილით შემიპატიჟა და რას ვხედავ — ჩემკენ მოემართება ულამაზესი კაცი, ჭაღარა გრუზა თმით, სქელი წარბებით, ოდნავ წვრილი თვალები, თეთრი, მუქლურჯი, სქელზოლებიანი პიჟამა აცვია. „მობრძანდი, ახალგაზრდა“. მივესალმე დინჯად და გავეცანი. „კეთილი, მობრძანდი, აი, აქ დაჯექი“, — მითხრა.

ბატონი ლადოს ატელიე ზღაპრული იალქნიანი გემია წყნარ ოკეანეში მოცურავე — ასე წარმოვიდგინე და თვალები გამირბის სურათებისკენ. მერმე პირადად ბატონ ლადოს მიადგება ჩემი უსასრულო ცნობისმოყვარეობა, სამხრეთის კედელზე უზარმაზარი სურათებია ექსპონირებული დევების თემაზე, ქართული ხალხური ზღაპრებიდან. აგერ, „ლოჟაში“, პატარა ზომის საქვეყნოდ ცნობილი სურათი, ქალბატონ ნინას პორტრეტი შედევრი, სურათები ძველი თბილისის თემაზე და რა და რომელ თემას არ იხილავ. პატარა ექსკურსის მერე, აბა, აკადემიის სტუდენტო რეზო! გახსენი შენი სურათების შეკვრა და მანახე! ნერვიულად ვხსნი (ორი პატარა შეკვრა იყო). ნუ ჩქარობ, რეზო, შინაურულად მეუბნება. შემდეგ ნახატებს გარკვეული დროით უყურა და მეუბნება, ძალიან მომეწონაო. გამოგიტყდებით და, მათში იგრძნობოდა ბატონი ლადოს შემოქმედებითი გატაცება და არა მიბაძვა. ასე გააგრძელე, რეზო, და შენ ნახავ, მხატვრობის რა დონესაც მიაღწევო. ოღონდ აკადემიაში უჩას არ ანახო, თუ არა თუნუქს მოგაკერებს უკან და აკადემიიდან ისე გაგისტუმრებსო. ორივეს გაგვეცინა და მე მივმართე: არა, ბატონო ლადო, აკადემიის პედაგოგებთან მე უფრო პეიზაჟები მიმაქვს-მეთქი. მეორე მოსვლაზე ბუნების მოტივებიც მომიტანეო, მითხრა და უბედნიერესი ვიყავი ამ სიტყვების გამგონე. მერმე მეუბნება, ახლა შეკარი შენი ნამუშევრები და აგერ კუთხეში დადე კართანო. ყველაფერს რომ მოვრჩი, წამოდი ჩემთანო, მითხრა.

მივყვები, დიდ დარბაზსა და მომდევნო ოთახს შუა ღია დერეფნული გასასვლელია, ვხედავ, კედელზე ორი შავი სატინის მატერიაა ჩამოფარებული. მაესტრომ ასწია ორივე და რას ვხედავ, მზედ გამოანათა ამედეო მოდილიანის გენიალურმა გრაფიკულმა პორტრეტებმა და აღტაცებისგან კინაღამ დავიჩოქე. მოდილიანმა თვითონ მაჩუქა კაფე „როტონდაშიო“. წამოდი, დავსხდეთ და მოგიყვები, თუ როგორ მოხდაო.

ოთხკუთხა პატარა ნაცრისფერ მაგიდასთან ვსხედვართ, ყავა და ღვინო თითო ჭიქა მე მოვატანინე ბარმენს. ცოტ-ცოტას ვაგემოვნებთ წითელ ღვინოს, ვსაუბრობთ, თან ამადეო ჩანახატს აკეთებს, ახლო მაგიდასთან ორი პოლონელი გოგო იჯდა, ისინი თავისთვის მუსაიფობდნენ. მორჩა ერთის პორტრეტს და მეორესი დაიწყო ძალიან აგზნებულმა, მაგრამ რას ვხედავ, ხაზები ცურავენ მდინარის თევზივით ქაღალდზე. მერმე დაამთავრა, ხელი მოაწერა, ადგა ოდნავ წელში მოხრილი,ღიმილით მივიდა გოგოების მაგიდასთან და გადასცა ნახატები, მათი სახე რაღაც უმეტყველო გახდა, სურათები ატრიალეს იქით-აქეთ და ესენი ჩვენ არა გვგავსო, აგდებულად თქვეს. მოდილიანმა ნამუშევრები უცბად გამოართვა მათ, დაღვრემილი და სევდიანი სახით თავის ადგილას დაჯდა,მერმე მე გადმომხედა შვებით და ლადო! შენი იყოს ეს ნახატებიო და წინ დამიდო. გავიხარე და აღფრთოვანებულმა ჩემს საქაღალდეში ჩავალაგე. ამრიგად, მილიონების ღირებულების სურათებით დამაჯილდოვა გენიალურმა მოდილიანმა. „ღმერთმა დალოცოს ის პოლონელი გოგოები“, — ღიმილით ჩაილაპარაკა მაესტრომ. შემდეგ ხშირად დავდიოდი ბატონ ლადოსთან და ბევრად უფრო მაღალ და საინტერესო იდეებზე საუბარს ვისმენდი მისგან,ვინემ სამხატვრო აკადემიაში (გამონაკლისის გარდა).

კვირა დღეა, დილიდან ვესტუმრე მაესტროს, რამეში ხომ არ მოგეხმაროთ, ბატონო ლადო, ვეუბნები. დღეს არა, ხვალ 12 საათზე მოდი, რამდენიმე ჩარჩო მაქვს გადასაკეთებელი და აკადემიის ხელოსანთან წამიღეო. დღეს მორიდებით ორი გრაფიკული ნახატი წარვუდგინე, მომიწონა, გულისხმიერად დამარიგა და რჩევები მომცა. საუბრის ხასიათზე იყო, იცოდა, პარიზულ მოგონებებზე ვგიჟდებოდი. პარიზში ჩემ ირგვლივ ფრიად მნიშვნელოვანი შემოქმედებითი გარემოება იყო. ზოგიერთი უკვე აღიარებული ფრანგი მხატვარი მეუბნებოდა, ჩვენს ხელოვნებას კი ნუ გვანახებთ, თქვენი ეროვნული სახე წარმოადგინეთო და ძალიან მართლებიც იყვნენ. მე ხომ მაგ გზით მავალი მხატვარი ვიყავი, მაგრამ მათგან ეს ნათქვამი მსიამოვნებდა. იმ პერიოდში უკვე შექმნილი მქონდა ბევრი სურათი ძველი თბილისის თემაზე, განსაკუთრებით — კინტოების ცხოვრებაზე, ძალიან კოლორიტული იყო ყარაჩოხელებისა და კინტოების საზოგადოება. მათში კავკასიის, კერძოდ, იმ საუკუნის გამოკვეთილი ქალაქური სახეაო გამჟღავნებული. მერმე მომიბრუნდა და მითხრა, კომპოზიციებში ხელების მოძრაობას მიაქციე ყურადღება, დააკვირდი ჩვენს ფრესკებს და იქიდან ყველაფერს კარგს ნახავ და ისწავლიო.

მართლაცდა,ბატონი ლადოს სურათებში ხელების, სახისა და ტანის შეუდარებელ რიტმულ-მუსიკალურ მოძრაობათა სიმფონიაა და მთლიანი კონკრეტული ძლიერი ძარღვიანი ფერებით იქმნება საოცარი ლაკონიურ-პოეტური ჰარმონია. შეუდარებელმა მაესტრომ შექმნა მსოფლიოში გამორჩეული ინდივიდუალური სტილი და საკუთარი პლასტიკა. ისინი მხოლოდ გაგონებს დიდ ბოტიჩელს, სპარსულ მინიატურებს, მატისს, მოდილიანს, ზოგჯერ იაპონელებს გაგახსენებს ან ძველ ეგვიპტურ ხელოვნებას, ჩვენს უნიკალურ ფრესკებს და, საბოლოოდ, მათ სულიერ



გალერეებში მარადიულად წევრ-ურთიერთობს ჩვენი მაესტროს გენიაც.

მერე მშვიდად განაგრძო საუბარი.

— კაფე „როტონდაში“ ჩაფიქრებული ვზივარ, ყავას ვსვამ და მოუსვენარი პაბლო პიკასო შემოვიდა, პატარა, თეთრი, იაპონური ძაღლით. ვარდისფერი თოკი თავის სკამზე მიაბა და იქით-აქეთ იყურება ოდნავ მრისხანე თვალებით. შემდეგ მე გადმომხედა, „მხატვარი ხარ“? — ცივად მეკითხება. „დიახ, მისიე პიკასო“. გაეღიმა, „რომელი ქვეყნიდან ხარ“?! „საქართველოდან გახლავართ“, — მივუგე და თავი დააქნია, „გამიგია“. შემდგომ რატომღაც ყავა ჩქარა დალია,ძაღლს გამოელაპარაკა, მე შემომხედა,„ობლუა მისიე“,— გადმომძახა და ძაღლიანად გავიდა. ქუჩაში რომ მიდიოდა, სანამ სახლს არ მიეფარა, თვალი არ მომიშორებია.

ახლა მოგიყვები ჩარლი ჩაპლინზე. მაესტრო ყოველ ეპიზოდს, პაუზებით, დიდი სიამოვნებით მიყვებოდა: — ისევ მხატვართა და პოეტთა კაფე „როტონდა“,ხალხმრავლობაა,რამდენიმე ფერმწერთან ერთად ვზივარ. ყავა და მცირე ტკბილეული აწყვია მაგიდაზე და ორი ბოთლი წითელი ღვინო. ამ დროს მოისმა გარედან ჟრიამული,ყველამ გაამახვილა ცნობისმოყვარე თვალები და შემოდის ჩარლი ჩაპლინი, პატარა ტანის და ენერგიულად მოძრავი. ჩვენ — ყველანი ფეხზე წამოვუდექით. თითოეულს ხელი ჩამოგვართვა,გამეცინა,პატარა ბავშვის თათებისოდენა ხელი რომ ჩამიდო ხელში და ღიმილით თავის სახელსა და გვარს გვეუბნებოდა.

ერთ-ერთ შეხვედრაზე ესპანელ მხატვარ სულოაგაზე დიდხანს მესაუბრა. ძალიან ვრცლად და საინტერესოდ მომიყვა ყველაფერს დეტალურად... მერმე უცბად გადაუხვია მაესტრომ თემას და მეუბნება: „რეზო,დასრულებული მხატვარი რომ გახდები, შენი ყველაზე კარგი ნახატები არასოდეს მისცე კერძო პირებს — ოჯახებს, რადგან ისინი სამუდამოდ ბინაში ჩაკეტავენ და, ვინ იცის, რა ბედი ეწევა მომავალში მათგან. ყველაფერს ჯობია, მუზეუმებში, გალერეებში ან შენთან იყოს დაცული და შენახული“.

უკვე აკადემია დამთავრებული მქონდა, ზოგჯერ ტელეფონით ქუჩიდან დავურეკავდი და დანიშნულ დროს თვითონ მიღებდა კარს. ერთ დღეს ასე დაიწყო ჩვენი შეხვედრა. ცნობისმოყვარეობით ვეკითხები,

„ბატონო ლადო, არ გენატრებათ პარიზი“? „როგორ არა, — მპასუხობს, — სიამოვნებით გარკვეული ხნით წავიდოდი კიდევაც, მაგრამ.“.. და უმალ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი. შემდეგ მოყოლა გაგრძელდა სევდიან წარსულზე მძიმე მოგონებების.

— ის უბედური 37 წელია, — მეუბნება, — ვიღაცამ დამასმინა ბერიასთან, ლადოს თავის ერთ-ერთ ნახატში იდუმალად სვასტიკა აქვს გამოსახულიო, იგულისხმებოდა იაზონი, მითიური ხარებით მიწას რომ ხნავს, ხნულებში ფაშისტური სვასტიკა შეინიშნებაო და რამდენიმე ფორმიანი ჩეკისტი თავს დამეცა. სურათი ჩამოხსნეს და უხეშად წაიღეს, რა თქმა უნდა, მეც წამიყვანეს და ჩეკას კომენდატურის კამერაში ჩამკეტეს.

უკვე ის პერიოდია,რბილ შეხუმრებებსაც ვუბედავდი და „ბატონო ლადო,რას გაჭმევდნენ ის ოხრები? — ვეკითხები,„რას ბიჭო და — ბალანდას“,— მიპასუხა და ორივეს გაგვეცინა, — მერე ვერაფერი რომ ვერ მიპოვეს ხელისმოსაკიდებელი და პოლიტიკურად დამადანაშაულებელი ჩემი სურათიანად, დამნაშავე ტუსაღივით ცივად გამომიშვეს“.

— ერთ-ერთი რესპუბლიკური გამოფენაა,— მეუბნება ბატონი ლადო,— საგამოფენო კომისია შეიკრიბა, მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები, კულტურის მინისტრი და ბერია მიუძღვის წინ. ამ დროს მხატვართა თავკაცი უხსნის ლ. ბერიას გამოფენის შინაარსს და ესაუბრება ავტორებზე, ჩემს სურათებთან (ორი ნაწარმოები მქონდა გამოტანილი) შეჩერდნენ თურმე და წინამძღოლი მხატვარი ეუბნება ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ამ კაცმა ისევ ვერ მოიშალა მოდერნისტული სურათების ხატვაო, მაშინ ბერიას წამოუძახია: დუიტ! ერთი მხატვარი ვერ აგიტანიათ ამდენ მხატვრებსო და ასე გადავრჩი მაშინაც. ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაზე ბევრს მესაუბრებოდა, კანკელის მოხატვის შემდეგ მუშაობა მიმატოვებინეს ორგანოს წარმომადგენლებმა და აკადემიის უფროსი პედაგოგობიდანაც გამაძევეს.

ბატონი ლადოს წარსულის ყოველი მოგონება წარუშლელ სურათებად იხატებოდა ჩემს მეხსიერებაში.

ერთხელ გალაკტიონზე ჩამოვარდა საუბარი:

— ხო, მინდა გავიხსენო გალაკტიონ ტაბიძეზე უსიამოვნო ეპიზოდი, რაზეც გაბრაზებული ვარ ჩემს თავზე. დარეკა სახელოსნოს კარის ზარმა, გამოვედი სამუშაო ოთახიდან, დარბაზი გავიარე და ვაღებ კარს, ჩემ წინ დგას მგოსანი გალაკტიონი, კოხტად ჩაცმული, სრულიად ფხიზელი. ხელში უკავია სამხატვრო თეთრი ტილო ახალ ქვეჩარჩოზე გადაჭიმული, მოზრდილი ზომის. შემოვიპატიჟე, მაგიდასთან დავსხედით, გავესაუბრეთ ერთმანეთს ხელოვნებაზე, კერძოდ, პოეზიაზე, ფერწერაზე, ცოტაც დალია და მეუბნება გაბრწყინებული თვალებით. ბატონო ლადო, სახატავი ტილო მოგიტანე და დამხატეო. მშვიდად მივუგე: „გალაკტიონ, ამჟამად ძალიან დაკავებული ვარ და ვერა-მეთქი, შევატყე, მწარედ ეწყინა და წესიერად არ დამმშვიდობებია, ისე ცივად წავიდა. მეც დავღონდი და ახლაც განვიცდი, რატომ მომივიდა. „ბატონო ლადო, შემდეგ ხომ შეიძლებოდა მგოსნისთვის შეთავაზება“? „არა, იმ დღის მერე მე ის არ გამკარებია“...

შემოდგომის წვიმიანი დღეა, მაესტროს პატარა დავალება შევასრულე და კმაყოფილი ვზივარ. შემდგომ მოკრძალებული კითხვით შევიჭერი მისი საუბრის თემაში და, „ბატონო ლადო! მითხარით რამე ნიკო ფიროსმანაშვილზე“... „დიახ, — დინჯად დაიწყო მან და სივრცეს მიაცქერდა, — ნიკო! მართლაც თვითნაბადი მხატვარი და გამორჩეული კაცი იყო. ამ უსასრულო ქვეყანაში თავისი ბუმბერაზი ინდივიდუალური სამყარო შექმნა (კომუნისტური ეპოქა იყო მძაფრი და ხალხი უფალზე საუბარს თავს არიდებდა). სრულიად თავისებური ბუნების ხელოვანი იყო. ერთხელ მხატვართა გაერთიანებამ იმსჯელა ნიკო ფიროსმანაშვილზე და დადგენილებაც გამოიტანეს. ფული შეეგროვებინათ დახმარებისათვის, ღარიბი მხატვარი იყო უკიდურესად, სურათებით კი უმდიდრესი, მაგრამ... შეგროვდა გარკვეული რაოდენობის ფული და მე დამავალეს, მომეძებნა ნიკო და გადამეცა ეს თანხა. კითხვა-კითხვით მივაგენი მის სამყოფელსაც, რკინიგზის სადგურთან ახლოს, კიბის ქვეშ ცხოვრობდა.

ვდგავარ პატარა ფიცრულ კართან, ვაკაკუნებ და შიგნიდან ყრუ ხმა მომესმა: „კარი ღიაა, შემოდი“. შევედი, ოთახში ნახევრად სიბნელე იყო, რაღაცას საქმიანობდა, საღებავებით მოსვრილი ტაბურეტკის სკამი დამიდგა, „დაჯექით“,— მითხრა, თვითონ ვიწრო კუშეტკაზე ჩამოჯდა, მერმე გავეცანი — მხატვარი ვარ, ლადო მქვია. მხატვართა გაერთიანებამ თქვენთან გამომგზავნა-მეთქი. „ლადო გქვია, არა! და კოლეგა ხარ? ლადო! მიამბე, რას ხატავენ თქვენი მხატვრები“? „ყველაფერს, ნიკო ბატონო“, — მოვახსენე. „საინტერესოა“!

თან ვათვალიერებ იქაურობას, პატარა თაროზე თავგადამტვრეული-შუშაშებოლილი ლამფა იდგა, კუთხეში სურათები ელაგა, ერთი „ჟირაფი“ იყო, ლომის ნახატი, „თამარ მეფეც“ შევნიშნე, მარჯვენა მხარეს „მარგარიტა“ და რამდენიმე სხვა სურათიც არეულად ელაგა, იქვე ფერებში დასვრილი ვედრო და შიგ ფუნჯები ეწყო. მთელი ტანსაცმელი ფერებით იყო აჭრელებული. „ლადო! დამეწვიე, პური მაქვს, ბოლოკი და წყალი, თუ დამიცდი ღვინოს ახლავე მოვიტან“, — მითხრა. „არა, ბატონო ნიკო, დიდი მადლობელი ვარ, მხატვრებისგან საჩუქარს დაგიტოვებ და უნდა წავიდე, მეჩქარება“. ქაღალდის შეკვრა მაგიდაზე დავდე, წარბებაწეული მომაშტერდა და, „მადლობელი ვარ, ლადო, შენი და მათი ყველასი“, — მაშინვე აიღო ფული მაგიდიდან, ჯიბეში ჩაიდო და მეუბნება, წავიდეთ ახლოს, აგერ ეზოდან რომ გავალთ, იქვე ღვინის სარდაფია, ჩავიდეთ, ერთმანეთი და მხატვრობა დავლოცოთო.

ოთახიდან გავედით, კარი ისე უბრალოდ მიხურა და ქუჩაში საუბრით რომ მივდივართ, უცბად შეჩერდა, —„აგერ, ლადო! აქ შევიდეთ და თითო ჭიქა დავლიოთ“. „მე მართლაც მეჩქარება, ბატონო ნიკო“, — ვუთხარი, დავემშვიდობე და წამოვედი, ის იდგა ერთ ადგილას და მიყურებდა. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ სახლებს რომ ვეფარებოდი, მივიხედე, უცებ შეტრიალდა ნიკო და ჩქარი ნაბიჯებით ჩავიდა სასაუზმე სარდაფში.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ და ახლაც გული



მწყდება,ნიკო რატომ გავაწბილე და არ ჩავყევი თითო ჭიქა ღვინოზე-მეთქი. ბევრ რამეს ხომ მომიყვებოდა თავის ირგვლივ, ჩემთვის ძლიერ საინტერესოს. „ვნანობ“, — თქვა და დადუმდა. მაშინ ბატონ ლადოს რომ შევხედე, ღრმად სევდიანი გაუხდა სახე. თითქოსდა ფერიც ეცვალა... მე კი სიტყვის ამოღებას ვერა ვბედავდი...

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში რომ ვმსახურობდი, ბატონ ლადოზე ვეკითხებოდი ხოლმე ახალი ქართული ხელოვნების განყოფილების გამგეს, ქალბატონ ქეთევან ბაგრატიშვილს და ხალისით მიყვება, ერთხელ რაღაც საქმეზე მივედი მათთან და სადილობას მივუსწარი, რა ჰქონდათ საჭმელი, უნდა გითხრათო, ქალბატონმა ქეთომ სინანულის ტონით თქვა — ორი ნაჭერი პური და თითო მოხარშული კარტოფილი. ძალიან შემეცოდა ორივე და ბატონ შალვა ამირანაშვილს, მუზეუმის დირექტორს, ვთხოვე, — ბატონო შალვა, ასეთი მდგომარეობაა გუდიაშვილებთან და ერთი ან ორი სურათი როგორმე შევიძინოთ მუზეუმისათვის, მშიერი რომ არ მოგვიკვდეს ის ხალხი-მეთქი. ბატონმა შალვამ მომიგო, ორი კი არა! სამი სურათი შევიძინოთ, ქეთო ქალბატონოო, და იმ დღიდან ეშველათ მათ და ნაღდ შიმშილობას ავაცდინეთ.

„რეზო“! — მეუბნება დიდი მაესტრო, — „ქაშვეთის ეკლესიის ყველა კედლის ესკიზები შენახული მაქვს, გუმბათი და სამი კედელი აუცილებლად უნდა მოვხატო და დავასრულო“. ეს სიტყვები მან ისეთი ენთუზიაზმით თქვა, რომ მე, როგორც ღრმად მორწმუნე, ქართული ხელოვნებისა და, პირადად, ბატონი ლადოს მხატვრობის თაყვანისმცემელი, სიხარულისგან აღფრთოვანდი. „შეგირდად თუ ამიყვანთ, ბატონო ლადო“? — ზოგადად, ვეკითხები. რა თქმა უნდა, იყო პასუხი, მე ვიცი, შენ ეკლესია და ფრესკები გიყვარს და გამომადგებიო.დ

დრომ და ცხოვრებამ თავისი ქნეს და ეს ოცნება თუ მიზანი ვერ აღსრულდა. წლები მიდიოდა, აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი დავამთავრე და იმ ზაფხულსვე რესპუბლიკურ გამოფენაში მივიღე მონაწილეობა. ჩვენი ჯგუფიდან თემურ გაგნიძემ და მე გამოფენის მისაღებ ტურებზე გავიმარჯვეთ და გავხდით რეალური დებიუტანტები. ჩემთვის წარმოუდგენელი სიხარული იყო, რომ პირველად ვიფინებოდი ცისფერ გალერეაში ლადო გუდიაშვილის გვერდით, აქვე მონაწილეობდნენ: სერგო ქობულაძე, კოკი მახარაძე, ზურაბ ნიჟარაძე, ედმუნდ კალანდაძე, თენგიზ მირზაშვილი, გურამ ქუთათელაძე, პეიზაჟისტი მიშა ხვიტია, ბეჟან შველიძე, თემურ გოცაძე, გივი თოიძე, რადიშ თორდია, ოთარ სულავა, ნათელა იანქოშვილი, მხატვართა წინამძღოლი უჩა ჯაფარიძე, ფარნაოზ ლაპიაშვილი; დიდი მოქანდაკეები: კოლია კანდელაკი და ელგუჯა ამაშუკელი, კერამიკოსები, დეკორატიული ხელოვნების წარმომადგენლები, ხალიჩის უბადლო ოსტატი გივი ყანდარელი და შესანიშნავი ფერმწერი ჯიბსონ ხუნდაძე. ზოგიერთ ჩვენს კურსელს დიდად არ გახარებია ეს შემოქმედებითი გამარჯვება, მაგრამ გაგნიძეს და მეც არ გაგვკვირვებია მათგან ასეთი თანდაყოლილი ფსიქოლოგიური მოვლენა...

დრო გადიოდა, 1972 წელს, გიორგი მაქაცარიას შუამავლობით, ხელოვნების მუზეუმში უმცროს რესტავრატორად მიმიღო დიდმა მეცნიერმა და ღვთისნიერმა ადამიანმა, აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა. შემდეგ მუზეუმში ბატონმა შალვამ სამუშაო ოთახიც გამომიყო...

წლები წლებს მიჰყვებოდა, რესტავრატორობას თავი დავანებე და, ახალი ქართული ხელოვნების განყოფილებაში, ქეთევან ბაგრატიშვილთან გადავედი უმცროს მეცნიერ მუშაკად. იმ დღიდან, ნიკო ფიროსმანაშვილის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, მოსე თოიძის, გიგო გაბაშვილის, შალვა ქიქოძის და ბევრი ჩვენი საამაყო ეროვნული მხატვრის სურათებს ბუზსაც არ ვაკარებდი. იმ წელს დარბაზებში თანაბარი ტემპერატურის და ჰაერის ზომიერი სინოტივის შენარჩუნების აპარატებიც დავდგით და ავტორების დონეზე ვუვლიდი მათ ტილოებს, ასევე — ჩემი დიდი ბატონი ლადოს შედევრებს.

გიორგი მაქაცარიამ და მე ბატონი ლადოს სახელოსნოს სურათებიდან რამდენიმე გავწმინდეთ და შემთხვევით გაფხაჭნილი ადგილები გავაქრეთ ტონირების მეშვეობით. უფრო გიორგი ასრულებდა ამ რთულ სამუშაოებს.

ამჟამად კურიოზისმიერი ისტორია მინდა მოვიგონო: 1985 თუ 1987 წლებია და სენაკში ვმუშაობ სამეგრელოს პეიზაჟებზე. ერთ იღბლიან დღეს მოვხვდი კურორტ მენჯის ადმინისტრაციულ შენობაში, თუ არ ვცდები, ღვინჯილია იყო უფროსი. პირდაპირ, კაცურად მთხოვდა, კურორტის მიდამოები დამეხატა, კუთვნილ თანხას უთუოდ გადაგიხდიო. ამ დროს კანტორის ერთ-ერთ ოთახში შევნიშნე ლადო გუდიაშვილის ნახატისმიერი ფერწერული სურათი. კარგად რომ შევისწავლე, დავადგინე, ნაწარმოები ლადო გუდიაშვილს ეკუთვნის ყოველგვარი ეჭვის გარეშე. იმ პერიოდში სამინისტროს დავალებით პარალელურად სურათების ორი საკომისიო მაღაზიის ექსპერტად ვმუშაობდი და ნამდვილად არ შევცდებოდი. კურორტის უფროსობას ვეკითხები, მოგწონთ თქვენ ეს სურათი-მეთქი? არც ისეო, მიპასუხეს.

ორჯერ დიდი ზომის პეიზაჟს — სურათს ტილოზე დაგიხატავთ და გავცვალოთ-მეთქი. დამთანხმდნენ. სამი თუ ოთხი დღე პლენერზე ვმუშაობდი, შეძლებისდაგვარად, მენჯის პეიზაჟის საინტერესო სურათი დავხატე, გავუკეთე კარგი ჩარჩო და წარვუდგინე მათ, ნაწარმოებთა გაცვლა მოხდა ჩვეულებრივ ფორმებში. მერმე ლადო გუდიაშვილის ეს ძვირფასი სურათი „მცხეთა" ჩამომაქვს თბილისში. მე, როგორც ახალი ქართული ხელოვნების განყოფილების უკვე უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა, უსასყიდლოდ ჩავაბარე მუზეუმს. ეს სიახლე დაიბეჭდა გაზეთ „თბილისში", თითქოსდა, მუზეუმის ხელმძღვანელმა მოიპოვა ლადო გუდიაშვილის სურათი და საჯაროდ გადასცა განყოფილებას. ყოველივე უმსგავსობა რომ გავიგე, მეწყინა, ეს რა ბავშვობაა-მეთქი და არ გამოვეკიდე პატარაკაცურ საქციელს, ჩემთვის მთავარი იყო, ფაქტობრივად მე ხომ გადავარჩინე ეს სურათი და ქვეყანამ იცოდა, რომ ტყუოდა კორესპონდენტი და ინტერვიუს მიმცემი... ამდაგვარად, სიამოვნებით შევურიგდი პატიოსან სიღარიბეს...

აქვე მინდა ჩავრთო მაესტროსგან უცნაური მოგონებაც პარიზის მაშინდელ ამორალურ მამაკაცებზე, წითელ პომადას ისვამენ ტუჩზე, ფერუმარილითაც სახეს ითხუპნიან, მერმე ზიზღით დაუმატა, ინტიმურად ურთიერთობენ კიდევაც და ქუჩებში ისე დადიან, ვითომ არაფერიო. „მულენ რუჟის" მარჯვენა მხარის ქუჩები მათ ეკუთვნითო. ამ საუბარს გაოგნებული ვუსმენდი, ნუთუ, ამდაგვარი კაცებიც არსებობენ ქვეყნად-მეთქი? თურმე, სამწუხაროდ, არსებულა...

ფიქრებით და მოგონებებით გადავიწიოთ გარკვეული დროით უკან და მუზეუმის ჩემს სახელოსნოში შევიხედოთ, დღე და ღამე სისტემატურად ვმუშაობდი პორტრეტებზე, კომპოზიციებზე და ხატებზე (რა თქმა უნდა, მუზეუმის აუცილებელ საქმიანობასთან ერთად). ახალგაზრდების სახეებთან ერთად შევქმენი გამოჩენილი ადამიანების პორტრეტები, „შოთა ნიშნიანიძე" ამჟამად ხელოვნების მუზეუმში ინახება, „ოტია იოსელიანი" კოლექციონერთანაა, „იოსებ ნონეშვილი" ნ. ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმშია, „დილარ ივარდავა" თავად პოეტთან ინახება, „თენგიზ არჩვაძე" ავტორთანაა, „ოთარ მეღვინეთუხუცესი" თეატრალურ მუზეუმშია დაცული, „გურამ საღარაძე" ავტორთან ინახება, ზინაიდა კვერენჩხილაძის პორტრეტი ქალბატონ ზინაიდას ბინაშია დაცული, მომღერალ მედეა ძიძიგურის პორტრეტი ხელოვნების მუზეუმის ფონდებშია, „მედეა ბიბილეიშვილი" კი გერმანიაშია წაღებული, აგრეთვე, რამდენიმე მოცეკვავე — სუხიშვილის ანსამბლიდან. ეროსი მანჯგალაძის, რეზო ინანიშვილის და შალვა ამირანაშვილის პორტრეტებზე მუშაობა არ დამაცალა უზენაესმა.

გადის დრო სანუკვარი და ჩემი პორტრეტების სერიიდან ხელოვნების მუზეუმის ფონდებში შვიდი სურათი დაბინავდა, რამდენიმე — მხატვართა კავშირის ფონდებში და სამი — მოსკოვში. ამით გათამამებულმა გავბედე და შევკადრე დიდ მაესტროს, მისი პორტრეტი დამეხატა.

იმ პერიოდში ბატონი ლადო სოციალისტური შრომის გმირია. წინადადებას ღიმილით დათანხმდა და დაიწყო ჩემთვის ხელოვნების ახალი პერიოდი. ლადო გუდიაშვილი დადიოდა ჩემს სახელოსნოში და მე მის პორტრეტს ვხატავდი. უკვირდა ყველას, შურდა ბევრს. მიკვირდა მეც. ერთი თვის განმავლობაში გულმოდგინედ და რეგულარულად ვიკრიბებოდით ჩემთან. გაოცებული იყო ქალბატონი ნინა, ეს როგორ მოხდა, ლადო არავის დათანხმებია თავის პორტრეტზე მუშაობაზე და თქვენ სიამოვნებით გამოგყვათო.

სურათზე მუშაობის დროს ჩემთან სტუმრად მოდიოდნენ კორესპონდენტები, ფოტორეპორტიორები, მწერლები, პოეტები, მეცნიერები, მსახიობები (თენგიზ არჩვაძე, ლადო ცხვარიაშვილი, ჯემალ მონიავა), ქეიფები და საერთოდ დალევა აიკრძალა. იყო საუბარი ხელოვნებაზე და, კერძოდ, ფერწერაზე, პოლიტიკაზე ერთი სიტყვაც არ თქმულა, მე, როგორც 1924 წლის გამოსვლების მონაწილის, მენშევიკების და გაკულაკებული ოჯახის შვილი, არასოდეს პიონერი, კომკავშირელი და პარტიული არ ვყოფილვარ და ჭირივით ვერ ვიტანდი საქართველოს დამღუპველ ლენინურ პარტიას. ერთხელ ცოტათი გავღიზიანდი, ბატონი ლადო სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავით ჩემთან რომ მოვიდა. ბატონო ლადო, უმაგისოდაც თქვენ უფრო დიდი და ლამაზი ხართ-მეთქი. ამხედა კეთილად და მითხრა, სუ! ბიჭო თუ არა დაგიჭერენო, მართლაც გადის დრო და, ეკლესიასთან სულიერად ახლოს მდგომი, ხატების ავტორი და ეროვნული მოძრაობის წევრი, ლენინური პარტიის მუზეუმელებმა სამსახურიდან გამაძევეს, შემდეგ სამუშაოდ არსად არ მიკარებდნენ, ამიკრძალეს უცხოეთში გასვლა, არ მაძლევდნენ საცხოვრებელ ბინას და ყოველგვარ დახმარებას, ჩემმა ეკლესიის მესვეურებმაც არ მიმიღეს, აბა, რა ვიცოდი, აგრე ღიად „კაგებეს" და კომუნისტური პარტიის მოძულეს ეკლესიაშიც არ გამაჭაჭანებდნენ, რადგან თურმე იქაც ყოფილან მოყუჩებული მათი მსახურები, იმედად შევრჩი მხოლოდ ღმერთს, სამშობლოს და ხელოვნებას, ამ სამმა საოცრებამ გადამარჩინა და შიმშილისგან იხსნა მრავალწევრიანი ოჯახი.

ბატონ ლადოს პირადი ურთულესი ისტორიიდან ყველაფერს ვუყვებოდი და სიფრთხილისკენ მომიწოდებდა აქვე მინდა ვაღიარო, იმ უმძიმეს წლებში მე სამეგრელოდან ჩემეული სურათების თაყვანისმცემლებმა კეთილშობილური თანადგომა გამიწიეს. ზოგი მათგანი ახლაც ცოცხალია და ღმერთმა დიდხანს ამყოფოს, რამდენიმე მოკეთე კი ზეციურ საქართველოშია გადასული და ნათელში იყვნენ მარადის.

დავუბრუნდეთ ბატონი ლადოს პორტრეტს. ბოლო სეანსებია და დიდ მაესტროს მოსწონს ნაწარმოები. „რეზო, — მეუბნება (ღმერთია ამის მოწამე), — ძალიან კარგი ნახატი გამოგივიდა და ერთ რამეს გთავაზობ, სურათები გავცვალოთ ზომა ზომაზე. ეს იყო დიდი მხატვრის ზეადამიანური ურთიერთობა ახალგაზრდა ფერმწერთან. მეც დაუფიქრებლად ვპასუხობ, მიხარია, ბატონო ლადო, რომ გულწრფელად, დადებითად შეაფასეთ პორტრეტი და გაცვლასაც რომ მთავაზობთ, მაგრამ ნიკო ფიროსმანაშვილის მუზეუმის დირექტორს, ბატონ ანზორ მაძღარაშვილს ძალიან ესიამოვნა ნამუშევარი და მისი შეძენა შემომთავაზა-მეთქი. ბატონმა ლადომ უმალ მომიგო: „კარგი, რეზო! მაშინ იქ იყოს".

იმ დროს მოვიხიბლე გენიალური ნიკო ფიროსმანაშვილის მუზეუმში ჩემი ფერწერული ტილოს გაექსპონატებით, მაგრამ გვიან გავთვალე, რომ მომავალში სიღარიბისთვის ვყოფილვარ განწირული, ბედად გამდიდრების ოქროს თევზმა ჩემკენ გამოისეირნა, მაგრამ!.. ბატონი ლადოს პორტრეტის ზომა გახლავთ 90X60 სმ. ხოლო ლადო გუდიაშვილის ამ ზომის ფერწერული ტილოს ღირებულება ამჟამად მილიონ დოლარამდე აღწევს. არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო, რა კარგი ნათქვამია. სეანსებს წარმატებით მოვრჩით, შემდგომ სურათი მირზაანში, ნ. ფიროსმანის მუზეუმში ჩაიბარეს. დიდ მაესტროსთან ახლო ურთიერთობა კვლავინდებურად გრძელდებოდა, თან მეამაყებოდა, რომ მაშინდელი საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის წევრი ბატონი ლადოს რეკომენდაციით გავხდი.

ზაფხულის თვეებია, პოლონელი დიდი მხატვარი სტუმრად გვეწვია ხელოვნების მუზეუმში, მეორე თუ მესამე დღეს ბატონ შალვა ამირანაშვილს სთხოვა, მხატვარ გუდიაშვილის ატელიეში წამიყვანეთო. მერმე მე დამავალეს, სტუმარს გავყოლოდი დიდ ქართველ მხატვართან. ქალბატონმა ნინამ და ბატონმა ლადომ თბილად მიგვიღეს და ევროპულადაც გაგვიმასპინძლდნენ. უცხოელი ხელოვანი რუსულად კარგად მეტყველებდა. ბატონი ლადო სტუმარს მოუყვა პოლონელ მხატვრებთან პარიზში ურთიერთობისა და მეგობრობის თაობაზე, კეთილმა მასპინძლებმა დიდხანს არ გაგვიშვეს და ბევრ საინტერესო ისტორიას იგონებდა მაესტრო, უფრო პარიზის პერიოდს. რატომღაც ძალიან სევდიანად დამამახსოვრდა მისი სიტყვები, — ბატონო ჩემო, — სტუმარს ეუბნება, — მგონი მოვიდა დრო, წერტილი დავუსვა ჩემს ყველაფერსო. და მართლაც, რამდენიმე თვეში ბატონი ლადო გარდაგვეცვალა.

გუშინ დიდი მაესტრო წავიდა ჩვენგან სამუდამოდ და დაგვასევდიანა მარტო მხატვრის თაყვანისმცემლები, მეგობრები და კოლეგები კი არა, მთელი ქალაქი და სრულიად საქართველო. მოუკვდა თბილისს ჯადოსნური ფუნჯის ოსტატი და სულიერი ტრუბადური.

დილის ათი საათია, მუზეუმის კარი ღიაა. დაღონებული შევედი და თანამშრომლებს მივესალმე, ამ დროს ქალბატონები: ქეთევან ბაგრატიშვილი, ეთერ თოდუა და იზო ქურდაძე ფოიეში შემხვდნენ, წუხელ გვიანობამდე ვიყავით გუდიაშვილის სახლში, წამოსვლისას ქალბატონმა ნინამ გვითხრა, სად არიან ჩემი ბიჭებიო, აქ უნდა იყვნენ ეს დღეებიო და მართლაც, გასვენებამდე ჩვენ, გიორგი და მე, გუდიაშვილების მგლოვიარე ოჯახს არ მოვშორებივართ და დღე და ღამე ბატონი ლადოს წმიდა ცხედრის გვერდით დუმილ-მზადყოფნაში ვისხედით ჭირისუფლებად.

უსაზღვრო მწუხარებით ჩამქრალიყო პლანეტის დიდი სანთელი, დაღონებულნი დუმდნენ მხატვრის შედევრები — დროსთან მებრძოლნი. ერთ-ერთ კედელთან მივედი და რამდენიმე ადგილას მიჭედებული უკვე დაჟანგული ლურსმნები რომ ვიხილე, სევდით ჩამეთუთქა გული. რა ბედნიერი იყო იმ დროს მაესტრო, ამ ლურსმნებს ცარიელ კედელზე რომ აჭედებდა-მეთქი, მათზე ხომ მისი ხელითვე შედევრები იკიდებოდა, როგორი ნათელი და ძლიერი იყო საქართველოც მაშინ.

მუქი ლურჯი მანდილით თავდაბურული ქალბატონი ნინა შორეული დუმილით, თვალცრემლიანი მისჩერებოდა თითქოსდა მარადიულ ძილში უსასრულოდ მყოფ ბატონ ლადოს, თავის მარად განუყრელ სულიერ მეგობარს და სალოცავს. ხოლო გულშიჩამწვდომი იყო და სევდის ნერვის უკიდურესად ამშლელი ჩუქურთმას, მხატვრის ქალიშვილის, ბნელ ხეობაში ჩაწოლილი ნისლისფერი მოთქმა-გოდება... — „შუაღამეგადაცილებულს თითქმის ყველას რომ ეძინა, უცხო უხილავი ფრთების შრიალი მოისმა უკვე სიკვდილგაპარულ დარბაზში. ყურთ მიუწვდომელი გალობის ხმა და კოსმოსური ნათელი ადგაო წმინდა ცხედარს, მხოლოდ დიდი მხატვრის სულიღა ურთიერთობდა მათთან“. ჩვენთვის ყოველივე ეს სრულიად დამაჯერებელიცაა, განა ამქვეყნიური რომელიმე ნებისმიერი რანგის მსახური ადამიანთაგანი შეიძლება გაუთანაბრდეს დიდ შემოქმედს? ის ხომ უფლის გონება — მსგავსი და სულია, ზეცაში მარადის ანგელოზებთან რომ ურთიერთობს...

უხილავი წარმოუდგენელი და დაუჯერებელი პანაშვიდი მოჰყოლია ამ ხილვა-გამოცხადებებს, მთელი ღამე რიგით ასობით სურათი მოდიოდა თავიანთ მაესტროსთან და ნაღვლიანად ეთხოვებოდნენ თურმე, მარადიულობაში მყოფნი ცისფერ ცრემლს ღვრიდნენო მდუღარეს...

ჩემი უკანასკნელი გამოთხოვება და მოკრძალებული ხელის ჩამორთმევა ის იყო, რომ დიდი მაესტროს კუბოს სახურავი, მხატვრის ბინა-ატელიედან მთაწმინდამდე შეუსვენებლივ ვატარეთ გიორგიმ და მე, თითქოსდა მისი უმწიკვლო სული მიგვყავდა ქართული ზემარადიულობისაკენ.

წმიდა ცხედარი ქაშვეთის ეკლესიას რომ მიუახლოვდა, ზარებმა იწყეს გოდება და კოსმოსური ტირილი. მათი ხმა ვარსკვლავეთს სწვდებოდა. მამადავითის ეკლესიის კედლის ახლოს, ჩრდილოეთით, წმიდანის ცხედარი რბილად და მშვიდად ჩავასვენეთ მუქ, ყავისფერი მიწის მსუნთქავ სამარეში, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს უფალს სამუდამოდ გადავეცით ჩვენი წმიდა ლადო. მთაწმინდიდან ხალხი თავიანთ სახლებში დროულად წასულიყო. შევრჩით მარტო ჩვენ, მოქანდაკე ბატონი ბიძინა ავალიშვილი, დიდი მაესტროს ნათლული, გიორგი, მე და რამდენიმე მესაფლავე — კირითხუროები გაფაციცებით ხურავდნენ აკლდამას, თანმიყოლებით იმქვეყნიური, შიშისმომგვრელი სიბნელე ჩადგა შიგ: უკუნი — სიჩუმე და არამიწიერი დუმილი, ბოლო ბრტყელი აგური ჩადო ხელოსანმა, ცემენტის ხსნარი დაასხა და ქაშვეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის ფრესკების მომხატველი წმიდანი სამუდამოდ მოწყდა სამზეოს, ზეცის ზარებმა ჩამოჰკრეს მისტიკური ხმა, გუგუნ-ზუზუნით. ფერით, ხაზით, ფორმით პოეტურად და მუსიკალურად ღრმად მოაზროვნე ვარსკვლავი მოწყდა თბილისს. ამ დროს დასავლეთ ევროპაში გერმანელმა ასტრონომმა ახალი ვარსკვლავი აღმოაჩინა — ირმის ნახტომი ჩვენს გალაქტიკაზე და დაარქვა სახელი „ლადო გუდიაშვილი“.

2016 წლის 22 იანვარი, ღამის 10 საათი.

პოეზია

# ალექსანდრე ჭინჭარაძე



## გაზაფხულის სიმღერა

შენს კალთაში ღამეს სძინავს,
ჩიტისგულა აივანი ახელს თვალებს...
და პირველმა ყვავილმა თუ გაიცინა
და პეპლებმა თუკი ფრთები ვერ დამალეს.
იცოდე, რომ ახლოს არი გაზაფხული.
და ირმების იისფერი გაზმორება.
თოვლში, თოვლში ყვავილები ჩაკარგულან,
ო, მზეები ყოველ ღამე ესიზმრებათ!
ჩქარა, ჩქარა, ამოდი რა, ლურჯო მზეო,
მოგვეშველე მაგ ყვითელი შენი თმებით.
თორე სული ლამისაა დაგვისველოს
თოვლმა თავის თოვლისხელა ნაბიჯებით!
შეხე, მთებზე წამოწვიმა. ნისლი არი.
იშლებიან ენძელები და იანი.
მინდორ-მინდორ ყვავილები დაიარე,
ფუტკრები და ჩიტუნები გაიცანი!
როცა მოვა, როცა მოვა გაზაფხული
იმ ირმების იისფერი გაზმორებით.
ჩიტები და ყვავილები დაისიზმრე
თეთრი, თეთრი ფიფქებივით
დამარხული!

## გაზაფხულის ზღაპარი

სამყაროს დაჭიმულ ძაფზე,
ცასა და მიწას შორის გაბმულ სიმზე,
უკრავს პატარა ბავშვი
თავისი უწყინარი, თხელი თითებით,
სამყაროს სიყვარულის ელეგიას,
უკრავს გაზაფხულის დაჭიმულ ნერვზე,
ჰაეროვან სიმწვანეზე,
ყვავილოვან ჩამომარტებას!

## ზაფხულის ზღაპარი

ცხელ უდაბნოში აღმოჩენილ ოაზისივით
ნათელი არის შენი სული, ლელ!
არაფერი ეგზისტენციალური.
მხოლოდ ორ ხეს შუა გაბმულ ჰამაკის
მოწყენილობა,
ფინჯანი ყავა და ფიქრი შენზე, ლელ!
ჩამოზაფხულდი ჩემს წამწამებზე,
ჩამოაფარე სიქალწულის გრილი რიდე
ჩემს თხელ ნაკვთებს,
ჩამომესიზმრე,
ლელ!

## საყურე

იმ ჟოლოსფერ საყურეებს მოგიტანს დედა,
როგორც პატარა საქანელებს,
სადაც, ვით ბავშვი, დაირწევა შენი ღიმილი!

## Naturmort

ისე უბრალო,
როგორც ლარნაკში ყვავილის მოთავსება
და ისე ნაზი, როგორც ფარდის ნაკეცის გასწორება,
არის შენი ჟოლოსფერი
თმის სარჭი
და აწეული ჩალისფერი თმა...

## ყოვლადწმინდა სამყაროს ენა

როგორც ერთი, ძველი, ფრანგული ფილმის
პერსონაჟი,
საქალაქო ტელეფონით რეკავ რომელიღაც
ცენტრალურ სკვერში,
იმ იმედით, რომ ტელეფონი ვინმემ აიღოს.
სამწუხაროდ კი იქ შენივე თავი გპასუხობს,
რომ მარტო ხარ.
რომ ფიჭური კავშირი
უძლურია ეგზისტენციალური
მარტოობის წინაშე.
და მით უმეტეს უძლურია
ინტერნეტი, 21-ე საუკუნის
სარკე, რომელშიც იხედები და: „სარკევ, სარკევ,
მითხარი“...
ხელს მხოლოდ ეკრანის უსვამ.
მერე გახსენდება ბავშვობა და სოფელი.
გვიმრებითა და ნაგულებით აშენებული სახლი
ეზო-ეზო.
და გრძნობ, ეს იყო ბავშვური პირველმცდელობა,
გქონოდა შენი ბინა.
ამ მილიონიან ქალაქში,
სადაც მანქანებს უფრო თბილად აცვიათ, ვიდრე შენ,
გრძნობ, რომ ჭეშმარიტად
მარტოობაა ყოვლადწმინდა სამყაროს ენა.

# ელენე ლიქოკელი



* * *

და ცაა თბილი, ცაა უსაზღვრო...
იღვრება მიწად წმინდა სხივები,
მიწაა რბილი, მიწა უნაღვლო,
ფოთლებზე ცვარი, წვეთი – მძივები,
და გრძნობა მძაფრი, შეხება ფრთხილი
ზურმუხტოვანი ბალახის ხელზე,
ათასი რიგი ბუჩქოვან თხილის,
ფარჩა ყვავილთა უსიერ ველზე...
და ცაა თბილი, ცა უსასრულო...
მიუწვდომელი, აელვებული...
მე მონუსხული და უსასოო
შევნატრი ზეცას აღელვებული.

## შემოდგომა

ვფიქრობ და ფიქრი გონებას სცდება,
ზანტად ერევა სივრცეს და დნება –
ვით თაფლისფერი სანთლების ტანი,
მოოქროსფერო ალთა ზმანება...
ჩემი ოცნება ოცნებად რჩება,
ვით თეთრი ბროლი აქათქათდება,
მოჩუქურთმებულ ღრუბლებს აჰყვება
და უხილავში გაფერმკრთალდება...
მიწა მონუსხავს ზეცას ვერცხლიანს
და შემოდგომის ფერთა გამაში
დაეფინება წვიმა ველიანს
და გაერთობა ქარიც თამაშში...
ზაფხულის ლანდი დღეებს გადათვლის,
გაიცრიცება ტყე, ახლობელი,
მოვარაყდება ფოთოლთა კალთა
და ისხვაფერებს მიწა მშობელი.

* * *

რეალობა ზეცას ასცდა?
არა უშავს...
მოთმინება ზღვარს გადასცდა?
არა უშავს...
მადლი, ბილწმა სიბოროტემ მიწას დასცა,
განწირულმა ჩემმა სულმა სითბო გასცა,
ერთი სიტყვა ენას დასცდა, არა უშავს.
რა უშავს, თუ დაღმართებზე მაბინდდება,
რა უშავს, თუ ტკივილებით მაფიქრდება,
დაღმართს აღმართი მოსდევსო, – გამიგია
ოცნებებში კოშკები არ ამიგია...
სხვისთვის გულის ხვაშიადი გამინდია,
(და ჩემს სულში ვწუხვარ, ცუდი ამინდია)
დღეს უფერულ ფიქრებში ვარ დაკარგული,
არა უშავს..
თუ სიკეთე სულ არაა დანახული,
არც რა უშავს...

* * *

ჩუმი ნეტარება ღიმილად მეღვრება...
რა არის ცხოვრება – უშენოდ ცხონება?!..
ღიმილი ბევრგვარი, თვალები ბევრნათი
სულების სანათი მათი ათინათი..
და შენი სიტყვები – არაფრის ფიქრები,
ქაოსი, საშინელ სულთა, ანარქია...
მაგ შენი თვალებით სულში ავინთები
და დავიღვენთები ვით მელანქოლია...
ეს ჩემი სტროფები აცდენილ რითმებში
სულ შენი ბრალია, სევდაში – ალია,
ახლა მე ბაღში ვარ და ჩემი ფიქრები
პატარა მხტომარე კალიამ არია...

## თბილისს

ახლა მე შენგან მოშორებული
დავდივარ სუსხში ზამთრის პირს ობლად,
აღარ მახარებს აღარც ტყე-ველი,
არც ფიჭვიანი, არც სახლი სოფლად,
ჩემს სულს ეწვია დღეს შენზე სევდა,
აუტანელი ტკივილით მტანჯა...
გული საოცარ სისწრაფით ცემდა
და მონატრებამ ლამის დამნაცრა.
ო, როგორ მიხმობს მტკვრის პირი ახლა,
ნიავი გრილი, ღამის ხვეული...
დავდივარ უხმოდ ამ სუსხში აქ და,
კვლავ ვიტანჯები შენით სნეული...

# ნატალი დაჯასელია



*   *   *

ნუ გეშინია, ეს ზამთარიც მალე გაივლის
და მე, როგორც კი შენს მკლავებზე კვირტებს
ვიხილავ,
როცა კბილივით, თოვლს პირველი ენძელა
გაჭრის,
როცა ყინვისგან გაქცეული რუ იღიღინებს,
შენსკენ ლექსჩიტებს გამოვაფრენ!
ნუ გეშინია
ამ ლოლუების, ამ ყინვების, ფეხის დაცდომის,
რადგან, შენს გზებს მე მარილიან ცრემლებს
ვაპკურებ
და ჩემს ლექსჩიტებს არ აშინებთ დაბლა დაცემა.

*   *   *

სიკვდილი გადავწყვიტე.
ამ ლექსში იპოვი ოთახის გასაღებს,
რომ ამ გასაღებით ქაღალდის ანგელოზი
წაართვა გასაღებას –
ფურცლების ტუსაღი.
იპოვე ფიგურები.
კედლები.
კარადები.
შეხსენი დარაბა
მე რომ მიგონებენ
სიცოცხლე მოწყურებულს,
მკვდარი ვარ არა და.
იცოდე, რომ მკვდრები არ წერენ,
არ მღერიან.
არ ძალუძთ ჩურჩული
და მხოლოდ მათი
ამეტყველების,
და მხოლოდ მათი თანარსებობით
იმსხვრევა ჭურჭელი.
ფეხი არ დაადგა არც ჭიქას,
არც თეფშს
და არც სეპუკუთი
ავსებულ ლარნაკებს,
სანამ შენ კანკალებ,
სანამ სხვა კანკალებს,
ინდური ცეცხლია ხორცი რომ შევუკეთე
ვით შეშა ჩვენს ღუმელს.
(გემახსოვრება ჩვენი ღუმელი,
ქვაზე რომ იდგა, უფეხო რკინა
და ერთხელ როცა ცა მოიღრუბლა
უკანასკნელად დაიხროტინა.
იმ დღეს პირველად დავწვით თივა ჩვენი ზურგის
ქვეშ
და თივა ტანზე მოგვეყარა – შავი ზღვის ქვიშა).
ვზიდე ქვები.
ვძერწე თიხა.
თითი – ჩაქუჩად.
სიტყვა – კირითხუროდ
და მინდა ჩემი ტაძარი გაჩუქო,
სანამ სიკვდილის კარებსაც მივიხურავ.
კედლებზე დახატული სპილო და მინოტავრი.
ერთადერთ ღვთაებად,
დარაჯად და მრევლად
შენ გირჩევ!
ამ თამაშს ნურასდროს მიატოვებ,
მკვდარსაც კი შემიჩვევ.
ამ ლექსში იპოვი რუკას და გასაღებს.
ოდესმე მოდი და თუ მოხვალ შორიდან,
ფეხსაცმელს უშენი თალხი ჩამორეცხე,
ეცადე ტანსაცმელს ცრემლები მოაშორო.
იპოვი ქაღალდის სამყაროს – ორიგამს,
მე ომი მოვიგე!
ჩემი მარტოსული ტაძრის წინამძღოლო
ეცადე მომიგონო.
ცოცხალსაც დავიწყების მესია ჭიანჭველა და
ჩემი მესია
არ არის არსაით,
არ მოვა არსაიდან
და უმძაფრესია
განცდა და ანალიზი,
რომ სიკვდილს ვაპირებ.
მიპოვე. იპოვი.
იკითხე. იპოვე.
მიხვდები თავადაც
რაც უნდა ეძებო.
სანამ ჰკრა დროის ცხენს
უთავო მხედარმა ზერელე დეზები.
ვცადე და ღრიჭოები აქა-იქ ამოვწებე.
მინდვრებს მზე ჰკიდია ყვითელი წიბოთი
და ვწუხვარ თქვენ გამო
უგვამო მიწებო!
უგვამო მიწებო!
მე თავად მიწა ვარ,
მიწის ვარ,
მიწად ვარ
ქცეული ყოველი ნაკვთით და ნაწილით,
ჩემნაირთ წყალობა,
ღვთის არა – ეშმაკის.
ეშმაკს სიკვდილში გავუცვალე,
ეშმაკს ჯოჯოხეთში გავუცვალე რაც კი რამ
მეწადა.
მივდივარ, რადგან ქვესკნელს შევერწყა,
როგორც ხვიარა
და მისი ბრმა და ბერწი მუცელი
ჩემი სიკვდილით გავაფხვიერო.

* * *

დღითიდღე ქრები.
ჩამწკრივებულან წეროები შორს გასაფრენად
და ჩემს ოცნებებს მუჭა-მუჭა მიწა ეყრება.
დღეიდან ქარი არ მომიტანს შენს უხმო სიცილს,
აღარ მომიწევს შენს ლექსებში ხელის ცეცება,
დიდი ხანია, ყველა ლექსი ზეპირად ვიცი
სხვადასხვა ცის ქვეშ საშობაო გნიასი მშთანთქავს.
დაჟინებითაც რომ გიყურო,
სხვა ათას ქალში,
მეც ერთი სუსტი და რიგითი გამვლელი ვჩანვარ.
მე უფრო გხედავ,უფრო ვიცი,როგორ კრავ თითებს
და სიჩუმისფერ ბნელში ეხვევა
შენი სხეული, მე რომელიც ჯერ არ მიხილავს,
მაგრამ მე შენი ყველა ნაკვთი, იმათზე უკეთ
ვისწავლე, ვინც კი ნამძინარევს წაგიღიღინა
და ვისი კაციც შეიძლება ოდესღაც გერქვა.
მე გხედავ სხვაზე უკეთესად, ამისათვის კი
სულ არ მჭირდება სიახლოვე. თვალდახუჭული
ვხედავ ქუჩებში მიმობნეულ შენს სწრაფ ნაბიჯებს...
ვხედავ, მათ, ვისაც ესალმები, ხვდები, უღიმი
და ყოველ ჯერზე, როცა ჩემს ჩრდილს ზურგზე
მოიგდებ,
მაშინვე ტანში ჩამეღვრება რაღაც მდუღარე
და ასე ვხვდები, სხვაზე მეტი მე მყავხარ ანუ.
შენ ალბათ არც კი გესიზმრება, რომ ჩემთან
ცხოვრობ.
არ იცი, როგორ მარტივია უამრავ სიტყვით,
უამრავ ფრაზით, წერტილებით ააწყო კაცი,
რომელიც შენი ზღურბლის იქით ვერასდროს მიდის,
რომელიც თავად უკიდებს ცეცხლს გასაქცევ
ხიდებს
და ყოველ ჯერზე, როცა ცრემლში ვარდება ქვიშა,
მოდის და გკოცნის. ყვავილივით გაშლილ
მუხლისთავს
თავისი ნერწყვით აფხვიერებს, ასე გილამბავს
ცხოვრების სამოსს, რომ ერთ დღესაც შენგან
წავიდეს,
რომ ერთ ღამეში, უმისობის სასჯელს მიგანდოს
და მერე, თეთრი ფურცლებიდან ამოგყურებდეს,
რომ მერე ასე ფურცლებიდან რაღაც გიამბოს.
დღითიდღე ქრები. ფიქრითაც კი ისე ზედმეტი
ვჩანვარ მე შენი წესრიგისთვის,როგორც ძუძუსთან
რიგში ჩამდგარი, ნაბოლარა და სუსტი შვილი.
მე მხოლოდ ის მსურს, როცა კრძალვით შეაღებ
კარებს
სახლის, რომელშიც მამობრივი სამოთხე სუფევს,
სახლში, რომელშიც ყველა ნივთი კანკალით გელის,
სახლი, რომელიც შენი სუნით სავსეა. იქნებ,
სულ ერთხელ მაინც ჩაგეღიმოს და ასე მიხვდე,
რომ სადღაც ვარ და
სადღაც ვარ და უბრალოდ ვფიქრობ...

## ეკა ოთარაშვილი



### თელავს

კავკასიონი, მხრებგაშლილი გასცქერის თელავს,
ცივ-გომბორიდან მარგალიტად იშლება ცვარი,
ისტორიაა, დღეს, აწმყოში, წარსულს რომ ხედავს,
სისხლის წვეთებით დაწერილა ჯიში და გვარი.

ალაზნის ველი,მზე მკერდსავსე და მადლი ღმერთის,
ცხრაასწლიანი ჭადრის ვარამს გაფანტავს სიო,
მეფის კარიდან მორჩენილა ღირსება ვერცხლის,
თვალი მწყემსია, შეპარული შერეულ ღიობს.

ძველი თელავი, ათასრვაას წლის ისტორიით,
გაშენებული შვიდ გორაზე, ღირსების მშვენი,
„ეს ბადახშია", მტერმა ბევრჯერ თქვა ირონიით
და დენთის სუნით დაიწერა წარსული ჩვენი.

დაღლილს ომებით,მეფეს ჩვენსას,მიართვით ღვინო,
გადმოაბიჯა ციხისა ზღურბლს და სასახლის კარს,
ისტორიული ჭიშკრებიდან ამბავი მწირობს,
სხეულს იარებს ვერ უშუშებს დრო, პატარა კახს.

და მეფევ ჩემო, სადაც იშვი, იქ აღესრულე,
აი, სენაკი, სადაც რწმენით უხმობდი უფალს,
გუმბათზე ზარებს რეკავდნენ და დღე იყო მრუმე,
თელავი, როგორც მოსასხამი იცვამდა ურვას.

რიყის ქვით ნაშენ, ხელოსანთა ძველი უბნები,
ყორჩიბაშვილის სასახლეში, ნაჭედი სიტყვა,
ვახვახიშვილებს გაუციათ, მადლი ულევი,
დრო ომია და ტყავის სახრეს, ფეხებზე ირტყამს.

ყადორის ბორცვზე, იწვა მხარზე ჩამავალი მზე,
ბატონის წყალთან, დაწერილი ცრის ელეგია,
დგას, დედოფალი თინათინის, თეთრი შინდის ხე,
შუამთის მთაზე აუგიათ ეს ეკლესია.

დარდები ზურგით, თეთრიანის აღმართს ვათრიეთ,
დაბახნებიდან ავუყევით, ზუზუმბოს ველებს,
„შენ ხარ თელავის" სიმღერაში ღამე ვათიეთ,
მთელი სამყარო დავატიეთ, ამ გაშლილ ხელებს.

ლეილა ქიტოშვილი -
სახლთხუციშვილი





# თამარ გაბროშვილის უშურველი ზიარჭურჭელი...

**„ნუ დაივიწყებ, რომ ყოველი კაცისა ფასი მისი მისწრაფებების საგნის ფასით განიზომება“, — მარკუს ავრელიუსი**

..თამარის ნაჩუქარი წიგნი „ქრიზთას ქრიზოლითები“, შინ მოტანისთანავე, ინტერესით გადავფურცლე; წიგნიდან სანიშნე ჩამოცურდა, რომ დავხედე გავიხარე, რადგან ჩემი უსაყვარლესი არსებები — ღაბუა ჩიტები, მაღალ ხეზე შემომსხდარნი, სიყვარულით ჟივჟივებდნენ... მერე, დიდხანს, ნახატებს ვათვალიერებდი; მშვენიერი, საინტერესო, თავისებური-თამარისებური — „სამზეო“, „საცისარტყელე“, „საგზაო“, „საგულისხმო“, „სასიყვარულო“, „საღვთო“; აღარს ვამბობ აქა-იქ „მიმობნეულ“ ყვავილებზე... მივხვდი. წინ ორიგინალური აზროვნების მქონე ქალბატონის უშუალოდ, ყოველგვარ რევერანსებს მოკლებული, გულწრფელი საკითხავი მელოდა... — არც შევმცდარვარ.

ვიცი, ახალს არაფერს ვიტყვი, რადგან ჩემამდე ბევრმა გამოთქვა საკუთარი აზრი მისი ნაწერების შესახებ, და თუ ჩვენი აზრები, შთაბეჭდილებები ერთმანეთს ემთხვევა, ეს მხოლოდ ავტორის წარმატებაზე მიუთითებს და კიდევ ერთხელ ადასტურებს მის ინდივიდუალურ ხელწერას, სამყაროს აღქმის მხოლოდ მისეულ დამოკიდებულებას...

„ამ ლექსებში პოეტი ქალის გულისთქმა და ოცნება არის ჩაქსოვილი. რაღა თქმა უნდა, უამისოდ არც პოეტი არსებობს და არც ლექსები იწერება, მაგრამ ყოველი პოეტის გული სხვადასხვანაირად გრძნობს და განიცდის, ყოველი პოეტის თვალი სხვადასხვანაირად აღიქვამს გარე სამყაროს. ამ ინდივიდუალური აღქმის წყალობით წარმოიშვება პოეტური მრავალფეროვნება და მკითხველიც, ბუნებრივია, თავისი გულის გამოძახილს ეძებს ყოველ ახალ წიგნში...

პოეზიის მრავალ ღირსებათაგან ერთ-ერთი და ჩემი აზრით, უპირველესი უსათუოდ გულწრფელობაა და დიდად მედლიერნი ვართ, როცა მრავალფარდოვანებით არ ცდილობენ ჩვენს მოტყუებას, მე მადლიერი ვარ ამ ლექსების ავტორისა, მისი მიამიტობისა და გულწრფელობისათვის“... — ეს საყურადღებო სიტყვებია. გაბროშვილის მცირე კრებულიდან „ახალწლის ღამე“ (1993წ.) მოვიხმე, რომელიც შესანიშნავ პოეტს დავით მჭედლურს ეკუთვნის. აი, ნაქები ლექსებიდან რამდენიმე: „ღამის თოვლი“.

სიყვარული — ღამის თოვლი
ისევ ჩემთან მოვიდა,
აიშალა ბელურების
გუნდი თეთრი მოლიდან.
რა გალობა, რა ციმციმი
ფანტელ-ფანტელ ხარება,
შენი ბაგე დამაჩნდება,
ყელზე ლამაზ ხალებად.
დამადნება გულზე მთვარე,
კოცნას მაინც არ გაგატან
გადაუხდელ ვალებად.
კვირტებიდან ამოხეთქავს
ღამის თოვლის ზმანება,
მარხვის შემდეგ ყვავილები
ტოტებს ეზიარება...
ჩაბინდდება ნისლში მთვარე,
ფიჭა ზეცისფერება,
სად თაფლივით ტკბება ღამე
და უსიზმროდ თენდება,
ფოთოლივით ჩამოჯდება
ბედი — მწვანე მგოსანი,
ახლოა და რაც ახლოა,
უსასრულოდ შორს არი..

„ექო“

ამ გაზაფხულზე მომენატრები,
რადგან მექნება მიზეზი თრობის:
აფეთქდებიან ჩვენი ატმები,
მწვერვალებიდან ჩამოვა თოვლი.

ჩამოგვადნება სხეულზე ექო
და თმას დამიწნავს ისევ ახლიდან,
რომ ნაწნავების სიგრძით გაიგო,
რა დრო გასულა ბოლო ნახვიდან.

„ციცინათელა“

ღამეა,
შენი პატარა სახლი,
როგორც ოცნების ციცინათელა,
ანათებს,
გელის...
გატრუნულია მთელი ქალაქი
და სურვილები
ახლა სიზმარში აუსრულდებათ ჭიამაიებს,
თუმცა მეც მინდა:
ისევ ხელახლა
ჩამოირბინო გრძელი ორღობე,
მიპოვნო
ბალახებში ჩაკარგული,
ხელისგულზე ფრთხილად დამისვა
და ამიყვანო შენს საუფლოში;
სიყვარულის ჭიაკოკონაზე
დავიდნოთ ფრთები,
რომ ვეღარ შევძლოთ
შორიშორს ფრენა,
– მაგრამ მოღრუბლულს არ მეძინება...
უმთვარო ღამეა
და შენი სახლი
ანთია,
როგორც ციცინათელა.

„პაემანი თუთასთან“

დახატე, თუ გსურს, ნუღარ მომიტან
მკვდრეთით ათასჯერ აღმდგარ ივლისებს,
ნუ გაიშლება უცხო ტოტიდან
წვიმების შემდეგ ხსოვნის ირისე.
მზე ჩადის ბაღში,
მაგრამ იცოდე,
შენც გაგაღვიძებს ფოთლების სუნთქვა:
აქ ყოველ ზაფხულს, როგორც სიცოცხლე,
ისევ ხელახლა მწიფდება თუთა.

„ზამთრისპირი“

აქ სიჩუმეა და დაბალ სახლებს
დედაბრებივით
მოუხვევიათ სახურავები,
და ეზო-ეზო სოფლის ჭორები
გაბერილები,
დასეირნობენ ყავრის ნავებით.
წვიმს...
ნედლი შეშა ბუხარში ისევ
დასაფერფლია;
კვერს ელოდება ბაღი ობოლი,
გახუნებული და დაკემსილი
თავსაფრებიდან
გამოსწეწიათ ძველ სახლებს ბოლი.

ამავე წინასიტყვაობაში ბატონი დავითი დასძენს: „...არ ვიცი, როგორ განვითარდება თამარ გაბროშვილის პოეტური ბიოგრაფია, კიდევ რამდენ წიგნს გამოსცემს იგი. ერთი კი მჯერა, რომ პოეზიის გულშემატკივრები გულგრილად არ შეხვდებიან ამ ლექსებს და ინტერესით დაელოდებიან ავტორის ახალ სიტყვას, ამ იმედის საფუძველს ნამდვილად წარმოადგენს ეს კრებული და მეც მინდა, იმედიანად დავულოცო თამარს გზა“.

მას შემდეგ, თითქოსდა ამ სიტყვების დასტურად, პოეტმა ოთხი პოეტური კრებული გამოსცა: „სიყვარულის თილისმა“ (1996წ.), „გაიმეორე სიცოცხლე“ (2004წ.), „ქრიზთას ანთოლითები“ (2016წ.), „ქრიზთას ქრიზოლითები“ (2020წ.) და ერთი კრებული სომხურ ენაზე „ქრიზთა“ (2016წ.); საერთოდ კი, მისი ნაწარმოებები 1983 წლიდან იბეჭდება პერიოდულ გამოცემებში, თარგმნილია სომხურ და ინგლისურ ენებზე. 1995 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია. აქვე იმაზეც გავამახვილებ ყურადღებას, რომ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი (1983წ.), ხოლო 1995 წელს – თსუ საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი ფერწერის სპეციალობით.

პოეტი საკუთარი მყარი ხედვით გამოირჩევა, მცდელობით – შენც, მკითხველსაც, ისევე გაგრძნობინოს, განგაცდევინოს, როგორც თავად გრძნობს და განიცდის, ეს იქნება ფლორის თუ ფაუნის სამყარო, სიკვდილ-სიცოცხლის არსი, ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანების სიხარული თუ საწუხარი; მცდელობა მიღმიერის დანახვისა, და რაც მთავარია, საკუთარი ხელწერისა თუ მიდგომებისადმი მკაცრი კონტროლი; ოდნავ დამღლელი დარიგებებითა თუ შეგონებებით, ხანდახან ზედმეტადაც, რაც ერთადერთი მიზეზი ხდება – სიყვარულის სიყვარულით, ადამიანის უსაზღვრო სიყვარულით, სურვილით – გვერდით დაუდგეს, შვება მოჰგვაროს, ცოტათი გაანათლოს კიდეც, გაიყოლიოს თავისი ნაფიქრისა თუ ნაზრევის შემეცნებით, სასიყვარულო, საღვთო გზა-ბილიკებზე... მაგალითები? – რამდენიც გნებავთ!

„ჩემი თვალების აუზები –/ მკვდარი ზღვები, / ცრემლში მოტივტივე / თევზებს ინახავენ.

ღრმად მოხუცებულები, ჩემსავით,/ ცალი თვალით იმქვეყნისკენ იმზირებიან / და ცალი ფეხი იქითკენ უდგათ; / ამიტომაც, ასე მსუბუქად და უცნაურად დაფარფატებენ“.../

„ნეტა შემეძლოს, რომ ეს სიცოცხლე / ღრუბელივით გადავიყარო, / მარადისობის ღვთიურ სამოსელს / ამძიმებდეს ფთილა ღრუბელი; / სილურჯეში ჩაკეული ვარსკვლავებივით, / კრიალა ზეცის ვიყო სტუმარი“.

„ვიყავი სანთლის მთვარე,/ ვიწვოდი / დედა-მიწის

გასანათებლად“!

„არ ვიტყვი უარს,/ ო, რა თქმა უნდა, არ ვიტყვი უარს – / ბროწეულის ყვავილად ვიქცე /და ცეცხლისფერი კაბის ფრიალში / გული საგულეს აღარა მქონდეს,/ ჩიტივით ვიჯდე ღვთისმიერ ტოტზე /და საგალობელს ვუმღეროდე /მზესა და ჰაერს“!

„გიკვირს, ჩემზე რატომ დარდობო,/ აბა, რა იცი, სულ უბრალო /მინდვრის ყვავილის გამოც /რამდენჯერ მწუხრისფრად /მიმოვქცეულვარ“.

„მიხვალთ – / დროებით გიმასპინძლებ / ალიზის სახლი,/ ზოგს – ქვიტკირისა,/ ზოგს კი – მარმარის... / მე სამუდამოდ / ჩემი ლექსის /ქოხში დავრჩები“!

„საუკუნეთა ლაბირინთებში დაკარგული, / ალბათ ყველას დავავიწყდები... /მხოლოდ ზამთარს ემახსოვრება/ფანჯრის მინაზე მითრთვილული / ჩემი ლექსები“.

„ქსოვ და რას ქსოვ,/სულ ერთმანეთში აგბურდვია / ფერადი ძაფები:/ შვილები და /ციცქნა ლექსები“...

„გულს ხომ აქვს გული,/ იმ გულსაც გული,/ იმ გულსაც გული,/ და ასე შემდეგ,/ და უსასრულოდ... / –ასეთია,/ სიყვარულის ძაფზე ასხმული,/ ჩემი საგულეთი“...

„დავიბადე და გავეხვიე /სიცოცხლის აბლაბუდაში... / როდის მოვა ობობა...“

„ყოველი ძლიერი ტკივილისას / და სიხარულისას,/ როცა საშველად ვერვის ვუხმობ,/ საკუთარ თავთან მისასვლელად,/ ვიცი, ყოველთვის შემეწევი, / თეთრო ფურცელო!“

„თუ არ მიენდე ოკეანეს, /ისე ვერ იგრძნობ/ ჭეშმარიტების / ღვთაებრივ ღელვას“.

„დაისია, / ცაში, შორიახლოს ჩიტები, / მაღლა კი – ჩიტწერტილები /დაფრენენ – /არემარეს ჭიკჭიკით იკლებენ. /მათ ციცქნა გულებში /მხოლოდ საგალობლებია ჩაწერილი. /ჩვენსაში კი“?...

„ჩემი ცხოვრება იმ ერთადერთ ენაზე დაიწერა,/ რომელიც მხოლოდ მე მესმის. /სხვამ რომ გაიგოს, / უნდა გადავუთარგმნო,/ მაგრამ ღირს კია / თარგმანის კითხვა“?!

განა ბევრი ადამიანი უსვამს საკუთარ თავს ამგვარ შეკითხვებს, ანდა აკეთებს ამდაგვარ, ხანდახან შემაცბუნებელ თუ გააზრებულ პასუხებს?!. რომლებიც ხან ოპტიმისტურია, ხანაც – სევდიანი – აპათიური, რეალობას მოკლებული, რადგან მომდევნო ნაწერებში მისი პიროვნება უფრო რეალისტური ხედვით აჩენს საკუთარ თავს, თუმცა მოულოდნელობისადმი რაღაცნაირი, მისტიკური ლტოლვა-შეგრძნებები მას ისევ და ისევ უკან, ჩვეული შეგნებული ხედვებისკენ აბრუნებს; ცდილობს პასუხი თავადვე გასცეს: „ნეტა ვის ძალუძს ჩემი ღვთაებრივი სიყვარულის, ჩემი ლირიკის გამეორება? ჩემი „ვარსკვლავების დედოფალი“, „დაკარგული სამოთხე“, „სიცოცხლის ზღაპარი“, ქაღალდზე ჩამოწინწკლული ლექსები, სიურპრიზები ნუთუ ოდესმე სხვისი კალმის წვერზეც წამოეგება? მათი დაჭერა თავად მეც კი აღარ შემიძლია განმეორებით?... ყველა „თევზი ცოცხალი და ერთადერთია – წყლის, მიწის, ჰაერის და ცეცხლის ჰარმონიაა, სულში ჩაგუბებული ოთხი სტრიქონისგანაა შობილი და ქაღალდზე გამორიყული.“

„ოღონდაც, ოღონდაც,/ არაფერს ერქვას სერიოზული! / ხუმრობა იქით იყოს კი არა / აქეთ იყოს, / თორემ საშიშია,/ თვით პოეზიაც,/ სერიოზული...“

„რაა ის ხარბი ძალა, რომელიც ბუნებრივად გამოყოფილ ამდენ სითბოს და სიყვარულს ისე შთანთქავს, რომ ადამიანები ყინულის ლოლუებივითღა არიან. საიდანმე თუ მიაღწია სითბომ, წკაპაწკუპი გაუდით, ისე ილვენთებიან, რომ წყალდებიან და აღარა რჩება მათგან“...

„წარსულს ხურჯინად ნუ მოიკიდებ,
მომავალს ტვირთი
ისედაც მოაქვს“...

„ამგვარ საქმეში“ და არა მარტო ამ საქმეში (თუ ამას საქმეს დავარქმევთ...), ბუნებით მომადლებულ ნიჭთან ერთად, გენეტიკა დიდ როლს თამაშობს... ასევე, გარკვეული წახალისება, მით უფრო, თუ ის იმათგან მოდის, ვინც შენთვის ავტორიტეტია... თამარი იხსენებს: „ერთ დღეს, მაშინ 19 წლის ვიყავი, მამამ – დიმიტრი გაბროშვილმა (თორმეტი სოფლის ვეტექიმმა – ლ.ქ.), – უჯრიან ფურცელზე გულმოდგინედ დაწერილი ლექსი მომიტანა, რომელიც ასე იწყებოდა:

„ყვავილებმა გშობეს, თამარ,
არ დაკარგო, გქონდეს თანა“... – შენ მოგიძღვენიო, – მითხრა, – შენ ლექსებს წერ-მეთქი? – ვკითხე გაკვირვებულმა,– არა, არ ვწერ, სიარულისას ან მუშაობისას ჩემთვის რაღაცებს ვღიღინებ ხოლმეო. მაშინ ვიფიქრე, მამას ეამაყება, ლექსებს რომ ვწერ და თავისი სიხარული ასე გამოხატა-მეთქი (თამარმა წერა მერვე კლასიდან დაიწყო, ზეპირად თხზვა და ხატვა – ადრეული ბავშვობიდან. – ლ.ქ.). ახლა მეტს ვფიქრობ: დედ-მამას ისე ღვთაებრივად უყვარდათ ერთმანეთი, რომ ამ სიყვარულის ცნობიერებიდან ამოიტანა თავიანთი წარმოშობის სახე – ყვავილი და წინ დამიდო, თან მიმანიშნა, შენც ეს ხარო“...

მემკვიდრეობითი სიკეთის თვალსაჩინო მაგალითია პოეტის დიდი პაპა – გრიგოლ გლურჯიძე, რომელიც სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, XIX-XX საუკუნის მიჯნაზე, გორის რაიონში, მშობლიურ სოფელ ბერუშეთში – ხსნის პირველ სკოლას, რომელიც დღეს მისი სახელობისაა; ასწავლის რუსულ ენას და... წერს ლექსებს... აქედან გამომდინარე, აღარაა გასაკვირი თამარის განსაკუთრებული, სამყაროში მიმდინარე მოვლენებზე გამადიდებელი შუშით დამკვირვებლის თვალთა და ყურთა პოეტური ხედვა-სმენა, საკუთარი ტვინის ხვეულებში გამორჩეული შეწოვა-გადამუშავების მცდელობა...

აქვე აუცილებლად უნდა ვახსენო ქიმიის, როგორც მისი ძირითადი სპეციალობის დადებითი მხარე; როგორც ჩანს, თამარი ამ დარგის პროფესიონალია და, ამავდროულად, ლიტერატორ-რომანტიკოსი, რომელიც ორივეს ზედმიწევნით კარგად უთავსებს ერთი მეორეს – ამატებს რა მეექვსე თუ მეშვიდე გრძნობისმიერ ნაკარნახევ ფერად ქრიზოლითებს... რომლებიც ჩემს წარმოსახვაში დიდ, ლამაზ, ვერცხლით მოოჭვილ ბროლის თასში ჩაყრილ შაქარყინუ-

ლებს მაგონებს...

პოეტი ხაზგასმით წერს, რომ ეცადა, რაც შეიძლება გამჭვირვალე კრისტალი — „ქრიზოლითის ქალი“ — ღვთის ნების „ჩემიდან თქვენამდე“ გამტარებელი ყოფილიყო; ეს მისი არა მარტო მცდელობა იყო (და არის), არამედ ღვთაებრივი მისია; თავადვე ამბობს: „ცრემლები? ციდან ჩამოვიტანე, მიწიდან ამყვნენ ქრიზოლითები“.

„ლურჯ ქვებთან ერთად
განთიადი გასცდება ტკივილს
და გულის კუნძულს ზღვის ქაფივით
მოივლის რწმენა“...

...„ეჰ, რისი ქალი —/მე ვარ გზა-ხიდი, /წუთისოფელი / ჩემზე გადის“!...

„სულ მიმტკიცებს, რომ /არავინ და არაფერი ვარ — /ეს ადვილია, / ძნელია — მხოლოდ იმის დანახვა / — ვინ ვარ“.

„ნეტა ვიცოდე,/ როგორ გავუფრთხილდე სიზმარს, / სიცოცხლე რომ ჰქვია“.

„სიცოცხლე/სიკდილის შემდეგ გასახსნელი ბარათია“.

„ყველა სიტყვაში /ოქროს გული ძგერს,/ადამიანში — / ხან ქვისაც არა... /როდის გავიზრდებით სიტყვებამდე“?!.

„ყველას სძინავს. / აქვე ახლოს სასაფლაოა / და მიცვალებულები დგანან / სოფლის სადარაჯოზე“.

„რა დიადია სამყარო /და რა პატარა, /როცა წვიმის ერთ წვეთში / სტევ ყველა ფერს და ისიც / მზეზე, უბრალოდ შრება“.

„მოვა სიცოცხლე — /შემთხვევით და /საბედნიეროდ“!

„კიდევ რამდენ წუთს მოიპარავ,/ სად გადამალავ... / ნუთუ გგონია, / იმდენს შესძლებ, რომ /გადამალო მარადისობა“?!

„როცა ყველასი ვარ, /არავისი ვარ; /როცა არავისი ვარ, / მაშინ ვარ შენი“!

„რა დილა უნდა იყოს ისეთი,/რომ ამოვიდეს ნატვრის ხე ისე,/ თვალზე ცრემლი არ უკიაფებდეს?!“

„შვილი — გაცოცხლებული / ძველი ალერსი“.

„შუაღამისას მოვიდა წარღვნა; / მთელი სამყარო თან ჩაიყოლა... /ან გადარჩენას რა აზრი ჰქონდა,/ ისე ბნელოდა,ისე ციოდა,/და ასე მარტო იყო სუყველა“...

„ო, ო, ძლივს მოსულს, / ხელ-ფეხს მიბორკავთ / და არც კი იცით, თუ როგორ დამღლის / კვლავ საუკუნო / გარდაცვალება“...

„შემთხვევით ჩამოჯდა ჩიტი /ჩიტუნა /გულის რაფაზე.გალობს,ციმციმებს, ბედნიერია. /ვიცი ფრთას დაჰკრავს და აფრინდება,/ მაგრამ რაფაზე თუკი დახვდა / ნამცეცი სულის,/ ოდესმე კვლავ დაბრუნდება, / და საგალობელს გაიმეორებს / შემთხვევითობა“.

„ხელგაშლილი /ადამიანი /ჯვარია,/რომლის იქით ცოცხლობს / უფალი“!...

და, როგორ უახლოვდება იგი ფურცელს საწერად, სიტყვებს, ასო-ბგერებს მათზე გადასატანად; რა დამოკიდებულება აქვს ამ ფენომენთან, რასაც ზოგადად წერა, თხზვა, პოეზია თუ პროზა ჰქვია?! მისდა უნებურად,— ამ ლოგიკურად დასმულ კითხვებზე მისი პასუხები, პასუხების სხვადასხვაგვარი ვარიაციები, გვარიანად შთამბეჭდავია“... — როდესაც ლექსებს ვწერ, მაშინ სულ სხვა რამეები ხდება... მათ არ ედებათ მტვერი, არ ობდებიან, სულ ხასხასებენ და მარად ახალნი, ცოცხალნი არიან. მათ დამნახავს გული გითბება, სიცოცხლის ხალისი და ძალა გეძლევა. რაც მეტი დრო გადის, მით მეტად ვრწმუნდები,რომ დროა,დრო — მიწიდან საბოლოოდ ამოვიღო ხელები,აღარ ვიხარჯო ამაოდ,როცა ვიცი ქაღალდის ღვთაებრივ, ქათქათა განზომილებაში როგორ დავტოვო ჩემი ხელის უცვლელი, ერთხელ და სამუდამოდ ამოტივტივებული ცეცხლოვანი ანაბეჭდი“.

„...როგორ ვწერ ლექსებს?

ზუსტად ისე, როგორც მათემატიკური რთული ამოცანის ამოხსნისას ვაწარმოებთ თანამიმდევრულ, ზუსტ ოპერაციებს და მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ შეუმცდარად — ერთი ციფრის შეშლის გარეშე, გაჰყვები გზას ბოლომდე, მივიღებთ სწორ პასუხს, ასევე — ლექსის წერის დროსაც, ვცდილობ, სათქმელი გადმოვცე თანამიმდევრულად (ტალღა ტალღაზე), ლაკონურად, მოვახდინო აზრის კონცენტრაცია სასურველი ეფექტის მისაღებად, არ იყოს ზედმეტი სიტყვა, სასვენი ნიშანი, ბგერა... თუმცა ესეც ე.წ. შიდახელოსნური სამუშაოები, და ლექსის ქმნადობის პროცესი მთლიანად, ქვეშეცნეულად მიმდინარეობს: რაღაც წამიერი,განუმეორებელი,შინაგანი ნათების პროცესში,ხილული და განცდილი სამყაროს ერთდროული სიტყვიერი აღბეჭდვა ხდება — დიდი ქაოსიდან იბადება პატარა ლექსი და ამ ნათებას, და ამ ლექსებს, როგორც სულიერ არსებებს (უსულოს ვერ ვაკადრებ), თან ახლავს დომინირებული ფერი, ფორმა, განუმეორებელი ხიბლი“. „უნდა ვაღიაროთ, რომ ყველა ლექსი, ყველა მშვენიერება, დიდი სილამაზე ბუნებაში დაწერილია და ჩვენ — პოეტები მას უბრალოდ გადმოვწერთ ჩვენი შესაძლებლობების შესაბამისად“.

„პოეტი — / სულის / ჯურღმულიდან ზენაობამდე / მოხეტიალე ცეცხლი“!

„არ გქონდა ქოლგა და დიდება, / მოჰყევი ლექსების თავსხმაში / და,მთლად გალუმპული გოგონა,/ აღარავისას ჰგავდა... / გახსნილი სიტყვების ტბორში, / მზისკენლა მიგიწევდა გული“...

„შენი სხეულიდან/გამოსულ ტოტზე/რომ შემოჯდები / და ნაყოფად შენს სულს მოისხამ — / ესაა / პოეზია“!!!!

„ლექსები სისხლის წვეთებიდან სიტყვებად მოვლენილი, სულის მემკვიდრეობითი ნიშან-თვისებების მატარებელი პირმშოებია. — დედამიწაზე სამოგზაუროდ წარმოვლენილი სხეულების სულისმოსათქმელი სადგურებია... აბა, ვინ უწყის, როგორ ხორციელდება „იქ“ სიტყვების ტრიუმფალური სვლები“?!

„როდესაც ლექსი არ მოდის ჩემთან, / მგონია გამებუტა ჩემი სამყარო, / რადგან მასთან / მისასვლელად ვერ მოვიცალე“..

„ჩემი მრავალფეროვანი მეგობარი — ქრიზანთემა, ჰაიკუების ავტორია — ციცქნა ბუსუსებით მრავალფურცლიანი ყველა ლექსი გულთან აქვს მიკინძული“. „მწერალი სინამდვილეში არის აბსტრაქტული ობობა, რომელიც თავის ქსელში აბამს არა მარტო ცალკეულ ინდივიდებს, არამედ სრულიად სამყაროს

და თან, ვითომც არაფერია, აგრძელებს თავის ჩვეულებრივ, და ასე არაჩვეულებრივ, ცხოვრებას.“

,,კალმის წვერი ანკესს ჰგავს, რომლითაც მწერალი საკუთარი თავის დაჭერას ლამობს, ამდენად, მთელი სიცოცხლე უცნაური თევზაობაა, ვისთვის იღბლიანი, ვისთვის — უიღბლო“... ,,ნეტა იცოდე, ამ იდუმალ მდელოზე — ჩემს ნაწერებში, ასოებიდან როგორ ამოდიან ველური ყვავილები და მათი გულში ჩამწვდომი სურნელების ამოსაკრეფად, როგორ ირჯებიან ფიქრის ანცი ფუტკრები“... ,,ისეთი კრძალულობა გამიჩნდა ასოების, სიტყვების და აზრების მიმართ, თითქოს ისინი სრულიად ცოცხალი არსებები იყვნენ და ისეთივე ნუგეშისცემას, სითბოს, სიყვარულს ითხოვდნენ, როგორც თოთო პირმშოები. და იმასაც ვგრძნობ, ჩემი ხელები, გაწვდილი მათკენ სისხლთან ერთად იდუმალ და უნატიფეს ნაპერწკლებს, ფრიჩხილებშიც კი რომ დაატარებენ, სწორედ მათი შეზიარებისა და მარადიული გაცოცხლებისათვის მოსულან ამ ქვეყანაზე.“ ,,ქრიზთას ანთოლითები — გაქვავებული ყვავილები, გამოცოცხლდებიან, სანუგეშოდ წყალს მიიღებენ, ანდა დაიმსხვრევიან სიფრიფანეთში გაყინული სამოთხის ბაღის ანარეკლები, თუ უხეშად შეეხებიან ჩემს ,,ტურფა საბაღნაროს...“

,,ხელები სხვანაირად თუ მიცოცხლდებიან, მაგრძნობინებენ, წერა სწყურიათ, კარგი რამ აქვთ ჩაფიქრებული ჩემს ხელებს! მაშინ წყალში თითის დასველებაც კი არ შემიძლია... თუ დავისველე, თითქოს სულ მებზარება და ის, რაც უნდა დამეწერა, იქიდან მეღვრება“... ,,შორი, ძალიან შორი გზაა სიტყვებიდან პოეზიამდე. მხოლოდ სასწაულებრივი ჯადო-ძალა აკავშირებს სიტყვებს ისე, რომ ისინი გახდნენ აზრის სამეფოზე აღმატებულნი და უცნაურ, ოქროვან ბრჭყალებში მოაქციონ ცეცხლოვანბუმბულიანი უსასრულობა... ზღაპრის შექმნის მთელი ფილოსოფია ის არის, რომ მიწაზე დაღვრილ-მიმობნეული წყლები მაღლა აიწოვოს, ღრუბლებად დაატრიალოს, მოახდინოს მისი ორთქლად ქცევიდან კრისტალიზაციამდე სრულყოფა და მერე, ასე გაწმენდილი, ისევ დააბრუნოს დაბლა გამომშრალი მიწის, მცენარეების დასაწყურებლად. ამისგან განსხვავებით, პოეზიის არსი ითვალისწინებს, მიწიდან ზეაწეულის იქვე — ცაში გაჩერებას და არამც და არამც მიწაზე ჩამოშვებას. გრძნობები მაღლა როგორც იკვლევს გზას, რამდენად საინტერესოდ, ხილვადად და, ამავე დროს, საიდუმლოდ — ამით ფასდება პოეზია; ...აქედან ჩანს, ზღაპარი ყოფილა და პოეზიის გაგრძელება, ხოლო პოეზია — ზღაპრის ნახევარგზა — მისი აღმატებული, ზევით აღმავალი ნაწილი“...

თ. გაბროშვილის ნაწერების უმრავლესობა სიყვარულის თემას ეხება; საკუთარი და სხვისი დამოკიდებულების ზღვარდაუდებელ ,,გამოაშკარავებას“... ვფიქრობ, ეს ყველაფერი იმისთვის სჭირდება, რომ თავადაც ირწმუნოს და სხვებიც მტკიცედ დაარწმუნოს, რომ ამ დიდებული გრძნობის გარეშე სიცოცხლეს, ცხოვრებას აზრი არა აქვს...

,,მე სულ მიყვარდი / და სულ მიკვირდა, / შენგან მორთმეულ /სიცოცხლის ყვავილს / მაინც რად ესხა / ცრემლის კოკრები“...

,,ქარი, / ვალსი, / ვერხვები, / ვეხები / ფოთლები სარკეებად გადაიქცნენ / და ხეზე ფოთლები კი არა / ოქროსფერი სარკეები ცახცახებენ / მიყვარს“.

,,როგორ გეძებდი ყველგან,/როგორ გიპოვე ყველგან, / როგორ მიგატოვე ყველგან, / ამას — მე ვერა, / ცხოვრების ფსკერზე ჩაძირული, / ჩემი ცრემლების მარგალიტები გეტყვიან, / ოდესმე თუკი ამოიტან“.

,,შენი კოცნა, / როგორც ლოცვა / მაცოცხლებელ კრისტალის, / მთაბროლიას თვალებიდან / ძვლებამდის; / მძევლად / დავიმახსოვრე“...

,,სიყვარულის თეთრი ფანტელი ვარ! /სულ მაღლა, მაღლა ისე დავფარფატებ, / ისე შემოგხარი და ისე მიყვარხარ, / დამავიწყდა, რომ სადღაც დაბლა, / მიწაც მელოდება“!

,,მთელი დღე-ხანი/შენი თვალების მზეზე გამთბარი, / ღამით / ათასფერ ზღაპრად გინამცეცდები... / თუმც... რას კითხულობ?! /გამთენიისას, გუდამოკრული, / ისევ ლოდივით ჩამოგიჯდები /გზის გასაყართან“.

,,უთენია, ვერ გაიგეს/ სად გავყევით ფერად წვიმებს —/ თვალი მოგვკრეს ბეღურებმა / ერთ ქოლგის ქვეშ შეყუჟულები... / საღამომდე იჟღურტულეს, / ბუდეებში წასაღები /ჭორი ხეზე დაამწიფეს“.

,,სიყვარულმა დაიგვირგვინა: / ამოვიდა უზარმაზარი ღამე — / თეთრი გვირილა“.

,,მიყვარხარ! / მიყვარხარ! / — მიყვარხარ! — / თუთის ფოთლებზე შარიშურობს / აბრეშუმის წვიმა“.

,,რა შეგიძლია შენ — ვიოლინო? /წევხარ მდუმარე სასწაული... / სიყვარულს ნატრობ... / და სანამ შენს ხმებს არ შევეხები, / სიმებზე არ მოგეფერები, / ვერასოდეს ვერავინ გაიგებს, / რა შეგიძლია შენ — ვიოლინო“!

,,სიყვარული — / კრიალა ლურჯ ცაზე შეჟონილი / ოქროს წიწვებიანი /მზე“!

,,ხან ძველ, ხან სავსე, / ხანაც ახალ / მთვარედ მოვჩანვარ, / გააჩნია, / შენ საით მყავხარ“!..

,,მიყვარხარო!“ — მეფიცები; /მაგრამ ქარი მოვარდება თუ არა, / ან შემოდგომა ქარვის, / ისე უცებ მომწყვეტ და /შორს მატან არილს, / თითქოს მართლა ფოთოლი ვარ ალვის / და ამ ქვეყნად / არ ვუყვარვარ არვის“.

,,ხანდახან რა მძიმეა სული, / რომ იცოდე, / ცალ ფრთას მაინც დამიტოვებდი.“

,,სახეზე სიო /მომელამუნა! / მივხვდი, /მოგენატრე!“

,,თვალებში მცივა, /როცა ვერ გხედავ.“

,, ეს დროც მოვიდა. / მიწად რომ ვიქეცი: / სამუდამოდ წასული გეგონე. /მე კი — ტანზე, ჩავიცვი ყვავილები. / გესტუმრე გაზაფხულად / და იმ ენაზე მოგესალმე, / რომელსაც ოდესმე ისწავლი“...

,,უფალო, ნუ მიწყენ ესოდენ კაშკაშს: / მოციაგე ერთი სანთელი კი არა, / ხანძარმოდებული / სანთლის კონა ვარ, / შეწირული სიყვარულისთვის“...

გვერდს ვერ ავუვლი პოეტის ფლორისა და ფაუნისადმი ფაქიზ, სიყვარულიან დამოკიდებულებას; თვალგაფაციცებული დამკვირვებლის მცდელობას, გაესაუბროს მათ და ისინიც აიყოლიოს გულწრფელ დიალოგში...

,,შენთან ამოვალ, ფერდობზე, /გორიციხელი ყაყაჩო,

/ ფურცლები სიმხურვალეში / — გაბრწყინებული თვალები /აბა,როდემდე დავმალო?!.. / ძლივს ამოვედი ყაყაჩოდ“...

„შიშველ მხრებზე და /მუხლისთავებზე / მოხვია ხელი,/ ცად წაიყვანა /მზემ /თოვლი“.

„ფერდობზე შეფენილი /თეთრად გადაპენტილი ბუჩქები:/ მშვენიერია ლურჯი ცის ქვეშ /უმწყემსო ფარა“.

„გავედი გზაზე /ჩემი მეგობრები — /გუბეები იდგნენ; /ისინიც მზეს ელოდებოდნენ“.

„ღამეს თითები დაეწვა / და მისი ცხელი ანაბეჭდები / ანთია ცაზე ვარსკვლავებად.“

„ღამის მღვიმე ღიღინებს, /მღიმარ ღრუბლებს, დაღლილებს, / ფიქრებგაღეღილებს, /ღიღილოებს წაუღებს / სადღეისოდ, საღილედ... /ღამის მღვიმე ღიღინებს“!

„ჩანს ძალიან მწყურვალია, /პატარა ტბაში მთელი ცა ისე /თავ-ჩამხობილა“...

„თოლიამ თეთრად ჩაიქროლა:/ წმინდა წერილი / ამოევლო წყალში“.

„მაკოცე! — / მღვიმეში /წვერმა დაიწკაპუნა“...

„რა ხანია ჩემს აივანზე — / ლექსების ქოხში,/ შემოჩვეული თეთრი მტრედები / ფრენას მასწავლიან; / კითხვა, ნამდვილად იციან და /თავიანთი ბარტყი ვგონივარ“...

„გუშინწინ მზეწვია წამომეწია, /ჭიკჭიკზე დამეწია / და მიწილადა/ცხრაწყაროს წყალში ნაწრთობი / ოქროწვიმული პაწია ბეწვი — /ბუდის მოსაწყობად ვწვალობდით“.

„არსად ჩამომსვეს /დედამიწაზე... /ნეტავი შენ, ხმელო ფოთოლო,/ სადაც გინდა,/ დაესვენები“.

„გავიარე — / მდელოზე იჯდა,/ წასვლა არ შეეძლო, არც სურდა,/ იქვე ელოდა ყველა სასწაულს... / გამოვლისას — /იქ ალარ დამხვდა. /ნეტა სად წავიდა / მორჩილი — ყაყაჩო“?

„შეხედე, პატარა ნაკადული ფერდობზე რა თავისუფლად მოედინება. თუ გზად დიდი ლოდი შემოხვდა, გვერდს აუვლის და გზას გააგრძელებს ისე,თითქოს წინაღობა არა ჰქონია,თუ სადმე ჯებირი ამოეჭდო, ჩაგუბდება, ჩაგუბდება და იმდენ ხანს ჩაგუბდება, სანამ არ გადმოვა და მაინც წინ წავა... რა კარგად იცის ყოველივე პატარა ნაკადულმა, ისე, კარგად, შენც მოგინდება, მასავით შეძლო წინ-წინ დინება, რაკრაკით, უსიყვარულოდ, მოთმინებით და მწყურვალთაკენ სწრაფვის დიდი სურვილით“...

„ეს მაყვალიც ჩვენსავითაა — მიწაზე, სადაც თავს ჩამოდებს, ამოვა, გაიხარებს, გამრავლდება და მოედება აქაურობას. მასაც გასხვლა სჭირდება. კარგი მებაღის ხელი... უეკლო მაყვლის ამონაყარი, ციცქნა ბარტყები, მიწიანები, მეგობრისთვის წამოვიყვანე ჩემი სოფლიდან, რაც მე მასწავლეს, მათ გადავეცი. დე, დაელოდონ მათი შავი თვალების ახელას და დაუკაკუნებელი სიყვარულის უენო ლოცვას“... და ასე შემდეგ.

რაც შეეხება საოცრად ესთეტიკურ მცირე ზომის პროზაულ ნაწერებს, მათ მხოლოდ სიამოვნება მომგვარეს, ხან ცრემლნარევიც კი...

„საბრალონი“ — „ის ხე ძალიან დიდი და ხნიერი იყო. მისი ტოტების ჩრდილქვეშ გამვლელნი, ხანდახან, როცა სიცხისგან გათანგულები იყვნენ, თავს აფარებდნენ. ყველას ეგონა, რომ ჯანმრთელი, მარადისობასთან წილნაყარი იყო; მაგრამ სინამდვილეში (ჩუ, არავის უთხრა) შიგნით სულ გამოფუტუროვებული იყო, უამრავი ჭია-მატლი დასანსალებდა, ხრავდა სიცოცხლის განვლილ წლებს და ანადგურებდა; კოდალებს, აბა, რა გამოეპარებოდათ; ხანდახან, ისე, რომ ხის სახელი და ღირსება მაინცდამაინც არ შეელახათ,მიუსხდებოდნენ და გამოყრუებულ თავში ფრთხილად უნისკარტებდნენ; იცოცხლე, უამრავ მავნებელს იკრავდნენ წებოვან ენაზე,მაგრამ, რაღაცნაირად,ხომ გითხარი,ერიდებოდათ,ცნობილია, თავს არავის უტოლებს, თავის ღირსად არავის თვლის და ჩვენ მის ჭიანაჭამ თავს კაკაკუკი რომ ავუტეხოთ, სირცხვილით იმან კი არა, ვაითუ, ჩვენ ველარ გამოვყოთ თავიო... — ჯანდაბას,სანამ შეუძლია, სანამ შეძლებს, გაიხაროს, ბოლოს და ბოლოს, ხეა, კაცი ხომ არ არისო,— შემდეგი ჭიის მოლოდინში ნერწყვს ყლაპავენ ხოლმე ჭრელი კოდალები და ტყის შრიალს აყურადებდნენ, ამ ხის ქებათა ქებას რომ გადასცემდა სრულიად სამყაროს და ასე რომ არ შიებოდათ, ან არ სცოდნოდათ, შიგ რა ხდებოდა, ამ ხისადმი უსაზღვრო მოწიწებისგან გული თავადაც კი აუჩუყდებოდათ“.

„ძვირფასი გამცილებელი“ — ისე ვარ, თითქოს მთელი გუნდი მერცხლებისა ჩემს თავში დაფრინავს, გადაფრენის საიდუმლოს მამცნობს.

შორს, აფრიკაში, უნდა გაფრინდნენ. გზად ბევრი ბრძოლა გადახდებათ, მრავალ დაბრკოლებას შეეყრებიან; მერცხლებს კი არა აქვთ გამკლავების ძალა; ისინი თავიანთი პიროვნული, სათნო მისიით შთაგონებულნი სიცოცხლით არიან სავსენი,სიცივეს ვერ იტანენ და იძულებულნი არიან, გაფრინდნენ იქ, სადაც თბილა. ყვავები, ჩვენში, მაინცდამაინც, დიდი სიმპათიით რომ ვერ სარგებლობენ, მერცხლებს ვაჟკაცურად წინ მიუძღვებიან და უკან ბრუნდებიან დაგლეჯილ-დასისხლიანებულნი... ძვირფასი,ჭკვიანი ყვავები...

ამ სამშვიდობომდე გაცილებაზე დავფიქრდი... ამ უცნაურ მეგზურობაზე... სადაა შენი სამშვიდობო, ვის ძალუძს მხნედ, მამაცურად შეასრულოს ეს უცნაური მისია... როგორ, რანაირად ხორციელდება აქ არჩევანი? ჰაა, მერცხლებო, ყვავებო?...

ყველა მარტოა და ვინ იცის, ყოველგვარი ურთიერთობა სწორედ სამშვიდობომდე მიმოცილებას ემსახურება ისე, ვისაც როგორ და რამდენადაც შეუძლია და, უპირველესი, აქ იმის განსაზღვრაა — სადაა შენი კუთვნილი სამშვიდობო, გაქვს კი? წარმოგიდგენიათ? გჭირდება? რისთვის? ამ გზაზე უამრავი კითხვა დაგებადება, რომელთა შორის ყველაზე რთულსაც კი უმარტივესი პასუხი შეესაბამება, რომელიც თუ იცი, ისედაც იცი, და თუ არ იცი, არც არასოდეს გეცოდინება! მორჩა!“ და სხვა. ამ „სხვაში“ შედის: „ქარვისფერი ცრემლი“, „რატომ კვდებიან ჩიტები“, „ზღარბის კაბა“, „სახლი“, „დაფნა დაფნიონისა“, „თესლთა რიალი“, „მზეში ჩასული ცაცხვი“, „ნასკვი“, „რას ამბობდა კარტოფილი“, „სიტყვის პატრონი“, „ქრისტესისხლა“, „გული შეინახე“, „ღვთაებრივი ფერხული“, „გზა-ზე

ანუ ზე-გზა“, ,,ადამიანი – ღვთის კუნწული“...

თამარის მოთხრობა-ჩანახატების რამდენჯერმე წაკითხვის შემდეგ, არა მარტო მივხვდი, დავრწმუნდი კიდეც – მისი ნაწერები ცნობილი ჩილელი ნობელიანტი მწერლის გაბრიელა მისტრალის (1889-1957წ.წ.) მოთხრობებს მაგონებდა. ეს თავისით, ბუნებრივად მოხდა, რადგან პოეტს ამ მწერლის არაფერი ჰქონდა წაკითხული... ბევრს არ ვისაუბრებ, რადგან დარწმუნებული ვარ,რომ მკითხველთა გარკვეულ ნაწილს წაკითხული აქვს ქალბატონ მანანა გიგინეიშვილის მიერ ესპანურიდან დიდებული ქართულით თარგმნილი გაბრიელა მისტრალის – ,,პოემები პროზად; მოთხრობები“ (2003წ.).

საილუსტრაციოდ ერთ მცირე ზომის მოთხრობას შეგახსენებთ; ,,ტირიფი“ – ,,მე რომ დარდიანი ვარ – ეს გულჩვილი ადამიანების მოგონილია. ალვა თუ ცისკენ მიილტვის, მე წყლისკენ მიმიწევს გული! მომწონს წყალი, სიცოცხლით ჩქეფს, თითქოს ანგელოზივით დაქროდეს და გრძელი რიდე სთრევდეს. და კიდევ: ტბორს თბილი გული აქვს.

წყლისკენ ვხრი რტოებს, თითის წვერებით ვეხები წყალს და ყურს ვუპყრობ მის ბუტბუტს. გევედრებით,ნუ გამსხლავთ, ნუ ჩამომაკვეცთ წყალში ჩაშვებულ რტოებს. ეგ იგივეა, ვინმეს კოცნიდე და ზურგი შეგაქციოს.

პალმას მაღლა აქვს ატყორცნილი ხალისით გაშლილი ხელები და ჰაერით ტკბება,მე კი წყლით ვნეტარებ. მიედინება, მიედინება და სულ ჩემთანაა. პირმშოც მყავს,ესაა ნორჩი ტირიფი,ჩემი ამონაყარი, ოღონდ ჩეროშია და ხეირიანად ვერც ვხედავ. დროდადრო სევდიანად ირწევა და იისფრად ელვარებს. ოდნავ დამდრიკეთ, დაბლა დამწიეთ, კიდევ, აი ასე, რომ უკეთ დავინახო, როგორ მიშლის ხელს ჩემი კენწერო! ჰაერიც მიშლის! მოქნილი ბალახივით რომ შემეძლოს წყლის ზედაპირზე წაწოლა,ნიმფასავით ლოყას შევახებდი წყალს. რა ბედნიერი ვიქნებოდი!“

თ. გაბროშვილის შემოქმედებაში ინდივიდუალიზმი პირდაპირ ყვირის. მისი დარდის,სევდის საგანი ბევრი რამაა, თუნდაც ამის ახსნა,თუ როგორ მოდიან მასთან სიტყვები, სტრიქონები, ლექსები:

,,დიადია შენი ძალა, უფალო! ჰაერმა დამიბერა და ციდან ჩამოლალა უჩინარი, უსხეულო სიტყვები; ძნელია მათი გაბმა აზროვნების ძაფზე მოზეიმე ქრიზოლიტებად... უდიადესი, მათი კრთომა, ციაგი და ფარულქმედება... ვცდილობ ჩავყვე,შიგ ჩავიქარგო და ავმეტყველდე“... ,,ცრემლზე ხშირად ამოდიან ყვავილები, რომელთაც ლექსები ჰქვიათ... ლექსები– ჩემი არაჩვეულებრივი ცხოვრების სარკე“... ,,..ძალზე აკუსტიკური ჩემი დარბაზი არ მაძლევს ხოლმე საშუალებას, ჩავახშო ბგერა; ჩემი კედლები – გულის კედლები ექოდ აბრუნებს გამრავლებულ სასოწარკვეთას... მივფრინავ და ფრთებიდან მწყდება ცხელი წვეთები – სიყვარულის ნიშანდებული თეთრი ლექსები“... საინტერესოა ამ თემასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ჩანაწერი: ,,ღარიდან კასრში ჩამოდის თქეში წვიმა, სოფელში სასმელი წყალი არ მოდის. აქ წვიმა ღვთის წყალობაა; სახლის სახურავიდან დაშვებულ ღარს კასრი აქვს შედგმული. ისეთი თავსხმაა, თვალს ვერ შეასწრებ, თქაშათქუშით ივსება კასრი. მინდა გავიდე გარეთ, კასრი როგორმე გვერდზე გადავაცოცო და ახალი შევუდგა,ცარიელი; ვიცი, რომ მაგრად გავილუმპები, მაგრამ მე ხომ წყალი მჭირდება, თანაც ძალიან! სანამ ასე წვიმს, შემიძლია წამში იმდენი ავავსო, რასაც სხვა დროს საათები, დღეები და ვინ იცის, კვირები დასჭირდება. აი ზუსტად ასეთი სისწრაფით ჩამოდის ციდან ჩემს ხელებში პოეზია და მთხოვს თეთრ ქაღალდებს ასავსებად. სავსემთვარეობის ჟამია, სრული სისავსის ჟამი! ენით აუწერელი ბარაქიანობა“...

პოეტი საკუთარ შემოქმედებას თავად უწოდებს ,,სულიგრაფიის ხელოვნებას“ – მან უკეთ უწყის... მის ნაწერებში იგრძნობა ზუსტად მორგებული სიტყვების ძიება, რათა გამოხატოს საკუთარი განცდის, შეგრძნების არსი; ზედმეტად გამძაფრებული მცდელობა ბუნებაში განვითარებული მოვლენების ახსნის; ნაკლებადაა იუმორი, თუმც ხანდახან შეიძლება ქვეტექსტების დაჭერა – ძირითადად, საკუთარი თავისადმი მიმართული... ჭარბობს ფილოსოფიურ-შემეცნებითი მსჯელობით დაღდასმული სტრიქონები, რომლებიც ხან გამაოგნებელი დამაჯერებლობით გმუხტავს, ხან ღიმილსა და გაოცებას იწვევს...

მართალია,ერთგან თამარი ხაზგასმით წერს,რომ ,,ჩემი ხილვადი აზროვნება, როგორც ქარიშხალი, ისე დაეხეტება ფიქრის ნაკრძალში, რადგან იგი ქარიშხალია, შეკავება და ზღვადება არ შეუძლია, ამიტომ იგი არ განიკითხება; თვითონ ჩადგება იქ და მაშინ, სადაც და როცა თავად მოესურვება“... რა თქმა უნდა, ეს ასეა; მწერალმა უნდა წეროს იმ თემაზე,იმ საფიქრალზე,რაზეც ეწერება და ეფიქრება... მიუხედავად ამისა, ყოველგვარი შენიშვნის გარეშე, გამოვხატავ ჩემს გაკვირვებას სამშობლოსადმი, სამშობლოში მიმდინარე პროცესებისადმი რაღაცნაირად მშრალსა და ,,დაუნახავ“ დამოკიდებულებას... ორივე კრებულის – ,,ქრიზთას ანთოლითები“ (მოიცავს 464 გვერდს) და ,,ქრიზთას ქრიზოლითები“ (366 გვერდია), იწყება 80-იანი წლებიდან და მთავრდება 2011 წლით – წაკითხვის შემდეგ, მივხვდი, რაღაც ძალიან აუცილებელი დამაკლდა... ,,სამშობლო ჩვენი“ – ამ ხნის მანძილზე ბევრჯერ აყირავებულ-დაყირავებული, ხან სიხარულიანი, ხანაც, მეტწილად საწუხარით სავსე... როგორც ზემოთ აღვნიშნე, თითქმის ყველაფერზეა საუბარი: ადამიანის სულიერ მდგომარეობაზე, მის ანატომიურ მონაცემებზე, სიყვარულზე, ბუნებაზე, საზოგადოების დამუნათებაზე – რომ უყვარდეთ ერთმანეთი და კიდევ უამრავ წვრილმანსა და მსხვილმანზე... აი, ის მცირედი, რაც ზემოთ ნახსენებ კრებულებში მოვიძიე:

,,სამადლობელი“ / ,,დედამიწაზე / ჩვენ აქ მოვხვდით – / ამ დალოცვილ / ღვთის სამშობლოში – / ლოდი, ყვავილი, / მიწა თუ წყალი / აქ სიყვარულს თუ სითბოს ატარებს,/ ჰაერის ხელით გვესათუთება / და მფარველად,შემწედ,/ მეოხად,/ კვალში გვიდგას / თავად უფალი,/ რათა ჩამოვქნათ / წმინდა სიცოცხლე, / შევიფეროთ ზეცის კურთხევა / და აღვავლინოთ / ლოცვა / მზიური/ საქართველოდან“! ,,ხალასი თოვლი აფენია/ ნაოჭა შუბლზე,/ ოფლად იღვრება / ქართული მიწისთვის/კავკასიონი“. (1983წ.)

„გული ტაძარია – / დიდი სამლოცველო,/ სული სანთელია,/ შენზე დასაღვენთი,/ ჩამწვი,/ არსებობა გამიმართლე,/ მამულო ჩემო“. (1983წ.)

„ნაგვის ურნასთან /კაცი / ძაღლს ეცილება – / დაეძებს სარჩოს / და არემარეს / ყეფით იკლებს / ქუჩის ცუგრუმელა“. (1999წ.)

ჩანახატები:„ს-აქა-რთველო!“,“სამშობლო – მე ვარ!“ (2010წ. ივნისი); „კოსმიური სამშობლო“ – მკითხველს გარკვეულ კითხვებს უჩენს:„...არის ასეთი მოსაზრება:მთავარია მიწა! რაც მეტი მიწა გაქვს, მით მდიდარი ხარ! შენს მიწას უნდა გაუფრთხილდე, უნდა დაიცვა,სხვას არ უნდა დაუთმო! თუ მიწა არ გიყვარს, არ უვლი, რაღა პატრიოტი ხარ? და ა.შ. მიწის ირგვლივ აკინძულია ათასი ხოტბა-დიდება და, იცით, რატომ? ადამიანი მიწის შვილია, მიწაზე დადის, მიწაში ჰპოვებს საბოლოო განსასვენებელს, მიწაა და მიწად იქცევა,მიწა ეძახის. მიწის რაღაც მცირე ნაწილი პირადი საკუთრება ჰგონია, მიწას ძალუმად ეჭიდება... ჰგონია, რომ მიწაზე მთავრდება სიცოცხლე. ადამიანი რაღაცას უნდა ეყრდნობოდეს, თავი მყარად რომ იგრძნოს; საყრდენად მიწა მიაჩნია, მშობლიური მიწა,სადაც დაიბადა,სადაც დაიარება...

ალბათ ძალზე ძნელია ადამიანს მიუთითო, რომ სადღაც არსებობს კოსმიური სამშობლოც, რომელსაც მიწასთან ისეთივე კავშირი აქვს, როგორი კავშირიც აქვს გარდაცვლილ ადამიანს მიწასთან. იმის გაცნობიერება, რომ შენ მარტო ერთი ციდა მიწისა კი არა,მთელი სამყაროს ნაწილი ხარ,რომ ეს მიწა, სინამდვილეში, არსად მთავრდება; რომ არ არსებობს ჩემი მიწა და ჩემი ზეცა; რომ ცა ერთია და მიწა-ცამყარო, სამყაროს ნაწილია და შენ,როგორც სამყაროს შემადგენელი ნაწილი,ეკუთვნი სამყაროს და პირიქითაც,მთელი სამყარო გეკუთვნის შენ“!...

თამარ გაბროშვილი თავის ნაწერებს კლდის ნატეხებს ამსგავსებს, რომლებიც ნამდვილად ვიცი, არც შაქარივით დადნებიან და არც გაქრებიან,რადგან ლექსთა ბილიკებზე მიედინება მწერლის ცხოვრება, როგორც თავად ამბობს, ეს ხომ შესანიშნავია! და, მაინც ეფიქრება ჩვეულებრივი,ადამიანური საფიქრალი, – „ვერ ვიცლი, ბევრი რამ დასაწერი მრჩება, ყოველდღე ემატება და ემატება. ალბათ,ოდესმე,ნამარხებში მოყოლილი ჩემივე თავის არქეოლოგიური გათხრა მომიწევს“. მან თავადაც მშვენივრად უწყის, რომ რაც მასი დასაწერია, ღმერთი აუცილებლად დააწერინებს და მოასწრებინებს კიდეც; ამის იმედი არ მოშლოდეს მას და მის გულშემატკივრებს...

და ბოლოს, დიდი მადლობა იმისათვის, რომ ზღაშის ერთი ყლუპი კი არ გამასინჯა, ის ზეციური ბაღ-ვენახებიც შემომატარა,– მანახა სად,როგორ, რით ხარობენ ისინი, რა გზას გადიან, ვიდრე სულის ექსტრაქტად ქცეულნი ქაღალდზე, ლექსად, მოთხრობებად, ნახატებად დაიწურებიან... ბარაქალა მის ქალობას, სამი შვილის დედას, ბებიას, მოუღლელ დიასახლისს,მწერალს,ყურძნის ტკბილსა და მგრძნობიარე აკიდოს; უფლისა და ანგელოსების თავმდაბალ, გონიერ მსახურს.

2020 წლის ნოემბერი – 2021 წლის მაისი

# მაკა კვერენჩხილაძე - კარტაიზერი



## ნაწყვეტები წიგნიდან: „დალეკო ოტ სჩასტია? ანუ ჩაიხედე სარკეში“

* * *

არის რაღაც, რასაც სიტყვებით ვერ ახსნი და თუნდაც ეცადო, მაინც ვერ გაგიგებენ. თუ მაინც შესძელი და ვინმეს გაუზიარე,აღმოაჩენ, რომ ორ სხვადასხვა ნახევარსფეროში იმყოფებით – შენ და ისინი. შენ საუბრობ მთელი აღფრთოვანებით,რაღაც, უზენაესი სიხარულის გრძნობა გალაპარაკებს და ლამის სუნთქვა გეკვრის ამ ძალისაგან; მსმენელი კი, გიყურებს და გისმენს დაბნეული სახით. მის სახეს რომც ვერ ხედავდე, (ტელეფონის მეორე მხარეს იყოს თუნდაც),ისეთი სიჩუმე იქმნება,მიხვდები,რომ ცდილობს ჩაგწვდეს, მაგრამ გუნებაში ფიქრობს: რაებს ბოდავს?

ძალიან,ძალიან დიდი ხნის წინ,წარსულის ავტობუსში,ბედნიერების მომტან ბილეთებს ეძებდნენ ადამიანები. ერთნაირი ნომრების დამთხვევის შემთხვევაში,გახარებულნი ამოისუნთქებდნენ: ბედნიერება კარზე მოგვადგაო. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი,როცა მოვხიე ბილეთი და ბედნიერების პოვნის იმედით დავხედე. ალბათ,უფრო მექანიკურად,რადგან ყველა ასე იქცეოდა.

ასე ვიზრდებოდით,ასე გვზრდიდნენ. ასე გვასწავლიდნენ,ასე გვიდებდნენ თავში. უნდა გაგვეზიარებინა საზოგადოების აზრი,მიგვებაძა,გაგვემეორებინა, ოღონდაც,განსხვავებულნი არ ვყოფილიყავით!

და ჩვენც, ამ აზრების შესაბამისად, ვფიქრობდით,ვიცვამდით,გაგვაჩნდა აზრი და ასე ვიღებდით გადაწყვეტილებებს. ყველაზე გამანადგურებელი კი ის გამოდგა ჩვენი თვიშეგნებისა და საკუთარი თავის რწმენის განვითარების თვალსაზრისით,რომ სხვათა შეხედულებების მიხედვით გვიყალიბდებოდა აზრი სხვებზეც და საკუთარ თავზეც. მერე ვიყავით მუდამ განსჯასა და განკითხვაში. არასდროს არაფერი გვაკმაყოფილებდა, არც გვაბედნიერებდა, სულ გვთხოვდნენ მეტს და ჩვენც,ასევე,სხვებისგან

ვითხოვდით მეტს...

— ფუჰ, რას ჰგავხარ?! — გვეტყოდნენ უხეშად, დაუფიქრებლად, ჩვეულებრივად...

– რა სიმახინჯეა?! – ვიტყოდით ჩვენ, თუნდაც, მოსაწონზე, თითქოს წუნმდებელი მექანიზი ჩაედგა ვინმეს ჩვენში.

— ნახე, რა აცვია?! — ვკიცხავდით..

— რას გავს?! — განვიკითხავდით..

— ბიჭო, უკეთესი ნიშანი ვერ მიიღე? — დაუნდობლად, წარბშეუხრელად გვიტეხდნენ გულს მშობლები!

– შენ ვერ ისწავლი უცხო ენას! – გამოჰქონდათ ლამის, სასიკვდილო განაჩენი!

– ვერ მოეწყობი უნივერსიტეტში! – აგრძელებდნენ „განაჩენის“ გამოტანას...

— ვერ გახდები სტუდენტი!

— ვერ გააკეთებ!

— ვერ წახვალ!

— ვერ!

— ვერ!

— ვერ!

ჰოდა, იზრდებოდა თავდაუჯერებლობის სინდრომი. ჩვენში იდებოდა კოდი, რომ ვერსდროს გვეფრინა:

— აუჰ, რას ვგავარ?!

— დავბერდი!

— გავსუქდი!

— არ მიხდება...

— რა დებილი ვარ!

ვკიცხავდით საკუთარ თავსაც და ვიყავით ასე, ნეგატიური სიტყვების ორომტრიალში. მაგრამ მაშინ ამას ვერავინ ხვდებოდა.

მე ინსტინქტურად, გაუცნობიერებლად, მუდამ ვეწინააღმდეგებოდი საყოველთაოდ მიღებული „კანონების“ დინებას და გავრბოდი.... გავრბოდი ოჯახიდან (გათხოვებაც გაქცევა იყო), ვტოვებდი ოჯახს (ქმართან გაშორებაც მიტოვება იყო), ვაგრძელებდი სირბილს (ემიგრაცია უცხოეთში ხომ, სწორედ ამ სირბილის შედეგია)...

...მოვხიე ბილეთი და ბედნიერების პოვნის იმედით დავხედე-თქო.

უცბად, ზემოდან ხმა ჩამომესმა:

„დალეკო ოტ სჩასტიაო“...

პატარა, დალეული რუსის ქალის გამარჯვებულ სახეს წავაწყდი, რომელიც თითქოს, ზევიდან იმიტომ დამყურებდა, დარწმუნებულიყო, ბედნიერი ბილეთი ხომ არ შემხვდა. მერე კი, ბედის წიგნიდან ამოკითხულივით ხმამაღლა გაეჟღერებინა: ჯერ კიდევ ბლომად უნდა იარო ბედნიერების საძებნელად და ისიც საეჭვოა, მიგნებ თუ ვერაო.

ეს სიტყვები უცნაურადაც ჩამესმა და უცნაურადვე ჩამებეჭდა მეხსიერებაში. იქნებ, ეს იყო ის პირველი ნიშან-გაფრთხილება, შორეული მოგზაურობებისთვის რომ მამზადებდა?!

ასე იყო თუ ისე, დავდიოდი, ვკვალავდი მანძილებს, წინ, ხალიჩასავით გადაშლილი ეკლიანი ბილიკებით მივიწევდი წინ... და ვეძებდი. ვპოულობდი და ისევ ვეძებდი.

კვლავ დავდივარ და ვეძებ...

ამ გზაზე, ვის არ შევხვედრივარ! რა დაბრკოლება არ დამხვედრია და რა ბარიკადი არ გადამილახავს! ვის არ გამოუწვდია დახმარების ხელი, ან ვის აღარ უტკენია გული უგულობით! სათუთად ვინახავდი გულში ყველა ურთიერთობასა და ყველა ნათქვამ სიტყვას, ტკბილსა თუ მწარეს, ყველა შეცდომასა და ყველა გამარჯვებას. უზომოდ ველოლიავებოდი და წყალს ვუსხამდი, ვფურჩქნიდი და ვამრავლებდი კარგს, ვსწავლობდი შეცდომებზე და ვერიდებოდი ცუდს. ვაფართოებდი ურთიერთობათა და გამოცდილებათა წრეს.

## ემიგრანტობა უკვე დაღია!

როცა „ემიგრანტობა“ შენი დაღია..

როცა სამშობლოს ყოველ სუნთქვას ხავსივით ეჭიდებოდი,

მაგრამ...

როცა ხელიდან გეცლება ხავსი... და შენი ხავსისფერი თვალებიც უძლურია!

როცა უამრავჯერ ეცადე და უამრავჯერვე იმედი გაგიცრუეს,

როცა მრავალჯერ თქვი და ვერც ერთხელ გააგონე....

როცა ისევ შენი ქართველების დიდმა ნაწილმა სული ფულზე გაცვალა,

მისხალ-მისხალ გაყიდა შენი სამშობლოს მიწა -წყალი

და მერე უდარდელად იტაშ-ფანდურეს...

როცა ნელ-ნელა შენი ქალაქი ცემენტის უსულო ციხეს დაამსგავსეს...

როცა შენს ქვეყანაში ადამიანები დარდისგან დნებიან,

შიმშილისგან კვდებიან..

კარ-მიდამონი ნასახლარებად ქცეულან.

და „ხეები ზეზეულად ხმებიან“,

მერე ტყეები ცეცხლში იწვიან

და ჯოჯოხეთს ემსგავსებიან...

როცა

გონიერნი ტირიან და

უგონონი კვლავ დარდიმანდობენ...

როცა აღარაფერი დაგრჩა სათქმელი...

რადგან ხედავ, რომ სიბნელე მეფობს შენ სამშობლოში...

დაბორიალობ ტოტებდამტვრეულ ტყეში....

* * *

ici, რას ნიშნავს?

იყო ქალი;

იყო ქართველი ქალი;

იყო ემიგრანტი ქართველი ქალი;

იყო დედა;

იყო სამი ვაჟკაცის დედა;

იყო კიდევ სამი უცხოელი ბავშვის დედობილი;

იყო მეუღლე;

იყო უცხოელი მამაკაცის მეუღლე;

იყო წარმატებული უცხოელი მამაკაცის მეუღლე;
იყო იდეალისტი;
იყო იდეალისტი – მატერიალიზმით სავსე სამყაროში;
იყო იდეალისტი – პრაგმატისტი მამაკაცის მეუღლე;

იყო ოპტიმისტი;
იყო ოპტიმისტი ნეგატივით სავსე სამყაროში;
იყო მასწავლებელი, შემოქმედი, შენი ენის, კულტურის პატრიოტი – სამყაროში,რომელშიც მსგავსი ღირებულებები სულს ღაფავს;
ისევ მკითხავ?
რას ნიშნავს იყო ემიგრანტი?
რას ნიშნავს იყო ქართველი?
რას ნიშნავს იყო ქალი?

* * *

იდეალისტი ვყოფილვარ დიდი.
იდეალებთან ერთად ხელიხელჩაკიდებული,
ლურჯ ცაში ვფრენდი
და ქათქათა ღრუბლები მანებივრებნენ თავიანთი ფუმფულა ლოყებით.
ვლივლივებდი ფირუზისფრად მოლივლივე ზღვის ზედაპირზე,
თვალებით კი, ვირეკლავდი მოკაშკაშე მზის სხივებს და მეც ვკაშკაშებდი;
ვწერდი კრიალა ცის, ლურჯი ზღვის და მბრწყინავი მზის ამბებს,
მსურდა ტვირთის ჩამოხსნაში მივხმარებოდი მავანთ და მავანთ...
მაგრამ...
მიწაზე მავალნი,
რომლებიც ტვირთად ატარებდნენ უამრავ სევდასა და დარდს,
ვერ ხვდებოდნენ ჩემი ფრენის მიზეზს
და მაყრიდნენ თავიანთ სიმძიმეებს...
პრაგმატულად იფიქრეო –
მიკიჟინებდნენ.
ბოლოსდაბოლოს, მივხვდი!
ჰოდა, აღარაფერს არც ვწერ და ვამბობ, არც რჩევა-დარიგებებს ვარიგებ, როგორც – ,,ბალს – ათ შაურად‘‘...
ახლა!
რატომ არ წერო? –- ამით შეშფოთდნენ პრაგმატული ,,მასწავლებლები‘‘,
რადგან მოაკლდათ:
უანგარო ინსტრუქციები.
გაწვდილი ხელი,
მზრუნველი გული...
ახლა,
მეც, მათსავით, პრაგმატულად დავიწყე ფიქრი:
ყველას საკუთარი წილი
გზა აქვს,
გონი აქვს...
დაე, იარონ!
ჰოდა, ბარი ბარში ვართ ახლა მე და ისინი,
ვინც:
უყურადღებობით გამანებივრა,
უმადურობით გამახარა,
დაუფასებლობით დამაფასა...
რასაცა გასცემ, შენიაო...

## დაუნდობლობა – ახალი ქართული ფენომენი?!

### პარადოქსული განწყობა

არ შეგარჩენენ, სიხარულსაც არ შეგარჩენენ –
რატომ მოგწონსო, დაინახე კარგიც შავადო,
არ გპატიობენ არც დაცემას, არც წამოდგომას,
ჩვენ ხოხვა გვიყვარს, შენც იხოხე, იყავ ავადო...

არ შეგაქებენ, ყელში ძვალი გაეჩხირებათ,
თვალს დახუჭავენ, ყურს დაიხშობენ, პირს
აიკრავენ.
გაუხარდებათ თუ წაიქცევი – შეგიცოდებენ,
– ოჰ, შე, საწყალო, ვერ შეძელიო, – კბილსაც
გაგკრავენ...

ჩემს სამშობლოში თითქოს ყველა კეთილი არის,
მაგრამ სიკეთეს სათოფეზე არ გაკარებენ!
იქნებ, ამიტომ ,,დალეკოა, ჩვენთვის, ოტ სჩასტია‘‘
და ,,საზღვარს‘‘ გლეჯენ მშობლიური ქვეყნის
ქარები!

* * *

უზარმაზარი ბოინგი ქათქათა, სქელ და საოცრად მკვრივ ღრუბლებს ქვემოთ იტოვებს. მე ილუმინატორიდან დავყურებ გაუმჭირვალე ღრუბლების საბანს..

ილუმინატორის უქსელეს მინაში შემოჟონილი მზე ისე მაცხუნებს და მათბობს, ვინაბები და თვალებს ვხუჭავ. მერე თავს ვადებ ცხელ მინას და სხივების სიმხურვალით გამეწამულისფერებულ ჩემს თვალებში გამოსახულ შტრიხებს გონების თვლით ვაკვირდები..

მონატრება კვლავ შეხვედრის სიხარულიაო.. ჰოდა, მე ბედნიერი ვარ, რადგან ვიცი, მომენატრება და ამ შეხვედრით მალე, კვლავ ბედნიერი ვიქნები...

ოღონდ, არ მომენტრება საქართველოში ლამის ყველა კიბესთან ჩამომჯდარი ხელგამოწვდილი ტკივილი, რომელიც ტკივილზე მეტია. არ მომენატრება უიმედობით სავსე ხალხის თვალები, ჩემი საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულში რომ ბჟუტავს ნავთდაცლილი ლამფასავით.

რაღა დროს ნავთია, ანდა ლამფები! გამურულ შუშებს გაწმენდა და შენახვა უხდება, როგორც იმ წლების გულსატკენ რელიქვიას! გამურული მინები გამურული აზროვნებას ჰგავს, იქიდან კი, ვეღარც საქართველოს დავინახავთ, ვეღარც წარსულის დიდებას! ვეღარც ერთმანეთის თუ სხვის კარგს. ბოლოს კი თვალები აგვეწვება და აგვემღვრევა ხედვაც.

ნუთუ, მართლა, ისევ ,,დალეკოა ოტ სჩასტია?‘‘

2019, ჩიკაგო, Rustaveli Publishing



# „ხატვის დროს ვღიღინებ“...

## ფერმწერი, რომელიც ენერგიებს ათვინიერებს... კულმინაციის ეფექტი და სურათის ახალი სიცოცხლე

**თბილისის 30-ე საჯარო სკოლა დაამთავრა. შემდეგ — იაკობ ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებლის ფერწერის ფაკულტეტი. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, ასევე ფერწერის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. 6 წელი კი ილია პატაშურის სახელოსნოში სწავლობდა.**

**ხატვის პარალელურად მუსიკაც უყვარდა, კონსერვატორიის ექსპერიმენტალურ სკოლაში სწავლობდა ვოკალზე... პედაგოგები სთხოვდნენ, მუსიკის განხრით გაეგრძელებინა სწავლა, მაგრამ საბოლოოდ მაინც სამხატვრო აკადემია არჩია.**

**ამბობს, რომ 2018-2019 ძალიან ნაყოფიერი იყო მისთვის, შეიქმნა ნამუშევარი „შიში“, რაც პანდემიით გამოწვეულ დამთრგუნველ ეფექტებს ეხმიანება. „მაშინ არ ვიცოდი, რა გველოდა, მაგრამ წინასწარ ვგრძნობდი. ნამუშევრები კი ოპტიმისტურია, შინაარსითა და ფერადოვნებითაც“. — ფერმწერი თამთა მამუკელაშვილი.**

— ჩემი ბავშვობა სიკეთით და სიყვარულით სავსე იყო. მე ბედნიერი ბავშვობიდან მოვდივარ. დედა და მამა იმხელა ნდობას გვიცხადებდნენ მე და ჩემს დას, რომ მახსენდება, ზოგჯერ მიკვირს. სრული თავისუფლება გვქონდა.

**— ხატვა ალბათ ბავშვობიდან გიყვარდათ...**

— ხატვა 3 წლის ასაკში დავიწყე. მამა მხატვარი იყო და ყველაფერი მქონდა, მაგრამ ფერადი პასტები და აკვარელი მიყვარდა. ყველა ნახატი დედას ახლაც შენახული აქვს. ფილარმონიაში ბავშვთა ნახატების გალერეა იყო და 3 წლის ასაკში მივიღე მონაწილეობა გამოფენაში. დავასურათე „ბურატინოს თავგადასავალი“. ჟურნალისტმა გოგონამ ინტერვიუც კი ჩაწერა და ფოტოები გადამიღო.

**— სკოლაში კარგად სწავლობდით, სკოლის კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად იქნებოდით ჩართული...**

— სკოლაში თუ რამე „კედლის გაზეთი“ იყო გასაკეთებელი, ასევე — საახალწლო აქსესუარები, ყველაფერს მე ვაკეთებდი. დირექტორი და დამრიგებელი ზოგჯერ პატივს დამდებდნენ ხოლმე და სამასწავლებლოში მსვამდნენ, ხელი რომ არ შემშლოდა. სწავლითაც კარგად ვსწავლობდი და სკოლის კულტურულ ცხოვრებაში ვმონაწილეობდი. გვქონდა დრამწრე, რომელსაც დედაჩემი ხელმძღვანელობდა. ვდგამდით სპექტაკლებს. ვმღეროდი სკოლის გუნდში...

**— იაკობ ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე ჩააბარეთ...**

— იაკობ ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელი უნიკალური იყო ყველა მხრივ. მე დირექტორ გურამ ქლიბაძის ჯგუფში მოვხვდი და ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობდა. იქ სწავლის პერიოდი ყველაზე კარგად მახსენდება. არაჩვეულებრივი ლექტორები გვყავდა. ბევრი რამ ვისწავლე, პირველ რიგში — მეგობრობა და სიყვარული. ერთი დიდი ოჯახი იყო.

აკადემიამ დამოუკიდებლობა მასწავლა, იქ სხვა გარემო სუფევდა. იქ მივხვდი, რომ ყველას არ უხარია შენი წარმატება.

**— კონსერვატორიის ექსპერიმენტალურ სკოლაში სწავლობდით ვოკალზე... გამორჩეული ხმა გქონდათ. მასწავლებლებს უნდოდათ გადაგეფიქრებინათ აკადემიაში ჩაბარება, მაინც არ გადაიფიქრეთ...**

— პარალელურად კონსერვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტალურ სკოლაში ვსწავლობდი ვოკალზე. პედაგოგი ანიკო ჩიხრაძე გახლდათ, მონსერატ კაბალიეს ვეძახდით, გარეგნული მსგავსების გამო.

ისე მოსწონდა ჩემი მეცო სოპრანო, რომ მეხვეწებოდა, ჩამებარებინა კონსერვატორიაში. მე აკადემია ვარჩიე, გენებმა თავისი ქნეს. მაგრამ ვოკალის სიყვარული დედას და ანიკოს დამსახურებაა, დღესაც ზეპირად მახსოვს არიები, ნეაპოლიტანური და რუსული რომანსები. ხატვის დროს ვღიღინებ...

**— 6 წელი ილია პატაშურის სახელოსნოში სწავლობდით...**

— პატაშურის სახელოსნოს გასაღები მე მებარა. ათზე რომ გავხსნიდი, გვიან საღამომდე იქ ვმუშაობდი. ამ სახელოსნოში სხვადასხვა კურსის ბავშვები ვიკრიბებოდით. აკადემიურობიდან შემოქმედებითობაში გადავინაცვლე და თავისუფლება გამიათმაგდა. ბატონი ილია ჩვენთან ერთად ხშირად ხატავდა და ეს მაგალითი იყო თითოეული ჩვენგანისთვის. ფერის სიმსუბუქესა და ჰაეროვნებაზე ბევრს საუბრობდა. ჩემი პალიტრაც უფრო ნათელი გახდა.

**— თქვენი ნამუშევრები ორიგინალური ხელწერით გამოირჩევა, მხოლოდ თქვენეული ფერთა შეხამებით, რომელსაც სიმშვიდე მოაქვს... როგორ არჩევთ ფერებს? განწყობის მიხედვით თუ წინასწარ იცით, რაც უნდა დახატოთ?**

— წინასწარ არასოდეს იცი, რა გამოვა. ზოგჯერ უცებ სწრაფად იქმნება რაღაც და ორი ფერიც გყოფნის სათქმელად. ხან დიდი ხანი ემზადები, წინ უძღვის რაღაც ეტაპები, კულმინაციამდე არის მუშაობის პროცესი, ამ დროს ენერგიებს ათვინიერებ და.... კულმინაცია! დასრულდა ნამუშევარი, რომლის სიცოცხლეც ახლა იწყება!

**— გაზაფხულის საოცარი ხეები, „სიზმრის ხეები“, „აღდგომა“ — განუმეორებელი კოლორიტით. „მე დავიკარგე“, „უყვავესობა“, „CROSS — ჯვარი“, „სიყვარული“... რომელი ერთი ვთქვა...**

— ბევრი ნახატი დამიგროვდა, ძირითადად, 2018-2019 წლები ძალიან ნაყოფიერი იყო ჩემთვის, კოლორიტი შევცვალე და სხვა რაკურსით შევხედე რაღაცებს. ერთ თემაზე შექმნილი სერიული ნამუშევრები შევქმენი: „CROSS — ჯვარი“.

მინდა აღვნიშნო 2018 წლის ზაფხულში შექმნილი ნამუშევარი „შიში“, რაც პანდემიით გამოწვეულ დამთრგუნველ ეფექტებს ეხმიანება. თუმცა არ ვიცოდი, რა გველოდა, წინასწარ ვგრძნობდი. მაგრამ უკვე პანდემიის დროს ამაზე არ მიფიქრია და სურათები, შინაარსითა და ფერადოვნებითაც, ოპტიმისტურია.

რაც შეეხება ჩემთვის გამორჩეულ ნამუშევრებს, კონკრეტულად ვერ გამოვარჩევდი, მაგრამ არის ნამუშევრები, რომლებსაც დავიტოვებდი.

**— შთაგონება?..**

— ერთი მზერა, ერთი სიტყვა, ამინდი, ქუჩის სიუჟეტი, სპექტაკლის სიუჟეტი, წაკითხული წიგნი, რაღაც მელოდია, გემო, სურნელი — ყველაფერი ეს შემოქმედებითი ადამიანისთვის შთაგონების წყაროა.

**— გრაფიკა... რომელს მიანიჭებდით უპირატესობას — ფერწერას თუ გრაფიკას?**

— ორივე ძაან მაგარია! უბრალოდ მე ფერმწერი ვარ!

**— ჰობი...**

— ჩემი პროფესია — ჩემი ჰობია!

**— ოჯახი...**

— მყავს მეუღლე, რომელიც სოფელში გადასახლდა. გვაქვს გეგმები, ვნახოთ, რა გამოვა.

**— სამომავლო გეგმები...**

— სტუდენტობის დროს ბევრი ჯგუფური და ერთი პერსონალური გამოფენის შემდეგ, გამოფენა არ გამიკეთებია. ახლა იმდენი დამიგროვდა, სხვადასხვა პერიოდის და განსაკუთრებით ბოლო სამი წლის ნამუშევრები, რომ სახლში ველარ ვატევ. დავიწყე გადახარისხება და მოწესრიგება, ვთვლი, რომ კარგი იქნება, თუ სხვებიც ნახავენ. ჰოდა, ვგეგმავ გამოფენას, ზუსტ დროს ვერ გეტყვით, მეც არ ვიცი.

## პატარებისთვის

## ლანა ხურცილავა



# ლეოპარდი, მაიმუნი და კურდღელი

დედა ლეოპარდი პატარა მთის ფერდობზე თავის ორ ბოკვერთან ერთად ცხოვრობდა. დღისით გარეთ გადიოდა ხოლმე საშოვარზე, ბოკვერები კი ბუნაგში მისი არყოფნისას თამაშით იქცევდნენ თავს და მოთმინებით ელოდებოდნენ, თუ როდის მოუტანდათ მშობელი საკვებს. ასე ბედნიერად და ლაღად ცხოვრობდა მტაცებლის ოჯახი.

გათენდა კიდევ ერთი მშვენიერი დილა. მზიანი, მაგრამ ქარიანი ამინდი იდგა. ქარის ხმაურზე დედა ლეოპარდს გამოეღვიძა. თვალები მოიფშვნიტა. ბუნაგში მიიხედ-მოიხედა და შეამჩნია, რომ წინ არც ისე უხვი და მრავალფეროვანი საუზმე ელოდათ. იფიქრა, სუფთა ჰაერს ჩავისუნთქავ, გავისეირნებ და თან ხელს რამე ნადავლს გამოვაყოლებ, რომ ჩემი პატარები გავახაროო.

დედა ლეოპარდმა ბევრი იარა, მაგრამ ტყეში ვერაფერი იპოვა. ბილიკისაკენ გასვლა დააპირა, მაგრამ უცებ შენიშნა, რომ გზაზე კურდღელი მოცუნცულებდა.

— გამარჯობა, კურდღელო, — მიესალმა ლეოპარდი.

— გაგიმარჯოს, ბატონო, — მორიდებით შეეპასუხა კურდღელი.

— პატარა მეგობარო, საით გაგიწევია?

— ტყის დასაწყისთან ახლოს ფართობი მაქვს, სტაფილოსა და კომბოსტოს მოსავალი უნდა ავიღო, — უპასუხა კურდღელმა.

— შორიდან მოდიხარ?

— აქვე, ტყის ბოლოში ვცხოვრობ.

ლეოპარდს ავმა ზრახვებმა გაუელვა გულში: ამას რომ შეჭმა დავუპირო, ხმაურს ატეხს, ბაჭიებს გააფრთხილებს და აქეთ-იქით გამიფანტავს, მერე სად ვსდიო? მოდი, ჯერ წავალ და ბაჭიებს შევახრამუნებ

და ამას მერე მივხედავო.

— აჰა, გასაგებია, მშვიდობიანი გზა, ხვავი, ბარაქა და მხიარული დოვლათი მოგცეს ღმერთმა, მეგობარო — მიუგდო ეს სიტყვები კურდღელს და სასწრაფოდ დაემშვიდობა.

— დიდი მადლობა, გაიხარე, უფროს... — სათქმელის დამთავრება ვერ მოასწრო კურდღელმა.

ლეოპარდმა ულვაშებში ჩაიცინა და გზა განაგრძო. მალევე მიადგა კურდღლის სოროს. მამა მაიმუნმა, რომელიც ეზოში ფიჩხს აგროვებდა საღამოსთვის ცეცხლის დასანთებად, კი დაინახა კურდღლის სოროსაკენ მიმავალი ლეოპარდი, მაგრამ ყურადღება აღარ მიაქცია, ჩემები სტუმრად გავუშვი,უსაფრთხოდ არიან და რაღა მედარდება, მტაცებელს გზაზე რატომ გადავუდგეო. ამასობაში თავის საოჯახო საქმეს მორჩა და სახლში შევიდა.

მაიმუნების ოჯახის უფროსი ცოტა ხანში მშვიდად წავიდა პალმების ხეივნისაკენ, რათა ბანანები დაეკრიფა და ცოლ-შვილისათვის დაეხვედრებინა, როცა მასპინძლისგან მობრუნდებოდნენ.

ლეოპარდმა კურდღლის სოროს კარი ჩუმად შეაღო, ფარდა ფრთხილად გადასწია და ხუთი თეთრი, თოვლის ფანტელივით ქათქათა ბაჭია დაინახა. მტაცებელმა რიგრიგობით გადასანსლა ყველა და ცოტათი დანაყრდა. მუცელზე ხელი მოისვა და ჩაიბურტყუნა: ყოჩაღ, ჩემო თავო, ძლივს არ გაიმაგრე კუჭიო.

კურდღლის სოროდან გამოსულმა ლეოპარდმა ტყის ბილიკისაკენ გააგრძელა სვლა. შორიდან მოულოდნელად წყაროსთან დედა-შვილი მაიმუნი შენიშნა. ლეოპარდმა კმაყოფილად გააქნია თავი და შედარებით დიდი ლუკმის დანახვაზე ნერწყვი მოადგა. მალევე დაეწია სტუმრად მიმავალ მაიმუნებს. მტაცებელმა დედა მაიმუნი მიახლოებისთანავე გაგლიჯა და გემრიელად შეექცა. ჯერი შვილ მაიმუნზე მიდგა,მაგრამ ლეოპარდმა იგი უბეში ჩაისვა,იფიქრა,ჩემს ბოკვერებს მივუყვან, ცოტა ხანი გაერთონ მასთან თამაშით, მერე, როცა გაგვიხარდება, მოვხრაკავთ და ყველა ერთად გემრიელად შევახრამუნებთო. ლეოპარდი ასეც მოიქცა. ბოკვერებმა დედის სახლში დაბრუნებაზე გაიხარეს. განსაკუთრებით პატარა მაიმუნის დანახვა ესიამოვნათ.

— დედი,ამიერიდან საკუთარი ჯამბაზი გვეყოლება, თან სახლსაც დავალაგებინებთ, რომ სუფთად დაგხვდესო,— უთხრა უფროსმა შვილმა ლეოპარდს.

— რა ჭკვიანი მყავხარ,დედა გენაცვალოს,— მოუწონა იდეა ლეოპარდმა.

საღამოს კურდღელი თავის სოროში დაბრუნდა და არცერთი ბაჭია რომ არ დახვდა, გაიფიქრა, წავალ მინდვრებში მოვძებნი ჩემს ცელქ შვილებს, ალბათ, სათამაშოდ გავიდნენ და ჯერ კიდევ ერთობიანო.

კურდღელმა ბევრი იარა, მაგრამ შვილები ვერ იპოვა. გადაწყვიტა მეზობლად მცხოვრებ მაიმუნების ოჯახთან მისულიყო,რათა დიასახლისისათვის ეკითხა ბაჭიების შესახებ. კარი მამა მაიმუნმა გაუღო.

— გამარჯობა,მხიარულო მეზობელო,ჩემი ბაჭიები თქვენთან ხომ არ გადმოსულან სტუმრად ან თვალი ხომ არსად მოგიკრავთო?

— არა, ჩემო ტკბილო მეზობელო, აქ არ არიან, არც კი მინახავს დღეს შენი ბაჭიები. ცოტა ხნის წინ დავბრუნდი ბანანის პალმების ხეივნიდან და ჩემებიც არ დამხვდნენ სახლში. ალბათ,ჩემმა მეუღლემ, მასპინძლისგან დაბრუნების მერე, ყველა ერთად პიკნიკზე წაიყვანა; ცოტა ხანიც დაველოდოთ, თუ არადა ძებნას შევუდგეთ,— უპასუხა მამა მაიმუნმა.

დაელოდნენ,მაგრამ — ამაოდ. არც ბაჭიები და არც დედა-შვილი მაიმუნი არსად არ ჩანდნენ.

დედა კურდღელი და მამა მაიმუნი ძებნას შეუდგნენ. აქეთ ეცნენ,იქით ეცნენ,მაგრამ სიბნელეში ვერავითარ კვალს ვერ მიაგნეს, თუ საით შეიძლება, წასულიყვნენ მათი ოჯახის წევრები. ეძახდნენ, მაგრამ პასუხი არსაიდან იყო. გადაწყვიტეს, სხვადასხვა მიმართულებით წასულიყვნენ. კურდღელი ტყის დასაწყისისაკენ გაეშურა, მაიმუნი — ბოლოსაკენ.

კურდღელს ფერდობიდან უცებ ხმა შემოესმა, თითქოს პატარა მაიმუნი შველას ითხოვდა, მაგრამ შეეშინდა: ,,ვინ ოხრის შვილია, შველას რომ მთხოვს, რომელი ტიტანი მე მნახა, წავალ, სასწრაფოდ ჩემს შვილებს მოვძებნი და მშვიდობიანად დავაბრუნებ სახლშიო“. ამიტომაც გზა განაგრძო.

დედა კურდღელი და მამა მაიმუნი ცალ-ცალკე მთელი ღამე დაეძებდნენ ოჯახის წევრებს, მაგრამ ვერცერთმა ვერ იპოვა. დაქანცული კურდღელი, იქვე ტყეში ბუჩქთან ახლოს ჩამოჯდა და კოცონი დაანთო. მეორე მხარეს წასული მამა მაიმუნი ბანანის პალმაზე აძვრა, ტოტზე ჩამოეკიდა და დაღლილობისაგან ჩაეძინა.

მალევე ჩაეძინა კურდღელსაც, რომელსაც კოცონი ანთებული დარჩა და ცეცხლი ხმელ ბალახს მოედო. ყველაზე პირველად ხანძარი კურდღელს მისწვდა და ფერფლად აქცია, ხოლო მერე ფერდობს მოედო და ლეოპარდის ბუნაგამდეც მიაღწია. ბუნაგის მკვიდრნი ძილ-ბურანში იყვნენ.

ხის ტოტზე ჩამოკონწიალებულმა მამა მაიმუნმა სიზმარი ნახა: დედა მაიმუნი წყაროსთან სისხლიანი ეგდო, ხოლო შვილი ფერდობთან ახლოს, ეკალბარდებში გახლართულიყო და თავს ვერ აღწევდა იქაურობას.

მამა მაიმუნი ელვანაკრავივით სასწრაფოდ წამოვარდა ზეზე და შვილის საშველად გაიქცა. ფერდობზე აირბინა, მაგრამ დააგვიანდა, ლეოპარდის ბუნაგი,სადაც შვილი მაიმუნი მძევლად ჰყავდათ,უკვე ფერფლად ქცეულიყო.

ასე დაღუპა ლეოპარდი სისასტიკემ,კურდღელი — შიშმა, ხოლო მაიმუნი — უდარდელობამ. მტაცებელს სამყარომ ბოროტებისათვის საკადრისი მიუზღო,კურდღელს შიში და უმოქმედობა არ აპატია, ხოლო მაიმუნი სიზარმაცისა და უდარდელობისათვის დასაჯა.

**მორალი:**

**1. ბოროტისაგან სიკეთესა და შებრალებას არავინ ელოდოს.**

**2. მშიშარა, გაუბედავი ადამიანი საკუთარი თავის მტერია.**

**3. ზარმაცმა,უდარდელმა და დაუდევარმა ადამიანმა შეიძლება, მომავალი დაკარგოს.**

# ჭიანჭველების მეფე და ქვიშის პირამიდა

ჭიანჭველების მეფე თავისი ბუდე-სასახლიდან გამობრძანდა სანადიროდ. მდინარის ნაპირას სუფთა ჰაერზე გასეირნება გადაწყვიტა. თვალებსაც წყალს დავალევინებ და იქნებ ჩემს ისედაც უთვალავ ქონებასაც რამე შევმატოო. იქვე, ნაპირთან ახლოს, ქვებზე ბავშვები ჩამომსხდარიყვნენ და მზესუმზირას შეექცეოდნენ, ფეხები წყალში ჰქონდათ ჩაყოფილი და დინებას თვალებს აყოლებდნენ.

მხიარული პატარები მზესუმზირას ნარჩენებს ძირს, ქვებს შორის ყრიდნენ. ჭიანჭველების მეფე მათთან ახლოს მიცოცდა და დაიწყო პირის ცმაცუნი, გემრიელი კერძით ყელს იტკბარუნებდა და თან ნარჩენების ნაწილს თავისი ბუდისაკენ მიაქანებდა.

ბავშვების ერთ ჯგუფს მოსწყინდა მზესუმზირას კნატუნი, ადგა და ქვიშისაკენ გასწია. პატარები ცხელ ქვიშაზე წამოწვნენ, მაგრამ ესეც მალე მობეზრდათ და გადაწყვიტეს, ქვიშის პირამიდა აეგოთ. ასეც მოიქცნენ: პეშვებით დაყარეს ერთ ადგილას ქვიშა, შუაგული ამოასუფთავეს ისე, რომ გადაბრუნებული პირამიდა მიეღოთ. ამის მერე შეუდგნენ ჭიანჭველის ძებნას.

თამაშის პრინციპი ასეთი იყო: ბავშვები უნდა დალოდებოდნენ გადაბრუნებულ პირამიდაში ჩამწყვდეული ჭიანჭველას რეაქციას. ადრე თუ გვიან, მწერს აუცილებლად მობეზრდებოდა იქ ყოფნა, ტყვეობაში უზრუნველ ცხოვრებას თავისუფლებას არჩევდა და ეცდებოდა თავის დახსნას.

არც ისე ხანგრძლივი ძიების შედეგად ბავშვებმა იქვე ერთი პატარა ჭიანჭველა მოძებნეს და პირამიდის შიგნით ჩასვეს. თან მზესუმზირას კანგაცლილი, სავსე გულები ჩაუყარეს.

ჭიანჭველების მეფეს ეს არ გამორჩენია მხედველობიდან. ახლოს მივიდა ქვიშასთან და რას ხედავს: თავისი საცოდავი, გალეული, ჯიბეგაფხეკილი ხელქვეითი მზესუმზირას მარცვლებში ცურაობს. „მე ამდენი ვიწვალე ქონების დასაგროვებლად და შეხედე, ამ ტეტიას, ერთ წამში არ გამდიდრდა?! შენ თუ ეს სიმდიდრე შეგარჩინო, დამაცადე“! — გულში თქვა ჭიანჭველების მეფემ და ელვის უსწრაფესად თვითონაც ქვიშის პირამიდაში ჩაძვრა.

ბავშვებმა რომ დაინახეს კარგად მოვლილი, ძლიერი ჭიანჭველა, ძალიან გაუხარდათ. პატარა ჭიანჭველა ზემოთ ამოსვეს და მის ადგილას დიდი ჩასვეს ქვიშის პირამიდაში, რომ უფრო ეხალისათ. ჭიანჭველების მეფეს ძალიან გაუხარდა ეს ამბავი, რჩეული ნადავლი მთლიანად მე დამრჩებაო. იგი მშვიდად, დინჯად შეუდგა ქვიშის პირამიდაში მზესუმზირას გულების ჭამას.

ჭიანჭველების მეფე ნიჭიერად დანაყრდა, მაგრამ მარაგიდან კიდევ საკმაო მარცვალი დარჩენილიყო. გადაწყვიტა, პირამიდიდან ამოსულიყო და თან დარჩენილი განძიც გაეზიდა. ჭიანჭველების მეფემ ერთად მოაგროვა ყველა მზესუმზირას გული და ერთიანად მოიკიდა ზურგზე ტომრით, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრა. ძალიან დაღონდა, მაგრამ მეფე რის მეფე იყო, სიბრძნეს უხმო. ჭიანჭველების მეფემ დიდი ხნის ფიქრის შედეგად გამოსავალიც იპოვა: ტომრიდან ნადავლის ნაწილი უკან გადმოყარა. მაინც ვერ მოახერხა პირამიდიდან ამოსვლა.

ჭიანჭველების მეფე სულ უფრო ამცირებდა ტვირთს, და ბოლოს, საერთოდაც თითო-თითოდ დააპირა მზესუმზირას გულების პირამიდიდან ამოზიდვა. ყველაზე მსხვილი მარცვალი შეარჩია, ზურგზე მოიკიდა და ნელ-ნელა ცდილობდა ამობობღებას. ვერც ახლა შეძლო ტყვეობიდან თავის დაღწევა, რადგან პირამიდის კედლები მყიფე მასალისგან — ქვიშისგან იყო ნაგები და ცოცვისას ფეხქვეშ ეცლებოდა მიწა.

ჭიანჭველების მეფე ისევ იმ ადგილას უბრუნდებოდა, საიდანაც სვლა დაიწყო. არაერთი უშედეგო მცდელობის მერე ყველაფერი ისევ ზურგზე აკიდებულ ტვირთს დააბრალა და ის ერთი მსხვილი მზესუმზირას გულიც ქვემოთ დააგდო. იფიქრა, მოდი, ყველაზე პატარა მარცვლით შევცლი და მის ატანას ვცდიოო. ამჯერადაც არ გაუმართლა. მაშინ გაიფიქრა, სასახლეში ისედაც დიდი სიმდიდრე დავტოვე და წავალ იმას მივხედავ, ამ მარცვლების წამოსაღებად კი ხელქვეითებს გამოვუშვებო.

ჭიანჭველების მეფე განზრახვის შესრულებას შეუდგა და ხელცარიელი შეუდგა პირამიდიდან ამოსვლას. შიშით, რომ კედლები ისევ არ ჩამოშლოდა, სიჩქარეს უმატა და სწრაფი ნაბიჯებით სცადა აცოცება, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, პირამიდა მთლიანად დაიშალა და ნანგრევების ქვეშ მოჰყვა.

ჭიანჭველების მეფე საკუთარი სიხარბის ჯერ ტყვე, ხოლო მერე — მსხვერპლი გახდა. სიხარბეზე ცნობილი ანდაზისა არ იყოს, „ბევრის მჭამელსა ცოტას მჭამელმა აჯობაო“,

ან კიდევ გავიხსენოთ სხვები: „ადე, დაბრუნდი, წისქვილო, იკმარე, რაც გაქვს, ისიცო“;

„მეტი სიტყვა თავს ატკენს, მეტი ჭამა — კუჭსაო“;

„ხარბმა ქორმა იხვიც გაუშვა და ვერც კაკაბი დაიჭირაო“;

„ხარბი სანამ არ გაიფცქვნება, არ გაიქცევაო“.

**მორალი:**

**1. სიხარბე ყველაზე ძლიერსაც კი დაღუპავს.**

**2. შური ადამიანს მოყვარესაც შეაძულებს.**

# პოეზიის თეატრის დასის პრემიერა







## მეფე ერეკლეს საიუბილეოდ

2020 წელი საქართველოს უკანასკნელი დიდი მეფის ერეკლე მეორის საიუბილეო წელიწადია, დაბადების 300 წლისთავი. ისტორიამ თავისი ანალოგიებისადმი მიდრეკით ამჟამადაც თქვა სათქმელი: დიდ იუბილეს შეუკვეცა ფრთები – პლანეტარულმა პანდემიამ თავისი დაღი დაასვა საიუბილეო ღონისძიებებს ისევე, როგორც სახელოვანი მეფის დაკრძალვა-დატირებას XVIII საუკუნის პანდემიამ – „შავი ჭირის“ მძვინვარებამ, სამგლოვიარო რიტუალი 40 დღეს რომ გაწელა. დროში ასევე გაგრძელდა ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახლობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ჟურნალ „ანეულის“ რედაქციამ გამართა 2020 წლის ნოემბრისა და 2021 წლის მარტის დროით მონაკვეთში.

2021 წლის ნოემბერში თელავში ჩატარდა უკვე ტრადიციული დღესასწაული „ერეკლეობა“. თელავის მთავრობამ სტუმრებიც ისტუმრა, საქართველოს სამეფო სახლმა რამდენიმე ადამიანი ერეკლე მეორის ორდენებით დააჯილდოვა, სხვა სიუბილეო ღონისძიებებიც გაიმართა, მაგრამ ჭეშმარიტ სახალხო დღესასწაულად, ისეთად, როგორსაც მეფე ერეკლე იმსახურებს, თავისი პიროვნული და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ისტორიული მასშტაბურობით და ღირებულებით, ღვაწლით ქართულ (და არა მარტო) ისტორიაში, მაინც ვერ იქცა – ისევ პანდემიის გამო.

არადა ამ დიდებული, ჭეშმარიტად სახალხო მეფის წინაშე დიდ ვალში ვართ და იმდენიც კი ვერ მოგვიხერხებია, რომ ერეკლე მეორის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ფაქტები გამოვავლინოთ და რეალური ისტორია დავადგინოთ. არადა არქივებში არაერთი ისეთი ფაქტი, საბუთია შემორჩენილი, რომლებიც ერეკლე მეორის ნაღვაწის დღემდე უტყუარად აღიარებულ შეფასებას კარდინალურად უცვლის საფუძველს. აქ იგულისხმება თუნდაც ისეთი ფაქტები, რომლებიც XVIII საუკუნის ევროპულ პრესასა და სიძველეთსაცავებშია დაცული და, ერთი მხრივ, ერეკლე მეორის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ევროპელ პოლიტიკოსთა და მოღვაწეთა მიერ გააზრებულ მასშტაბურობას წარმოაჩენს, მეორე მხრივ, ერეკლე მეფის ევროპულ ორიენტაციას ადასტურებს. ის კი არადა, მეფე ერეკლეს დაბადების თარიღიც კი (1720 წლის 8 ნოემბერი) არასწორად გვცოდნია და, როგორც პროფესორმა ნიკო ჯავახიშვილმა გაარკვია, იმ წლის ოქტომბერში მოვლენია ქვეყნიერებას, და არა ნოემბერში. **ვინ იცის, კიდევ რამდენ უცნობ ფაქტს ინახავენ სიძველეთსაცავები, ანალები, რომლებიც სულ სხვაგვარად წარმოგვიჩენენ ერეკლე მეორის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შინაარსს. განსაკუთრებით იმ ბრალდებებისას, მედროვე და ქვეგამხედვარე „მკვლევრებმა“ რომ წაუყენეს (თუნდაც გეორგიევსკის ტრაქტატის თანამდევ ფაქტებსა და მოვლენებს).**

მომავალში იმხელა საიდუმლოების გრიფი მოეხსნება არაერთ ისტორიულ საბუთს, რომლებიც მეფე ერეკლეს (და საერთოდ ბაგრატიონების სამეფო გვარის) ღვაწლს გამაოგნებელი სისრულითა და სიღრმით წარმოაჩენენ XVII-XVIII საუკუნის პოლიტიკასა და კულტურულ აღმშენებლობაში – როგორც აღმოსავლეთის (აზიის), ისე დასავლეთის (ევროპისა და რუსეთის) მიმართულებით.

* * *

ერეკლე მეორის 300 წლისთავის აღსანიშნავი ერთ-ერთი ღონისძიება გამართა ეროვნული სასახლის პოეზიის თეატრის დასმა 2021 წლის 19 ნოემბერს. **ეს იყო პრემიერა სპექტაკლისა – „მეფე ერეკლე“. დამდგმელი რეჟისორია ნუგზარ ბაგრატიონი, მხ-**

**ატვრული კითხვის პედაგოგი — ასმათ ქურციკიძე. თეატრალური მიმართულების ხელმძღვანელი, თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე.**

სპექტაკლი კოვიდრეგულაციების დაცვით გაიმართა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სასწავლო თეატრის სცენაზე.

**სპექტაკლში მონაწილეობდნენ საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის პოეზიის თეატრის დასის წევრები: ნიკოლოზ გულუაშვილი,ნინი მესროფაშვილი,მარი ბიკოვი,მარიამ აივაზოვი, დაჩი მუჯირიშვილი, ლაზარე კალანდია, მარიამ კობახიძე, ეკატერინე სვანიძე, მარიამ ჩაჩავა, მარიამ ყრუაშვილი, ნიკოლოზ თავართქილაძე, სანდრო წიქვაძე, ანი ედილაშვილი, მარიამ ხერგიანი. სულ — 14.**

პანდემიის გამო შეზღუდული იყო მაყურებლის რაოდენობა. სპექტაკლს დაესწრნენ მიწვეული სტუმრები — ისტორიკოსები და ლიტერატორები.

სპექტაკლის დაწყებამდე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ეროვნული სასახლის პოეზიის თეატრის მხატვრული მეტყველების პედაგოგმა, ცნობილმა მსახიობმა, ქალბატონმა ასმათ ქურციკიძემ. მან აღნიშნა: „ყოველ წელს, სასწავლო წლის ბოლოს, ვაკეთებთ ლიტერატურულ პრემიერებს, „მეფე ერეკლე", წესით, შარშან უნდა დაგვედგა, რადგან ერეკლე მეფის 300 წლისთავი შარშან იყო, მაგრამ პანდემიამ ხელი შეგვიშალა".

წამყვანმა ყურადღება გაამახვილა ლიტერატურულ წყაროებსა და ინფორმაციულ სიახლეებზე, რაც საინტერესო აღმოჩნდა როგორც ბავშვებისათვის, ისე მოზრდილებისთვის. ლიტერატურულ წყაროთა შორის აღინიშნა ქართულ მჭევრმეტყველების ისტორიაში კარგად ცნობილი ერეკლე მეორის სამეფო კარის — სახელმწიფო მდივნის სოლომონ ლიონიძის სახელოვანი სიტყვა — **მეფე ერეკლეს დატირება, სადაც ერეკლე მეფის პიროვნული და სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური ნაღვაწის საეროვნო და საერთაშორისო მნიშვნელობაა წარმოჩენილი და ამ ფონზეა გამოტირებული ერეკლე მეფის ეპოქის დასრულებით ქვეყნის გაურკვეველი მომავალი.**

ლიტერატურულ წყაროთა შორის ქალბატონმა ასმათ ქურციკიძემ ასევე გამოყო „ერეკლეს ეპოსი", რომელიც ჩვენი ზეპირსიტყვიერი ლექს-სიმღერების, თქმულება-გადმოცემების საფუძველზე გამოავლინა (ტექსტი გაამთლიანა) და გამოსცა პროფესორმა თემურ ჯაგოდნიშვილმა ჯერ კიდევ 2005 წელს.

ამის თაობაზე წამყვანმა აღნიშნა: „შემდეგი იყო „ერეკლეს ეპოსი", რაზედაც სპექტაკლის ძირითადი ფაბულა აიგო. **ფაქტობრივად, ჩვენ თემურ ჯაგოდნიშვილის წიგნს დავეყრდენით თავიდან ბოლომდე,ანუ იყო დასაყრდენი სახელმძღვანელო და ინსცენირების ძირითადი ბაზისი, რის მიხედვითაც ითამაშეს ბავშვებმა. ძალიან დიდი მადლობა ბატონ თემურს".**

ბოლოს მივიღეთ ლიტერატურული სპექტაკლი თეატრალური ჩანართებით, კოსტიუმებით, მუსიკალური გაფორმებით. სპექტაკლი იყო,და არა მხოლოდ ლიტერატურული კითხვა. ეს არ არის არქაული და გადამეტებულად პატრიოტული წარმოდგენა. ძალიან ვეცადეთ, რომ ყოფილიყო თანამედროვე, თან კლასიკური და ისტორიულიც. ეს ნამდვილად გამოვიდა".

ლიტერატურულ წყაროთა შორის დასახელდა ფოლკლორულად შემორჩენილი ქიზიყელი ქალის, რვა შვილის დედის ახუას დატირების ტექსტი და ერეკლე მეორის გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძის მიერ თავმოყრილი მასალა.

სპექტაკლის წარმატებულობას ხელი შეუწყო კოსტიუმირებულობამაც. სწორად ბრძანებს წამყვანი — „როცა კოსტიუმირებულია ლიტერატურული სპექტაკლი, ამას კიდევ სხვა ეშხი და სილამაზე აქვს". ამაში კი დიდი წვლილი შეიტანა ბატონმა ნიკა წულუკიძემ — ეროვნული სასახლის თეატრალური მიმართულების ხელმძღვანელმა.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ, ჩვენთან საუბრისას, ასმათ ქურციკიძემ რეჟისორზე და დასის წევრებზე განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება.

„ნუგზარ ბაგრატიონი 30 წელზე მეტია უანგაროდ, სიყვარულით ემსახურება ამ საქმეს. მე და ბატონი ნუგზარი ვამეცადინებდით. მე მეტყველების პედაგოგი ვარ. ბავშვებთან ურთიერთობა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ამ წუთში ბატონი ნუგზარი მოქმედი რეჟისორია,მე მოქმედი მსახიობი და ეს,ფაქტობრივად, არის პედაგოგიური მოღვაწეობა ჩვენი პროფესიის მიღმა. ჩემთვის მართლა არის საპასუხისმგებლოც, ძალიან სასიამოვნოც და მე თვითონაც ძალიან ბევრს ვსწავლობ ამ დროს. ზუსტად ისევე ვექცევით ბავშვებს, როგორც პროფესიონალ მსახიობებს, დისციპლინა ისეთივეა, როგორიც იყო ჩემ დროს თეატრალურ უნივერსიტეტში, ასევეა — გაკვეთილის მსვლელობაც, მსახიობის ოსტატობაც ზუსტად ისევე, თეატრალურის მსგავსად, უტარდებათ.

ყველაფერს აკეთებდნენ დასის წევრები, თბილისის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები. ამ ბავშვებს აქვთ ძალიან კარგი პროფესიული უნარ-ჩვევები, რაც სჭირდება მსახიობს, არტისტს. იმდენად დისციპლინებულნი არიან, დარწმუნებული ვარ, სამომავლოდ, სხვა პროფესიაშიც არაჩვეულებრივად კარგები იქნებიან — არა მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვა, პარტნიორზე ზრუნვა, ერთმანეთის თანადგომა და მეგობრობა გამოარჩევთ, და მეტსაც გეტყვით, დასში არის 5-6 აბიტურიენტი (რადგან პრემიერამ ერთი წლით დაიგვიანა), რომლებსაც უნდა ეთამაშათ სპექტაკლი და დაგვემშვიდობებოდნენ. ჩემთვის ისეთი სასიხარულოა, რომ ყველა მათგანმა გამოთქვა სურვილი და რჩებიან,— კვირაში ერთხელ მაინც ვივლით, რომ ეს დასი არ დაგვეშალოს და კიდევ გვქონდეს ბედნიერება, რომ ვითამაშოთ, სცენაზე დავდგეთ და ეს სიხარული ისევ განვიცადოთო.

ვფიქრობ, სპექტაკლის წარმატებულ პრემიერაში მათი მხრიდანაც დიდი მონდომება და წვლილია, ასევე — ბატონი ნუგზარისაც და ჩემიც, რომ ბავშვებს ეს საქმე და ერთმანეთი, რაც მთავარია, ქართული ლიტერატურა იქნება, კულტურა, ისტორია თუ ტრადიცია, ასე ძალიან უყვართ".

პრემიერა შედგა. წარმატება — საყოველთაო და იმედისმომცემი. იმედისმომცემი იმით, რომ როცა არსებობს ინტერესი წინაპრისა და მისი ნაღვაწისადმი, ქვეყანას სამომავლო პერსპექტივა უდავოდ აქვს.

თვალსაზრისი

# ႢႭႰႥႠႬႤႪႨ



## მოძრავი საგნები

საგანთა თვისობრივ მახასიათებელზე როცა ვსაუბრობთ, აუცილებელი არ არის, გავითვალისწინოთ მათი იდეური დანიშნულება და საკაცობრიო ისტორიაში გამოაშკარავებული, ერთის შეხედვით ნორმისეული, მსაზღვრელობითი ფაქტურა. საქმე არც ისე მარტივად არის, როგორც ეს წინარე თაობათა კონსტრუქციული, სტატიკური აზროვნების წარმომადგენლებს მიაჩნდათ, სადაც ობსკურანტიზმი გამეფებულიყო.

ჩვენი მიზანი არ ყოფილა ვექტორული და ერთმნიშვნელოვანი ფილოსოფიური სისტემის შექმნა, სადაც საგანთა ფუნქცია-მოვალეობებს ფაქტისეული სინამდვილის პრიზმაში განვიხილავდით, არამედ სინამდვილეთა ალტერნატიული შესაძლებლობების დადგენა განვიზრახეთ, სადაც საგნები არ ვლინდება მხოლოდ შემხებლობითი ხდომილობის ნიადაგზე.

დროისა და სივრცის განფენილობა ჰქმნის ილუზორულ განცდას ადამიანში, რისი მეშვეობითაც ხორციელდება გამოხატვათა მთელი სერიები. ჩვენ დაწყებას მივიჩნევთ ათვლის წერტილად და სიტყვიერების წიაღიდან ამოვდივართ, სადაც პირველადი აქტი უნდა მოსულიყო მოძრაობაში, საგანთა ნიშანდობლივი დაკავშირება. დაწყება — ეს არ შეიძლება იყოს ხდომილობაგანხორციელებული მექანიზმი, რადგან მთლიანი ბირთვის შინაგანი პროცესია დაწყება, როგორც გამოუვლენელი არსი. განფენილობა იმთავითვე არ არის, საგანთა მოძრაობა ჰქმნის „დასაწყისს“, რაც „დაწყებას“ გამოეყოფა მიმართულებათა შინაარსით, იძენს ერთგვარ ვექტორულ მანიშნებელს და სივრცის მეშვეობით ვლინდება. სივრცითი აგებულება კი დროის მექანიზატორულ ვაკუუმს ჰქმნის, საიდანაც საზრდოობს ცოცხალ არსებათა ცნობიერება. ვამბობთ, რომ შეუძლებელია მხოლოდ ადამიანს გააჩნდეს ცნობიერების ტიპური სახე. პირველადი აქტი დასაწყისია, როგორც სივრცდროული განსაზღვრება.

დაწყების მაგალითად ზღაპარსაც კი ვერ მივიჩნევთ, მიუხედავად იმისა, რომ ზედროულად და ზესივრცულად გვეჩვენება ზღაპრის სახე, ყოველგვარი კონკრეტიკის მიღმა; ვერც მითოსი და ფილოსოფია გამოდგება მისი არსის გამოსახატად. დაწყება შინაგანი დაკვირვებით შემეცნება მხოლოდ შეგრძნებითი მნიშვნელობით, ყოველი სულიერი არსების მასტიმულირებელია შეგრძნება, სხეულებრივი დამაბულობა ბუნებითი ორგანოს ნაწილია. ყოველი ის, რაც სიტყვით გამოითქმის და ეძლევა ნომენკლატურული სახე, არის დასაწყისი, ა ქტშემდგარი საგნები. მოქმედი ცნობიერებით გამოსახული სიტყვათა კავშირები, ფრაზებად რომ გვევლინება, არ შეიძლება იყოს მთლიანობის შიგნით, არამედ ის გარეთ არის, როგორც ცვალებადი მთლიანობა, რაც განსრულებას ჰპოვებს შეწყვეტის სახით. იგივეგვარად ვხელმძღვანელობთ ხედვის, აღქმისა და შეხების პერსპექტივებზე. განსრულების საბოლოო წერტილად ცოცხალ არსებათა ცნობიერებათათვის მივიჩნევთ სიკვდილს, დასაწყისის შეწყვეტის სახედ, რა მდგომარეობაშიც — დასაწყისი დაწყებად გადაიქცევა.

მოძრავი საგნების დანიშნულება დაწყებიდან დასაწყისის აღმოცენებაში მდგომარეობს. განრიდებული და უძრავია გარეგანი დაკვირვების თვალსაზრისით მოძრავი საგნები, უმეტყველო პრედიკატის დიქოტომიას ახდენს ბირთვის შიგნით, რაც ეზოთერული სისავსის წყაროა. როცა ბირთვი აღივსება, ცირკულაციური პროცესი უსწრაფესად მიმდინარეობს, რაც, საბოლოოდ, ახდენს დაწყების ილუზორულ უძრაობად გარდაქმნას, შემდგომ ამისა კი მომდინარეობს დასაწყისი, როგორც მოძრაობად გარდაქმნილი ილუზორული მთლიანობა.., მისი განფენილობა მოძრავი საგნების ენერგიით ხდება. რღვევა-დანაწევრების სამყოფელი ხილულ მოვლენათა და ფაქტთა ერთობლიობაა, ხედვითი და შეგრძნებითი სიმულაცია, როგორც დაწყების უცივილიზაციო, უდროული და უსივრცული არქეტიპი.

სტროფებმივიწყებული ლექსის სტრიქონულ ფრაზათა ცალკეულობას მოგვაგონებს ყოფნაში გამოხატული ფაქტისეული ჭეშმარიტებანი.

მოძრავი საგნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება — აზრობრივი ფორმაციაა. სუნთქვაშეკრული ცოცხალი არსება ეწაფება სამყაროს თვისობრივ მშვენიერებას და ეგზოტიკად აქცევს ყოვლად უწესრიგო მინიშნებებს. მოძრავი საგნების სპეციფიკა თანდროულობაში მდგომარეობს. ცვალებადობა გარეგანი მახასიათებელია, შინაგანად გარდაუვალი და უცვლელია. ყოველ დეტალში გამოსჭვივის მათი დინამიური მოქმედება ხედვითი და შეგრძნებითი მოცემულობის კონტექსტუალური მაგალითებით. მოძრავი საგნები არიან როგორც მყარნი და შედეგობრივნი, ისე არამყარ მდგომარეობაში,— მიზნობრივი წინსწრებით. აქ არ იგულისხმება მხოლოდ ჰაერის ნაირსახეობანი, არამედ ვგულისხმობთ აზრებსა და შეგრძნებებსაც სულიერ არსებათა.

მეთოდოლოგიური დისკურსი არასოდეს ხორციელდება მიმართების გარეშე. საკაცობრიო ნაირსახეობას სამყაროში არსებულ გარდაუვალ მოცემულობად მიიჩნევდნენ აქამდე, საიდანაც უნდა განსაზღვრულიყო მთელი რიგი ცნებები, სიტყვათა ეტიმოლოგია, ჭეშმარიტების პოსტულატები. ჩვენ კი ვიტყვით, რომ მოძრავი საგნები, პირველ რიგში, ბუნებითი კატეგორიის სიმყარეთა მიმართებით ზემოქმედებენ. არ უნდა ვიფიქროთ, რომ მთაზე არსებული ქვა ერთსახოვანი განახლებაა, რაც ყოველი მომდევნო

თაობის წარმომადგენელს ახსოვს, ძველთა თქმულებების ინსპირაციაა, არამედ საჭიროა ფიქრი იმისა, რომ „საუკუნოვანი“ ქვა მთაზე ხედვითი სიმულაციის მუდმივობის მანიშნებელია. მხოლოდ სანახაობა შეიძლება იყოს მუდმივი და მგზნებარე. მივდივართ იქით, რომ უსულო საგანთა მნიშვნელობაა მხოლოდ ყოფნაში განხორციელებული შედეგობრივი ხდომილობა, სადაც დაწყება და დასაწყისი ერთიანდება, სხვა შემთხვევაში, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ „მთის ქვას“ და მის ზესივრც-ზედროულობას, მხოლოდ სიკვდილის განზომილებალა გვრჩება მთლიანობის ცნების შესაცნობად, დაშვების პრინციპით წარმოებული დისკურსი, მიბაძვათა ზრახვისეული უცნობადობა, სადაც სრული გაურკვევლობაა.

ენთროპია — ადამიანური გონების მანკიერი მსაზღვრელია, რისი საშუალებითაც ცვალებადობის მუდმივობაში არწმუნებენ ერთმანეთს ხრწნადი არსებები, რომელთაც ჰგონიათ, რომ აზრობრივი ცნობიერება მხოლოდ მათ გააჩნიათ, სხვა სულიერი თუ უსულო საგნები კი არაფერს წარმოადგენენ და მათზე ძალმომრეობითი ზემოქმედების უფლება აქვთ. მარადქმნილ „სულიერ“ არსებებად წარმოუდგენიათ თავი ამ ზნედაცემულ ფსევდომოაზროვნეებს, ბინძურ მომხვეჭელებსა და სადისტებს, ღალატის გენური მორალიზაციის ინსპირატორებს, რომლებიც ბუნებას ეცილებიან მსაზღვრელობითი კანონების განკარგვას. ადამიანური გენი უაღრესად დაბალი საფეხურია, საიდანაც განვითარების შესაძლებლობა მარტივად არ სჩანს. არათუ სამყაროულ სრულყოფილებამდე ამაღლებისა, არამედ ხილული ბუნების სათანადო აღქმა-განაზრება არ გააჩნია ადამიანს, როგორც ტრაგიკომიკურ არსებას. მოძრავ საგანთა მიმართება ხელშეუხებელია და ის უდრტვინელად მომდინარეობს ადამიანური ცივილიზაციის საწყისებთან ერთად, თუმცა პირველადი სუბსტანცია ქმნადობამდეა — დაწყების სახით, საიდანაც განხორციელდა დასაწყისი, — განფენილი არსი. ადამიანს ჰგონია, რომ საგნებზე ზემოქმედებს და მათგან აწარმოებს სხვა დანარჩენ საგნებსა და მოვლენებს, თუმცა გარდამავლობის ფსიქიკურ სასოწარკვეთას ვერ თრგუნავს, რისი საშუალებითაც ის კნინდება ბუნების წიაღში და წინაშე.

თანაზიარობაქმნილი ბუნება თვითწარმოების რეჟიმშია. მოძრავ საგანთა ხილვადობა ილუზორული პროცესის წარმოებისათვის არის საჭირო, სინამდვილე დაფარულია და გამოუთქმელი. მოძრავ საგნებზე ზემოქმედებს მზის ენერგია და ხდება განსხეულება, მიწიერების წიაღი კი ბალანსის დაცვისთვისაა საჭირო; მიწა კატალიზატორის ფუნქციას ასრულებს, რომ ხილვადი საგნებით არასაჭირო გადატვირთვა არ მოხდეს და ბუნების ლოკალურ მაცხოვრებლებსა თუ დასაწყისთან ერთად განხორციელებულ „მთის ქვებს“ მიმართებათა ზღვარი არ დაეკარგოს. ბუნება წილნაყარია დაწყებასთაც, თუმცა დასაწყისით არის გამოხატული მისი მთლიანობა. მოძრავი საგნები თვითდიფერენციაციას ახდენენ და მუდმივად პოსტაპოკალიპტურ სიუჟეტებსა და საერთო განწყობებს ჰქმნიან. რომ ვამბობთ „განწყობებს“, ვგულისხმობთ როგორც შეგრძნებით-სულიერ (კერძო) განწყობებს, ისე შეუგრძნობად-განფენილ (ზოგად) განწყობებს.

ადამიანს აშინებენ სიკვდილით და მისი განხორციელების აუცილებლობით... სინამდვილეში, სიკვდილის ცნება ისეთივე ფარსია, როგორც სიცოცხლისა. ადამიანს ატყუებენ, რომ სიკვდილი ხდომილობაა, რომ გარდასახვა სამყაროული შინაარსიდან გამომდინარე ხდება, ან „ღვთიური ნების“ რელიგიურ უმეცრებაში არწმუნებენ, სიკეთისა და ბოროტების კატეგორიათა ურთიერთმიმართებით აფერხებენ ადამიანის სწორუპოვარი განვითარების ვექტორს. ალბათ კითხვა გაგიჩნდებათ, ვინ აფერხებს და აზიანებს ამ პროცესს, ან ვინ აშინებს და ატყუებს ადამიანსო?!.. ჩვენი ნაშრომის საზრისული მხარე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ზედმიწევნით წარმოვადგინოთ ბუნების სხეულებრივი აგებულება და ადამიანის, როგორც სხვა საგნებთან ერთად არსებული მოძრავი საგნის (საგნების) მახასიათებელი.

არსებობენ სითხედაცლილი, სხეულებრივ დანამატებს მოკლებული მოძრავი საგნები, რომლებიც ზემოქმედებენ ხილულ პროცესთა წარმართვაზე. ისინი დაწყების ბირთვულ მდგრადობას განაპირობებენ ხედვითი პერსპექტივიდან. გავიხსენოთ ზემოაღნიშნული „მთის ქვა“... სინამდვილეში, სიკვდილი არც არასოდეს არსებულა. მოძრავ საგანთა ცალკეული მთლიანობა იმთავითვე აღმოჩნდა მსაზღვრელობით სადავეებთან და მათგან საკაცობრიო მსვლელობის მიმართულებაც წინასწარვეა დასახული. ყოველ ცოცხალ არსებას, ვიდრე ის ილუზორული სიკვდილის წინაშე დადგება, სთავაზობენ შემდეგ მოცემულობას: მას შეეძლება ქმედით-მოძრავ საგნად არსებობის გაგრძელება და ეს იქნება დაუსრულებლივ, ან მისი სხეულიდან განცალკევდება ყოველი შედგენილი ნივთიერება და ის გადაიქცევა „მთის ქვად“. როცა ამდაგვარი არჩევანის წინაშე დგება ცოცხალი არსება, ის, უნებლიეთ, აღტკინებული განცდით, იმ ყოფითი ცხოვრების დაძაბულობიდან გამომდინარე, რაც სიკვდილის შიშში გამოიხატება, კითხვის დამსმელს პასუხობს, რომ პირველ შესაძლებლობას თანხმდება, რამეთუ ცოცხალ არსებას მუდმივი სიცოცხლის პერსპექტივას არაფერი ურჩევნია (მას ჰგონია, რომ პირველი შესაძლებლობა უსასრულო სიცოცხლის შესაძლებლობაა — იგივე სხეულებრივ-შინაარსობრივი კატეგორიით). ცდება სულიერი არსება. პირველი შემთხვევა არ გულისხმობს იგივე შინაარსის შენარჩუნებას და სიცოცხლის, როგორც აქამდე მიღებული ნორმის გაგრძელებას. დაუსრულებლივ ქმედით-მოძრავ საგნად არსებობის გაგრძელება გულისხმობს არსებული შინაარსისაგან დაცლას, სხეულებრივი შემადგენლობის დანაწევრებას და ბუნების წიაღთან შეზავებას, ენერგიის მახასიათებელი კი განეყოფა სხეულებრივ ნორმას და პირველადობას დაუბრუნდება, — დაწყების წინარე მთლიანობას, რომელსაც ვარქმევთ — „სულთა სავანეს“. ამ უკანასკნელში აღმოჩნდება ცოცხალ არსებათა ენერგეტიკული მთლიანობა, საიდანაც, შემთხვევითი დიფერენცირების პრინციპით, კვლავინდებურად განაწილდება სხეულებრივ ლოკაციებში სულიერების სახედქმნილი ენერგიები. ჩვენის ფიქრით, ასეთი პრინციპით მუშაობს სამყარო, როგორც თვიწარმოების მთლიანობა და ერთეულებით გამოიხატება უსასრულობაში. ამდენად, ის მარადქმნილია

და შესაბამებულად ითვისებს ყოველგვარ ცალკეულ განკერძოებას. როცა სულიერი არსება მოკვდინების ილუზორული განცდის წინაშე დგება, ის უსათუოდ აკეთებს არჩევანს, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევაში, არჩევანი კეთდება საკუთარი შინაარსის გარდაქმნისა, ამ გარემოებით კი, მუდმივად წარმოიშობიან და ჰქრებიან სულიერ არსებათა შინაარსის მატარებელი საგნები. სინამდვილეში, მოკვდინებაც არ ხდება, ენერგიული დაშლაა და დანაწევრება, ცირკულაციური რეპრეზენტაცია, რისი საშუალებითაც სამყარო ინარჩუნებს მუდმივმოქმედ მდგრადობას. არ გვაქვს სამყაროთა მრავლობა, ის ერთია და განუყოფელი; დედამიწა ერთ-ერთი ალაგია, სადაც ხდება განსხეულება და დაწყებასთან მოქმედებაში მოსვლა, აქვეა დასაწყისის საფუძველიც, თუმცა სხვა, დედამიწის მსგავსი სხეულებიც მუდმივმოქმედ პროცესშია. ქმედით რეალობაში კავშირი მათ შორის დამოკიდებულია იმ სულიერ მოძრავ საგანთა თვისობრივ განვითარებაზე და სრულყოფილებაზე, რაც კონკრეტული არსებობის პირობებში გამოიხატება. ჩვენ გვაქვს ორი ტიპი: განზოგადებული და განკერძოებული არსებობა. პირველი უდავოა და გარდაუვალი, მეორე — შემთხვევითობითი და მომპოვებლობითი. ასე უკავშირდება ერთმანეთს ორი მთლიანობა. პირველი მათგანი უხილავია და მარადიულად არსებული, მეორე მათგანი კი ხილული და გარდამავალი. მხოლოდ შეგრძნებებითაა შესაძლებელი მათი დაკავშირება, რაციოს ენერგია ალივსება ხედვითი შინაარსით, რაც სხეულებრივ განსრულებას ემსახურება. თავის მხრივ, ეს გამოიხატება შეგრძნებებში.

მოძრავი საგნები უიდეოა. ქმედით დროში ისინი თვითენერგიით ხორციელდებიან და არ აქვთ მიზნობრივი, მსაზღვრელობითი მიმართულება. ბუნება მოითხოვს ერთფეროვანებასა და განზოგადებას, ხოლო სულიერი საგნები — მრავალფეროვანებასა და განკერძოებულობას, რისი ტიპური სახეა ინდივიდუალობა. თავისი არსით, ბუნება თვითკმარია და იქ ალარაფერია მიზნობრივი მიმართულებისა მაგვარი, რაც შეიძლებოდა მრავალფეროვნად მოგვჩვენებოდა. მრავალფეროვანი შიეძლება იყოს მხოლოდ ხდომილობაშემდგარი აქტი: აზროვნება, შეგრძნება, ხედვითი თუ ვიზუალური გადაადგილება, შეხება და დროსივრცული განცდა.

სუბიექტური პრაგმატიზმის პრიზმიდან დანახული პრედიკატი უვიციზმამდე დაქვეითებული სუბსტანციური მარაზმია, საიდანაც აბერაციული წახნაგებიდან იმზირებიან ზიგომიცეტური შინაარსის მატარებელი ჰალოფიტური არსებები, რომლებიც იატროგენურ განკურნებადობას არ ექვემდებარებიან და ბაზოფილური მიბაძულობითი იმბეცილიზმით იტანჯებიან. ამ არსებებს ადამიანები ეწოდებათ. ისინი მარგინალიზებული მონსტრები არიან,რაც გამოხატულია უპირადობითი დეგრადაციით, დაბრკოლებული იმაგინაციითა და ცნობიერებითი კოლაფსით. თანატოლოგიზმის საკრალური საბურველით საკუთარი პერსონიფიცირების განსაზღვრებისა წინაშე დააყენეს ბუნება. მორფოლოგიური იკონემაც ამ ზნედაცემულმა და უმორალო არსებებმა შექმნეს და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თავად ზნეობაცა და მორალიც. ღმერთიც კი გამოიგონეს. სიკვიდლისა და სიცოცხლის თანაზომიერ პარადიგმად აქციეს ყოველი დღის შინაარსი, ბუნება მოიხმარეს და ლავირებაც მოახერხეს. საუცხოო ფენომენია ადამიანი, როგორც ქმედითი სიმულაციით გამოხატული მოძრავი საგანი, თითქოს ყველაფერი მასშია მოქცეული. ვერ ვიტყვით, რომ მის ცნობიერებას რაღაც აღმატებითი და კატეგორიულად განსხვავებული მართავს, ან უპირველესი გონითი მთლიანობაა, მაგრამ ვიზუალური ეფექტის პათოსით (თუ დავუშვებთ,რომ ხდომილობა ხორციელდება გარეგანი ზეგავლენის მეშვეობითაც) მნიშვნელოვანი საგანია ადამიანი, ხელოვნებითობის ინსპირატორი,რომელსაც მამოძრავებლად თვითკმარი გონითი აღგზნება მიაჩნია.

სამეტყველო ენას სტრუქტურალური პარადიგმა გააჩნია. ადამიანს განსხეულება მოცემულობად აქვს იმთავითვე და ენობრივი დისონანსიც გადაილახება. ყოველი ხილვადი ქმნა შეიძლება ჩავთვალოთ დასაწყისად და, ამ თვალსაზრისით, სულიერ არსებათა კონკრეტული მახასიათებლებითა და გამოხატვათა უნარებით თუ ვიმსჯელებთ, ადამიანია თავად დასაწყისი, როგორც შედეგობრივი აქტი, ბუნება კი — დაწყებაა. აღმატებითი ცნებობრივი მთლიანობა ადამიანისაგან ხორციელდება, როგორც ბუნება თავისთავადის ერთფეროვანების შემთვისებელი და აღმქმელი ერთეულისაგან. ადამიანი ჰქმნის მრავალფეროვანებას და ბუნებითი განუყოფადობის (მრავალფეროვნება ბუნების შინაგანი მახასიათებელია, ამიტომ არის ის მოწესრიგებული არსი) გაყოფას ახდენს. ის, რაც ერთფეროვანია (ბუნება თავისთავადი) — მთლიანია და უშედეგო, ხოლო ის, რაც მრავალფეროვანია (ადამიანის მიერ განხორციელებული ქმედება) — მიმართულია და შედეგობრივი. დაწყება და დასაწყისი ერთმანეთს ეთავსება,რისი საშუალებითაც ცნებობრივი კატეგორიები ვლინდებიან. კაცობრიობის მაგალითზე, თითქოს რაღაც ჩაკეტილი წრეა შექმნილი, ერთფეროვანების გარდაუვალი იდეა. ეპოქათა და ადამიანთა სუბიექტური მონაცვლეობა მხოლოდ პროცესის წარმოებისათვის არის საჭირო, სინამდვილეში, ყველა ადამიანი და ეპოქა, სხვადასხვაგვარი გამოხატვებით, ერთია. ერთფეროვანების გარეგანი გამოხატვა მრავალფეროვანია, ხოლო მრავალფეროვანების შინაგანი გამოხატვა — ერთფეროვანი.

სამყაროს მუშაობის მეთოდი ბუნებითი უშედეგობისა და მოძრავ საგანთა შედეგობრიობის მთლიანობით გამოიხატება. შინაგანი უშედეგობა რომ გარეგანი შედეგობრიობა გახდეს,ამისათვის საჭიროა მთლიანობის რღვევა. მოძრავი საგნები ბუნება თავისთავადის შიგნით მოქმედებენ; ამავდროულად,ისინი მოქმედებენ გარეთ. სამყარო თავად აწარმოებს მოძრავ საგნებს თვითენერგიის ხარჯზე. სამყარო ერთია და განუყოფელი; ბუნება მრავალია და დაყოფილი; კონკრეტული ბუნება მთლიანია და მოწესრიგებული; ქმედითი (ფასადური) პროცესის წარმოებისათვის მოძრავი საგნები მრავალნი არიან და მოუწესრიგებელნი... „მთის ქვები“ — სამყაროს არსობრივი განკერძოებანი, ბუნებითი მოჩვენებები, — სპირიტუალური ეგზალტაციით.

2021 წელი.



# „მე დავბრუნდები საქართველოში“!

მადრიდის ქართული საკვირაო სკოლა „ბელურას“ ხელმძღვანელი, პატარა ემიგრანტები და ფიქრი – ქრისტეს ხელთუქმნელ ხატზე

**დაიბადა საგარეჯოში. დაამთავრა საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლა. სწავლობდა ჯერ ფილოლოგიის, შემდეგ – დაწყებითი პედაგოგიკის ფაკულტეტზე.**

**ადრეულ ასაკში წერდა ლექსებს, ჩანახატებს, ქარგავდა ქართულ ორნამენტებს ჭილოფზე. დაწერილი აქვს ორი ხატი – წმიდა გიორგის და ივერიის ღვთისმშობლის.**

**2008 წლიდან ემიგრაციაშია; 2014 წლიდან ასწავლიდა ქართულ ენას მადრიდის საკვირაო სკოლა „აისში“. 2019 წლიდან კი არის მადრიდის მეორე ქართული საკვირაო სკოლა „ბელურას“ ხელმძღვანელი და პედაგოგი.**

**ამბობს, რომ უდიდესი ძალისხმევით ცდილობენ, შეასწავლონ ემიგრანტ ბავშვებს ქართული და შეაყვარონ მშობლიური ენა და კულტურა, ქვეყნის ისტორია და ტრადიციები. – თეა ქურხულის პერსონა.**

– მამაჩემი მალხაზ ქურხული პროფესიით ინჟინერ-ტექნიკოსია, დედა ლალი ელოშვილი – დიასახლისი. შუათანა და – ია ქურხული დაწყებითი პედაგოგიკის სპეციალისტი. უმცროსი და – ფიქრია ქურხული – კომპიუტერული ტექნიკის.

ბავშვობა საგარეჯოში და დედულეთში – ფასანაურთან ახლომდებარე სოფელში გავატარე. ჩემს ცხოვრებაზე ყველაზე დიდი გავლენა მთამ და დედულეთმა მოახდინა.

**– ლექსებს და ჩანახატებს ადრეული ასაკიდან წერდით. პროფესია კი – დაწყებითი პედაგოგიკა და და განათლების მეთოდიკაა. რატომ პედაგოგობა?**

– დუშეთის უნივერსიტეტში ჩავირიცხე ფილოლოგიის ფაკულტეტზე. შემდეგ საბუთები დაწყებითი პედაგოგიკის ფაკულტეტზე გადავიტანე.

ბავშვობიდან მიყვარდა ხალხური ფოლკლორი. მე და ჩემი და ბებიასგან ვიწერდით ლეგენდებს და გამონათქვამებს.

პედაგოგიკა არასდროს მინდოდა, სულ სხვა პროფესიული ოცნებები მქონდა. უფრო ფოლკლორის განხრით მინდოდა წასულიყო ჩემი კარიერა, მაგრამ ყველაფერი გეგმის მიხედვით არ ხდება და საბოლოოდ სხვა არჩევანის  გაკეთება მომიხდა.

**– 2008 წელს დატოვეთ საქართველო. ხართ ემიგრაციაში...**

– ემიგრაციაში წამოსვლა მასობრივი უმუშევრობის ფონზე მოხდა. საერთო სიტუაცია  დასაქმების არანაირ იმედს არ იძლეოდა, ამიტომ მომიწია საქართველოს დატოვება.

**– ასწავლიდით ქართულ ენას მადრიდის საკვირაო სკოლა „აისში“. რას გვეტყვით ემიგრანტ ქართველებზე, მომავალ თაობებზე. რამდენად ინარჩუნებენ მშობლიურ ენას?**

– 2014 წელს მიმიწვიეს მადრიდის საკვირაო სკოლა „აისში“, ქართული ანბანი რომ მესწავლებინა ემიგრანტი ქართველებისთვის. „აისი“ 2012 წელს დააარსეს ქალბატონმა თამარ მეტრეველმა და არქიმანდრიტმა პიროსი გოცირიძემ. ამ სკოლის არსებობაში დიდი წვლილი აქვს აგრეთვე ქალბატონ ცირა მელქაძეს.

ადვილი არ არის, ემიგრანტ ბავშვებს კვირაში ერთდღიანი სწავლებით აათვისებინო ქართული ანბანი. მაგრამ დიდი ძალისხმევით ვცდილობთ, შევასწავლოთ და შევაყვაროთ მშობლიური ენა და კულტურა, ქვეყნის ისტორია და ტრადიციები.

**– 2019 წლიდან კი მადრიდის მეორე ქართული საკვირაო სკოლა „ბელურას“ ხელმძღვანელი და პედაგოგი ხართ. გვიამბეთ სკოლის საქმიანობაზე, თქვენს მოსწავლეებზე...**

– მადრიდის მეორე ქართული საკვირაო სკოლა „ბელურა“ ფუნქციონირებს ალკობენდასის მუნიციპალიტეტში. ამ სკოლის გახსნის აუცილებლობა ქართული სათვისტომოს გაზრდამ განაპირობა. სკოლას ვხელმძღვანელობ 2019 წლიდან.

ჩემ გვერდით არიან ძალიან თბილი და პატრიოტი ქართველები: ქალბატონი ცირა მელქაძე – საქართველოს ისტორიის პედაგოგი და სკოლის კოორდინატორი; ბატონი ალექსანდრე ყუფარაძე – სკოლის





სამხატვრო ხელმძღვანელი. აგრეთვე ორი პედაგოგი – სახვითი ხელოვნების პედაგოგი, ქალბატონი ხათუნა არჩვაძე და ქალბატონი ნანა ჭინჭარაული. სკოლა თანამშრომლობს მასწავლებელთა ასოციაცია „საქართველოსთან“, რომლის პრეზიდენტი გახლავთ ქალბატონი ირინე ჯგერენაია.

ბავშვებს სკოლაში ხვდებათ ოჯახური, თბილი ქართული გარემო. კვირაში 2 დღეა სასწავლო პროცესი და პატარა ემიგრანტებს მოსვლა მოუხარიათ.

გვყავს 4 ჯგუფი – 4-5 წლის ასაკის, წინა საანბანო; 6-8 წლის, ანბანის სწავლების; 8-10 წლის, წერა-კითხვის და მეტყველების განვითარების; 10-12 წლის ასაკის, ქართული ენის და საქართველოს ისტორიის ჯგუფები.

სასკოლო პრაქტიკაში ერთერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა კინორეჟისორ ნიკოლოზ ხომასურიძესთან ერთად, რომელიც იღებს დოკუმენტურ მხატვრულ ფილმს „მგზავრი წერილებით“. ეს ფილმი ქართულ საკვირაო სკოლებს ეძღვნება, სადაც სხვადასხვა ქვეყნიდან 20-მდე სკოლა მონაწილეობს.

**– პანდემია და ემიგრაცია. როგორ ცხოვრობდით?**

– პანდემია ძალიან დამთრგუნველი იყო როგორც ემიგრანტებისთვის, ასევე – ადგილობრივი მოსახლეობისთვის. თითქოს დრო გაჩერდა და ყველაფერი ერთ წერტილში გაიყინა.

მადრიდში პანდემიის დროს ყველაზე დიდი სიხარული იყო – საქართველოს საელჩოდან ბატონი ილია გიორგაძის მიერ ესპანეთის სამეფოში განხორციელებული ზარი. სასწრაფოდ შეიქმნა 15-კაციანი ჯგუფი, რომელიც დახმარებას გაუწევდა გაჭირვებაში მყოფ ქართულ სათვისტომოს.

მაშინ ვიგრძენი ჩემი ქვეყნის წარმომადგენლების დიდი მხარდაჭერა, ბატონების – ილია გიორგაძის, თემო ბასილაიას და ზურა მჭედლიშვილის სახით. მეც ვიყავი ამ ჯგუფის წევრი და ყოველდღიურად ვცვლიდით ინფორმაციას, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილ ოჯახებს დახმარება მიეღოთ – საკვებით, მედიკამენტებით და თავშესაფრით.

**– ქარგავდით ქართულ ორნამენტებს ჭილოფზე. დაწერეთ ორი ხატი – წმიდა გიორგის და ივერიის ღვთისმშობლის...**

– ჭილოფზე ქარგვა ძველი ტრადიციული ქარგვის ხელოვნებაა, რომელიც ბებია სონა ციხელაშვილმა შეგვასწავლა მე და ჩემს დებს. მისი სპეციფიკა – ჯვრის ფორმით ქარგვა მოითხოვდა უჯრედულ მატერიას და ეს ჭილოფზე უკეთ გამოდიოდა. ხატწერა „წვლით“ ქარგვის სტილით არის შესრულებული, გვირისტით... წმინდა გიორგის ხატი 13 წლის ასაკში მოვქარგე. ძალიან მინდოდა ჩემს დედულეთში ერთი პატარა სამლოცველოსთვის შემეწირა...

ივერიის ღვთისმშობელი 30 წლის ასაკში მოვქარგე... სწორედ ქარგვის პერიოდში მქონდა ჭიდილი, ემიგრაციაში წამოსვლის გადაწყვეტილების დროს... დავასრულე და გადავწყვიტე, რომ საქართველო უნდა დამეტოვებინა... მაშინვე ამოტივტივდა აზრი, რომ ქრისტეს ხელთუქმნელი ხატი ემიგრაციაში უნდა დამეწერა. ალბათ ეს ჩემს ქვეყანაში დაბრუნების წინა პერიოდში მოხდება. ჯერ არ დამიწყია მუშაობა.

**– ჰობი...**

– კითხვა, ქარგვა, ქსოვა...

**– ოჯახი...**

– მყავს 7 წლის გოგონა ანასტასია, რომელმაც ყველაზე დიდი სხივი შემოიტანა ჩემს ცხოვრებაში... ანასტასია უდიდესი ბედნიერება და უფლის საჩუქარია, მისი თვალებით ვუყურებ სამყაროს...

**– სამომავლო გეგმები...**

– მე დავბრუნდები საქართველოში... ამაზე დიდი გეგმა და სურვილი, როგორც ემიგრანტს, არ გამაჩნია...

თამარ შაიშმელაშვილი

# ᲗᲔᲐ ᲥᲔᲩᲮᲔᲚᲘ

## „ავაჰმეე“!!

გოდერძი ჩოხელის ხსოვნას

გიორგობისთვეს ბინდისფერ ხეობას ალმა მიჰყვებოდა „სულის პეპელა“... ალმა მიჰყვებოდა გუდამაყრის არაგვს შავი ნისლები... ცრემლად ილვრებოდა კიტოხის ჭალა – დედის ნატერფალებით გაცვეთილ. სამოსშემოძარცულ ტყეს ლეგა ფერი დაჰკრავდა, ლეგა ღრუბლები მიცურავდნენ ცის ტატნობზე... ისეთი სევდიანი იყო შავი არაგვის წყალ-ჭალა, როგორც არასდროს. „სულის პეპელა“ მიჰყვებოდა ალმა აქაფებული არაგვის მონაბერ ნოტიო ჰაერს. იქ ფუძის ანგელოზთან ზღაპრების სამყარო იწყება. იქ ჩოხის წმინდა გიორგის კარს სულის სანთლები ანთია თაფლისა, დედაბრების სანთლებივით თითებით ჩამოქნილი და ანთებული. იქ ბავშვობაა, ოცნებადაკარგული, მაგრამ მაინც სუფთა და უმანკო... იქ უძირო თვალებია დარჩენილი, სიყვარულისფერი – შვლის ნუკრის იერით. იქ მარადისობაა და მარადიული ყველა წმიდა გრძნობა.

„სულის პეპელას“ ხმელი ფოთლები მიჰყვებიან „ქვეყნად არყოფნის“ სევდით. „სულის პეპელამ“ ღვთის საიდუმლო უკვე იცის.

„ავაჰმეე“! – ექოდ ისმის ხეობაში გუდამაყრელი დედაკაცების პირით.

„სულის პეპელა“ გოდერძი ჩოხელისაა.

„ავაჰმეეე“ – გოდერძი!

# სოფო ბაშაკული



## ნინო ბაშარულის ერთი სიმღერის გამო

ნინო ბაშარულის სიმღერა „ის ვაჟი“ (კომპოზიტორი და ლექსის ავტორი – ნინო ბაშარული) არა მარტო არაჩვეულებრივი ჰანგებით გვატკბობს, არამედ სულის სიმებს ეხება, ლექსი სათაურშივე გვამცნობს, რომ სიმბოლურ-ალეგორიულია. თავისუფლად შეიძლება იგი ჰიმნოგრაფიულ ჟანრს მივაკუთვნოთ, ისევე, როგორც – გურამიშვილის „ზუბოვკა“.

ვაჟი იესოს სახეა, მაცხოვარი სიძედ სახარების იგავებშივე იხსენიება.

ლექსის მთავარი სათქმელი ქრისტიანული აღმსარებლობაა.სიმბოლურ-ალეგორიულად გადმოცემულია ლირიკული გმირის მიერ თავის შეცნობის ,შემეცნებისა და განღმრთობის გზა; წარმოჩენილია სულის თავისუფლების იდეა, თავის უფლობა, თავის ფლობა – მესაჭეობა.

ლექსი იწყება რიტორიკული შეძახილით:/„შორს გასწით, მერნებო! /რაზა ახსენით დარაბებს!“/ – მერანში ყველა ქართველი მაშინვე ტატოს მერანს წარმოიდგენს – თავისუფლების იდეას, უზღვარუმანძილო ჭენებას, რომელსაც „არა აქვს სამძღვარი“. დარაბებისთვის რაზის ახსნა ევალებათ „ლურჯა ცხენებს“ – თავისუფლება ხომ ის სულია, რომელიც ყველა ჯებირს არღვევს, – „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“. ტიციან ტაბიძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „საქართველოს ბედს მხოლოდ ცხენით თუ დაეწევი“... ქართულ ხასიათს და ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვან სწრაფვას მიზნისკენ ცხენი ყველაზე უკეთ გამოხატავსო.

სიზმარში ვაჟი „ცისკრიდან გადმომდინარე წყალს ასმევს“ – „ვინც დალევს წყალს, რომელსაც მე მივცემ, აღარ მოსწყურდება უკუნისამდე, რადგან წყალი, რომელსაც მე მივცემ, იმ წყაროს წყლად იქცევა,საუკუნო სიცოცხლედ რომ იდინებს მასში“ (იოანე 4.13.14). „ცისკრის ვარსკვლავი“ იესოს მეტაფორაა. „იქნებდა, სადმე მონახოთ!“ – რიტორიკული შეძახილი ძებნა-ძიების იდეას ახმოვანებს. „მთებში დაიდო სავანე“ – სიწმინდისა და ამაღლებულობის მანიშნებელია. მთა ღმერთთან ახლოსაა. ამიტომაც მთებში დიდი სიბრძნეა, ჟანგბადია,უფალთან მისვლის მეტი შესაძლებლობა.

„ნეტავ, ის ვაჟი ვინ არის?!“ – რიტორიკული შეკითხვა თვით პასუხისმომცველია.

დალალები წმინდა ნინოს თმების ალუზიაა, ქართველები ვაზის ნასხლევის საკუთარი თმებით შეკრული ჯვრით რომ მოაქცია.

ლირიკული გმირი ამაღლებულობაზე საუბრობს, შემდეგ კი ყოფიერება ეტმასნება – გუთანი ხომ მიწაზე მყარად დგომის, მიწათმოქმედების სიმბოლოა. მოგეხსენებათ, „გეორგიკა“ სწორედ მიწათმოქმედების გამო გვიწოდეს. გუთნის ცქერით „ნაღველი შორდება“ ავტორს, რადგანაც თვლის, რომ ადამიანი მიწის წიაღში იშვა, ხოლო მასთან დაშორებულს – შველა და დაბრუნება სჭირდება. თანაც ისტორიიდან ქართველთა იმ დროს გვახსენებს, ჩვენს წინაპრებს ერთ ხელში ხმალი რომ ეჭირათ და მეორეში – გუთანი, რომელსაც ზედ სევდიანად დამღერდნენ.

„ჰარალე“ ქართულ მითოლოგიაში მოსავლისა და ნაყოფიერების ღმერთია. ფიქრობენ: ,იგი ძველი შუმერულიდან უნდა მომდინარეობდეს. „ჰარი ჰარალე“ ღვთაებისადმი მიძღვნილი ჰიმნია. მთვარის სიმბოლო ქართულ წარმართულ პანთეონში ხარია. ასე რომ, ამ ლექსს, უძველესი მითოსიდან ნაკვებ-ნასაზრდოებს, შემდგომში ქრისტიანული მსოფლმხედველობა უდევს საფუძვლად. „ჩემი ოცნება მას მოუპარია“ – სულის ძლიერ მოძრაობას გადმოგვცემს: იესოს წარუტაცნია მისი ფიქრი, ოცნება და აზრი – მთლიანად მოუცავს ლირიკული გმირის აზროვნება და ცნობიერება. ფეხთ დაყრილი „ქვეყნად არნახული ყვავილები“ მარადიულობის, სიკეთისა და სრულყოფილების სიმბოლოა. რელიგიებში ის სულიერ გასხივოსნებას მიანიშნებს. ავტორის თქმით, „არნახული ყვავილები“ ღვთისმშობლის უჭკნობი ყვავილებია, კეთილსურნელება სულიერი სიწმინდისა. სულიწმინდა მოემართება ცისკრიდან გადმომდინარე წყაროთი, შემდეგ – „ქვეყნად არნახულ ყვავილებში“ სიმბოლიზდება. ამაღლევებელი და საკუთარი დატვირთვა აქვს ლექსის ყოველ სახეს! რაც შეეხება სიზმარს, იგი სულიერი გარდასახვის ნიშანია ქრისტიანობაში. ფროიდი მას „არაცნობიერისკენ მიმავალ სამეფო გზად“ მიიჩნევდა თავის კლასიკურ ნაშრომში „სიზმრების ინტერპრეტაცია“.

ნაწილობრივ უკვე ითქვა, კვლავაც ვიტყვი, რომ ლექსი მდიდარია სახე-სიმბოლოებით, ტროპული მეტყველების საშუალებით, როგორებიცაა: მეტაფორები: „ისე რთავს დალალებს“; „ოცნება მას მოუპარია“; „მე შენი ცქერით ნაღველი მშორდება“; „სიზმრად რომ მჩუქნის სულს და გულს“; „ფეხთ მიყრის ქვეყნად არნახულ ყვავილებს“. გაპიროვნების მაგალითები:, ,მერნებო, იპოვეთ კვალია!“ „და მთვარეც მთებში აცილებს“. ეპითეტი: „მოქარგული შარა“.

ალიტერაცია: „ღირღიტა გულღიად“... „იქნებდა“ დაშვების შესაძლებლობის არაჩვეულებრივი დიალექტური ფორმა.

ლექსი თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია კითხვით: „ნეტა, ის ვაჟი ვინ არის?“ – იგი „მიდის და კვლავ მოდის“ – სულიერი მიმოსვლაა, რომელსაც ჩვენც ამაღლებულობისა და სიწმინდის წიაღში შევყავართ.

## იუბილე



# პალინდრომების ოსტატი

80 წელი შეუსრულდა პოეტს, მთარგმნელს, პუბლიცისტს, მხატვარს, პალინდრომების ოსტატს, არაერთი საინტერესო წიგნის ავტორს სიმონ ჯაფარიძეს,რომელსაც საზოგადოება იმერი ხრეველის ფსევდონიმით იცნობს.

იგი დაიბადა 1941 წლის 26 ნოემბერს ქალაქ ჭიათურაში. 1965 წ. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი ტექსტოლოგის სპეციალობით. 1979 წელს კი – თსუ საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი ფერმწერის სპეციალობით. მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე ჭიათურასა და თბილისში. თანამშრომლობდა საქართველოს ცენტრალურ და რაიონულ პერიოდულ პრესაში, იყო საზოგადოება „ცოდნის“ წევრი. ინტენსიურად მონაწილეობდა ფოლკლორულ და არქეოლოგიურ ექსპედიციებში. 1960 წელს იმოგზაურა ბულგარეთსა და რუმინეთში. მიღებული შთაბეჭდილებები გამოაქვეყნა პრესის ფურცლებზე და შემდგომ გამოიყენა შემოქმედებით მუშაობაში.

სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის კეთილმოწყობის სამმართველოს მხატვრული გაფორმების განყოფილების ხელმძღვანელად, საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს შექმნიდან მის ლიკვიდაციამდე, 1978 – 2004 წ.წ., ბუნების ძეგლთა განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომლად,შემდეგ – ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური ინსპექციის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ამავე ინსპექციის რეგიონული განყოფილების უფროსად. 1982 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს პროფორგანიზაციას. ამ ხნის განმავლობაში, იგი, მრავალი კეთილი საქმის მოთავე გახდა. მან ერთ-ერთმა პირველმა მიაკითხა ახლად აღორძინებულ სოფელ ჭერემს. წლების განმავლობაში შეფობდა სოფლის სკოლას, საფუძველი ჩაუყარა სკოლის ბიბლიოთეკას,საჩუქრად გადასცა სხვადასხვა ინვენტარი თუ სპორტული კომპლექტი. ასეთივე ფონდი შეუქმნა უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალს.

მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ემსახურა იგი საქართველოს ბუნების, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეს. მოიძია, ჩაიწერა და გადაარჩინა არაერთი პოეტური თუ მუსიკალურ-ფოლკლორული მასალა. ფეხდაფეხ შემოიარა არა მარტო საქართველოს მთა-ბარი, არამედ მიწისქვეშეთის მღვიმე-გამოქვაბულები. მრავალი წერილი გამოაქვეყნა ძეგლთა დაცვის პრობლემებზე.

1982 წელს მონაწილეობდა თბილისში გამართულ კლდის არქიტექტურისადმი მიძღვნილ მსოფლიო სიმპოზიუმის ორგანიზებაში. მისი ინიციატივით განხორციელდა სპელეოლოგთა სამეცნიერო ექსპედიციების გაცვლა საქართველოსა და ჩეხეთ-სლოვაკეთს შორის. ქართველი სპელეოლოგები გაეცნენ ჩეხეთ-სლოვაკეთის კარსტულ სამყაროს და სპეციალისტთა გამოცდილებებს, ხოლო სტუმრად ჩამოსულ სპელეოლოგებს საქართველოს კლდის არქიტექტურისა და მრავალფეროვანი მიწისქვეშა კარსტული ძეგლების გაცნობის შესაძლებლობა მიეცათ. აკაკი წერეთლის 150 წლის საიუბილეოდ, საჩხერეში მოაწყო ლიტერატურული საღამო, რომელშიც თბილისის, ქუთაისის, ჭიათურისა და საჩხერის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდა ბულგარელი სტუმარი გაბროვოს საერთაშორისო შემოქმედებითი ცენტრიდან.

მისი ინიციატივით მოეწყო შემოქმედებითი შეხვედრები პროფესორ ვახუშტი კოტეტიშვილთან,პოეტ შოთა ხოდაშნელთან და სხვებთან. ორჯერ მოაწყო სამმართველოში მომუშავე მხატვართა ნამუშევრების გამოფენა,სადაც საკუთარი ფერწერული ტილოებიც წარუდგინა საზოგადოებას. იგი პალინდრომების აღიარებულ ოსტატად ითვლება საქართველოში, ამ ჟანრში ორი კრებული – „ორდარადრო“ და „უკუთქმანი“ გამოსცა და ორივე პალინდრომულ წლებში – 1991 და 2002 წლებში, რასაც ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიოში (საინტერესოა, რომ ადამიანი ათასწლეულში მხოლოდ ერთხელ ესწრება ორ პალინდრომულ წელს).

„სტრუქტურულად ურთულესი აღნაგობის ლექსები იშვიათი ოსტატობით არის შესრულებული – ავტორი ფილიგრანულად ფლობს ლექსთწყობის ამ უნიკალურ ფორმას. სრულიად განუმეორებელია მისი ოთხმხრივი პალინდრომები, რომლებიც არა მარტო თარაზულად, არამედ ვერტიკალურადაც ორივე მხრიდან ერთნაირად იკითხება. კიდევ უფრო საოცარია თექვსმეტმარცვლიანი შაირით გაწყობილი რითმიანი სტრიქონები. ავტორის ხელში ქართული სიტყვა აქამდე გამოუმჟღავნებელ იდუმალ შინაგან ბუნებას ავლენს და მის სიღრმეში ჩაბუდებულ იშვიათ ფარულ საგანძურზეც მიგვანიშნებს“ (ზ.



ალექსანდრა ჯაფარიძე სიმონ (მარცხნივ) და ივანე ჯაფარიძეებთან ერთად

ასკანელი).

გარდა დასახელებული წიგნებისა, გამოქვეყნებული აქვს პოეტური კრებულები: „ბოროტსა სძლია კეთილმა“ (ყმაწვილთათვის) და „რადგან შენ მწამდი“ (1991 წ.). 2008 წელს დაბეჭდა 2 კრებული: „გზა და საუკუნე“ (პოეტ მარიკა ბარათაშვილის 100 წლის საიუბილეოდ) და მის მიერ ქართულ ენაზე ნათარგმნი „ბულგარული პოეზია“. გერმანისტ ზურაბ აბაშიძესთან ერთად თარგმნა ჰაინრიხ ჰაინეს ლექსების ორტომეული, რომელიც 2018 წელს გამოიცა გოეთეს ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერით. მისი რედაქტორობით გამოიცა დასავლეთ საქართველოს უძველესი ისტორიული სოფლის – მუხურის ფოლკლორული, ეთნოგრაფიული და ისტორიული თემატიკისადმი მიძღვნილი კრებული. დააარსა ჟურნალი „არმაღანი“.

უკანასკნელ ხანს, მუშაობდა საქართველოს ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის ცენტრში დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე. ცენტრის ეგიდით გამოსაცემად მოამზადა რამდენიმე წიგნი; მისი ინიციატივით შეიქმნა მსოფლიო მოგზაურის – ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო ახალგაზრდული ტურისტული კლუბი. თანამოაზრეებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა შემოქმედებით გაერთიანებას – „ქართული საუნჯე“.

იმერი ხრეველის პალინდრომები ანუ წაღმაუკუღმა საკითხავი

ისევ კვესი!
აბედი...
კვესი...
ესაა ბედი!
კვესია ბედი:
დილაა, დილა!
ალი და ალი!
დიდება ისევ!
კიდება ასე,
ისევ – კიდება!..
იბერად, დარად დარები...
ივერმა აიცაკარა,
დარად ადარა დარები!
იბერა, დარად ადარა –
და... რა კაცია ამრევი?!
რა ხაციცა კაციცა ხარ...
რა ხაციცა,
ფითრი,
ფითრი,
ჩირთი-ფირთი,
ფაციცა ხარ!
რა ხარ,
რა ხარ,
რა ხაციცა,
კუ-კუ-კუ-კუ
კაციცა ხარ...
რა ხარ,
რა ხარ,
რა ხაციცა,
ფითრი,
ფითრი,
ჩირთი-ფირთი,
ფაციცა ხარ...
აისია!
აიწია ცამდე ბედმაც:
ადარა და – აისია!
მაისია, მაისია!
მაისია, ადარა და –
ცამდე ბედმაც აიწია!
თომა, აგივსე! შესვი გაამოთ!
თომა, აგივსე: შენი წილია –
და... ილიწინე!
შესვი, გაამოთ!
„ინდივიდნი“
ასალოკი – ნიკალასა,
მოსალოკი კოლასო,
მასალა კი ნიკოლასა...
იგია! იგი!..
– არაა პაოლო?
ა? პაოლოა?!
– პაოლოა,
პაოლო –
აპა, არა?!
ამ შურმა, მრუშმა...
ამ შურმა, მრუშმა,
ო-პა! – გაგთიშა!
ტაშით გაგთიშა, -
ტაშით გაგაპო
ამ შურმა, მრუშმა...
ვაჟავ...
იხარ – იშვა...
შფოთავს ვაჟა:
– ვსვათო ფშავში რახი!..

ივანე ჯაფარიძე

# პოეზია

## ნიკოლოზ მჭედლიშვილი



### დედა ენა...

დედა ენა — ერთადერთი,
დედა ენა — მშობელი,
დედა ენა, როგორც ღმერთი,
ჭეშმარიტად მთხრობელი.
დედა ენა — ერის რთველი,
დედა ენა — ბადაგი,
დედა ენა ბევრის მთქმელი,
ღირსეული ქადაგი...
დედა ენა — წინაპარი,
დედა ენა — დიდება,
დედა ენა ყველა გმირის,
პატივი და მიგება,
დედა ენა სავედრებლად
აღმართული ხელები,
დედა ენა საქართველოს,
მინდვრები და ველები,
დედა ენა — ქართლ-კახეთი,
დედა ენა აჭარაა,
უიმერლოდ იმერეთი,
ურაჭველოდ რაჭა რაა?!
დედა ენა — სამეგრელო,
დედა ენა — გურია,
დედა ენას აფხაზეთი,
სამჩაბლო სწყურია,
დედა ენა — საქართველოს,
ყველა კუთხის მშობელი,
მტერთან ბასრი, ვით მახვილი,
მოყვარესთან მძმობელი...
დედა ენა წარსულია,
დედა ენა აწმყოა,
დედა ენა — მომავალი,
ვაჟკაცების სამწყსოა.

### გაზაფხულო...

ჩამეხუტე,
მომე ძალა,
სიყვარული
მომეძალა,
წყალი შენ ხარ,
მიწა მე,
დამიჯერე,
მიწამე.....
შენს ნაბიჯებს
ველი,
გადმოკვეთე
ველი,
მზის დამტევი
მომე ცა,
ვითხოვე და
მომეცა....
გულმა ბევრი
იარა,
მოიშუშა
იარა,
გაზაფხულო,
გშვენის ია,
შენ ხარ ჩემი
„აი ია“.

### უცებ სარკმლის აშრიალდა ფარდა...

გალაკტიონს გაჰყოლია მერი,
საქართველოს არ ჰყოლია მტერი,
არ ყოფილა ირგვლივ შავი ფერი,
მარად იყო ყველა ბედნიერი....
გორგასალი კვლავ მოგვმადლეს ციდან,
შუშანიკის მკვლელიც განიცდიდა,
მოღალატე ვაჟკაცობას სცდიდა
და სამშობლოს არაფერში სცვლიდა...
აბო თბილელს არ მოჰკვეთეს თავი,
დიდოსტატის კვლავ აშენებს მკლავი,
ცხრა ძმის დედას არა სცმია შავი...
მტერთა ზღვაში გვყავდა მხსნელი ნავი,
არ დასჭირდა დავით მეფეს ხმალი,
ოდნავ არ აქვს დიდგორს სისხლის კვალი,
ისტორიის მთელი მიჯნა წყნარი,
თამარს სწყალობს ფეოდალთა ჯარი...
სააკაძე დააფასა ერმა,
მისი შვილიც შეიბრალა ბევრმა,
არასოდეს დაგვენგრევია ჭერი,
ბჭობის ნაცვლად კვლავ ლოცულობს ბერი....
გაფორმება არ დასჭირდა ზავის,
მთელი ერი ერეკლესთან არის,
ვერ აკადრეს ქართველს გლეჯა ტყავის,
საქართველო თამარივით ჰყვავის...
უცებ სარკმლის აშრიალდა ფარდა,
მზემ ჩემს სიზმარს ნატვრა გადახადა,
უკვე როცა დამიბრუნდა გონი,
საქართველო ნაქართველარს ჰგავდა...

,,ახლა“

ახლა კალამი ცვდება
ჭენებით,
თავზე დამადგეს ლექსის
სიონი,
წმინდის მთვარით და ლურჯა
ცხენებით,
ჩემში მკვიდრდება გალაკტიონი.
ახლა ზამთარი უფრო
მეტია,
სულში სიოა მშვიდი და
ნელი,
როგორც არასდროს, გული
კენტია,
როცა ღიღინებს ჩემში
გრანელი....
ახლა სინდისი მეტად
ზრდილია,
ცოდვის ხანძარი სრულად
ჩამქრალი,
ჩემში იღვიძებს დიდი
ილია,
ენით ბასრი და სულით
მართალი...
ახლა მწყურვალის ლექსად
ვილევი,
და ვიცი ლექსის ყველა
მტკაველი,
მგონი, ჭკუიდან გადავირევი,
ჩემში ლაღადებს თვით
რუსთაველი.
ახლა აკაკი მკარნახობს
რითმებს,
ბარათაშვილის მიჰქრის
მერანი,
ხმა იდუმალი რამდენ დარდს
ითმენს,
ენით რომ აღწერს, ვფიქრობ,
ვერავინ...
ახლა თვით ლექსი მკვიდრდება
ჩემში,
და პოეზიის დიდი მწერალი,
ახლა ლექსი სცემს ჩემს
დაჭრილ მკერდში,
ახლა ლექსშია რწმენის
მწვერვალი....

* * *

ზოგჯერ ტკივილი ჩემზე დიდია,
ხანაც სიმშვიდე მასზე,
ოჰ, ეს ცხოვრება თითქოს ფლიდია,
შეუღლებული ფარსზე.....
ზამთრის დღეები დარდებს აღვიძებს,
ლხენით მთვლემარე გულში,
ფიქრი მტანჯველი სევდას ადიდებს
ერთ დროს მომღიმარ სულში....
მსურს გავეცალო გაყინულ ქუჩებს,
ირგვლივ გათოშილს მრავალს...
იქნება სადმე მივაგნო ნუგეშს,
გაზაფხულამდე სავალს...

# წარდგენა ვილნიუსში




## ,,ღვინისფერი“ კრებული და... აქამდე უცნობი საქართველო

**ლიეტუვის დედაქალაქ ვილნიუსში თანამედროვე ქართველი ქალი მწერლების ანთოლოგია – ,,მთვარის მშრალი მხარე“ – წარადგინეს,რომელიც აერთიანებს ლიეტუვურ ენაზე თარგმნილ 21 მოთხრობას. ნანა დევიძესთან ერთად მთარგმნელები არიან, აგრეთვე – ლიდია გიორგობიანი და ვიქტორია ვალენტაიტე.**

**კრებული გამოიცა ნანა დევიძის იდეით, ლიეტუვის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის,ბირუტე იონუშკაიტეს ხელშეწყობით და ლიეტუვის ლიტერატურისა და ფოლკლორის ინსტიტუტის მიერ. კრებულის შემდგენელია სოლვეიგა დაუგირდაიტე, რედაქტორი – დანუტე კალინაუსკაიტე.**



**ნანა დევიძე:**

– ლიეტუვის კულტურის განვითარების პროგრამა 2000-იანი წლების დასაწყისში ამუშავდა და დღემდე წარმატებით აგრძელებს მუშაობას. ორ წელიწადში ერთხელ ისინი მთელი მსოფლიოდან სემინარზე აგროვებენ ლიეტუვური ლიტერატურის მთარგმნელებს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი სემინარის მსვლელობისას გავიგე, რომ ლიეტუვაში იმართებოდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ახალგაზრდა შემოქმედთა შეხვედრა-სემინარები. ამ სემინარების ,,დიასახლისი“ იყო მწერალთა კავშირის მაშინდელი მდივანი,პროზაიკოსი ბირუტე იონუშკაიტე. ამიტომ მას ვთხოვე,იქნებ გამოძებნილიყო საშუალება, რომ სემინარებში ქართველებიც ჩაბმულიყვნენც. მე არ შევეხები იმ საორგანიზაციო პრობლემებს, რომელთა გადალახვაც მოუხდათ ლიეტუველებს და პირადად ამ გასაოცარ ქალბატონს,რომელიც დღესაც თავდაუზოგავად ზრუნავს ქართულ-ლიეტუვური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობების განმტკიცებისთვის, მან ყველა ძალ-ღონეს მიმართა, რათა ჩვენები ამ სემინარის მონაწილენი გამხდარიყვნენ.

და მართლაც, 2009 წლიდან ქართველებიც

მივაღწიეთ და 2010 წლიდან 2015 წლამდე (სანამ სემინარების დაფინანსება შეწყდებოდა), მასში დაახლოებით ოცმა ქართველმა მწერალმა მიიღო მონაწილეობა. ყოველ წელიწადს გამოდიოდა სემინარის მონაწილეთა პროზისა თუ პოეზიის კრებულები. დაგროვილი მასალის ბაზაზე ცალკე წიგნად გამოიცა კრებული – „თანამედროვე ქართველი პოეტები“. მოგვიანებით დაიბადა იდეა, რომ ასევე ცალკე წიგნად გამოცემულიყო ლიეტუვაში ქართველ პროზაიკოს ქალთა კრებული, ხოლო საქართველოში – ლიეტუველი ქალებისა. რა თქმა უნდა, კრებულის ფორმატიც გაიზარდა და, სემინარის მონაწილეთა გარდა, ამ წიგნში შევიდა კიდევ რამდენიმე თანამედროვე ქართველი მწერლის პროზა. კრებული მოიცავს 21 ავტორს და გამოირჩევა არა მხოლოდ თემების, არამედ – სტილური მრავალფეროვნებითაც. ორი კრებულის მომზადებამ მოითხოვა ხანგრძლივი და ძალიან სერიოზული მუშაობა. პწკარედულ თარგმანს ვაკეთებდით ვიქტორია ვალენტაიტე, ლიდია გიორგობიანი და მე.

საინტერესო იყო, რომ წიგნის ყდის ფერი – ფერი ქართული ღვინისა – ლიეტუვურმა მხარემ სპეციალურად შეარჩია. წიგნის სათაურია – „მთვარის გამომშრალი სახე“, ეს ფრაზა ირმა ტაველიძის მოთხრობა „ანტილოპადან“ არის ამოღებული. სათაურის შერჩევაც არ არის შემთხვევითი. ეს იყო ერთგვარი მცდელობა სტერეოტიპის რღვევისა. ლიეტუველები ახლა მთვარეს (ქართველ ქალებს) არა მხოლოდ იმ მხრიდან შეხედავენ, რომლიდანაც მათ სტერეოტიპი კარნახობდა, არამედ იმ მხრიდან, რომელიც არ ჩანდა და მათთვის უცხო იყო.

ჩვენი ლიეტუველი მეგობრები ამაზე არ გაჩერდნენ და ამა წლის 15 ნოემბერს ჯერ ვილნიუსში, მწერალთა კლუბში, ხოლო 16 ნოემბერს კი იურბარკასის რაიონის ქალაქ ველიუონოს კულტურის ცენტრში გაიმართა კრებულის წარდგენა. სამწუხაროდ, კოვიდის გამო მე ამ ღონისძიებას გამოვეთიშე, მაგრამ იქ მონაწილე პროზაიკოსები გაგიზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს.

**ლიდია გიორგობიანი:**

– მე ლიეტუველი გახლავართ. დიდი ხანია ვცხოვრობ საქართველოში და სკოლაში რუსულ ენას ვასწავლი. ძალიან მიხარია, რომ ამ პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობა მომეცა. საქმე ისაა, რომ ორი კრებულისთვის მასალის მომზადება, შერჩევა, პწკარედული თარგმანის მომზადება ძალიან სერიოზული და შრომატევადი საქმე აღმოჩნდა. აი ამ საქმეში „შემომიტყუა“ ქალბატონმა ნანა დევიძემ, რის გამოც მას დიდ მადლობას ვუხდი. მე ჩემი თავი სრულიად სხვა სფეროში აღმოვაჩინე. ქალბატონი ნანა, მე და ვიქტორია ვალენტაიტე ვამზადებდით პწკარედულ თარგმანს. მომეცა გასაოცარი შესაძლებლობა, გავცნობოდი თანამედროვე როგორც ქართველ, ასევე ლიეტუველ ავტორებს. და, რაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს პროექტი დამეხმარა, სრულიად ახალი მხრიდან დამენახა და აღმომეჩინა სამყარო, სახელად საქართველო.

ეს ქალები სამშობლოზე წერენ, ისინი ყვებიან თავიანთ ისტორიებს, სადაც ყველაფერი დანახულია ქალის პოზიციიდან – ყველა მოვლენა, გრძნობა, განცდა. ძალიან მიხარია, რომ ლიეტუველი მკითხველი, როცა ამ წიგნს ხელში აიღებს, გაეცნობა არა მხოლოდ თანამედროვე ქართველ პროზაიკოს ქალებს, არამედ აღმოაჩენენ მათთვის აქამდე უცნობ საქართველოსაც.



**მაკა ლდოკონენი:**

– ლიეტუვასთან არაერთი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს, თუმცა ზუსტად რომელ დღეს შემიყვარდა, ვერ ვიხსენებ. შესაძლოა, ათი წლის წინ, ნანა დევიძემ რომ დამირეკა და მითხრა, შენს მოთხრობას ლიეტუვურ ენაზე გადავთარგმნით, მერე ჩემთან და რამდენიმე ავტორთან ერთად პალანგაში გაემგზავრები, ლიეტუველ მწერლებს გაიცნობ და ერთად იმუშავებთო...

შესაძლოა, ვილნიუსიდან პალანგასკენ მიმავალ გზაზე მოვიხიბლე – უკიდეგანო მინდვრებით, დაგორგოლავებული ზვინებით, უგორაკო ჰორიზონტისკენ ჩაწიკწიკებული თეთრი, ფაფუკი ღრუბლებით...

იქნებ, წიგნში თავჩარგულმა, ყავის გამყიდველმა თინეიჯერმა გოგონამ აღმაფრთოვანა, გზადაბნეულები მანქანით რომ მივადექით და სასტუმროს მისამართი ვკითხეთ... ჩრდილოეთის ზღვის აგვისტოს სუსხმა თუ კუნძულ ნიდას ჯადოქრებმა მომნუსხეს?.. შესაძლოა, იქაურმა მხატვრებმა, ხის მთლელებმა ან გულითადმა სიმღერებმა... აჩუ, აჩუ, აჩუ! ანუ გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ!.. გმადლობთ ყველას და ყველაფერს, ლიეტუვასთან რომ დამაკავშირეთ.

ლიეტუველი რედაქტორების გამოსვლებში უამრავი საქებარი სიტყვა მოვისმინე. მათ ძალიან მოსწონთ ჩვენი მწერლები, ჟანრობრივად თუ თემატურად მრავალფეროვან ქართული მოთხრობები; არაერთხელ მოვისმინე ისიც, რომ შურთ ჩვენი, მსგავსად რომ ვერ წერენ ლიეტუველი პროზაიკოსები. დიახ, ასე ღიად და ხაზგასმით განაცხადეს!.. ძალიან დამწყდა გული იმ წუთას, ამ ანთოლოგიის ყველა ავტორი რომ არ ისმენდა გამოსვლებს.

რაც შეეხება ჩემს მოთხრობას, უცნაური გრძნობაა, როდესაც უცნობ ენაზე უსმენ, წიგნში თვალს ადევნებ, მიჰყვები, მაგრამ იცი და ხვდები, რომელი ადგილია, მსმენელს აკვირდები... „ყველა ნივთის“ (ასე ჰქვია ანთოლოგიაში შესულ ჩემს მოთხრობას) პერსონაჟები დები არიან: მომგონია, ჩინარა და ციცელია. ადამიანის ერთ უცნაურ თვისებაზე ვცდილობ მკითხველის ყურადღების გამახვილებას. რა თვისებაა?.. ცოტა უცნაურია, მაგრამ რომ დავაკვირდეთ, რომელი ნივთები გვსურს და გვაღელვებს?.. ისინი, რომლებიც ძნელად ხელმისაწვდომია, ჩვენთვის გვინდოდა, მაგრამ სხვას ერგო, არ დავიმსახურეთ, თუმცა მიგვაჩნია, რომ არასწორად შეგვაფასეს... რა ბედი ეწევა ყველა ასეთ ნივთს?.. შეგიძლიათ თავად შეიტყოთ, არა მარტო ქართველმა, უკვე ლიეტუველმა მკითხველმაც.

**ინა არჩუაშვილი:**

– ...მანქანა გზას მდინარე ნემუნასის მარჯვენა შენაკადის გასწვრივ მიუყვება. მე ნანა დევიძეზე ვფიქრობ, ჩვენს მეგობარზე, ამ შეხვედრის (და არა მხოლოდ!) ერთ-ერთ ორგანიზატორზე, რომელიც კოვიდით ინფიცირების გამო, სამწუხაროდ, ჩვენ გვერდით არ იყო, და თან ულამაზესი ხედებით ვტკბები. გზისა და მდინარის შუაში ჭალებია მოქცეული (ჩვენდა გასაკვირად, ბალახი ჯერ კიდევ მწვანეა), და სულ მალე ციცქნა ქალაქ ველიუონასშიც შევდივართ. აქ ჩვენი ძვირფასი მასპინძლები გველოდებიან, მწერლების



ოჯახი – ქალბატონი ვიოლეტა შობლინსკაიტე და ბატონი გასპარას ალექსა (რომელსაც ძალიან მოეწონა სიტყვა ,,გოგონი“ და ხშირად იმეორებდა ღიმილით), თავიანთ კოხტა, ერთსართულიან, ლიეტუვური ყაიდით ნაშენ სახლში,სადაც საქართველოსთვის ცალკე კუთხეა გამოყოფილი.

ფოტოები მშვენივრად გადმოსცემს ლიეტუვურქართულ მეგობრობას და ლიეტუველების უსაზღვრო სიყვარულს ქართველებისა და,როგორც მოიხსენიებენ ჩვენს ქვეყანას – ,,საქართველას“ მიმართ. დაუვიწყარი იყო ჯერ ოჯახურ სადილზე ქალბატონ ვიოლეტას ბავშვურ თვალებში აბრჭყვიალებული გულწრფელი ცრემლები, როდესაც ის ჩვენს სადღეგრძელოს ამბობდა, მოგვიანებით კი ქალაქის ბიბლიოთეკაში გამართულ საღამოზე ყელში ჩაბრუნებული ცრემლებით ნათქვამი უამრავი კეთილი სიტყვა ჩვენს ქვეყანასა და ქართველ მეგობრებზე. ამ განწყობას კი, მართლა აგვრგვინებდა ფართო მაგიდის შუაგულში მდგარი ორი პაწია, ძალიან ძვირფასი და საყვარელი დროშა.

რა თქმა უნდა, შეხვედრის საქმიან ნაწილში საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ ლიეტუვაში ჩვენი ჩასვლის მიზეზზეც, თანამედროვე ქართველ ქალთა მოთხრობებზე, ,,ღვინისფერ“ წიგნზე, როგორც ლიეტუვაში უწოდეს ამ ანთოლოგიას, რომლის წარდგენაც წინა დღეს ვილნიუსში, ლიეტუვის მწერალთა კავშირში გაიმართა. ვისაუბრეთ სამომავლო გეგმებსა და ლიეტუველ მწერალ ქალთა ანალოგიური ანთოლოგიის გამოცემაზეც ქართულ ენაზე; არც ოკუპაციის თემა დაგვვიწყებია, მაგრამ რომ არა ჩვენი მასპინძლების ზღვარს გადასული სიყვარული, რომელიც ყველაფერში,ყოველ მათ ფრაზაში, მზერასა თუ ჩვენთვის საგულდაგულოდ შერჩეულ სიმბოლურ საჩუქრებშიც იგრძნობოდა, ასეთი შთაბეჭდილებებით ალბათ ვერ დავბრუნდებოდით სამშობლოში.

დაბოლოს, ერთი მნიშვნელოვანი კადრიც: სუფრასთან ფეხზე წამომდგარი ბატონი გასპარას ალექსა და მისი წაკითხული ლოცვა, რომელსაც ჩვენც ფეხზე მდგარნი და ხელიხელჩაკიდებულები ვუსმენდით და გულწრფელად გვჯეროდა, რომ ლიტერატურას ნამდვილად შესწევს ძალა, ღმერთამდე მიიტანოს ჩვენი კეთილი სურვილები.

**მარიამ მანჯგალაძე, პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი:**

– ქართულ-ლიეტუვური მეგობრული,კეთილგანწყობილი და საქმიანი ურთიერთობები არ ახალია, ყველამ იცის ამის შესახებ, ოღონდ უნდა შევთანხმდეთ,რომ მას მუდმივი ხელშეწყობა და განვითარება სჭირდება. ადამიანთა თვალსაწიერი სწორედ იმის მიხედვითაა საინტერესო და ღირებული, თუ რამდენად წიგნიერია და იმდიდრებს თუ არა სამყაროს შემოქმედებითად.

ლიეტუველ კოლეგებთან ჩემი ურთიერთობა 2007 წელს დაიწყო, შემდეგ კი იყო არაერთი წარმატებული სამეცნიერო პროექტი, საერთაშორისო კონფერენცია...

სულ ცოტა ხნის წინ, ნოემბერში, ლიეტუვის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის – ბირუტე იონუშკაიტეს მიწვევით, კვლავ ვეწვიე ამ გამორჩეულ ქვეყანას, სადაც, როგორც ხშირად მიყვარს ხოლმე თქმა, სულ სხვანაირად ვსუნთქავ,რადგან სიყვარულით გაჯერებული სუფთა ჰაერია და როცა იქ ვარ, წუთის დაკარგვაც კი არ მინდა, იმდენი საინტერესო საქმის კეთება შეიძლება. ყოველთვის ასე იყო: ოღონდაც გქონდეს ღირებული იდეა, აუცილებლად შეძლებ განხორციელებას, ხელშემწყობიც იქვე გამოჩნდება.

ჩვენი ახლანდელი ვიზიტი გამორჩეული და საპასუხისმგებლო იყო, რადგან უნდა წარგვედგინა ქართველი ქალი მწერლების მცირე პროზის ანთოლოგია, ნოველების კრებული, რომელიც არაჩვეულებრივი ლიტერატორისა და გამორჩეული მთარგმნელის – ნანა დევიძის იდეითა და ლიეტუვის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ხელშეწყობით განხორციელდა. ქალბატონ ნანას გამოცდილი მთარგმნელი – ლიდია გიორგობიანი და უნიჭიერესი ლიეტუველი, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ახალგაზრდა – ვიქტორია ვალენტაიტეც ეხმარებოდა, შედეგი კი ასეთი იყო: წიგნის ლიეტუველი რედაქტორები, ლიტერატორები და მკითხველები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ქართველ მწერალთა წერის სტილისა და ტექსტის მოულოდნელი დასასრულის შესახებ. მათი თქმით, კრებულში წარმოდგენილ ყველა ავტორს გამორჩეული ხელწერა აქვს და ბედნიერები არიან,რომ ლიეტუველი მკითხველისთვის შესაძლებელი იქნება ნიჭიერი ქართველი ქალი ავტორების შემოქმედების გაცნობა.

ამ არაჩვეულებრივ საღამოზე, ჩემი პრეზენტაცია, სახელწოდებით – ,,ქართულ-ლიეტუვური ლიტერატურული ხიდი“, ეხებოდა ქართული ლიტერატურის ისტორიას, მწერლის ენას, ლიტერატურული ნაწარმოების დაბადებას უცხო ენაზე და ლიეტუვურ – ქართულ შემოქმედებით პროექტებს. არ შემიძლია, განსაკუთრებული მადლობა არ გადავუხადო ლიეტუვის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს – ლიეტუვურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების გამორჩეულ მხარდამჭერსა და სულისჩამდგმელს – ბირუტე იონუშკაიტეს; საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ლიეტუვაში – ლევან ღვარჩლიანს, რომელიც გვერდით დაგვიდგა, ღონისძიების მხარდამჭერი გახდა და მადლობის სიგელები გადმოგვცა კულტურული კავშირების გაძლიერებისა და ლიეტუვაში ქართული ლიტერატურის შესახებ ცნობადობის ამაღლებისათვის; ლიეტუვის პარლამენტის წევრს, საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარეს – პროფესორ ვილია თარგამაძეს,რომელიც დაესწრო წიგნის პრეზენტაციას და, ლიეტუვის პარლამენტის სახელით, კულტურისა და განათლების სფეროში შეტანილი წვლილისათვის, ასევე, გადმოგვცა მადლობის სიგელები.

დარწმუნებულები ვართ, რომ ქართულ-ლიეტუვური კულტურული და სამეცნიერო თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო საინტერესო სახით წარმოჩნდება!

# ლესია უკრაინკა – 150



ლარისა პეტრეს ასული კოსაჩ-კვიტკა (25 თებ. 1871, ნოვოგრად-ვოლინსკი – 1 აგვისტო,1913, სურამი). უკრაინული და მსოფლიოს ლიტერატურა იცნობს ფსევდონიმით – ლესია უკრაინკა.

პოეტი, დრამატურგი, ფოლკლორისტი, მთარგმნელი, პოლიგლოტი (ფლობდა 15 ენას). მძიმე სენით დაავადებული მკურნალობდა ყველა კონტინენტზე; ცხოვრობდა მეუღლესთან – იურისტ კლიმენტ კვიტკასთან ერთად საქართველოში 10 წლის მანძილზე (1903-1913 წ.წ. თბილისი, ხონი, ქუთაისი, თელავი, სურამი). ნ. ბარათაშვილის „მერანის“ პირველი მთარგმნელი უკრაინულ ენაზე. 1952 წელს სურამში გაიხსნა ლესია უკრაინკას (მსოფლიოში პირველი) ბიბლიოთეკა-მუზეუმი და ბრინჯაოს (პირველი!) ძეგლი (მოქანდაკე – თამარ აბაკელია). თარგმნილია მრავალ ენაზე.

## არჩევანი

ლესია უკრაინკას

უნაზეს სულში – თოვლის ზეწარში
ფოლადის აზრებს შენ იფარებდი,
მოიშროშანე ლექსი ზეცაში,
სხვა ყვავილს როგორ შეიყვარებდი?..
„კონვალია“[1] რომ ამოირჩიე,
გეფარა კალთა ღვთისმშობლის ალბათ...
მტკიცე სულიც რომ გამოიჩინე,
საუკუნეებს ის ყოფნის ამბად!
უკრაინაში ძვირფასს ყველაფერს,
ლესიავ,
კვლავ შენს სახელს არქმევენ
და დღემდე დრო ვერ
აკლებს ვერაფერს
შენი მზეგულის
მზიურ სარქველებს!
სურამი? –
შენზე შვილივით ზრუნავს,
აქ ყველა ნაძვი შენს ლექსს ახველებს!..
სულს კი – უკვდავთა ორბიტით მბრუნავს –
მარადისობაც მიუსაკმევლებს!
...დღეს „კონვალია“[2]
ღვთისმშობლის ყვავილს
უნთია შენი ხსოვნის მზედ ცაში...
ამ არჩევანთან შედეგიც ყვავის –
მოიშროშანე ლექსი ზეცაში!

2002წ. სურამი, მუზეუმის და ძეგლის 50 წლისთავი, ლესიაობა

1.კონვალია – ლესიას საყვარელი ყვავილი (შროშანი – უკრ.)

2. „კონვალია“ – ლესიას პირველი ნაბეჭდი ლექსი.

# თამარ გაბოძე



თამარ პეტრეს ასული გაბოძე დაიბადა 1952 წლის 10 ივნისს კასპში. დაამთავრა კასპის მე-3 საშუალო სკოლა 1969 წელს. ფილოლოგი. დაამთავრა ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი 1975 წელს. მუშაობდა კასპის მე-3, შემდეგ კი მე-2 საშუალო სკოლაში – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

ლექსებს წერს 10 წლიდან. არის სამი პოეტური კრებულის თანაავტორი: „ლირიკული რვეული“ (1977), „კაბადონი“ (1985), „კასპელთა პოეზია“ (1999).

არის უკრაინის ქალთა კავშირის წევრი, მირგოროდის ხელოვანთა ძმობის წევრი. იგი შეტანილია მირგოროდის მოღვაწეთა კარტოთეკაში (კატალოგში).

ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კაავშირის წევრი (1998წ.). პოეტი, მთარგმნელი, ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობათა მკვლევარი.

გთავაზობთ ლესია უკრაინკასადმი მიძღვნილ თამარ გაბოძის ორ ლექსს.

## სურამის მეორე ლეგენდა

ლესიამ სული პირველ ცრემლად სურამს აწვიმა...
გულს უკრაინა უპატრონა და დიადემა
სიტყვა ფოლადი – მსოფლიოს რომ გაუნაწილა,
პოეტთან მოსვლა სიკვდილს დღემდე აგვიანდება!

სურამს ალმასად უღირს დღესაც ფასით ის წვიმა...
ქართულ მიწაზე რომ ისურვა მშვიდად მან ძილი,
ლესიამ იცხო უკვდავება ასი წლის წინათ
და უკრაინას მოუზომა ზეცის მანძილი!

ცისკრის მგოსანი ულეგენდოდ ვერსად ვერ ძლებდა
უთხრა სურამსაც ზურაბის და ციხის ლეგენდა!..
ორი ლეგენდით იწონებს თავს დღეს კი სურამი,
რომ ცისარტყელობს აქ ლესიას ლექსი – ცუნამი!

...სიკვდილს თრგუნავდეს, უკვდავების ადათ-წესია!
და ის – მეორე, სიკვდილს თრგუნავს ლექსის ორბი ფრთით!
სურამში ცხოვრობს მუზეუმად, ძეგლად ლესია,
სული პოეტის? – უკვდავებად ბრუნავს ორბიტით!

1 აგვისტო, 2013






# ტერენტი გრანელი

მხატვარი - რეზო (ემილიანე) ადამია

---

## ახალი გამოცემები:










თეა ქუხელის ნამუშევრები


















ანეული — გაზაფხულის ხნული